აგვისტო-სექტემბერი 2012 №82
ფასი 7 ლარი

ლიტერატურული პროცესი
და „საბა“ გადაეცემა...
მაშო სამადაშვილი

ისტორია
ზურაბ ქარუმიძე
/ ალექს ჩიღვინაძე

რეპორტაჟი
პოლონეთი
/ შოთა იათაშვილი

ფოტოპროექტი
ლონდონი
/ მარიკა ქოჩიაშვილი

PONTI

DAL 1867

ცდუნების ფორმულა
DI MODENA

დანარჩენი ზედმეტია

ლიკანი

ცოცხალი მინერალების ძალა

ცხელი შოკოლადი

N82, აგვისტო-სექტემბერი 2012

8 რედაქტორის სვეტი

10 ავტორთა სვეტები

წარდგენა 12 ზურა მჭედლიშვილი, ფერმწერი

14 ბოჰემური და „ნეპისთვის“ არც ისე საშიში ***დავით ბუხრიკიძე***

ანონსი 16 4 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ ***სალომე აფხაზიშვილი***

რესტორნის კრიტიკა 22 გზაზე ***თამარ კვინიკაძე***

საავტორო 24 ფერადი ფეხბურთი შავ-თეთრ ტელევიზორში ***გაგა ნახუცრიშვილი***

26 წინგი ***დათო ტურაშვილი***

28 უფრო ბედნიერები ***მაია სარიშვილი***

30 შავი და ფერადი ***თამთა მელაშვილი***

რეპორტაჟი პოლონეთიდან 32 მზეთუნახავების და მუშების ქვეყანაში ***შოთა იათაშვილი***

ტრანსჰუმანიზმი 40 რუსეთი-2045 ***თათია კუხალაშვილი***

ისტორია 48 *ზურაბ ქარუმიძე* შეუზღუდავი პასუხისმგებლობის კორპორაცია „ზურა ქარუმიძე“ ***ალექს ჩიღვინაძე***

ფოტოპროექტი 56 ყველაზე ღია ბარათი ლონდონიდან ***მარიკა ქოჩიაშვილი***

ლიტერატურა 72 **ლიტერატურული პროცესი** და „საბა“ გადაეცემა... ***მაშო სამადაშვილი***

84 **საავტორო** მადათაშვილი ***აკა მორჩილაძე***

88 **საავტორო** ბიბლიოთეკის წმენდა-შევსება-2 ***ლაშა ბულაძე***

90 **ესე** მწერალი დონ კიხოტ ლამანჩელი ***ბექა ქურხული***

94 **მოთხრობა** პერსონალური ქრისტე ***თეონა დოლენჯაშვილი***

100 **პოეზია** ოთარ ხვედელიძე, პოეტი

საუბრები აბაჟურის ქვეშ 102 პირველი ბურთი ***აკა მორჩილაძე***

რეცენზია 104 „დიოგენეს ბიბლიოთეკა“ ***ანინა ტეფნაძე***

106 უჟმური მწერალი, რომელიც კომპრომისზე არ მიდის ***ლელა კოდალაშვილი***

წიგნები 109 მიმოხილვა

110 უჯრედული თერაპია

რეცენზია 112 მოიხედე კრიზისის ჟამს ***დავით ბუხრიკიძე***

116 სოციალური ოპერის ფანტომი ***დავით ბუხრიკიძე***

118 ტრავმების შემგროვებლები ***დავით ბუხრიკიძე***

120 ნუ გაალვიძებთ, გეთაყვა, კოკოროს! ***მანანა თანდაშვილი***

124 გასროლა ბინდში ***გიგი გულედანი***

სტილი 126 1990-იანების ნოსტალგია ***თამარ ალავიძე***

128 ტრენდი

132 COVHERlab-ის რაციონალური ესთეტიკა ***თამარ ალავიძე***

140 ღილების მეფე – ხმა 1990-იანებიდან ***თამარ ალავიძე***

146 საინტერესო აქცენტები პარიზის მაღალი მოდის კვირეულიდან ***ნინუცა ივარდავა***

150 რომაული ჩანაწერები ***თამარ სულავა***

152 *ფოტოპროექტი* საკურა ***მარიამ სიჭინავა***

158 ტექნოლოგიური სნობიზმი ***ნინო ნატროშვილი***

ლისი
ვერანდა

ახალი მეზობლების ხმაური არ შეგაწუხებთ

ქალაქის ხმაურის ნაცვლად ჩიტების სასიამოვნო ჭიკჭიკი გაგაღვიძებთ და გაგიკვირდებათ. ისინი თქვენი ახალი მეზობლები იქნებიან. ლისი ვერანდა ქალაქის ცენტრიდან სულ რაღაც ათ წუთშია. ლამაზი გარემო, სუფთა პაერი, თანამედროვე სახლები ბუნებას პარმონიულად ერწყმის. აქ ყველა პირობაა შექმნილი, რომ თავი სახლში იგრძნოთ. გადმოდი და დაინყე ახალი ცხოვრება.

595 134 134 | tbi@lisi.ge | www.lisi.ge

მთავარი რედაქტორი
თამარ ბაბუაძე

„სტილი“
თამარ ალავიძე

რედაქტორების ასისტენტი
მარიამ სამადაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი
ნინო ჯაფიაშვილი

არტრედაქტორი
არჩილ თაბუკაშვილი

დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე

კორექტორი
თამარ ღონღაძე

ნომერზე მუშაობდნენ:
რატი ქართველიშვილი, ბექა ქურხული, თამარ ალავიძე, შოთა იათაშვილი, აკა მორჩილაძე, დავით ბუხრიკიძე, გაგა ნახუცრიშვილი, თამთა მელაშვილი, დათო ტურაშვილი, მაია სარიშვილი, ალექს ჩიღვინაძე, მარიკა ქოჩიაშვილი, ლაშა ბუღაძე, თამარ კვინიკაძე, სალომე აფხაზიშვილი, მაშო სამადაშვილი, თამარ სულავა, თათია კუხალაშვილი, ანინა ტეფნაძე, ლელა კოდალაშვილი, მანანა თანდაშვილი, გიგი გულედანი, ნინუცა ივარდავა, ნინო ნატროშვილი

ფოტო:
მარიკა ქოჩიაშვილი, მაკა გოგალაძე, ლევან ხერხეულიძე, მარიამ სიჭინავა

ილუსტრაცია:
თაკო ბაქრაძე, GAMEZ

გამომცემელი
შორენა შავერდაშვილი

ბიზნესის განვითარების მენეჯერი
რუსუდან ფურცელაძე

პარტნიორებთან ურთიერთობის მენეჯერები:
ქეთევან ქავთარაძე, მარიამ მიქელაშვილი, სოფო პაპუნაშვილი, ნინო გონიაშვილი

დისტრიბუცია
მიხეილ მამუჩაშვილი

DEKOM
MEDIA HOUSE

გამომცემლობა:
შპს „მედია ჰაუსი დეკომი“
მისამართი: თბილისი 0183, საქართველო ჟღენტის ქ. 35, ტელ.: +995 32 247 10 05

სხვა გამოცემები:
„ლიბერალი“, „ბიზნესი-ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“, „დიალოგი“, ქართული ღვინის გზამკვლევი

სტამბა:
„სეზანი“, თბილისი, წერეთლის 140, ტელ.: 235 70 02

ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან

© „მედია ჰაუსი დეკომი“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.
„ცხელი შოკოლადის“ რუბრიკის სპონსორი არ ერევა შინაარსის შექმნაში.

„...იყვნენ კოლუმნისტები, რომლებიც ჟიურის ელიტურობაში სდებდნენ ბრალს და იყვნენ კოლუმნისტებიც, რომლებიც გვადანაშაულებდნენ, რომ საკმარისად ელიტისტურები არ ვიყავით. იყო ერთი რომანისტი, რომელიც ხაზგასმული პასუხისმგებლობითა და ვაჟკაცურობით გვთხოვდა, შორტლისტში ისეთი წიგნები გაგვეყვანა, როგორების წაკითხვაც „ხალხს უნდა“ და არა წიგნებისა, როგორებსაც, ჩვენ, ჟიურის წევრები ვკითხულობთ. შორტლისტის განხილვის წინა ღამით, ლიტერატურულ წვეულებაზე, ერთმა ცნობილმა მწერალმა ქალმა იდაყვით მიმიმწყვდია ოთახის კუთხეში და მიბრძანა, „პროფესორ კერისთვის გადამეცა, რომ მან ძალიან სერიოზული შეცდომა დაუშვა“. შეცდომა ის აღმოჩნდა, რომ მის ახალ წიგნს ისეთი აღფრთოვანებით არ შევხვდით, როგორც ის იმსახურებდა... იყო იმეილიც საკმაოდ ცნობილი მწერლისგან, რომელიც მარწმუნებდა, რომ მწერალ მარტინ ემისის მიმართ პათოლოგიურ შურს განვიცდი... რაც შეეხება ასი თანამედროვე რომანის წაკითხვის პროცესს ოთხი თვის მანძილზე და ოთხ სხვა ადამიანთან ერთად, ერთ ოთახში სამჯერ შეკეტვას მათ განსახილველად, რა გითხრათ, ალბათ, დროის უკეთ გატარების ათასგვარი საშუალება არსებობს... მარტინ ემისის „ყვითელი ძაღლის“ შესახებ მსჯელობა გაგვიგრძელდა. ჟიურის ერთმა წევრმა მისი რომანიდან ფრაგმენტი წაგვიკითხა, როგორც თხრობის გასაოცარი სრულყოფის ნიმუში. არადა, ეს ფრაგმენტი იმდენად არ ჰგავდა ტექსტის გასაოცარი სრულყოფის ნიმუშს, რომ ჟიურის სხვა წევრებმა ხითხითი ატეხეს“... – ეს ნაწყვეტი გაზეთ „გარდიანში“ გამოქვეყნებული წერილიდან არის, რომელიც ცნობილი ლიტერატურული პრემიის, „ბუკერის“ ჟიურის წევრს, ბრიტანელ კრიტიკოსსა და რომანისტს, დი ჯეი ტეილორს ეკუთვნის. 2003 წლის „ბუკერის“ შემდეგ ტეილორმა ამ წერილით ჟიურიში მუშაობის გამოცდილება გააცნო მკითხველს და ისეთ პიკანტურ დეტალებს ახადა ფარდა, რომლებიც ელიტურ ქრონიკას უფრო დამშვენდებოდა, ვიდრე – ლიტერატურას.

თუ არა? თუ ეს ყველაფერი ლიტერატურის ნაწილიცაა? უფრო სწორად, თანამედროვე ლიტერატურული პროცესის ნაწილი? ვფიქრობ, ასეა. ამ პროცესს სრულყოფილ სახეს წიგნების გაცხოველებულ წერა-კითხვა-კრიტიკა-დაჯილდოებასთან ერთად, საკმაზს სწორედ მსგავსი დეტალები სძენს. ასე გრძნობ, რომ პროცესი დუღს, ცოცხალია; რომ ამ პროცესში მწერლები არა მარტო წერენ და შემოქმედებითად იწვიან, არამედ ძალიან ადამიანურად იბრძვიან (ხშირად აკრძალული ხერხებითაც); თუნდაც სახელისთვის, ანდა მკითხველისთვის.

ეს რაღაც (მისი სახელდება მიჭირს) ისეთივე უნივერსალურია, როგორიც სიყვარული და სიძულვილი. ეს ასეა საქართველოშიც. ოღონდ, მნიშვნელოვანი სახესხვაობით. აქ ლიტერატურული პროცესი ფრაგმენტულია, მთლიანი ჯაჭვიდან მსხვილ-მსხვილი რგოლებია ამოვარდნილი: დიდი ტირაჟების, ჟანრული მრავალფეროვნების, თანამედროვე ტექსტების მყისიერი თარგმნის, ტექსტების ღრმა კრიტიკის, ჯილდოსა და წიგნის გაყიდვებს შორის ორგანული ბმის, ყურადღებიანი და მოწადინებული მკითხველისაც კი... და ჩემთვის, რაც მთავარია – გულწრფელობის და პირდაპირობის ნიჭიც ამოვარდნილია ამ რგოლიდან, რაც ასე აუცილებელია კრიტიკისას, პროცესის შეფასებისას და ხარვეზების გამოსწორებისას. ვიცი, ვიცი – ამის მიზეზი ყველამ ჩემზე კარგად იცით, ამიტომ აღარ გავაღიზიანებ იარებს, ჩვენი გულდახურული, კონიუნქტურას დამორჩილებული ცხოვრება და პოსტსაბჭოური კომპლექსები რომ იწვევს. უბრალოდ, მგონი, დროა, ვინმემ სცადოს დი ჯეი ტეილორივით პირდაპირი იყოს და, ამ დროს, არ შეეშინდეს ვულგარულობის.

თამარ ბაბუაძე, მთავარი რედაქტორი

მოდური სამოსის ფერი მუდამ ახალივით ბრწყინვალეა!

ახალი Perwoll Brilliant ბრწყინვალეს უმჯობესებს მოდური ტანსაცმლის დელიკატურ რეცხვას. **ფერის აღდგენის ეფექტის** წყალობით ის აახლებს თქვენი საყვარელი ფერადი, შავი და თეთრი სამოსის ხასხასა ფერებს. ახლა ყოველი გარეცხვის შემდეგ მათი ფერი ახალივით ბრწყინვალეა!

Henkel
ბუნებრივი

დაწვრილებით: **www.perwoll.kz**

თათია კუხალაშვილი

შარშან ამ დროს ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, high-tech-ის გაშუქებით დაიწყებ შენს ჟურნალისტურ გზასო, სასაცილოდ არ მეყოფოდა. არა, სოციალურ ქსელებზე, ჩინურ ინტერნეტ-ცენზურაზე (The Great Firewall of China) საუნივერსიტეტო პროექტები მიკეთებია, მაგრამ მათ მაინც „მოსჯილ“ სიუჟეტებად ვთვლიდი.

განსაკუთრებულ გარემოში გავიზარდე: ადამიანი-მიკროკოსმოსი, ფაქიზი მატერიები, აუთენტიკურობის კერპი. თუმცა ამ გარემოშივე ვისწავლე, რომ უსინდისობაა რამის უარყოფა მის არსში ჩაწვდომის გარეშე, რაოდენ არასიმპათიურადაც არ უნდა გამოიყურებოდეს ის. ამის გათვალისწინებით, დღეს უკვე აღარ მიკვირს ტრანსჰუმანიზმით რომ დავინტერესდი. სახელწოდებაშივე: ადამიანიცაა და სიახლეც. ეს იზმი სახიფათოობით არ ჩამოუვარდება ფაშიზმს და კომუნიზმს, სითავხედით კი აღემატება მათ, რადგან პირველია იზმებს შორის, რომელმაც ადამიანის, როგორც ბიოლოგიური სახეობის ყოფნა-არყოფნის საკითხი დააყენა. მაინც უნდა ვაღიარო: ძალიან ჩამთრევია. თავად ტრანსჰუმანისტები განარჩევენ მასში ინტეგრირების ხარისხებს, რაც ერთობ შოკის მომგვრელია, მაგრამ უფრო შოკის მომგვრელი ის იყო ჩემთვის, რომ ამ შკალით ყველაზე მაღალი ტრანსჰუმანურობის (ანუ სახიფათოობის) პროექტი რუსეთმა წამოიწყო, რაც ქართველი მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს.

რუსეთი-2045

გვ. 40

მაშო სამადაშვილი

„საბას“ დაჯილდოებაზე პირველად 2010 წელს მოვხვდი. გამიმართლა. ეს პრემიის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო „საბა“ იყო. მაშინ, გამარჯვებულებს შორის ზვიად რატიანი, ზურაბ ქარუმიძე, მაკა ლდოკონენი და კოტე ჯანდიერი მოხვდნენ. ცერემონიის შემდეგ ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ ჟიურიმ ძალიან ობიექტური გადაწყვეტილებები მიიღო და ნამდვილად ღირებული და მრავალფეროვანი ნაწარმოებები გამოარჩია.

წელს მეათე „საბას“ გამორჩეულად ველოდი. ამ წლის შედეგები ჩემთვის არამხოლოდ 2011 წლის „ლიტერატურული მოსავლის“ შეფასება უნდა ყოფილიყო, არამედ იმის ილუსტრაციაც, რა არის „საბა“, რა გზა გაიარა მან 2003 წლიდან დღემდე, რა პრიორიტეტები აქვს და რეალურად წარმართავს თუ არა ლიტერატურულ პროცესს.

12 ივლისს ჩემი დაუსრულებელი ვარაუდების, იმედების და სურვილების პერიოდი დასრულდა და სტატიაზე აქტიურად მუშაობა დავიწყე. მწერლებთან, კრიტიკოსებთან და ჟიურის წევრებთან საუბარი ძალიან საინტერესო და კულუარული ამბებით სავსე იყო, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, დიქტოფონის ჩართვისთანავე ყველაფერი იცვლებოდა და მხოლოდ კარგად გათვლილ და კრიტიკისგან მაქსიმალურად დაცლილ პასუხებს ვიღებდი.

ასეთ დროს მეჩვენებოდა, რომ ლიტერატურული პროცესი, რომელიც თავისთავად თანამედროვე ლიტერატურის შექმნას და მის არგუმენტირებულ კრიტიკასაც გულისხმობს, კიდევ დიდ ხანს არ დაიწყება.

და „საბა“ გადაეცემა...

გვ. 72

ალექს ჩიღვინაძე

რა დასამალია და, არსებობენ ადამიანები, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელი იქნებოდა ეს ქალაქი. ასეთი ადამიანია ზურა ქარუმიძე.

იახშიოლ! – ან უნდა წერო, ან უნდა მოკვდე...

მე არ ვიცი, რას ელოდება მკითხველი, როცა ხელში ამ ჟურნალს იღებს და ამა თუ იმ ადამიანის ისტორიის კითხვას იწყებს. ალბათ, მსუყე ტექსტს, რომელშიც მისთვის უცნობი, ან ნაცნობი ადამიანის მოხელთებას მოახერხებს – მისი ცხოვრების, ხასიათის, ყოველდღიურობის, საქმიანობის, გამოცდილების, მისწრაფებების, მიზნების შესახებ ისეთ დეტალებს შეიტყობს, რომელიც ამ ადამიანის გაცნობაში დაეხმარება. ეს იმას ჰგავს, აი, ქუჩაში ვინმეს რომ შეამჩნევ და რატომღაც დაგაინტერესებს, ფიქრობ მასზე და უცბად, ფიქრებში გართულნი, ერთმანეთს ეჯახებით და საუბარიც იწყება... თან ადამიანის ისტორიასაც ჰყვები, თან აღწერ, როგორ გიყვებოდა, სად შეგხვდა, როგორი სახის ნაკვთები აქვს, სად ისხედით, რასა სვამდით და როგორ გიამბობდა ამბებს თავისი ცხოვრებისას, რომლებსაც შენ შენსას დაუმატებ.

მამულიშვილები გოდოს მოლოდინში; ლინგვისტური ღრუბლიდან, როგორც მექანიკური ფორთოხლიდან გამოწურული ამბები; ქართლის დედა კონტრაბასით და ალგეთის ლეკვები ჩასაბერი ინსტრუმენტებით... აი, ასეთი რაღაცები მადგება ენაზე და ენას ხომ ძვალი არა აქვს. უძვლო ხორცი კიდევ უკეთესია.

შეუზღუდავი პასუხისმგებლობის
კორპორაცია „ზურა ქარუმიძე“

გვ. 48

BP - საქართველოს მხარდასაჭერად

ნიკოლოზ ოდაური
ცურვა

ვარლამ ლიპარტელიანი
ძიუდო

დავით მარსაგიშვილი
ოლიმპიადაზე ჭიდაობა

ზვიადი ომსარაშვილი
წოლვები

იაკო გორგოძე
წოლვები

ლუბა გოლოვინი
ბიატლონი ხელოვნური

ჩვენ გვეამაყება, რომ ხელს ვუწყობთ
საქართველოს სპორტსმენების
წარმატებას 2012 წლის ლონდონის
ოლიმპიურ და პარაოლიმპიურ თამაშებში.
BP. ჩვენი წვლილი ქვეყნის წარმატებაში

bp

ოფიციალური პარტნიორი

გვ. 86

გვ. 92

გვ. 96

გვ. 98

ზურა მჭედლიშვილი

ფერმწერი

ზურა მჭედლიშვილმა იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო კოლეჯი დაამთავრა ფერწერის მიმართულებით, თბილისის სამხატვრო აკადემია კი – დაზგური გრაფიკის. ახლა აკადემიის მაგისტრატურაში სწავლობს დაზგურ ფერწერას. სწავლის გაგრძელებას პოლონეთში, კრაკოვში ან ვარშავაში აპირებს, ფერწერის მიმართულებით. ამბობს, რომ სამხატვრო აკადემია, გადახდილ ქვითრებს თუ არ ჩავთვლით, ახალს ვეღარაფერს აძლევს.

დამთვალიერებლები ზურას ნამუშევრებს სიურრეალისტურ ჟანრს მიაკუთვნებენ, თუმცა, მისი აზრით, ეს მითოლოგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობაა. ზურა ამბობს, რომ თანამედროვე მხატვრობაში ნატურმორტის და გადახატვის ეპოქა დამთავრდა და დროა, არტისტებმა კითხვა დასვან – საერთოდ რატომ ხატავენ, რისი თქმა სურთ საზოგადოებისთვის, შემდეგ კი, ამ კითხვებზე გაზრებული პასუხები ნამუშევრებში ასახონ.

ზურას მხატვრობის ძირითადი თემა ქართული მითოლოგია, ზღაპრები და ეპოსია, თუმცა აქაც აქვს საყვარელი თემები: დაძაბული, ცოტა საშიში მეგრული ზღაპრები და მისტიკური ხევსურული მითები. ინსპირაციას სწორედ ამ ზღაპრებიდან იღებს – როგორც ამბებს და პერსონაჟებს, ისე – განწყობებს და ემოციებს.

უმეტესად ტილოზე, ზეთის საღებავითა და აკრილით მუშაობს. გარდა გრაფიკული ნამუშევრებისა, ზურა მუშაობს ტიპოგრაფიაში: აკეთებს ოფორტებს, ლინოგრავიურებს, ასევე მუშაობს ქსილოგრაფიასა და ლითოგრაფიაში. ამბობს, რომ იდეები ქაოტურად, დაუგეგმავად მოსდის, შემდეგ მათ ალაგებს; მასალას, ნამუშევრის ფორმას და ზომას არჩევს და იდეის განხორციელებას იწყებს.

მისი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი 160 გრაფიკული ილუსტრაციით დასურათებული „სიბრძნე სიცრუისაა“, რომელიც „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ ცოტა ხნის წინ გამოსცა. სულ მალე კი ილუსტრატორთა სახელოსნო „ვირგამის“ ხელმძღვანელის ოთარ ყარალაშვილის იდეით, ხორხე ლუის ბორხესის ნაწარმოებს – „წიგნი საოცარ არსებებზე“ – დაასურათებს. ეს წიგნის პირველი გამოცემა იქნება, ზურას დიდი სურვილი აქვს, რომ წიგნი ინგლისურ და ესპანურ ენებზე ითარგმნოს და უცხოელი მკითხველისთვისაც ხელმისაწვდომი გახდეს.

წიგნის ილუსტრირებით ზურა ახერხებს, ძირითად პროფესიაშიც დარჩეს და მატერიალური შემოსავლის მუდმივი წყაროც ჰქონდეს.

რაც შეეხება გამოფენებს, ძირითადად საზღვარგარეთ აქვს, ნამუშევრებს სხვადასხვა ბიენალეებსა და ტრიენალეებზე გზავნის, სადაც მისი ნამუშევრები იფინება, შემდეგ კი საერთაშორისო კატალოგებში ხვდება. ზურა რამდენიმე მნიშვნელოვან გამოფენას გამოარჩევს: PIPE'10 : Penang International Print Exhibition 2010 (მალაიზია), 14Th International Triennial of SMALL GRAPHIC FORMS, Poland (პოლონეთი), international graphic triennial Bitola 2012 R. MACEDONIA. the national institute and museum-bitola (მაკედონია), INTERNATIONAL PRINT BIENNIAL ·YUNNAN 2012 (ჩინეთი) და სხვ.

ზურას ნამუშევრების ნახვა ამ მისამართსა http://www.tiflisavenue.com/index.php?option=com_virtuemart&page=shop.browse&manufacturer_id=43&fb_source=message და მის პირად ფეისბუქ-გვერდზე შეგიძლიათ.

სილქნეტი
SILKNET

ახალი ინტერნეტ პაკეტები!

ახალი ფასები

5 MB
20 ლარი

10 MB
27 ლარი

16 MB
30 ლარი

40 MB
40 ლარი

100 MB
100 ლარი

კიდევ უფრო მეტი სიჩქარე – ნაკლები ფასი

Silk Internet

Find us on: facebook

2 100 100

www.silknet.com

ოპტიკური ტექნოლოგიები

„ცხელი შოკოლადის“ ქართული ფილმების კრებული

ბოჰემური და „ნეპისთვის“ არც ისე საშიში

ალექსანდრე წუწუნავას „ხანუმა“ – ახალი, ციფრული ვერსიით

ავტორი დავით ბუხრიკიძე

ავქსენტი ცაგარელის ყველაზე ცნობილი კომედიები – „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და „ხანუმა“ – შეიძლება ითქვას, რომ ქართული კულტურის გარკვეული არქეტიპებია. პირველი საფუძვლად დაედო მიხეილ ჭიაურელის ცნობილ ფილმს „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, ხოლო „ხანუმა“ – ალექსანდრე წუწუნავას ამავე სახელწოდების ფილმს, ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“, ვახტანგ ტაბლიაშვილის კინოშედევრს და 1960-იან წლებში რუსთაველის თეატრში დადგმულ რობერტ სტურუას სპექტაკლს.

„ხანუმა“ პირველი სრულმეტრაჟიანი ქართული კინოკომედიაა, რომელიც ალექსანდრე წუწუნავამ 1926 წელს გადაიღო. მიუხედავად გარკვეული კონიუნქტურისა (ეს არის „ნეპის“ პერიოდი, რომელიც ძველი კულტურის დაცინვას მისივე უტრირების ხარჯზე ახდენს), ფილმმა მაინც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული კინოსა და თეატრის განვითარებაში. ალექსანდრე წუწუნავა პირველი ქართული მხატვრული ფილმის, „ქრისტინეს“ ავტორიცაა. ამავე დროს, პირველი ქართული ოპერების – „აბესალომ და ეთერის“ და „დაისის“ დამდგმელი რეჟისორი, რომელმაც აკადემიური თეატრალური განათლება მოსკოვში მიიღო.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში წუწუნავა 1918 წელს მივიდა და ღამის გარდაცვალებამდე, 1955 წლამდე მუშობდა. მიუხედავად დიდი პოპულარობისა, წუწუნავას უამრავი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა. პერიოდულად აშკარად უპირისპირდებოდა საბჭოთა ცენზურას, რის გამოც რამდენიმე ფილმი და სპექტაკლი განუხორციელებელი დარჩა. თუმცა, კინოს ისტორიაში მას მაინც „ქრისტინეს“ რეჟისორად მოიხსენიებენ.

ცაგარელის სოციალურ კომედიას რეჟისორი უფრო ექსცენტრულ ხასიათს ანიჭებს. მაგალითად, ახლადგამოჩეკილი ვაჭართა კლასი (ადამი, რომელსაც ვალერიან გუნია ანსახიერებს) დაჟინებით ესწრაფვის არისტოკრატიასთან დამოყვრებას, რაც პირველ რიგში, სოციალურ მხარდაჭერასა და საზოგადოებრივ პრესტიჟს გულისხმობს. ქართველ თავადაზნაურობას არაფრის შეცვლა არ შეუძლია, „გააზნაურებული მდაბიოები“ – ვაჭრები კი – არისტოკრატიას სასაცილოდ ბაძავენ. ამაზე ადამის ჩაცმის სტილი და ბინის ინტერიერი მიანიშნებს. მაგალითად, თეთრი როიალი, რომლის თანხლებითაც პერსონაჟები ქალაქურ რომანსებს მღერიან.

„ხანუმაში“ გარკვეულწილად რეაბილიტირებულია მეცხრამეტე საუკუნის თბილისის ბოჰემური ცხოვრებაც: ორთაჭალის ბაღები, მაჭანკლები, კინტოები, სამიკიტნოები; ანუ „რეკვიზიტს“ საბჭოთა პერიოდის ინდუსტრიალიზმის ფონზე გვიჩვენებს. და ეს მაშინ, როცა თბილისის კოლორიტის გაქრობის საფრთხე რეალურად არსებობდა. სხვათა შორის, იმ პერიოდში ძველი ქალაქური კულტურა ბევრჯერ გახდა შარჟის, თავდასხმისა თუ სატირის ობიექტი.

ფილმში მთავარ როლებს ქართული კინოსა და თეატრის ცნობილი მსახიობები ასრულებენ. ხანუმას – ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ქაბატოს – ტასო აბაშიძე, ადამს – ვალერიან გუნია, დიტოს – მიხეილ ჭიაურელი, მიტოს – ვლადიმერ ტრაპაიძე, ადამის მოსამსახურეს – ცეცილია წუწუნავა. ამავე დროს, ფილმში დახვეწილი ინტერიერი და შესანიშნავი კოსტიუმებია... და მაინც, ვახტანგ ტაბლიაშვილის ვარსკვლავებით გადაჭედილმა შედევრმა, ყველა დროის საუკეთესო ქართულმა მუსიკალურმა ფილმმა, „ქეთო და კოტემ“, წუწუნავას „ხანუმა“ მაინც დაჩრდილა. ალბათ, ამიტომაცაა საინტერესო ამ ორი კინოვერსიის შედარება. მით უმეტეს, რომ „ცხელი შოკოლადის“ მკითხველი „ხანუმას“ განახლებულ, ციფრულ ვერსიას იხილავს.

აქცია

„სწრაფი ფულადი გზავნილი + საჩუქრები“

ბანკი კონსტანტა
BANK CONSTANTA

2 401 401
www.bankconstanta.ge

იაპონურ დასარტყამ ინსტრუმენტთა შოუ
თეატრი ტონგო, იაპონია

4 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ

ავტორი სალომე აფხაზიშვილი

თბილისის IV საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

14 სექტემბერი - 30 სექტემბერი

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი წელს უკვე მეოთხედ ჩატარდება. წინა ფესტივალების მსგავსად, წელსაც, თბილისის თეატრები, უცხოურთან ერთად, ქართული სპექტაკლების პროგრამას, თემატურ გამოფენებს, სემინარებსა და პრეზენტაციებს უმასპინძლებს.

საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში მაყურებელი სხვადსხვა ჟანრის თეატრალურ წარმოდგენას იხილავს: თანამედროვე და კლასიკური დრამა, ვიზუალური თეატრი და ვერბატიმი, უნიკალურ ტრადიციასა და მოძრაობაზე აგებული შოუ, ერთი მსახიობის თეატრი და სხვა ტრადიციული და არატრადიციული თეატრალური ფორმები. საქართველოს 14-მდე ქვეყნის თეატრალური დასი ეწვევა: პოლონეთი, რუსეთი, ჩინეთი, იაპონია, ბელარუსი, მოლდოვა, აზერბაიჯანი, საფრანგეთი, ლიტვა, დიდი ბრიტანეთი, მექსიკა, გერმანია, ისრაელი და შვედეთი. საერთაშორისო პროგრამა 19 სექტემბრიდან დაიწყება და 30 სექტემბრის ჩათვლით გაგრძელდება.

ქართული სპექტაკლების პროგრამას კი ის 30 სპექტაკლი შეადგენს, რომელიც თბილისისა და საქართველოს რეგიონების თეატრებში 2011-2012 წლებში უჩვენეს: „გაუმარჯოს ბუშონს“, „შეშლილი სამყარო“, „როგორც გენებოთ“, „სიზმრები სინანულისანი“, „მექანიკური ფორთოხალი“, „R+J“, ფსიქოზი 4.48“, „სტრიპტიზი“, „თავისუფლების შუაღამე“ და ა.შ.

მაყურებელს სპექტაკლების ნახვა თბილისის ყველა მოქმედ თეატრში შეეძლება: შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრი, ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრი, თავისუფალი თეატრი და სამეფო უბნის თეატრი.

სპეციალურად ფესტივალისთვის, დედაქალაქში თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის წევრები ჩამოვლენ, რომლებიც ქართული სპექტაკლების პროგრამას დაესწრებიან და პროფესიონალ კრიტიკოსთა მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმს ჩაატარებენ. სიმპოზიუმის თემა იქნება – „XXI საუკუნე – აღმოსავლეთ ევროპის თეატრი დროსთან და დროის წინააღმდეგ“. ასოციაციის წევრების გარდა, ფესტივალს უცხოელი ჟურნალისტები, კრიტიკოსები და პროდიუსერებიც დაესწრებიან.

სპექტაკლებზე დასწრების ღირებულება 15 ლარიდან 120 ლარამდე მერყეობს, სპეციალური აბონემენტების შეძენა კი მსურველებს 18 ივლისიდან კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში შეეძლებათ.

CAPAROL

ხის დაცვისა
და მოვლის სისტემები

ფესტივალის საერთაშორისო პროგრამა

ფრიდა სტრინდბერგი

მომენტ თეატრი, შვედეთი

როდის: 20.09

ღმერთების დაცემა

იანა კოჩანოვსკის სახელობის
თეატრი „ოპოლე“, პოლონეთი

როდის: 21.09

თანამედროვე ევროპული თეატრის ცნობილი რეჟისორი მაია კლეჩევსკა, ქართული თეატრის სცენაზე ფონ ესენბეკების ოჯახის ისტორიას გააცოცხლებს, რომელმაც, სპექტაკლში, ლუკინო ვისკონტის ფილმის სცენარი გამოიყენა და გვაჩვენა უფუნქციო ოჯახი, რომელიც დღესაც ძალიან მოდური და არცთუ ისე უცხოა თანამედროვე საზოგადოებისთვის. იქ, სადაც ტრაგედიის კლასიკური კონცეფციები გაუფასურდა. ღმერთების ხსენებას აზრი არ აქვს. ერთ-ერთი მთავარი კითხვა, რასაც სპექტაკლმა უნდა უპასუხოს, არის ის, თუ რა არის ღმერთზე უფრო მნიშვნელოვანი იმ სამყაროში, სადაც ღმერთი თავის მნიშვნელობას სულ უფრო სწრაფად კარგავს.

უბედური კაცი

თეატრი მერკური, დიდი ბრიტანეთი

როდის: 21.09

ქორწილი

იანკა კუპალას სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, ბელარუსი

როდის: 22.09

რეჟისორ ვლადიმერ პანკოვის ხმოვანი დრამა – „ქორწილი“ ხელოვნებისა და თანამედროვე შოუს სინთეზს წარმოადგენს, რომელშიც ცეკვა, მუსიკა და დრამა ჰარმონიულად არის შერწყმული.

პენთესილეა (პათოლოგია)

ვიდეო პერფორმანსი, გერმანია

როდის: 22.09

სახლი – მ

მოლდოვის თეატრი, მოლდოვა

როდის: 23.09

ქაოსური ოდისეა

თეატრი „იშ“, ისრაელი

როდის: 23.09

კუნფუს გამოცხადება – 9 გრაგნილი

„პოლი მენეჯმენტ ჯგუფი“, ჩინეთი

როდის: 24.09

ჩინური თეატრის მედიტაციური წარმოდგენა კუნფუსა და ბალეტის ელემენტების სრულყოფილ, ჰარმონიულ ნაზავს წარმოადგენს, რაც მთლიანად შეცვლის თქვენს წარმოდგენას ჩინური კუნფუს შესახებ.

უძრავი მოგზაურობები

კომპანია ფილიპ ჟანტი, საფრანგეთი

როდის: 25.09

უძრავი მოგზაურობები სიზმრების სამყაროში ფილიპ ჟანტის მოგზაურობების დროს ნანახ პეიზაჟებსა და შთაბეჭდილებებს ასახავს, რომელიც უნივერსალური სწორედ იმიტომ არის, რომ ამ წარმოდგენის ნახვისას აღელვებული და გაოცებული მაყურებელი მოგზაურობას საკუთარი ოცნებების სამყაროში იწყებს. სწორედ ამას გულისხმობენ კრიტიკოსები, როდესაც ამბობენ: „მოდი თვალდახუჭული, მაგრამ ფხიზელი გონებით, რათა ეზიარო ფილიპ ჟანტის ნამუშევარს...“

ზოგჯერ ბრძენიც შეცდება

ოლეგ ტაბაკოვის თეატრი-სტუდია, რუსეთი

როდის: 26.09

„ოლეგ ტაბაკოვის სამსახიობო რეჟისურით დადგმულ სპექტაკლებს შორის, ზოგჯერ, ბრძენიც შეცდება“ – კრიტიკოსების ეს შეფასება ტაბაკოვის სცენური ვერსიების შესახებ ყველაზე თამამ და თავისუფალ შეფასებად მიიჩნევა.

სევდიანი სიმღერები ევროპის გულიდან

„კომპანია კრისტიან სმედსი“, ნაციონალური დრამატული თეატრი, ლიტვა

როდის: 27.09

ევროპის სევდიანი სიმღერების ავტორი კრისტიან სმედსი თავის დრამაში თეოდორ დოსტოევსკის რომანს „დანაშაულს და სასჯელს“ იშველიებს; ევროპაში, ისევე როგორც, მთელ სამყაროში გაბატონებული უიმედობის, ძალადობის, სიღარიბისა და დანაშაულის ჩვენებას, ახალგაზრდა მეძავის, მისი ლოთი მამის, დედინაცვლის, რასკოლნიკოვის და სხვა გმირების საშუალებით ცდილობს.

კრისტიან სმედსის კომპანია საერთაშორისო თეატრალური ჯგუფის სახით 2007 წელს ჩამოყალიბდა, რომელიც ფინელი და ინტერნაციონალი არტისტების შემოქმედებითი თავშეყრის ადგილად იქცა.

შექსპირი

აზერბაიჯანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, აზერბაიჯანი

როდის: 27.09

იქნებ, იქნებ...

ჯამბაზის შოუ, მექსიკა

როდის: 27.08, 28.09

მოხუცი ცოლების ზღაპარი

ჯგუფი „მიკლატ“ 209, ისრაელი

როდის: 28.09, 29.09

თეატრალები ისრაელიდან მაყურებელს უცნაურ და ილუზორულ წარმოდგენას სთავაზობენ, სადაც მაყურებელი, ტექსტის პარალელურად, განსხვავებულ ადგილას აღმოჩნდება. რა არის ეს, კინოეკრანი თუ ფანტაზიათა სამყარო? ცნობიერების დუღილი თუ ცენტრალური ავტოსადგური? ან იქნებ საცხობი, სადაც მსახიობები ტკბილეულსა და შოკოლადს ამზადებენ? ამოუცნობი ადგილის „დაგემოვნება“ სპექტაკლზე მისულ მაყურებელს მოუწევს.

წამი გარდასახვამდე – ეს თავდაყირა სამყარო

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი, საქართველო

როდის: 29.09

დადადადან ტენკო

იაპონურ დასარტყამ ინსტრუმენტთა შოუ
თეატრი „ტონბო“, იაპონია

როდის: 30.09

საერთაშორისო ხელოვნების ფესტივალი ბათუმში

როდის: 6.09 – 9.09

სად: ბათუმის ბულვარი

საერთაშორისო ფესტივალი – „INTER ART BATUMI 2012“ ორი ქვეყნის ზღვისპირა ქალაქების – ბათუმისა და მარაბელას (ესპანეთი) შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუ-

ძველზე გაიმართება. ფესტივალი ქართველ და ევროპელ ხელოვანებს შემოქმედებისა და გამოცდილების გაზიარების საშულებას აძლევს. მასში მონაწილეობას მიიღებენ მხატვრები, მომღერლები, ფოტოგრაფები, ფოლკლორული ფლამენკოს ანსამბლი ქალაქ მარაბელადან და საერთაშორისო სიმღერის ფესტივალის – „REALITY STARI"-ის გამარჯვებულები.

ფესტივალის ფორმატის მიხედვით, სექტემბრის დასაწყისში, ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე მხატვრების, ფოტოგრაფების და სამხატვრო გალერიის წარმომადგენლებისთვის პავილიონები და სცენა განთავსდება. გამოფენა-გაყიდვასთან ერთად, ფესტივალის სტუმრებისთვის მასტერკლასებიც ჩატარდება, რომელთაც პროფესიონალი ქართველი და ევროპელი ხელოვანები უხელმძღვანელებენ.

საერთაშორისო ხელოვნების ფესტივალში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ, როგორც ინდივიდუალურ ხელოვანებს, ისე სამხატვრო გალერეებს.

ფესტივალის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ფესტივალის ოფიციალურ ვებგვერდს –

http://interartge.com/index.php/artists

ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალი

BIAF

როდის: 16.09-23.09

სად: ბათუმი, კინოთატრი „აპოლო", სასტუმრო „რედისონის" დარბაზი

თეატრის მოყვარულებთან ერთად, სექტემბერში საინტერესო დღეები კინოგურმანებსაც ელით. ბათუმი საავტორო კინოს მეშვიდე საერთაშორისო ფესტივალს მასპინძლობს. წელს კინოფესტივალზე ოცზე მეტი ქვეყნიდან ორმოცამდე სრულმეტრაჟიან მხატვრულ და დოკუმენტურ და ამდენივე მოკლემეტრაჟიან ფილმს წარმოადგენენ. საავტორო კინოს ფესტივალზე რეჟისორები მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნიდან ჩამოვლენ. მათ შორის იქნება სერგეი ლოზნიცა გერმანიიდან, შონ მაკალისტერი დიდ ბრიტანეთიდან, ევა ნეიმანი (უკრაინა/გერმანია), ვასილ სიგარევი რუსეთიდან, გიორგ პალფი უნგრეთიდან, ჯერზი ჰოფმანი და აგნეშკა ჰოლანდი პოლონეთიდან და ა.შ.

საკონკურსო პროგრამის გარდა, „ოსტატების კოლექციაში" ცნობილი კინორეჟისორების იმ ბოლო ნამუშევრებს წარმოადგენენ, რომლებიც 2012 წლის კანისა და ბერლინალეს კინოფესტივალებზე უჩვენეს.

ფილმების ჩვენებასთან ერთად, ბიაფის ფარგლებში თემატური შეხვედრები, მასტერკლასები და უორქშოპებიც ჩატარდება. კინოცენტრის ხელშეწყობით, წელს უკვე მეორედ, „ინდუსტრიული შეხვდრების" სექცია მოეწყობა, რომლის ფარგლებშიც თურქული, პოლონური და ქართული კინოინდუსტრიის წარმომადგენლები ერთმანეთს შეხვდებიან და მათ ქვეყნებსა და რეგიონში კოპროდუქციის განვითარების გზებზე იმსჯელებენ.

უორქშოპებიდან აღსანიშნავია, ბრიტანული ორგანიზაციის – Postdoc Films-ის უორქშოპი, რომელიც ექვს დღეს გაგრძელდება და დოკუმენტური კინოთი დაინტერესებულ ადამიანებს, მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმების გადაღების საშუალებას მისცემს. ცნობილი კინორეჟისორების რეკომენდაციებით, უორქშოპის მონაწილეები ფილმს სტერეოტიპების გამოწვევების („Challenging stereotypes") თემაზე გადაიღებენ.

მეშვიდე საავტორო კინოფესტივალის საბოლოო პროგრამა აგვისტოს ბოლოს გახდება ცნობილი. ინფორმაციის მოძიება კინოფესტივალის ოფიციალურ ბლოგზე და ფეისბუქის გვერდზე შეგეძლებათ – http://biaffbatumi.wordpress.com

პირველი ქართული კინოკომედია „ქართული ფილმების კრებულში"

დისკის პრეზენტაცია და კინოჩვენება

როდის: 31.07

სად: „ვიტამინი", „არტმუზას" ეზო (კუს ტბის გზა, N1)

დასაწყისი: 21:00

ჟურნალი „ცხელი შოკოლადი", „ქართულ ფილმთან" ერთად, საზოგადოებას პირველ ქართულ სრულმეტრაჟიან კინოკომედიას – „ხანუმას" წარუდგენს. ფილმის რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავაა – პირველი ქართული მხატვრული ფილმის „ქრისტინეს" რეჟისორი, რომლითაც გაიხსნა პროექტი „ქართული ფილმების კრებული". „ხანუმას" სცენარი ამავე სახელწოდების ცნობილი პიესის მიხედვით ავქსენტი ცაგარელმა შექმნა. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველ ქართულ კინოკომედიაში გამოყენებულია ოპერა „ქეთო და კოტეს" ლიბრეტო. ფილმი 1926 წელს არის გადაღებული და მასში მონაწილეობენ ქართული თეატრისა და კინოს ისეთი ცნობილი ვარსკვლავები, როგორებიც არინ: ელისაბედ ჩერქეზიშვილი, მიხეილ ჭიაურელი, ვალერიან გუნია, ტასო აბაშიძე და სხვები.

პროექტი „ქართული ფილმების კრებული" გენერალური სპონსორის – „თიბისი ბანკისა" და წარმომდგენი კომპანიების – „ბანკი კონსტანტას", „ავერსისა" და „კაპაროლ ჯორჯიას" მხარდაჭერით უკვე მეოთხე თვეა, ხორციელდება. პროექტის მიზანი ძველი ქართული ფილმების განადგურებისგან დაცვაა, რაც ფილმების ციფრულ ფორმატში გადაყვანით ხორციელდება. ჟურნალი „ცხელი შოკოლადისა" და „ქართული ფილმის" ერთობლივი პროექტი საზოგადოებას ქართული კინემატოგრაფიული შედევრების გაცნობის უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს.

პროექტის ფარგლებში უკვე სამი ფილმი გაციფრულდა: ალექსანდრე წუწუნავას „ქრისტინე", ივანე პერესტიანის „არსენა ჯორჯიაშვილი" და კოტე მარჯანიშვილის „გოგი რატიანი".

კინოკრებულის რიგით მეოთხე ფილმს მაყურებელი ჟურნალი „ცხელი შოკოლადის" ახალ, 82-ე ნომერთან ერთად, ივლისის ბოლოს, ღია ცის ქვეშ გამართულ ღონისძიებაზე მიიღებს.

ახალი ლისი ახალი სტატუსით

შვებულებამდე ჯერ კიდევ შორია, ამიტომ რამდენიმე შაბათ-კვირაა, თბილისის ახლომახლო დასასვენებელი ადგილის ძებნაზე ფიქრით ვიღლები. კიდევ ერთი ექსპერიმენტი ამჯერად ლისის ტბა და მისი განახლებული სარეკრეაციო ზონაა.

დილით ადრე ადგომის სტიმულს წინა დღეს ჩემი მეგობრის ნათქვამი მაძლევს: „იცი რამდენი რამე გააკეთეს? ძალიან კომფორტული პლაჟია, ახალი შეზლონგებითა და ღია კაფეთი!“- ლანას ეტყობა, რომ იქაურობა უკვე ძალიან მოსწონს. „უკვე მოასწრეს? ერთი თვის წინ ყველაფერი ძველებურად იყო“,- ვეკითხები საკუთარ თავს...

პირველ შთაბეჭდილებას ლისზე ასვლისთანავე ვიღებ. ეს ტბასთან მისასვლელი ახალი გზის დამსახურებაა. ლანას პირდაპირ სილურჯისკენ მივყავარ: „აი, ესაა ახალი სტატუს ლაუნჯი! ხომ მოგწონს?“,- კმაყოფილი მეკითხება და შეზლონგის დასაქირავებლად მიდის, მეც მივყვები... აბა, ასეთი მზის გაცდენა იქნება? ჯერ გარუჯვა, აქაურობის „ათვისებას“ დღეს მაინც მოვასწრებთ.

შეზლონგს ქოლგა მოჰყვება... „ყველაფერი იტალიიდან ჩამოვიტანეთ“,- ამაყად მიყვება მომსახურე პერსონალი. ცოტა გაოცებული ვარ და ეს გაოცება კიდევ უფრო მემატება, როცა პლაჟის გვერდით კომფორტულ საშხაპეებსა და გასახდელებს ვხედავ. ამას ნამდვილად არ ველოდი, მიუხედავად იმისა, რომ ლისის ტბის განახლებული სარეკრეაციო ზონის მოწყობაზე აქამდეც მსმენია და დამიწერია კიდეც.

ლანა კანადური ნავებით და წყლის ველოსიპედებით იხიბლება. „აფრიანით ან მარტო ნიჩბიანი ნავით გავისეირნოთ, თუ წყლის ველოსიპედი ხომ არ გირჩევნია?“- მეკითხება, მაგრამ როცა პასუხად ჩემს შეშინებულ სახეს აწყდება, დამშვიდებას ცდილობს: „ნუ გეშინია, ჟილეტის გარეშე მაინც არ დაგსვამენ, თანაც მაშველებიც აგერ არიან, ამათ ძრავიანი ნავი აქვთ, დახრჩობას ვერ მოასწრებ“,- იცინის, მაგრამ მაინც ვერ მიყოლიებს, ამიტომ გასეირნებაც მარტო უწევს.

მე წყლის ბურთის ატრაქციონის ყურებას ვიწყებ - გართობის ეს სახეობა განსაკუთრებით ბავშვებს მოსწონთ: შეიკეტებიან უზარმაზარ ბურთებში და წყალზე დაგორავენ..

ლანას დაბრუნებამდე სანაოსნო პუნქტის პერსონალთან საუბრით ვიქცევ თავს. ლისზე ძრავის ადგილი არ არის, აქაური ჯანსაღი გარემო და სუფთა ჰაერი არაფერმა არ უნდა დაარღვიოს, თურმე ამიტომაც არის მხოლოდ ნიჩბიანი ნავები. მიყვებიან, რომ ძველი პლაჟიც „გაჯანსაღდა“, გასუფთავდა და რეგულარულადაც ლაგდება, უკვე ურნებიც დგას და სკამებიც. თანაც, ახალი განათება დამონტაჟდა, უსაფრთხოების სამსახური მთლიან ტერიტორიას იცავს.

„ველოსიპედები სად არის?“ - ვკითხულობ მე. მახსოვს, ლისის ტბის კონცეფციის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი სწორედ ველოსიპედია. „აქვეა, თავის ჩაფხუტით ქირავდება. ჯერჯერობით მარტო 5 ამერიკული ველოსიპედია, მაგრამ მომავალი წლიდან უფრო მეტი გვექნება. აქ ხომ მთლიანი ტბის გარშემო წრიული გზა კეთდება, ფეხით სავალიც იქნება და ველოსიპედის ბილიკებიც, ამიტომ მოთხოვნაც უფრო გაიზრდება“,-მპასუხობს „ველოსიპედური ცხოვრების“ ჩემნაირი გულშემატკივარი.

მომავალ წელს ლისზე ახალი პარკინგი, თერმული აბანო და სპორტული მოედნებიც უნდა იყოს. აქ პლაჟის ფრენბურთის მოყვარულებიც ისიამოვნებენ და თევზაობისაც: ლისზე ტრადიციულად უამრავი თევზია, ამიტომ მეთევზეების ერთ-ერთი საყვარელ ადგილას, მათთვის სპეციალური კლუბიც მოეწყობა.

ამ დროს ლანაც მოდის: „იცი, რა სუფთა წყალია, აქ თურმე ბანაობაც შეიძლება“, - მეუბნება კმაყოფილი და გაგრილებული.

შუადღის მზეს თავს ლურჯ კაფეში ვაფარებთ. პლაჟის გარდა სტატუს ლაუნჯი ღია კაფესაც აერთიანებს: საქანელა სკამები და ხის მაგიდები აქაურობას მართლაც უხდება, გამწვანება კი განსაკუთრებულ სიმყუდროვეს ქმნის. როგორც გვითხრეს, მალე კაფეში პუფები და ჰამაკებიც იქნება, რაც ალბათ ლაუნჯის მარტივ, მაგრამ ხარისხიან კონცეფციას დამატებით ხიბლს შესძენს.

კაფეში მსუბუქი მენიუა: წასახემსებლებით, გამაგრილებელი სასმელებით, ლუდით, ნაყინითა და სხვა სასუსნავით. თუმცა არა: მოჰიტოც არის და ლურჯი ფერის სპეციალური შემადგენლობის საფირმო სტატუს კოქტეილიც. კოქტეილი საღამოს განსაკუთრებით სასიამოვნო იქნებოდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, უარს არც ახლა ვამბობთ. „ახლაც დალიეთ და საღამოსაც გამოიარეთ, ბოლო სტუმრამდე აქ ვართ“,- გვიღიმის ბარმენი.

„გამოვივლით, აუცილებლად გამოვივლით“, - ახალი ლისის ახალი სტატუსით აშკარად ძალიან მოხიბლულები ვართ...

ავტორი ნინო ბერძენიშვილი

LISI DEVELOPMENT
LISI LAKE
TBC STATUS
Personal Banking

გზაზე

ავტორი თამარ კვინიკაძე

რესტორანი „იმერეთი 2011“. ზესტაფონი. სოფელი ძირულა.

ყველაზე გრძელი გზა, რომელსაც თბილისიდან შეიძლება დაადგე საქართველოს სხვა კუთხისკენ, რომელია? ყველაზე გრძელი არ ვიცი და ყველაზე გაცვეთილი დასავლეთისკენ მიმავალი გზატკეცილია. აი, გზაგამყოფ ხაშურსაც რომ გასცდები და ჯერ კიდევ ქუთაისიდან არგასული მთელი არსებით იგრძნობ ზღვიდან მობერილი მლაშე ნიავის გემოს. თუმცა, ვიდრე შავი ზღვის გემოს შეგრძნება გახდებოდეს ცხადი, დასავლეთის გზა ათჯერ მაინც იცვლის გეოგრაფიულ-გასტრონომიულ სუნებს. ბევრ ათეულ კილომეტრზე გადაჭიმულმა ავტობანმა ამ სუნების სიმძაფრე ჯერ შეარბილა – ყნოსვა ვეღარ აღიქვამს გზის განაპირას დარჩენილი ნედლი მიწისა და სახნავ-სათესების რბილ და ყველაზე ცინცხალ არომატებს; შემდეგ კი გადაასხვაფერა კიდეც – გასცდები თუ არა გორს და ამტვერებული აღმართის შემდეგ აივაკებ, წინ თანამედროვე საგზაო ინფრასტრუქტურის განუყოფელი კომპონენტი დაგხვდება – ბენზინგასამართი სადგური, კაფე და საპირფარეშო, შერეული სუპერმარკეტი (სადაც ტაფები და გრილებიც კი იყიდება) და სუვენირებისა და ხილის ღია ბაზრობა. ეს ადგილი დასავლეთისკენ მიმავალი გზის მთავარი ტრანსფორმაციაა. ტრანსფორმაციაა გზაზე ჭამის ქართულ-ხალხური ტრადიციისთვისაც. აქ შეგიძლია, გაზიანი ლიმონათით კი არ აიბუყბუყო მუცელი და მძიმე-მძიმე მწვადები კი არ „ჩაიფინო“, არამედ სუპერმარკეტის კონდიცირებული დარბაზის ერთ კუთხეში, ბარის მაღალ სკამზე გრილად მოკალათდე, აპარატის კარგი ყავით გამოიფხიზლო თავი და ევროპულად მიაყოლო დალოცვილ ცხელ სითხეს კრუასან-სენდვიჩები. მაგრამ საქართველოს დასავლეთის გზაზე, ამ ფართო გაგებით დასავლურ განწყობას მაინც აკლია პატარ-პატარა ნიუანსები სრული ბედნიერებისთვის. მაგალითად, ნაზი სალათითა და ხილის ახლად დაწურული წვენით ხომ კიდევ უფრო მსუბუქი გახდებოდა ქართული გზების „ზაკუსკეულის“ თანამედროვე ალტერნატივა.

თუმცა ეს პატარა კომპლექსიც კი მხოლოდ ფრაგმენტული გაელვებაა დასავლეთისკენ მიმავალ გზაზე. თითქოს მზერით კინოს იღებდე, ისე კინოკადრებივით ცვლის გაქროლებული მანქანიდან ერთმანეთს 90-იანებისგან დაღდასმული, ბეტონის მიტოვებული კონსტრუქციები და გვირაბს იქით – უკვე ოფიციალური „სანაზუქე მიწა“.

რაც უფრო მეტად შედის იმერეთი ძალაში, ძალაუნებურად, ასოციაციურად, მით უფრო მეტად მოგდის ნიორთან ერთად ქვასანაყში ჩაჭყლეტილი ზეთგაწურული ნიგვზისა და სასიამოვნოდ მჟავე ჯონჯოლის სუნი. წარმოსახვას კიდევ უფრო აღაგზნებს ლინგვისტურ-კუთხური მარგალიტებიც: „სასაუზმე ბაჭატია“, „სასაუზმე მალხაზია“... გორთან მირთმეული ყავისა და ფუნთუშის მოქმედება ზუსტად ამ სასაუზმეების სიახლოვეს გაგვდის. სპეციალურად ისეთ რესტორანს ვარჩევთ, რომელიც არავის უქია ჩვენთვის. ასე, სრულიად ბრმად ვაჩერებთ მანქანას სოფელ ძირულაში, ხის იმერული ღობით შემოსაზღვრულ პატარა რესტორანთან. სახლის უკანა მხარეს, ფანჯრის რაფაზე გაპუტტულ-გასუფთავებული ქათმები გამოუწყვიათ. წინა მხარეს – ღია კარიდან ჩაბნელებული დარბაზი მოჩანს, „კლიონკა “გადაფარებული მაგიდებით, „კოკა-კოლა“-“ფანტებით“ გამოტენილი დახლ-მაცივრითა და მის უკან მდგარი გამხდარი, ულვაშიანი დახლიდარით. აივანზე ვსხდებით, შინდისფერქსოვილგადაფარებულ მომცრო მაგიდასთან და ამირანი მოდის – გამხდარი, ტანდაბალი მიმტანი, თეთრი პერანგით, იმერულად მარდი და თავმდაბალი – მორცხვად გვიღიმის და ჩუმი ხმით, კუთხურად უქცევს, „უფ, ეკალაა? ეკალა გვაქვს დიდებული. მაგას კიდევ რა უნდაა? ტყემალი უხდება, მჭადი და ყველი. მერე კიდევ ხაჭაპური მიატანეთ, მწვადებზე გადადით, – ღიმილს აძლიერებს და ტონს უწევს ამირანი.

აი, ასე უბრალოდ, ასე შინაურულად, ასე მშვიდად, ასე გემრიელად და ასე იაფად დიდი ხანია, არსად მიჭამია. ეკალა მართლა დიდებულია – ნაზი-ნაზი, ზომიერად შენიგვზულ-შესუნელებული, ზედ მიყოლებული ქაღალდის სისქის მჭადი და ლამის ორი თითის დადებაზე – მსხვილად დაჭრილი იმერული ყველი. და ხაჭაპური – თხელი-თხელი, რბილი-რბილი ცომით, ყველით დაუნანებლად გამოტენილი. ამ იმერულ მსუბუქ წახემსებას ლიმონათების გაზიანობაც კი ვერ უგდებს ხიბლს.

ეტყობა, მარტო ჩვენ არ მოგვეწონა აქაურობა. გამოსვლისას 5-6 მოტოციკლეტის კოლონა ჩერდება რესტორანთან. ნომრებზე ეტყობათ – პოლონელები არიან. დამტვრეული რუსულით უკვეთავენ ხაჭაპურებს და „ოსტრის“ და გაჰყურებენ კოპწია იმერულ მთებს.

არ ვიცი, უფრო ზუსტად, როგორ აგიხსნათ იქაურობა, მაგრამ აუცილებლად უნდა წახვიდეთ. ღირს. აქ ყველაფერი კოლორიტული და 90-იანურად, ძველებურად „ველურია“ – ეზოში ჩადგმული ხელსაბანის, უცხოენების არმცოდნე, თავაზიანი იმერელი მიმტანებისა და ძალიან გლეხური და ამით მომხიბვლელი მენიუთი.

ბათუმი პლაზას ოლიპიური საცურაო აუზი
და ფიტნეს–კლუბი გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას

- ოლიმპიური სტანდარტების საცურაო აუზი მოძრავი სახურავით;
- ფიტნეს კლუბი აღჭურვილი უახლესი ტექნოლოგიური მოწყობილობებით;
- ფინური საუნა და ჯაკუზები
- კაფე–ბარი
- გასარუჯი ტერასა ბათუმის საუკეთესო ხედებით;

ბათუმი პლაზას საცურაო აუზი და ფიტნეს–კლუბი ზაფხულის სეზონზე ბათუმში ჩამოსულ სტუმრებს სპეციალურ ფასდაკლებას სთავაზობს.

ქ. ბათუმი ჭავჭავაძის ქუჩა №5, მე–6 სართული
ტელ: +995 422 294401, 294402, 294407
E-mail: info@batumiplaza.ge
www.batumiplaza.ge

Batumi Plaza
ბათუმი პლაზა

ფერადი ფეხბურთი შავ-თეთრ ტელევიზორში

გაგა ნახუცრიშვილი

სულ ორი თამაში ვნახე იმ იტალიის, 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. მეტი არც გადმოუციათ. საბჭოთა კავშირის ნაკრები ვერ მოხვდა და ამიტომ ნახევარფინალებიდან გვაჩვენეს. ასეთი უცნაური და მავნე ჩვევა ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლებას. თუ ჩაშხამდებოდათ, სხვისთვისაც უნდა ჩაეშხამებინათ. თუმცა ეს სხვა ამბავია. მე კი ძველ ფეხბურთზე მინდა გიამბოთ.

პატარა ვიყავი. 7 წლის ვხდებოდი. ჰოდა, იმ იტალიის ფერად თამაშებს, შავ-თეთრ ტელევიზორში ვუცქერდი. ორივე თამაში წააგეს. ჰოლანდიასთან ნახევარფინალი და ბრაზილიასთან, მესამე ადგილისთვის. თუმცა, მომაჯადოვა ამ გუნდის ფეხბურთმა. მართლაც ფერადად, სხვანაირად, ყველასგან გამორჩეულად თამაშობდნენ. ბავშვებმა კი ამოჩემება იციან. მეც იტალიის ნაკრები ამოვიჩემე. დამარცხებული, მაგრამ გამორჩეული.

განსაკუთრებით კაუზიო დამამახსოვრდა. განსაკუთრებულ რამეებს სჩადიოდა. კიდევ უფრო სხვანაირად დამანახა ფეხბურთი. თავისებური მუხტი მოჰქონდა. წლების განმავლობაში ვისი თამაში არ ვნახე, დიდი ფეხბურთელების, გენიოსების... მაგრამ მაინც დიდი სითბოთი და რაღაცნაირი, ამოუხსნელი მადლიერებით ვიხსენებ ამ კაცის თამაშს. ის ხომ თავისი ფეხბურთით, შავ-თეთრ ტელევიზორს მიფერადებდა. თანაც ულვაშით დათო ყიფიანს ჰგავდა. ეს კი პატარა ამბავი სულაც არ იყო.

...

მერე პანტიანი. 80-იანების დასაწყისი. ჩემი შავ-თეთრი, წითელი „Юность“ და იუვე, შავ-თეთრი ფორმით, – ჩემი ამოჩემებული საკლუბო გუნდი, რომელიც დინამოს შემდეგ, ყველაზე მეტად მიყვარს. პანტიანს

თამაში მომენატრა! ძველი, ალალი, ფერადი! თუნდაც შავ-თეთრი, დამტვერილ ეკრანზე დანახული. მგონია, რომ სამყარო ვერ იქნება მუდამ ასეთი მატერიალური. მხოლოდ ფულზე, გამორჩენაზე მიბმული. ეს სიმახინჯეც მოგვჭამს ჭირს, როგორც ბევრი სხვა ბითური იდეა და ჩვენს თამაშსაც აუცილებლად დავიბრუნებთ.

სხვა ხიბლი ჰქონდა და იმ ძველი, იტალიური ფილმისა არ იყოს, მართლაცდა – როგორ გვიყვარდა ჩვენ ერთმანეთი! ღია ცის ქვეშ, დიდ მწვანე ველზე შეკრებილ ადამიანებს, ფეხბურთი პატარა ოაზისს გვჩუქნიდა, სადაც შეგვეძლო, იმ დამყაყებულ დროს, ერთად ვყოფილიყავით. და ირგვლივ ყველაფერი ნამდვილი ყოფილიყო და არა სიყალბით ნაძერწი. ნამდვილად გვეურთიერთა, განგვეცადა, გვტკენოდა, გაგვხარებოდა. ამ ყველაფერს ის ძველი ფეხბურთი გვჩუქნიდა, რომელიც არ იყო მხოლოდ ფეხბურთი.

...

რეტროგრადი არ ვარ. ისე, ვინ მოიგონა ეს იდიოტური სიტყვა. ფეხბურთში, ბავშვების საყვარელ თამაშში, ძალიან კარგად აისახება ჩვენი ცხოვრება. ჰოდა, ნაღდი ფეხბურთი მომენატრა. ხმაურიანი ტრანსფერების, გაბღენძილი, „გაკეთებული“ ვარსკვლავების, შებერტყილი ფუნქციონერების, გაზულუქებული მფლობელების, ფსონებისა და ტოტალიზატორების გარეშე. ახლა მუშაობენ, ბიზნესს ჩარხავენ, პოლიტიკანობენ, მაგრამ აღარ თამაშობენ. მე კი თამაში მომენატრა! ძველი, ალალი, ფერადი! თუნდაც შავ-თეთრი, დამტვერილ ეკრანზე დანახული. მგონია, რომ სამყარო ვერ იქნება მუდამ ასეთი მატერიალური. მხოლოდ ფულზე, გამორჩენაზე მიბმული. ეს სიმახინჯეც მოგვჭამს ჭირს, როგორც ბევრი სხვა ბითური იდეა და ჩვენს თამაშსაც აუცილებლად დავიბრუნებთ.

და მაშინ, „კაუზიოც“ დაბრუნდება.

ავერსი
AVERSI
გვიმოყვეთ
ზვიგოლოში
"ვჭვეულთან" ერთად!
AHAVA
AHAVA
AHAVA
SPF 50
mineral suncare
მკვდარი ზღვის სახისა და სხეულის
მზისგან დამცავი საშუალებები
- მთელი ოჯახისათვის
ავერსი გისურვებთ ჯანმრთელობას და მარადიულ სილამაზეს!
დავით ალმასიანების 148/2
2-967 227
WWW.AVERSI.GE

წიგნი

დათო ტურაშვილი

წიგნებთან დაკავშირებით, არჩილ გელოვანზე კომპეტენტური, არათუ საქართველოსა და რუსეთში, მთელ მსოფლიოშიც კი არავინ მეგულება, რადგან არსად, მსოფლიოს არცერთ ციხეში, არასოდეს მჯდარა არცერთი პატიმარი წიგნების შეძენის ბრალდებით. თუმცა ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ საქართველოს გარდა, იქნებ სხვაგანაც მოხდა (რბილად რომ ვთქვათ), ასეთი უცნაური ამბავი და ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ასეც რომ იყოს, აჩიკო გელოვანის ზეკომპეტენტურობას, ეჭქვეშ მაინც ვერ დავაყენებ.

რუსეთი კი იმიტომ ვახსენე, რომ ეს ამბავი (რომელიც სწორედ ბატონმა არჩილმა მომიყვა), სწორედ რუსეთში მოხდა, თუმცა, კი არ მოხდა, არამედ ხდებოდა ხოლმე მანამ, სანამ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა.

თურმე ყველა რესპუბლიკიდან, ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვან რუსულ წიგნებს (ადგილობრივი ბუკინისტები), ბოლოს მაინც მოსკოვში აგზავნიდნენ, ვინაიდან ძველი წიგნების მთავარი მყიდველები მოსკოვში ცხოვრობდნენ.

მოსკოველ ბუკინისტებს კი, ყველაზე მეტად, თურმე თბილისელი კოლეგებისაგან მიღებული წიგნები ახარებდათ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათი უმრავლესობა (როგორც წესი), ხელუხლებელი იყო და ამიტომაც უფრო ძვირად ჰყიდდნენ ხოლმე.

ვყოფილვარ რადიკალურად განსხვავებულ უბნებში, მაგრამ მინახავს ერთნაირად ხელუხლებელი წიგნების თაროები, რომლებსაც მხოლოდ ერთი, დეკორატიული დანიშნულება ჰქონდათ და ოჯახის დიასახლისებსაც მხოლოდ მათი **მტვრისაგან გადაწმენდა ევალებოდათ.**

ეს გადაუფურცლავი და ხელუხლებელი წიგნები კი (თბილისის კეთილმოწყობილ სახლებში), ალბათ ჩემსავით ახსოვს ნებისმიერს, ვისაც ახსოვს მოვლენა, რომელსაც „ჩანგალზე ასვლა“ ერქვა. საბჭოთა პერიოდის თბილისში, ნებისმიერ, დაბადების დღეზე დაპატიჟებულ სტუდენტსა თუ სკოლის მოსწავლეს, შეეძლო რამდენიმე მეგობარიც კი წაეყვანა მათთვის სრულიად უცნობ ოჯახში და სწორედ ამ უჩვეულო ტრადიციის წყალობით, უამრავ თბილისურ ოჯახში ვარ ნამყოფი. ვყოფილვარ რადიკალურად განსხვავებულ უბნებში, მაგრამ მინახავს ერთნაირად ხელუხლებელი წიგნების თაროები, რომლებსაც მხოლოდ ერთი, დეკორატიული დანიშნულება ჰქონდათ და ოჯახის დიასახლისებსაც მხოლოდ მათი მტვრისაგან გადაწმენდა ევალებოდათ.

იმ ქვეყნის დაპყრობაც, სადაც ყველაზე მეტი გადაუშლელი წიგნია, ალბათ ყველაზე ადვილია...

კონტრაქტუბექსი®

ნაწიბურის წარმატებული მკურნალობა

კონტრაქტუბექსი® იძლევა განსხვავებას

MERZ დეფარმი

www.contractubex.com

ABC PHARMACIA

www.abc-pharm.com

უფრო ბედნიერები

მაია სარიშვილი

თუ ღამით ვზივარ თვითმფრინავში, ნაკლებად მეშინია. მეჩვენება, რომ სიბნელე მყარია და თვითმფრინავიც უმწეოდ კი არაა გამოკიდული ამ უსასრულო სივრცეში, სიბნელეზე დგას და ისე მისრიალებს. ლონდონში კი გამთენიისას გავფრინდი. გვერდით ახალგაზრდა კაცი მეჯდა უშველებელი წიგნით ხელში. შემატყო, რომ მეშინოდა და გამომელაპარაკა. მერე ჩაეძინა და ისე ჩავფრინდით, ეს წიგნი არც გადაუშლია. ბელგიელი აღმოჩნდა, კომპიუტერების შემკეთებელი. ვინ ხარო – მეკითხება. მასწავლებელი – ვპასუხობ. ლონდონში რატომ მიდიხარო? პოეტურ ფესტივალზე დამპატიჟეს-მეთქი. მასწავლებელს რა უნდა პოეტურ ფესტივალზეო – ეღიმება. ლექსებსაც ვწერ – ვეუბნები... რატომღაც ვერასდროს ვამბობ, რომ პოეტი ვარ და ამას ვერ ავხსნი.

იგივე დიალოგი ლონდონის აეროპორტშიც შედგა, როცა პასპორტს და საბუთებს მიმოწმებდნენ. ვინ ბრძანდებით? – შავკანიანი ლამაზი ქალი, მკაცრი სახით. მასწავლებელი – დაუფიქრებლად ვპასუხობ. „აქ გიწერიათ, რომ პოეტურ ფესტივალზე მიბრძანდებით. რა უნდა მასწავლებელს პოეტურ ფასტივალზე? – ეჭვით მიყურებს – და რას ასწავლით?“ „ქართულს“ – უკვე დავიღალე. „საქართველოში?“ – გაბრაზდასავით. მე დავიბენი, ამან უფრო დააეჭვა და რაღაც ოთახში გამიყვანეს მულატ და სვირინგებიან ნასვამ გოგონასთან ერთად. აბა რა იქნებოდა? მასწავლებელი ვარ, მაგრამ პოეტურ ფესტივალზე დამპატიჟეს და საქართველოში ქართულს ვასწავლი ქართველ ბავშვებს-მეთქი. არ შემშინებია არაფრის. ოღონდ ცაში არ ვიყო და დედამიწაზე არაფერი მადარდებს, თუნდაც ექვსივე დღე აქ ვიჯდები... მოკლედ, მალევე გაარკვიეს, რომ სანდო ადამიანი ვიყავი, საელჩოს თანამშრომელმა სასტუმროს კარამდე მიმაცილა და დავრჩი სრულიად მარტო ამ უცხო ქალაქის უცხო შენობაში. ეს არ იყო კარგი. რომ მეგონა, ოღონდ მიწაზე ვიდგე და აღარაფრის შემეშინდება-მეთქი, მაინც შემეშინდა და შემდეგი დღეებიც დაძაბული ვიყავი, თუმცა, თანდათან უფრო ნაკლებად. „რატომ დადიხარ სულ მარტო? – ეთიოპიელი პოეტია – ყველას უღიმი, მაგრამ არავის დაუმეგობრდი.“ ვეუბნები, რომ არ მინდოდა აქ წამოსვლა, რადგან არ მიყვარს უცხო ქალაქები და ხალხმრავლობა და არც ლექსების კითხვა და კიდევ ათასი სიგიჟე მჭირს... იქვე დგას ანა სალბი, ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი. „თქვენ ძალიან შთამბეჭდავი გამოსვლა გქონდათ, ჩვენ ვიტირეთ!“ – მეუბნება იგი. ეს ანა სალბი თითქმის ყველა პოეტის მოსმენის მერე ტიროდა. ულამაზესი, თბილი გოგო...

მე კი სახლში მინდა, ჩემს საწოლზე, რომელიც ღია მწვანე და გრძლად ამოტეხილ კედელთანაა მიდგმული. ეტლი ერტყმებოდა, როცა ბავშვებს ვაძინებდი და ყოველი ბავშვის მერე, თანდათან ჩაღრმავდა. ხოდა, ახლავე მინდა ამ ლოგინზე მიწოლა და ამ გრძელ ღრმულში თითების ჩაწყობა. მაგრამ ამას უკვე აღარ ვეუბნები ამათ. ისედაც საკმარისზე მეტად გულახდილი ვიყავი... ვცდილობ, სიხარული ხელოვნურად გამოვიწვიო. ნახე, რამდენი საოცრებაა შენს ირგვლივ – ვეუბნები ჩემს თავს – გიხაროდეს, რა... ცოტათი გამომდის...

აი, თბილისის აეროპორტში უკვე აღარავინ მეკითხება პოეტი ვარ თუ მასწავლებელი. დილის 4 საათია. ბარგს ველოდები. ჩემ გვერდით მუნჯი ცოლ-ქმარი ჩხუბობს ხელების ნერვიული და ჩქარ-ჩქარი მოძრაობით. მათ ქერა, ავადმყოფ გოგონას კი ბარგის სატარებელ ეტლზე ჩასძინებია. მთელი გზა ტიროდა განწირული ხმით. სტიუარდესაც თავზე ეფერებოდა ყოველი ავლა-ჩავლისას, სხვებიც, მაგრამ არ აჩერებდა არაფერი. ყურები ტკივაო – დედამისმა მანიშნა, როცა მათკენ მივბრუნდი. საღეჭი რეზინა მივაწოდე და არ გამომართვა, მაგრამ ჩემს სავარძელთან მოვიდა და მუხლებში ჩავისვი. ცოტა ხნით გაჩუმდა ასე, ჩემზე მოხუტებული, მერე ისევ ატირდა. ახლა კი ეძინა საცოდავად, მუნჯურად მოჩხუბარ მშობლებს შორის, ბარგის ცარიელ ეტლზე მიგდებულს, გაუგებარი ეროვნების და ავადმყოფობისგან დამახინჯებული სახის გამო, გაუგებარი ასაკის ერთ პატარა, დაღლილ გოგოს – ასევე გაუგებარი მომავლით და თვითმფრინავიდან წამოღებული რაღაც სულელური სარეკლამო ბროშურით ხელში, რომელშიც ალბათ ეწერა, რომელ ქვეყნებში გამგზავრებისას ან რომელი სამკაულის ტარებისას ვიქნებოდით უფრო ბედნიერები...

SINCE 1884

SARAJISHVILI

შავი და ფერადი

თამთა მელაშვილი

საქართველო ოდესღაც შავი იყო. ტანსაცმელს ვგულისხმობ. ვიცი, გემახსოვრებათ არცთუ დიდი ხნის წინანდელი წარსული. გემახსოვრებათ თქვენი შავი ტანსაცმელიც, მოკრძალებული გარდერობიდან. აი, მე, ერთი გრძელი შავი კაბა მქონდა – ჩემი მეგობრის. ხან ის იყო გამოხვეული იმ გრძელ შავ კაბაში, ხან მე. პირდაპირ, ჯადოსნური კაბა იყო. შეგეძლო, ნებისმიერ სეზონს გცმოდა, ნებისმიერ ადგილას და თავი კომფორტულად, და სხვათა შორის, ლამაზადაც გეგრძნო. მე მგონი, მოგვწონდა კიდეც შავის ტარება. მაშინ, შავის გარდა ფერები ცოტა იყო საქართველოში. შავი ისეთი ყოველდღიურობა იყო, ვერც ვამჩნევდით.

ეს ტოტალური შავოსნობა, მე მგონი, თავიდან უცხო თვალმა შეგვამჩნევინა. მახსოვს, ერთხელ, ჟინვალის წყალსცავთან უცხოელ ტურისტებს გადავაწყდი. მაშინ, უცხოელი ტურისტები ჯერ კიდევ დიდი იშვიათობა იყო. ფშავიდან მანქანით მოდიოდნენ. მოკლედ, გამიჩერეს და თბილისამდე წამიყვანეს. მთელი გზა რაღაცნაირად მიყურებდნენ. ზუსტად ის შავი კაბა მეცვა, ფეხებზე – კედები, მხარზე კი ზურგჩანთა მქონდა გადაკიდებული. გაურკვეველი რელიგიური სექტის წევრს ვგავდი. მერე, ერთ-ერთმა მათგანმა მკითხა: შავი რატომ გაცვიაო, საერთოდ, საქართველოში, სულ შავი რატომ გაცვიათო. ყველა, პასუხის მოლოდინში, მომაჩერდა, მათ შორის, მძღოლიც. მე კი ვუთხარი: მომწონს და მაცვია-მეთქი. რა თქვენი საქმეა – აღარ მითქვამს, მაგრამ ვიგულისხმე. არ ვიცი, რა იფიქრეს ჩემზე და საქართველოზე. მგონი, სხვა პასუხს ელოდნენ. არადა, არ მომიტყუებია. მამა ახალი გარდაცვლილი მყავდა და შავს ვატარებდი. შავში კარგად ვგრძნობდი თავს. გარდაცვლილ მამაზე კი, მგონია, რომ საუბარს თავს არიდებენ, მით უმეტეს, უცხოებთან. გლოვა (საშინელი სიტყვაა) ძალიან პირადულია. მაშინ, ზუსტად ამ შავის გამო, სამსახური მივატოვე. მითხრეს, რომ ძალიან თრგუნავდათ ჩემი ტანსაცმელი. მე კი, იმის მაგივრად რომ შავი გამეხადა, სამსახურიდან წამოვედი. რას იზამ, ასეთი რაღაცაც ხდება, როცა შავის უკან სიკვდილი დგას. დიდი სიკვდილი. შენ კი გლოვობ, და იმიტომ კი არ ატარებ შავს, რომ ასეთი წესია, არამედ იმიტომ, რომ ასე გინდა. აი, ასე, ძალიან უბრალოდ.

მერე დრო გავიდა. საქართველოში ომები, ასე თუ ისე, დამთავრდა. მასობრივი გლოვაც მორჩა – ესეც, ასე თუ ისე. მოგვიანებით, იაფი სექონდ ჰენდის მაღაზიები მომრავლდა და საქართველომაც ნელ-ნელა, მაგრამ მაინც დაიწყო გაფერადება. ევროპაში ტრენინგებზე წასულმა ქართველებმა ცოტა შოპინგიც შეძლეს, მერე მასობრივი მოხმარების ბრენდის მაღაზიებიც გაჩნდა. გაფერადებისკენ პირველი ნაბიჯი, რა თქმა უნდა, ქალებმა გადავდგით. აღმოვაჩინეთ, რომ სულ არაა აუცილებელი ფეხსაცმელი და შარვალი შავი გეცვას, შავ ჩანთას ატარებდე და თმა შავად გქონდეს შეღებილი. უფრო მეტიც, სულაც, შეგიძლია იმდენი ფერის იყო ერთდროულად, რამდენიც მოგესურვება. უფრო მოგვიანებით, კაცებმაც გაბედეს. ადრე, მახსოვს ერთი ბიჭი როგორ წუხდა – ფერად შარვალს ვერ იცვამდა „უბანში, ბიჭების დასანახად“. მადლობა ღმერთს, ახლა, იმ ბიჭს თავისი ფერადი შარვლები თავისუფლად აცვია, თქვენ წარმოიდგინეთ – უბანშიც...

შავი ჩემთვის წარსული გახდა, უსიამოვნო წარსული, რომელიც გთრგუნავს – სხვა არაფერი. ამას წინათ, 17 მაისს, ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე აღვნიშნეთ. რუსთაველზე ჩვენი მსვლელობა რელიგიურმა ექსტრემისტებმა შეაჩერეს, გზა გადაგვიკეტეს. მოგვიანებით, ერთმა მეგობარმა მითხრა: „იცი, როგორი სხვაობა იყო თქვენსა და იმათ შორის? – უდიდესი. თქვენ, ისე ფერადები იყავით, ისინი – ისე შავები“. მაშინ ეს არ გამიაზრებია, მერე მივხვდი. სასტიკად დამთრგუნველი სიტუაცია იყო, სიძულვილს პირდაპირ სახეში გვაფრქვევდნენ და შავი ტანსაცმელი ეცვათ. სულ შავი. ეს სხვა შავი იყო. ეს არ იყო ჩემი შავი, რომელიც ოდესღაც მეც მეცვა. ეს არ იყო გლოვის შავი. ეს შიშის და ძალადობის შავი იყო.

ჰოდა, ახლა, ამ ზაფხულს, ისე არაფერი მიხარია ამ ქვეყანაში, როგორც ფერადი შარვლები გოგოებსა და ბიჭებზე, როგორც ბევრი-ბევრი-ბევრი ფერადი შარვალი.

ცხელი შოკოლადი

გამოიწერეთ ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“
და შეიძინეთ ქართული ფილმების უნიკალური კრებული

DEKOM
MEDIA HOUSE

შპს „მედია ჰაუსი დეკომი“
მისამართი: თბილისი 0183, საქართველო, ჟღენტის ქ. 35, ტელ.: +995 32 2471005

მზეთუნახავების და მუშების ქვეყანაში

მეორე კლასის ვაგონი

ავტორი შოთა იათაშვილი

მე – პოეტი იათაშვილი – სინამდვილეში კი, როგორც ბევრმა იცის, ბუტკოვსკი – ჩემს ისტორიულ სამშობლოში 45 წლის ასაკში ჩავდივარ პირველად...

პოლონეთი ჩემთვის მატარებლიდან დაიწყო. ის სავარაუდო თანხა, რაც პოეტური ფესტივალის ორგანიზატორებმა ვარშავადან ლუბლინისკენ გზისთვის დამიწერეს და რაც ჩასვლის შემდეგ უნდა აენაზღაურებინათ, მეორე კლასის ვაგონის ბილეთზე მოდიოდა. პირველი თუ უმაღლესი კლასი ისედაც მეხამუშება ხოლმე და ვიფიქრე, ალბათ ეგ ისაა, რაც პოეტებს შეეფერებათ-მეთქი და ვარშავის რკინიგზის სადგურზე სწორედ ასეთი ორი ბილეთი ავიღე ჩემთვის და რუსიკო კაიშაურისთვის.

აქედან დაიწყო...

პოლონეთი.

ლიტერატურიდან, კინოდან, ისტორიიდან ნაცნობი ჩემი მშობლიური, ტანჯული პოლონეთი.

სადაც გნებავთ, დაჯდებითო, მოლარემ მითხრა, მაგრამ დაჯდომა კი არა, იმდენი ხალხი ავიდა ამ მეორე კლასის ვაგონებში, რომ ტუალეტის კარამდე ძლივს შევეკვეხეთ.

თითქმის ყველა ბარგით იყო.

მე ერთი სევდიანი პოლონელი გოგონას წინ აღმოვჩნდი.

ორი საათი ერთმანეთის პირისპირ ვიდექით.

და მე მას ვუყურებდი. სულ – არა, მაგრამ არცთუ ისე იშვიათად. იმიტომ, რომ ხან მარცხნივ გავიხედავდი, ხან მარჯვნივ, მაგრამ პირისპირაც ვიყურებოდი და ეს თითქოს ბუნებრივი იყო.

აი, ის გოგონა კი არაბუნებრივი იყო, სხვანაირი. შემზარავი ეგზისტენციალური სევდა ჰქონდა თვალებში ჩაგუბებული. რაღაცნაირი ცარიელი სევდა, ოღონდ ამ ცარიელი სევდისგან თითქოს ცრემლებიც კი ჩნდებოდა ხანდახან.

ფანჯარაში იყურებოდა.

ჰო, თითქოს ფანჯარაში, მაგრამ სინამდვილეში მილმიერში.

ქვედა ტუჩის ჩამოშვებული, მონაღვლიანებული კუთხეებით.

ატუზულიყო ტუალეტთან თავისი ბარგით და აშკარად ცუდ რაღაცებზე ფიქრობდა – ანუ, თვითმკვლელობაზე და ეგეთ რამეებზე კი არა, არამედ თვითმკვლელობაზე უფრო ცუდზე...

შეიძლება ეგეთი რამ არსებობდეს?

არ ვიცი.

ალბათ, კი, იმიტომ, რომ ასე იყო.

ტუალეტში კი ერთი პოლონელი მზეთუნახავი შეკეტილიყო. დაახლოებით ნახევარ საათში ერთხელ რამდენიმე წამით ტუალეტის კარს აღებდა და გარეთ შეგროვილებს რაღაცას ეკითხებოდა. ისინიც პასუხობდნენ და ეღიმებოდათ.

მასაც ეღიმებოდა – ტუალეტში შეკეტილ პოლონელ მზეთუნახავს და კარს სასწრაფოდ კეტავდა. იქვე მყოფი ახალგაზრდები კი ტამბურს მიღმა არსებულ მეორე ტუალეტზე მიანიშნებდნენ ხოლმე მათ, ვინც ასეთ საჭირო ალაგს შეღწევას ლამობდა. და ისეც კი მოხდა, რომ როცა მორიგ მსურველს უხსნიდა – ტუალეტი დაკავებულიაო

კარი მაინც იღებოდა – პოლონური სტუმართმოყვარეობის მაჩვენებელი კარი... და მაშინვე ჭახანით იხურებოდა... ჯოჯოხეთის კარს დაემსგავსა ნელ-ნელა. ისინი კი ამოვიდნენ. ჩაანაცვლეს მზეთუნახავები...

– ერთი-ორჯერ ოდნავ ჩაეღიმა კიდეც ჩემს ეგზისტენციურად სევდიან გოგონას, რომლის ვარცხნილობა, მანიკური, ჩაცმულობა, და რაც მთავარია, სახის ნაკვთები ამასობაში ბოლომდე შევისწავლე.

შევისწავლე ერთი პატარა ბიჭიც – ხუთიოდე წლის – წითელი კეპი რომ ეხურა გვერდულად. დედიკოს, პოლონელ მორიგ მზეთუნახავს, ჩანთაზე დაესვა იგი და წიგნი მიეწოდებინა.

იჯდა პოლონელი ბიჭუნა, გვერდზე მოექცია წითელი კეპი და ფურცლავდა და კითხულობდა და ათვალიერებდა და ფურცლავდა და კითხულობდა... ჯინსიანი დედიკო კი მის გვერდით იდგა და არ იყო ტუალეტის კარის გოგონასავით ეგზისტენციალურად სევდიანი. რატომღაც სულ ეღიმებოდა... გულგახსნილად ეღიმებოდა...

რუსიკოს ამასობაში ჩემს ჩანთაზე ჩამოეძინა.

ეგზისტენციალურად სევდიანი პოლონელი გოგოს გვერდით კი ძალიან წესიერი პოლონელი ბიჭი იდგა. რომ მოიწყინა, მუსიკა გაირჭო ყურში, და თუ საჭირო იყო, ჩემს შეკითხვებსაც ზრდილობიანად პასუხობდა.

ტუალეტის მზეთუნახავი კი კარს აღებდა ხანდახან და რაღაცას კითხულობდა. პასუხობდნენ, ეღიმებოდათ და მზეთუნახავიც ქრებოდა.

ნელ-ნელა მივხვდი – იგი ტუალეტში იმიტომ იყო ჩაკეტილი, რომ გზის ფული არ ჰქონდა – 30 თუ 40 ზლოტი.

რაღაც გამიხარდა, რაღაცამ გამამხიარულა, რაღაცამ დამასევდიანა.

მე ვუყურებდი მათ:

ნახევარ საათში ერთხელ ტუალეტიდან კრთებოდა პოლონელი მზეთუნახავი.

იქვე ეგზისტენციალურად სევდიანი მზერით ატუზულიყო ერთი ჩვეულებრივი გოგონა.

წითელკეპიან ბიჭს კი თავზე ჯინსიანი მხიარული დედა ადგა...

ორი წუთით ტამბურსმიღმა, მეორე ტუალეტში გავედი. ზუსტად ამ დროს გაჩერდა მატარებელი. ხალხი ახმაურდა, ამოძრავდა. უკან რომ გამოვედი, ჩემი პირველი პოლონელი პერსონაჟებიდან აღარავინ დამხვდა – ყველა ამ სადგურზე ჩასულიყო. სხვათა შორის, ქალაქს დაბლინი ერქვა. დაბლინ – რას ვიფიქრებდი, თუ ჯოისის ქალაქს უცებ პოლონეთში გადავეყრებოდი!..

...

მზეთუნახავები გაქრნენ და სულ სხვა რამ დაიწყო, თუმცა ასევე ძალიან გასაგები: ელიავას ბაზრობის ორი მუშა გაჩნდა უცებ და მათ მზეთუნახავების ადგილი დაიკავეს.

ჰო, მთავარი! – მთელი ამ ხნის განმავლობაში ვაგონის კარი იხსნებოდა და იკეტებოდა – გაუჩერებლად, თავის მომაბეზრებლად, სასტიკი ხმაურით. ზოგი ცდილობდა ამ მოძრაობის შეჩერებას, მაგრამ ვერ ახერხებდა...

კარი მაინც იღებოდა – პოლონური სტუმართმოყვარეობის მაჩვენებელი კარი...

და მაშინვე ჭახანით იხურებოდა...

ჯოჯოხეთის კარს დაემსგავსა ნელ-ნელა.

ისინი კი ამოვიდნენ.

ჩაანაცვლეს მზეთუნახავები...

ოფლის, ჟანგის და ალკოჰოლის სუნი საოცრად ბუნებრივად იყო მათში შეზავე-

ბული. თავიანთი უვარგისი სიგარეტებიც ამოიღეს, გააბოლეს და თამბაქოს კვამლიც შემატეს ამ სურნელოვან ბუკეტს.

ეჰ, რამდენი ხანი მინდოდა მოწევა, მაგრამ არაო, არ შეიძლება მატარებელში არსადო, – მითხრეს. ისინი კი ჩემ გვერდით არხეინად ეწეოდნენ. მათ ხელმარჯვნივ რუსიკო თვლემდა ტკბილად თუ მწარედ. მე მათ გავყურებდი.

ლეხ ვალენსა მახსენდებოდა.

მუშები.

მუშების რევოლუცია.

გაუპარსავი, ლუდით გაჟღენთილი საოცარი ადამიანების რევოლუცია.

ჯიბეებიდან ლუდის ქილები დააძრეს, გახსნეს და მოიყუდეს.

უცებ კონტროლიორმა შემოაღო ტამბურის კარი.

დაიწყება ახლა – გავიფიქრე...

რაღაც უთხრეს კონტროლიორს ელიავას პოლონელმა მუშებმა და გაუცინეს. იმანაც რაღაც უპასუხა და გაუცინა. და გზა განაგრძო. მათ ლუდის სმა და პაპიროსის ქაჩვა განაგრძეს.

და უცებ მივხვდი: სწორედ ასე იყო საჭირო: რომ ამ მეორე კლასის ვაგონში მოვხვედრილიყავი პირველივე დღეს და დაქანცული და უძინარი ორსაათნახევარი ტუალეტის წინ გავჭედილიყავი, რათა მეგრძნო, მივხვედრილიყავი, თუ რა ქვეყანაა პოლონეთი.

კომფორტული სასტუმროები ან თუნდაც პოეტური ფესტივალები ვერ მიგახვედრებენ ნამდვილ პოლონეთს. იმას, რომ პოლონეთი დაღლილი და ეგზისტენციალური მზეთუნახავების და ძლიერი, ყოვლისშემძლე და ყველაფრისამტანი მუშების ქვეყანაა!

საკონცენტრაციო ბანაკი, პასტორი და პანკები

მუზეუმი დაკეტილი დაგვხვდა. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ორშაბათობით არ მუშაობდა, ჩვენ კი მაინცდამაინც ორშაბათს მივედით, ფესტივალის ბოლო, თავისუფალ დღეს. ზემოდან მოვავლე თვალი ძალიან გრძელ რიგებად ჩამწკრივებულ ბარაკებს და გულგატეხილი უკვე მანქანისკენ ვაპირებდი მიბრუნებას, რომ მუზეუმთან მჯდომი ერთი გოგონა წამოხტა და გვითხრა, რომ მართალია მუზეუმი დაკეტილია, მაგრამ საკონცენტრაციო ბანაკის ტერიტორიაზე შესვლა შეიძლება და სავარაუდოდ ზოგიერთი ბარაკი ღიაც კი იქნებაო. მაშინ დავრჩები-მეთქი, ვუთხარი ფესტივალის დირექტორს, რომელმაც თავისი მანქანით მომიყვანა აქ, მადლობა გადავუხადე და გზას დავადექი.

ცხელოდა. ბალახი ბიბინებდა. მაიდანეკის საკონცენტრაციო ბანაკი ჰორიზონტის ხაზს მიღმა იკარგებოდა. ამოდენა გადახსნილ სივრცეში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. მშვიდი ნაბიჯით და აფორიაქებული განწყობით მავთულხლართებს ვუახლოვდებოდი. პირდაპირ პოეტური ფესტივალიდან აქ მოსულს, ადორნოს სიტყვები მახსენდებოდა იმის შესახებ, რომ ოსვენციმის შემდეგ პოეზია შეუძლებელია. ცხოვრებამ უცებ სწორედ ეს სიტუაცია გამითამაშა, ოღონდ თითქოსდა ამოყირავებულად: უნდა შემემოწმებინა, პოეზიის შემდეგ თუ იყო შესაძლებელი ოსვენციმი... ანუ ჩემს კონკრეტულ შემთხვევაში მაიდანეკი... ბანაკის ტერიტორიაზე შევედი და დანომრილ ბარაკებს გავუყევი. ყველა დაკეტილი იყო. ვცდილობდი, ფანჯრებში შემეხედა, მაგრამ შიგ დაბუდებულ წყვდიადში ვერაფერს ვარჩევდი. მივდიოდი და თავზე მზე დამნათოდა. თვალს სიმწვანე მჭრიდა, ხოლო თუ ზევით ავიხედავდი – მოკრიალებული ცის სილაჟვარდე. მანქანის ხმა გავიგონე. მივიხედე. უკან, ერთ-ერთ ბარაკთან პატარა სატვირთო მანქანა გაჩერდა, უნიფორმაში გამოწყობილი მუშები გადმოხტნენ, ბარაკი გააღეს და რაღაც კანისტრების შეზიდვა დაიწყეს. მოვწყდი ადგილს და მათკენ გავიქეცი – სხვა შანსი შეიძლებოდა არც მქონოდა. დავადექი მუშებს თავზე და ვთხოვ – შემიშვით, შემიშვით... არ შეიძლება – მეუბნებიან, მაგრამ ძალიან რომ ვეხვეწები, დათმობაზე მიდიან: კარგი, შედი, ოღონდ სულ ერთი წუთით.





ეს ის ბარაკი აღმოჩნდა, სადაც ტყვეებს თავს პარსავდნენ. სწრაფი ნაბიჯით ჩავიარე ამ სულისშემხუთველ ბინდში, უკან მოვბრუნდი, მუშებს მადლობა გადავუხადე და გარეთ გამოვედი. და სიკვდილის ამ ბინდიდან გამოსულს გაასმაგებული ძალით დამეტაკა სიცოცხლის ძალა, მისი ფერები, ფორმები, სურნელი, ხმები... ჩიტები ჭიკჭიკებდნენ, პეპლები დაფრინავდნენ, ბალახებში ყვავილებს წამოეყოთ თავები... მზე დამჩახჩახებდა და ღრუბლის ერთი პატარა ფთილაც კი არსად ჩანდა... რა იყო ეს?.. რაღაც სხვა იყო, ის არა, რასაც ველოდი. ბავშვობიდანვე გაჯდა საკონცენტრაციო ბანაკის სურათ-ხატი ჩემში: დოკუმენტური ფილმებიდან, ფოტოებიდან... მაგრამ ყველგან შავ-თეთრი იყო იგი – შავ-თეთრი და მხოლოდ საშინელი სიკვდილის მატარებელი. რეალობაში კი სულ სხვა რამეს შევეჩეხე: სიცოცხლით სავსე, ფერად სურათს, და მე ახლა უნდა დამეჯერებინა, რომ მთელი ეს დაუჯერებელი კოშმარი ამ სილამაზესა და კაშკაშში ხდებოდა. უნდა დამეჯერებინა, მაგრამ ვითომ ადვილი იყო ეს?..

ადამიანი სულ ფიქრობს სიცოცხლესა და სიკვდილზე, ხანდახან ამ ორს გვერდიგვერდაც კი ხედავს ხოლმე და ადარებს ერთმანეთს, მაგრამ ორივე ერთდროულად და მთელი ძალით თითქოსდა არასდროს შემოდის მის ცხოვრებაში. ხან სიცოცხლე ჭარბობს, ხან სიკვდილი. ახლა კი რაღაც გამაოგნებელი მოხდა: ორივე ბოლომდე, თავისი უკიდურესი გამოვლინებით აქ იყო, ერთმანეთის გვერდიგვერდ და ორივე ერთდროულად მელაპარაკებოდა... არა, კი არ მელაპარაკებოდა, არამედ მიყვიროდა! სიცოცხლე თავისას, სიკვდილი თავისას, მაგრამ ორივე ერთი ძალით...

გზად, ალაგ-ალაგ, უკვე ღია ბარაკებიც მხვდებოდა და შევდიოდი. შევცქეროდი პატიმრების სამსართულიან ნარებს, ხელს ვკიდებდი შემზარავად ნაცრისფერ და უხეშ მათ ლეიბებს, ვათვალიერებდი ღუმელებს, სადაც მათ წვავდნენ, მერე გარეთ გამოვდიოდი და ხასხასა ფერებში ვიძირებოდი... ბევრი ვიარე, დავიღალე, ფეხები გამიხურდა, მეტკინა... გავიხადე ფეხზე და ბალახებში გავიშოტე... ზემოდან სილურჯე გადმომეღვარა... მაგრამ თვალის კუთხით ერთ-ერთი ბარაკის მძიმე ყავისფერი დავიჭირე... ფიქრებში წავედი.

რა გამოდის? რომ მაშინაც ასე იყო? აი, მაისშიც ასე იყო? და თუ ასე იყო, ისინი როგორ ახერხებდნენ ამის გაკეთებას? შავ-თეთრ კადრებში ასე თუ ისე გასაგები იყო, მაგრამ პეპლები დაფრინავდნენ, ბალახი ბიბინებდა და ისინი ადამიანებს წვავდნენ?.. როგორ ახერხებდნენ, დაუჯერებელია... ან ისინი როგორ ცხოვრობდნენ იმ სიკვდილში, თუკი გარეთ ასეთი სიცოცხლე ჩქეფდა? თუ სწორედ ამიტომ იყვნენ ძლიერები და ახერხებდნენ ყველაფრის ატანას? გარეთ რომ ასეთი რამ ხდებოდა, სწორედ იმიტომ ახერხებდნენ?..

ხელი გავიშვირე, ბაბუაწვერა მოვწყვიტე, მაშინვე მივხვდი, რომ ბანალური მეტაფორა იყო, მაგრამ რაკი ბუნებამ შემომთავაზა, უარი აღარ ვუთხარი, ცოტა ხანს ვატრიალე ჩემს თვალწინ ეს ბაბუაწვერა და სული შევუბერე... ესეც რა უცნაურად მოხდა, რომ ორშაბათს მოვედი. სხვა დღეებში ალბათ აქ ბევრი ხალხია, ტურისტები დადიან ჯგუფ-ჯგუფად გიდებთან ერთად და არის ყაყანი, ალიაქოთი, ფოტოების გადაღება. მე კი ახლა აქ მარტო ვარ, ჩემს ფიქრებთან: ერთმანეთის გვერდიგვერდ მყოფ სიკვდილსა და სიცოცხლესთან შეჯახებული...

...

საკონცენტრაციო ბანაკიდან ლუბლინის ძველი უბნისკენ გავეშურე, უკვე დაღლილი, მოშიებული, ემოციებით დატვირთული, იმ მიზნით, რომ სადმე კაფეში ჩამოვმჯდარიყავი და მოვლონიერებულიყავი, აზრები დამელაგებინა... გზას რომ არ ავცდენოდი, ძველ უბანს მიახლოებული, ერთ-ერთი ეკლესიიდან გამომავალ მამაკაცს მიმართულებას დავეკითხე. მეც იქით მივდივარ და გამომყევიო – მომიგო. ავედევნე. შუახნის მსუქანი მამაკაცი იყო, დინჯად მიაბიჯებდა, წითელ მაისურზე თეთრი საზაფხულო ჟილეტი მოეცვა. გზად დამეკითხა, საიდან ხარ ჩა-

მოსული და რისთვისო. ძალიან უცნაური იყო, რომ იმ პოეტური ფესტივალის შესახებ იცოდა, რომელზეც ვიყავი მიპატიჟებული. ის კი არადა, პოლონელი პოეტები ჩამომითვალა, ესენი არ იყვნენ წელს ფესტივალზეო? დავუდასტურე. ჰო, მინდოდა წელსაც მოსვლა, მაგრამ ვერ მომიხერხდაო... მერე მეუბნება, თუ გცალია, მოდი, დავსხდეთ სადმე და გავისაუბროთ, მიყვარს პოეტებთან ლაპარაკი, გპატიჟებო... კეთილი, მე მაინც მაგ მიზნით მოვდიოდი აქ-მეთქი. მიიხედ-მოიხედა და წამო აქ დავსხდეთ, ებრაელების კაფეა, კარგად ამზადებენო. დავსხედით, შეუკვეთა. მაშინ, დაღლილს, არც კი მომსვლია აზრად, რომ უცნაური გაგრძელება იყო საკონცენტრაციო ბანაკის მერე ებრაელების კაფეში ჩემი მოხვედრა.

ცოცხალი საუბარი აგვეწყო. მალევე შენობითზე გადავედით. სად მუშაობ-მეთქი, რომ ვკითხე, გაჭირვებულებს და ავადმყოფებს ვეხმარებითო, მისია არის ასეთიო. რვა წელი პარიზში ვიყავი ამ მისიითო. მეც ვწერო, – სადღაც საუბარში გაურია. რას წერ, ლექსებს-მეთქი? გაელიმა, რა ვიცი, სხვადასხვა რაღაცასო, არ დამიკონკრეტა, პასუხს თავი აარიდა. ვსხედვართ ასე, შინაურულად ვსაუბრობთ, პოეზიაზე, ცხოვრებაზე, მაგრამ რაღაც უცნაურ სიღრმეებში მიდის ეს უშუალო საუბარი. ის ყავას სვამს, მე პოლონურ არაყს გადავკრავ ხოლმე შიგადაშიგ. ოფიციანტი გოგონა რაღაც განსაკუთრებული გულისყურითა და მოწიწებით დასტრიალებს ჩვენს სუფრას. ისევ მის საქმიანობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ბოლომდე ვერ გავერკვიე, რას აკეთებს და ვეძიები. საათზე მეტია გასული, რაც ერთად ვართ. რომ აღარ ვეშვები, მიღიმის და მეუბნება, ვინა ვარ და პასტორიო. გავშრი. შემატყო და კაი ახლა, სწორედ მაგიტომ არ მინდოდა ამის თქმა, ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და როგორც ვისხედით და ვსაუბრობდით, ისევ ისე გავაგრძელოთ, გთხოვო. გავაგრძელეთ თითქოს ისევ ისე, მაგრამ ეს უშუალო შენობითი, ვატყობ, ისევ თქვენობითში გადამდის. თან ვუყურებ ამ წითელმაისურიან მსუქან, კეთილღიმილიან თადეუშს, კაფეში რომ მიზის წინ და თითქოს ვერც აღვიქვამ მღვდლად. თუმცა საუბარმა მაინც უფრო ზუსტი მიმართულება შეიძინა.

– შეიძლება, არა მაქვს ამ კითხვის დასმის უფლება, თუ არა მაქვს, ნუ მიპასუხებ...თ...

– ჰო, აბა, რა კითხვაა? – მიყურებს თბილი თვალებით.

– აი, როგორც მითხარით, ოცი წელია, პასტორი ხართ, ადამიანები მოდიან და თავიანთ გაჭირვებაზე, სულიერ მდგომარეობაზე, ცოდვებზე გელაპარაკებიან. რა მოხდა ამ ოცი წლის განმავლობაში, დამძიმდა ადამიანების სულიერი მდგომარეობა თუ არა?

მიყურებს პასტორი თადეუში, მიყურებს, აშკარად ყოყმანობს, თითქოს ვერ გადაუწყვეტია, რა მიპასუხოს, და ბოლოს მეუბნება:

შევცქეროდი პატიმრების სამსართულიან ნარეებს, ხელს ვკიდებდი შემზარავად ნაცრისფერ და უხეშ მათ ლეიბებს, ვათვალიერებდი ღუმელებს, სადაც მათ წვავდნენ, მერე გარეთ გამოვდიოდი და ხასხასა ფერებში ვიძირებოდი...

– არა, არ შეცვლილან. ისეთივენი არიან ადამიანები. ადამიანებს სულ უყვართ კრიზისზე ლაპარაკი: სულიერი კრიზისი, ფინანსური კრიზისი, პოლიტიკური კრიზისი, კრიზისი ხელოვნებაში... ჰო, სულ კრიზისზე ლაპარაკობენ, მაგრამ სინამდვილეში არ დამძიმებულან ისინი, არ გაფუჭებულან. როგორებიც ადრე იყვნენ, ახლაც ისეთები არიან, ისეთივეა მათი პრობლემები...

აი, ასეთ თემებზე ვსაუბრობთ... რა უცნაურია, სულ სხვაგან მივდიოდი საქმეზე და უცებ შენთან ერთად აღმოვჩნდი აქ, კაფეშიო – მეუბნება. ეს ჩემთვის თუა უცნაური, რაღაც მისტიკაა, საკონცენტრაციო ბანაკიდან წამოსული, გზას ვეკითხები მამაკაცს, რომელიც მოულოდნელად ებრაელების კაფეში მპატიჟებს და საბოლოოდ აღმოჩნდება, რომ პასტორია-მეთქი. წასვლის წინ, იქვე, ჩემი ბავშვებისთვის სამახსოვროდ რაღაც სუვენირებს და სათამაშოებს ყიდულობს პასტორი თადეუში.

ვემშვიდობებით ერთმანეთს და ვაგრძელებ გზას. დავხეტიალობ ძველ ქალაქში, სადღაც ჩამოვჯდები, ლუდს ვწრუპავ, მომხდარზე ვფიქრობ. თან საათს დავყურებ. ჯერ სულ რაღაც ხუთია თუ ექვსი. აწი რაღა უნდა მოხდეს, რაც შეიძლებოდა, უკვე ყველაფერი მოხდა დღეს – ვფიქრობ და იმ ჭკუაზე ვარ, რომ სასტუმროსკენ გავწიო. ნელი ნაბიჯებით, ჩაფიქრებული, მოკირწყლულ ქუჩას მივუყვები... თავი ავწიე, თაღის ქვეშ პანკი გოგო-ბიჭების მთელი ჯგუფი მოკალათებულა, ლუდს სვამენ, ეწევიან, ეხუტებიან ერთმანეთს. ფიქრებში წასულმა მექანიკურად შევხედე მათ, მათაც შემომხედეს. ერთმა ბიჭმა თვალი თვალში გამიყარა: საიდან ხარ? – მეკითხება. გამოვერკვიე, ვუპასუხე. მგონი პასუხისთვის ყურადღება არც მიუქცევია: ლუდს არა სვამ? – მეკითხება. კი, ვსვამ – ვპასუხობ. მერე შეგიძლია, დაგვპატიჟო? ვუყურებ. 1000 ზლოტი ჰონორარი ორი დღის წინ მომცეს... არ მთავრდება დღე! – გამიელვა თავში. კი, შემიძლია, – ვეუბნები – სადაა მაღაზია ყველაზე ახლოს? გამოგყვები, აქვეა. თაღის ქვეშ ჩამომსხდრებს ვითვლი: ერთი, ორი სამი... ექვსი, შვიდი... მივდივართ. რვა ლუდს ვყიდულობთ და ვბრუნდებით. ვჯდები მათთან. გაიხარეს. ციდან ჩამოვარდნილი კეთილი ტურისტი მაშინვე მიიღეს თავიანთ სამეგობროში. კიდევ ერთი სამყარო – და აბსოლუტურად სხვანაირი... კონტრასტების დღეა... ახლა ამ სამყაროში უნდა შევიდე და შევდივარ კიდეც თავისუფლად. თუმცა არც ისე მარტივად...

ეს რა გიკეთია? – ვეკითხები ერთ გოგოს და ყელსაბამზე ვავლებ ხელს. ყელსაბამზე სვასტიკა ჰკიდია. ეს ისე, უბრალოდ – მეუბნება იგი. არა, რას ჰქვია უბრალოდ? – ვბრაზდები – მოიხსენი ახლავე! რატომ? – მეკითხება. დღეს მაიდანეკის საკონცენტრაციო ბანაკში ვიყავი და იმიტომ! – ვპასუხობ. მიყურებს. ყველა გაჩუმდა და ჩვენ მოგვაშტერდა. პანკი გოგო რამდენიმე წამს ფიქრობს, მერე იხსნის სვასტიკას და აგდებს. ჰო, აი ასე. თქვენ ჯერ პატარები ხართ. ნუ თამაშობთ ასეთი რაღაცებით! – ვაგრძელებ. ჰო, კაი, კაი, გასაგებია, – მეუბნება ერთ-ერთი ბიჭი და მხარზე ხელს მარტყამს.

მერე ისევ წავედით იმავე მაღაზიაში,

ორლიტრიანი არაყი ვიყიდეთ და წვენები. სადღაც სიღრმეში, პატარა მწვანე ეზოში გადავაადგილდით. ვიწექით ბალახებში, ვსვამდით, ვიცინოდით. ახალი პანკები მოდიოდნენ, ზოგი მიდიოდა, მემშვიდობებოდა... ერთი პანკი გოგონას მუხლზე თავდადებულს გამომეღვიძა სიბნელეში, მთვრალს, თავგასიებულს. ჯორჯია, წაედით – დამძახოდა მწვანეთმიანი ბიჭი. ავიშალეთ, გადავეხვიეთ ერთმანეთს. თენქიუ, ჯორჯია! ძიკუი, ჯორჯია! – მეუბნებოდნენ... საკონცენტრაციო ბანაკი, პასტორი, პანკები... რა იყო ეს? – ვფიქრობდი ბურანიდან – პოლონეთი იყო, შენი სამშობლო პოლონეთი – ვპასუხობდი საკუთარ თავს იმავე ბურანიდან, უკვე ტაქსიში ვიჯექი და დღის ბოლოსკენ მივექანებოდი.

გიუნტერ გრასის და ლეხ ვალენსას კვალდაკვალ

ლუბლინიდან გდანსკისკენ გზას დავაწექი. თავდაპირველად კრაკოვის მონახულებას ვაპირებდი ორი დღით, მაგრამ გდანსკში მცხოვრებმა ნაცნობმა რუსმა პოეტმა გოგონამ, ნასტია ვეკშინამ ბოლოს მაინც თავისკენ გადმომიბირა: მე და ჩემი მეგობარი ბიჭი ცალკე ბინაში ვცხოვრობთ და ჩამოდი ჩვენთან, არ ინანებო. თან კრაკოვი მუზეუმია და არსად გაიქცევა, ჩვენთან კი ისტორიულ გემთსაშენ ქარხანას უკვე ანგრევენ და მერე ვეღარ ნახავო.

ნასტიას მეგობარი პოლონელი ბიჭი მაჩეკი რუსულ ფილოლოგიადამთავრებული და კინორეჟისორი აღმოჩნდა. აი, ისეთი არაჩვეულებრივი ადამიანი, ორ წუთში რომ დავმეგობრდით. მაჩეკის სახლი გიუნტერ გრასის უბანში აღმოჩნდა. ვერსალის ხელშეკრულებით 1920 წელს წარმოიშვა ქალაქი-სახელმწიფო დანციგი, რომელიც არც გერმანიას ეკუთვნოდა და არც პოლონეთს და რომელიც ერთა ლიგის პროტექტორატის ქვეშ იყო. მეორე მსოფლიო ომის დროს იგი ჯერ გერმანელებმა დაიპყრეს და გერმანულ ქალაქად გამოაცხადეს, ხოლო შემდეგ საბჭოთა ჯარები შევიდნენ იქ, ქალაქი პოლონური გახდა და პოლონური სახელწოდება, გდანსკი მიიღო. ქალაქის ერთი ხელიდან მეორის ხელში გადასვლა-გადმოსვლის სწორედ ამ მძიმე პერიოდში დაიბადა და გაიზარდა აქ გიუნტერ გრასი. გდანსკში ჩამოსულს, ნასტიამ და მაჩეკმა პირველი, რაც მანახეს, ეს მაჩეკის სკოლა იყო, რომელიც მათი სახლის პირდაპირ იდგა და რომელშიც თავის დროზე სწავლობდა გრასი. მერე, იქვე ახლოს, იმ სახლთან მიმიყვანეს, სადაც გრასი დაიბადა და გაიზარდა, სადაც „თუნუქის დოლის“ იდეა ჩაისახა და სადაც ამ რომანის პროტოტიპები ცხოვრობდნენ. ერთი ნაცრისფერი, პირქუში შენობა იყო. იქვე ახლოს, შადრევანთან, მედოლე ოსკარის სკულპტურაც იდგა.

ერთი სიტყვით, ჩემი გდანსკში ჩასვლა გიუნტერის ნაკვალევზე სიარულით დაიწყო. თუმცა მთავარი, ცხადია, სხვა რამ იყო – ის ადგილები, საიდანაც 1980 წელს მოძრაობა „სოლიდარობა“ დაიწყო: გემთსაშენი ქარხანა, სადაც მუშები პირველად გაიფიცნენ და ნელ-ნელა გაფიცვები და პროტესტის ტალღა მთელ პოლონეთს მოედო. ბევრისთვის, ალბათ, არაფერი საინტერესო არ იქნებოდა

საკონცენტრაციო ბანაკი, პასტორი, პანკები... რა იყო ეს? – ვფიქრობდი ბურანიდან – პოლონეთი იყო, შენი სამშობლო პოლონეთი – ვპასუხობდი საკუთარ თავს იმავე ბურანიდან, უკვე ტაქსიში ვიჯექი და დღის ბოლოსკენ მივექანებოდი.

ამ გარეგნულად ჩვეულებრივ, ძველი ყაიდის ქარხანაში, მაგრამ როგორც კი მე ამ ქარხნის ტერიტორიაზე შევედი, მაშინვე ვიგრძენი, რომ ინტუიტიურად აბსოლუტურად სწორი არჩევანი გავაკეთე და კრაკოვის ლამაზ ქუჩებში სიარულს ამ ნახევრად დანგრეულ ქარხანაში ბორიალი მერჩივნა. მერჩივნა იმიტომ, რომ კრაკოვის ქუჩების ისტორია მაინც რაღაცნაირი განყენებული ისტორია იქნებოდა ჩემთვის, ეს ქარხანა კი ჩემი ცხოვრების ნაწილი იყო: 14-15 წლის ასაკში ტელევიზორთან ჯდომა და პროგრამა „ვრემიაში“ პოლონური ამბების მოსმენა, შავსათვალიანი იარუზელსკის სასტიკი სახე და მის მიერ შემოღებული კომენდანტის საათი, მამაჩემისა და მისი მეგობრების ემოციური, ნერვიული საუბრები იმის შესახებ, თუ სინამდვილეში რა ხდება პოლონეთში და რითი შეიძლება დამთავრდეს ყოველივე ეს... ვინმე მუშა ლეხ ვალენსა, რომელმაც ყველაფერი, თითქოს ასე უცვლელი, უცებ ყირაზე დააყენა... ეს ჩემი ახალგაზრდობა იყო, პირველად, ძალიან შორიდან და ძალიან ბუნდოვნად ნაგრძნობი შანსი სხვანაირი თავისუფლებისა.

და ახლა ზუსტად იქ ვიყავი, საიდანაც ყოველივე ამან ფეხი აიდგა. აი, პატარა „მუზეუმიც“. ის პატარა შენობა, სადაც ელექტრიკოსი ვალენსა მუშაობდა. ძველისძველი ხელსაწყოები, ძველისძველი რვეულები ნახაზებითა და ჩანაწერებით. ქანჩები, ჭანჭიკები... ეგ ყველაფერი კი ნაღდად იმდროინდელია, მაგრამ აი, ეს ქანჩები და ჭანჭიკები კი იმ პერიოდის, ცხადია, არ იქნებაო – მეუბნება მაჩეკი. ჰოდა, თუ ასეა, აზრად მომდის და კართან მეთვალყურედ მჯდარ გოგონას ვეკითხები, შეიძლება, სამახსოვროდ აქედან რამე წავიღო-მეთქი. კაი, წაიღეო, მიღიმის... მეც ამ რკინა-კავეულიდან რაღაცას ვიღებ და გარეთ გამოვდივართ. იქვე ბუფეტია. ძველი, 70-იანი, 80-იანი წლების ყაიდის. ჭერში ძველი ვენტილატორი ტრიალებს, ძირს ძველი მეტლახი აგია, ძველ ვიტრინებში დგას „კოკა-კოლა“ და „სპრაიტი“. ვსხდებით. მუავე კიტრის სუპს ვუკვეთავთ. რამდენიმე წუთში მოაქვთ: უზარმაზარი მათლაფებით. აი, ესაა მუშის ნამდვილი პორცია, – ვეუბნები მაჩეკს, – ისე კი არაა, გაპრანჭულ კაფეებში პატარა ფიალებში რომ გისხამენ ხოლმე... მუშა კარგად უნდა იკვებოს! და როგორც ადრე იყო, აქ ახლაც ასეა! ვჭამთ, ძალიან გემრიელია. დაუჯერებლად გემრიელი. ზურგჩანთიდან თბილისიდან წამოღებულ ჭაჭას ვიღებ და ვასხამ. და თავისუფლების სადღეგრძელოს ვამბობთ. ლეხ ვალენსას სადღეგრძელოს, რომელიც, ვინ იცის, რამდენჯერ მჯდარა აქ, ამ მაგიდასთან და აი, ზუსტად ასეთი მუავე კიტრის სუპი უჭამია. ვსვამთ ქართული ჭაჭით – მე და მაჩეკი, და ამას არავითარ უმაღლესი კლასის რესტორანში ჯდომა არ შეედრება, იმიტომ, რომ ამ ბუფეტში პოლონელების უდრეკი სული ტრიალებს. როგორც ჩამოსვლის პირველსავე დღეს დავარქვი, მზეთუნახავებისა და მუშების ქვეყნის უდრეკი სული...

FM
ცნობი
98.0

ავტორი თათია კუხალაშვილი

რუსეთი 2045

„მომავალი მშვენივრად გამოიყურება, თუ თქვენ კიბორგი ხართ ან ხელოვნური ინტელექტის მქონე რობოტი, მაგრამ თუ ადამიანი ხართ, თქვენი დრო წასულია“.

ქევინ უორვიკი, ბრიტანელი მეცნიერი, რედინგის უნივერსიტეტის კიბერნეტიკის კათედრის პროფესორი

„რუსეთში კანონით არის დაცული ადამიანის უფლება სიცოცხლეზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ კონსტიტუციაში ცვლილებებია შესატანი, რათა მასში დაფიქსირდეს მოქალაქეთა უფლება უკვდავებაზეც“ – ახლახან სწორედ ასეთი წინადადებით მიმართა რუსეთის პრეზიდენტს ახალგაზრდა რუსმა ინტელექტუალმა, დიმიტრი იცკოვმა.

მისი თაოსნობით შარშან სტრატეგიული საზოგადოებრივი მოძრაობა „რუსეთი-2045“ და კორპორაცია „უკვდავება” დაარსდა, რომელთა მთავარი მიზანი კაცობრიობის განვითარების ახალი იდეოლოგიის შექმნაა, რომელმაც გლობალურ ცივილიზაციურ გამოწვევებს, უპირველესად კი სინგულარობის კრიზისს უნდა უპასუხოს.

ამ ამბებიდან ხუთი საუკუნის წინ, ლეგენდის თანახმად, განსაცდელში ჩავარდნილი პრაღელი ებრაელობის დასაცავად, რაბინმა ლევიმ ღმერთის კარნახით და ოკულტური უნარების გამოყენებით თიხის გოლიათი გამოძერწა. გოლემი მორჩილად ასრულებდა დემიურგის ყველა დავალებას, მანამ, სანამ ერთ დღესაც ინსტრუქტაჟი დაუგვიანდა, რაბინის მართვის კონტროლიდან გავიდა, და ცოფიანივით ყველაფერი გაანადგურა, რასაც კი გადააწყდა.

პრაღელები გოლემს რობოტების წინაპრად მიიჩნევენ. სიტყვა „რობოტი”-ც ჩეხურიდან შევიდა მსოფლიო ენებში და ესაა ლეგენდის ბმაც თანამედროვეობასთან – სწორედ რობოტებისა და ადამიანის მიერ შექმნილი სხვა მანქანების კონტროლიდან გასვლას წინასწარმეტყველებენ მეცნიერები სინგულარობის მომენტის დადგომის შემდეგ, ზუსტად ისე, როგორც ეს რაბინ ლევის დაემართა გოლემის „აჯანყების” შემდეგ.

სინგულარობის თეორიის მიხედვით, საკმაოდ ახლო მომავალში, დაახლოებით ოცდაათი წლის შემდეგ, დადგება მომენტი, როდესაც ტექნოლოგიური პროგრესი იმდენად დაჩქარდება, რომ მისი შემეცნება და პროგნოზირება შეუძლებელი გახდება, რასაც, სავარაუდოდ, ხელოვნური ინტელექტისა და „ადამიანზე ჭკვიანი“ მანქანების შექმნა მოჰყვება.

ტერმინი „სინგულარობა“ ასტროფიზიკიდანაა ნასესხები და ის პირველად ცნობილმა მწერალმა-ფანტასტმა ვერნონ ვინჯმა გამოიყენა ჯერ კიდევ 1993 წელს, თუმცა სინგულარობა მაინც ლეგენდარული ამერიკელი გამომგონებლის, ფუტუროლოგისა და პროგნოზისტის, რეიმონდ კურცვეილის სახელთანაა დაკავშირებული. სწორედ რეი კურცვეილმა აღწერა ეს მოვლენა გრაფიკულად – ექსპონენციალური მრუდების სახით, რომლებიც 2045 წლისთვის მკვეთრად აიჭრებიან ვერტიკალურად უსასრულობაში და სინგულარობაც ეს იქნება.

რუსეთი-2045-ს ამბიციური ამოცანები აქვს. მათ შორის უმთავრესი კაცობრიობისთვის ახალი იდეოლოგიური პარადიგმის შექმნაა, რომლის საყრდენი ტრანსჰუმანიზმია – კიბორგიზაციის, კიბერნეტიკული უკვდავებისა და თავისუფლების მისეული იდეებით.

სინგულარობის იდეამდე ერთმანეთის პარალელურად, სხვადასხვა დარგის მეცნიერები მივიდნენ. იქნება ეს დემოგრაფიული, ისტორიული, ბიოსფეროსა თუ სოციოლოგიური სინგულარობის თეორიები, ყოველი მათგანის გზავნილი ერთნაირია: 21-ე საუკუნის 30-40-იანი წლებიდან მოსალოდნელია მკვეთრი ევოლუციური ფაზური ცვლილება, რომელიც რაიმე კრიზისის ან კრიზისთა ჯაჭვით იქნება პროვოცირებული. კაცობრიობისთვის, მისი დღევანდელი ფორმისთვის, ეს ყოფნა-არყოფნის მომენტი გახდება, რომელსაც სინგულარობის თეორიის თანახმად, მხოლოდ კიბორგი თუ გადაურჩება.

კიბორგმა – ბიოლოგიურმა ორგანიზმმა, მექანიკური და ელექტრონული იმპლანტატების დახმარებით, იმდენად ფართო შესაძლებლობები უნდა შეიძინოს, რომ იდეალურ შემთხვევაში, არა მარტო დედამიწაზე ექსტრემალურ პირობებთან ადაპტირება, არამედ დედამიწის გარეთ არსებობაც შეძლოს.

ადამიანის მანქანებთან და ელექტრონულ ტექნიკასთან გამალებული ინტეგრაცია ჩემი სადიპლომო ნაშრომის კვლევის საგანია, „კიბორგიზაცია, ანუ მანქანებთან ინტიმის საზღვრები“ კი – მისი სამუშაო სათაური. სინგულარობისა და კიბორგიზაციის იდეებით უკვე „მოწამლული“ ვიყავი, როდესაც თვალი „კომსომოლსკაია პრავდას“ პუბლიკაციის სათაურმა მომტაცა – „2045 წელს ადამიანები კიბორგები გახდებიან”. სტატიაში, ნიუ-იორკში რეი კურცვეილის ორგანიზატორობით გამართულ ფუტუროლოგთა სამიტის შესახებ იყო მოთხრობილი, რომელზეც რუსეთის კიბორგების შექმნის პლაცდარმად გადაქცევის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. ამ პროექტის სულისჩამდგმელის, სტრატეგიული მოძრაობა რუსეთი-2045-ის ლიდერის, დიმიტრი იცკოვის სახელიც პირველად ამ სტატიიდან გავიგე.

რუსეთი-2045-ს ამბიციური ამოცანები აქვს. მათ შორის უმთავრესი კაცობრიობისთვის ახალი იდეოლოგიური პარადიგმის შექმნაა, რომლის მსოფლმხედველობრივი საყრდენი ტრანსჰუმანიზმია – კიბორგიზაციის, კიბერნეტიკული უკვდავებისა და თავისუფლების მისეული იდეებით.

„ახალმა იდეოლოგიამ, ადამიანის სრულყოფის მიზნით, თავის ერთ-ერთ პრიორიტეტად გარღვევითი ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობა უნდა დაამკვიდროს. ვთვლით, რომ შესაძლებელია და აუცილებელიც სიბერისა და სიკვდი-

ლის ლიკვიდაცია, ბიოლოგიური სხეულის შეზღუდულობით განპირობებულ ფიზიკურ და ფსიქიკურ შესაძლებლობათა ფუნდამენტური საზღვრების გადალახვა“, – მოძრაობის მანიფესტში პუნქტობრივადაა განმარტებული, რა არ აწყობთ მის ინიციატორებს „კოსმოსური სადგურებით, ატომური წყალქვეშა ნავებით, აიფონებით და სეგვეებით“ აღჭურვილ ცივილიზაციაში. ეს მეცნიერების უკიდურესი უტილიზაციაა, „განვითარების აზრობრივი ორიენტირების ტოტალური მორღვევის ზღვარზე“ მყოფ, პირად კომფორტს გამოკიდებულ მომხმარებელთა საზოგადოებისადმი მისი მსახურება.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მედიცინისა და ბიოლოგიის გარღვევითმა მიღწევებმა მეცნიერები ერთხანს ეიფორიაში ჩააგდო, გაჩნდა რწმენა ადამიანის ყ ვ ე ლ ა დაავადებისგან განკურნების შესაძლებლობისა, მეტიც, შორიახლო პერსპექტივაში უკვდავების მიღწევაც კი რეალურად ჩათვალა ბევრმა. ეს ეიფორია მალე-ვე ჩაცხრა, მაგრამ სწორედ იმ დროს დაიბადა იდეები, რომლებიც დღესაც შთააგონებენ გამბედავ მეოცნებეებს.

რუსი რელიგიური ფილოსოფოსი და ფუტუროლოგი, რუსული კოსმიზმის, როგორც ფილოსოფიური მიმდინარეობის, ერთ-ერთი ფუძემდებელი ნიკოლოზ ფიოდოროვი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ზეფანტასტიკურ ფილოსოფიურ იდეებს ქადაგებდა. მისი აზრით, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება სრულიად გააუქმებდა ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედებას ადამიანზე. ტექნო-ადამიანი ძირეულად შეცვლიდა თავისი ორგანიზმის აგებულებას, აითვისებდა უცხო პლანეტებს და ახალ სამყაროებს, მათი ორბიტების შეცვლასაც კი მოახერხებდა, ხელსაყრელი კლიმატური პირობების შექმნის მიზნით. და რაც მთავარია, მომავალში ადამიანი უკვდავების საიდუმლოს ამოხსნასა და მკვდრეთით აღდგენას შეძლებდა.

1917 წელს ხელისუფლებაში მოსულ ბოლშევიკებს მომავალზე მსგავსი შეხედულებები თუ ჰქონდათ – ერთ-ერთი ვერსიით, ლენინისთვის მავზოლეუმის აგება და მისი გვამის უკეთეს დრომდე შენახვაც ამ „გიჟურ” იდეებს უკავშირდებოდა.

„ჩემი აზრით, კომუნისტები ცნობიერების განვითარების პრობლემისადმი ზერელე დამოკიდებულებამ დაღუპა. თავიანთ მოძღვრებაში სულიერი საწყისის ინტეგრირება რომ მოეხერხებინათ, შეიძლება დღეს მართლაც ზეკაცნი ვყოფილიყავით. კოლექტივიზმი ვერ აღმოჩნდა ის საყრდენი, რომელიც ინდივიდუალობის განვითარებისა და სულის თავისუფლების დასავლურ გამოცდილებას დაუპირისპირდებოდა“, – ამბობს დიმიტრი იცკოვი ანდრეი კონსტანტინოვთან საუბარში („ვიცხოვროთ სინგულარობამდე“, «Русский репортёр», 25.04.2012).

ფიოდოროვისა და სხვათა მოსაზრებებმა XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე ახალი დატვირთვა შეიძინა და ტ რ ა ნ ს ჰ უ მ ა ნ ი ზ მ ი ს მოძღვრებად ჩამოყალიბდა. ტრანსჰუმანისტების თვალსაზრისით, ადამიანი არ წარმოადგენს ევოლუციის ბოლო რგოლს, მით უმეტეს, შესაქმეს გვირგვინს, რაც იმას ნიშნავს, რომ დაუსრულებლად შეუძლია ევოლუციური სრულყოფა. ტრანსჰუმანისტების მიზანი პოსტადამიანის, ნეოადამიანის, ტრანსჰუმანის შექმნაა, რომლის არსებობაც არ იქნება განპირობებული მისი ბიოლოგიური მოცემულობებით. რეიმონდ კურცვეილის პროგნოზით, ტრანსჰუმანი არ არის ადამიანი ჩვეულებრივი გაგებით, არამედ ის ნანორობოტების ერთგვარ ღრუბელს წარმოადგენს.

იცკოვს თვეების წინ, ფეისბუქით დავუკავშირდი. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ინტერვიუზე დამთანხმდა მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი. Я сам учусь, – წამახალისა და ასეთი დამოკიდებულების გამო დავმეგობრდით კიდეც.

ჩემთვის დიმიტრი რუსი ინტელექტუალის პეტერბურგული ტიპია (თუმცა იქ არ დაბადებულა): თავშეკავებულობა, მკაფიო პატრიოტიზმის და შემეცნებითი კოსმოპოლიტიზმის სინთეზი, მოდერნისადმი მიდრეკილება, მსუბუქი დენდიზმი...

მიუხედავად იმისა, რომ თავად ბრწყინვალე ინტერვიუერია, ჟურნალისტებთან ოფიციალურ საუბარს ერიდება. არაფორმალურ საუბრებში, შეხვედრებზე, მედიისა და ფორუმების ანალიზის შედეგად წამოჭრილ კითხვებს სტატიებში პასუხობს და აანალიზებს.

დიმიტრის სახელგანთქმული „პლეშკა“, ანუ პლეხანოვის სახელობის ეკონომიკური აკადემია, რუსეთის საუკეთესო ხუთეულში შესული უმაღლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული, კორპორატიული მენეჯმენტის სპეციალობით. ის 12 წლის მანძილზე ინტერნეტსივრცეში მედიაპროექტების განვითარებაზე მუშაობდა (ცნობილი ინტერნეტ-გამოცემების ვზგლიად.რუ-ს და დნი.რუ-ს ხელმძღვანელია) და როგორც ჩანს, სწორედ ამ გამოცდილების საფუძველზე დაყრდნობით განაცხადა, რომ ახალ იდეოლოგიაზე სოციალური დაკვეთის ფორმირებას შეძლებს, რაშიც ამ იდეოლოგიის ნაციონალურ იდეად ქცევის ამბიცია იკვეთება. როგორც ჩანს, დიმიტრი იცკოვმა იცოდა, რასაც ამბობდა. დღეს მოძრაობაში უკვე 10 000-ზე მეტი ადამიანია გაერთიანებული და ეს მაშინ, როცა ჩანაფიქრი ძალიან ოდიოზურია. მეტიც, მტკივნეული.

ერთხელ დიმიტრის საუბრისას შევთავაზე: თქვენს ადგილას „მიმავალი ნატურის“ («уходящая натура») ფსიქოლოგიური დახმარების სამსახურსაც შევქმნიდი პროექტის ფარგლებში-მეთქი. დაბეჯითებით მიპასუხა, რომ ასეთი სამსახურის აუცილებლობას ვერ ხედავს, რადგან სულ სამ-ოთხ წელიწადში შეძლებს, დაარწმუნოს საზოგადოება თავისი პროექტის ჰუმანურობაში.

თითქმის არ არსებობს შენიშვნა, რომელსაც მოძრაობა მის მხარდამჭერ გამოცემებში მყისიერად არ უპასუხებს, მაგრამ არასოდეს თავდაცვით, ან თავის მართლებით მანერაში. ეს მეხამრიდების გამართული სისტემა თვალმოუხუჭავი მონიტორინგის ნაწილი და დიმიტრის ორგანიზატორული ტალანტის შედე-

გი მგონია. სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა ურიცხვ ოპონენტთან გამკლავება.

„ცრუმეცნიერება განსაკუთრებით საშიშია რუსეთისათვის. ის სტალინის დროს ჰყვაოდა „ლისენკოვშჩინის“ (ტ.დ. ლისენკო – აკადემიკოსი, მიჩურინული აგრობიოლოგიის ფუძემდებელი – თ.კ.) სახით... მისი უახლესი ნიმუშია რუსეთი-2045 – უკიდურესად ქიმერული პროექტი ადამიანის სიკვდილის შემდეგ მისი ტვინის ხელოვნურ სხეულში გადასახლების შესახებ“, – აკრიტიკებს იცკოვის იდეებს ერთ-ერთი რუსული გამოცემა.

მასონობა, ამერიკული პროექტი, მსოფლიო მთავრობის ხრიკები, პუტინის უკვდავება, რუსული ნაციონალიზმი, გრანდიოზული აფერა – ყველაზე რადიკალურები ფორუმებზე ლანძღვა-მუქარას არ ერიდებიან.

მიუხედავად ცხადი და მკაფიო პატრიოტული სულისკვეთებისა, რუსეთი-2045-ს სახელმწიფო ღია მხარდაჭერას არ უცხადებს. იცკოვი ჯერ დიმიტრი მედვედევის ყურადღების მიპყრობას ცდილობდა თავისი ღია წერილებით, ახლა უკვე – პუტინის. მოჩანს კონტურები საომავლოდ უკვდავების პარტიის შექმნის და აქტიურ პოლიტიკაში ინტეგრირების. „იმისათვის, რომ გავლენა გვქონდეს საზოგადოების განვითარებაზე, შევძლოთ ტექნოლოგიების განვითარების გეზის შეცვლა და მივაღწიოთ მიზანს, უახლოეს მომავალში ჩვენ მოგვიწევს პოლიტიკაში წასვლა და უკვდავების იდეების გატანა საპარლამენტო ინიციატივების დონეზე. ჩვენ მზად ვართ [პარტიებთან] თანამშრომლობისთვის, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის აუცილებლობის წინაშეც დავდგეთ...“, – აცხადებს იცკოვი ვზგლიად.რუ-სთან ინტერვიუში.

ტრანსჰუმანიზმის შიგნით ბევრი ქვედინებაა, რომელიც ადამიანის ბიოლოგიური არტახებიდან გათავისუფლების განსხვავებულ გზებს სახავს. რუსეთი-2045 უკვდავების მისაღწევად ირჩევს ტექნოლოგიურ და, შეიძლება ითქვას, ყველაზე რადიკალურ გზას, რომელიც ადამიანისთვის სრულფასოვანი ხელოვნური სხეულის შექმნას გულისხმობს.

დიმიტრი იცკოვი მოუწოდებს საზოგადოებას, დღესვე შეელიონ iPhone-ის მომხმარებლურ კულტურას და სულისკვეთება მიმართონ ახალი iBody კულტურის შექმნისკენ, რომელიც ორიენტირებული იქნება თავად ადამიანის, მისი სხეულისა და ცნობიერების ევოლუციაზე. iPhone კი, რომელიც უფრო მარკეტინგის პროდუქტია, ვიდრე ტექნოლოგიური პროგრესის სიმბოლო, დიდი ვერაფერი სარგებლობის მომტანი აღმოჩნდა

მასონობა, ამერიკული პროექტი, მსოფლიო მთავრობის ხრიკები, პუტინის უკვდავება, რუსული ნაციონალიზმი, გრანდიოზული აფერა – ყველაზე რადიკალურები ფორუმებზე ლანძღვა-მუქარას არ ერიდებიან.

კაცობრიობის ფუნდამენტური პრობლემების – შიმშილის, პლანეტის შეზღუდული რესურსების, კიბოს, სიბერის და სიკვდილის, რასობრივი პრობლემების გადასაჭრელად, თუმცა ჯიბეში მეც მიდევსო. კომპანია Apple-ის დღევანდელი ღირებულების, შესაძლოა, მეათედიც საკმარისი ყოფილიყო არა iPhone-ის მორიგი მოდელის, არამედ სრულიად ახალი პროდუქტის iBody-ის (individual immortal intelligent body – ინდივიდუალურ უკვდავი ინტელექტუალური სხეული) კონსტრუირებისთვის.

რუსეთი-2045-ის 16 პროექტში ჩართული 60-მდე მეცნიერიდან უმრავლესობა რობოტტექნიკოსი, ნეიროინტერფეისის, ხელოვნური ორგანოებისა და სისტემების წამყვანი სპეციალისტები არიან. მათი პროგნოზით, უახლოეს ათწლეულებში ყოველი ადამიანი შეძლებს ნეიროინტერფეისებით მართული სათადარიგო სხეულები იქონიოს, რომლებიც თავად ორიგინალზე ნაკლები შესახედაობის არ იქნება და, ამასთან, „მედეგი იქნება ისეთი ექსტრემალური გარემო პირობებისადმი როგორიცაა: ზემაღალი ტემპერატურები, წნევა, რადიაცია, უჟანგბადობა“.

დიმიტრი იცკოვმა შარშანდელ ფუტუროლოგთა სამიტზე სწორედ ადამიანის ხელოვნური სხეულის შექმნის ტექნოლოგიური პროექტი და რუსეთი-2045-ის ბაზაზე არსებული კორპორაცია „უკვდავების“ 2045 წლამდე გაწერილი გეგმა წარადგინა, რომელიც ოთხი მიმართულებით გაიშლება. პირველ ეტაპზე, ნეიროინტერფეისებით მართული ანდროიდის, ანუ ავატარის, იგივე აიბოდის შექმნა უნდა მოხდეს, რასაც სულ რამდენიმე წელი დასჭირდება. იცკოვის წარმოდგენით, ეს იქნება უკვდავი, არაცილოვანი სხეული, რომელშიც ადამიანის ცნობიერება და მისი პიროვნება ჩაიტვირთება. ის არ დააბინძურებს გარემოს, მას არ დასჭირდება მკურნალობა, ის იქნება ინდივიდუალური ტრანსპორტი, შეასრულებს წარმომადგენლობით ფუნქციებს, მსოფლიოს მასშტაბით იარსებებს მისი გასაქირავებელი პუნქტები. ის გააერთიანებს თავის თავში აიფონს, ვიზუალური ინფორმაციის ჩამწერებს და ათას სხვა ინოვაციურ მიღწევას. ასეთ ანდროიდს, რაკი ის მაინც რობოტის ჟანრში რჩება, რობოტტექნიკოსები უბრალოდ კომპიუტერების გაგრძელებად თვლიან, ანუ მათ უფრო მაღალტექნოლოგიურ ჰიპოსტაზად. რაც შეეხება კორპორაცია „უკვდავების“ მეორე და მესამე მიმართულებებს, ისინი უფრო ამბიციურ, შეიძლება ითქვას, ღმერთთან გამჯიბრებელ ამოცანებს ისახავენ მიზნად. ესაა ცილოვანი ტვინისა და ადამიანის ცნობიერების არამატერიალური სუბსტანციის გადატანა ხელოვნურ მატარებელში. მეოთხე

მიმართულება კი უფრო ტექნოპროექტის კრეატივის დამაგვირგვინებელ მონახაზად მოჩანს და გულისხმობს ვირტუალური სხეული-ჰოლოგრამის შექმნას, რომელიც ფიზიკური და ვირტუალური სამყაროს ნებისმიერ წერტილში შეიძლება იყოს პროეცირებული.

ამ ექსტრაორდინარული გეგმის ლურჯმა სქემამ მსოფლიო მედიასივრცე მოიარა და ბოლოს დალაი ლამას ხელშიც კი აღმოჩნდა. დიმიტრი იცკოვმა მისგან თავის ტექნოპროექტზე კურთხევა მიიღო. „მე დადებითად ვარ განწყობილი სამეცნიერო ძიებების მიმართ, – ბრძანა დალაი ლამამ იცკოვთან საუბარში, რომელიც დარამსალის რეზიდენციაში გაიმართა მარტის ბოლოს, – მაგრამ მოტივაცია მნიშვნელოვანია. თუ ცოცხალ არსებას განვიხილავთ, როგორც რაღაც მანქანას ან მექანიზმს, პატივისცემისა და მასზე ზრუნვის გარეშე, ამას აუცილებლად მოჰყვება ნეგატიური შედეგები. ხოლო თუ თქვენს კვლევებს პასუხისმგებლობით, სიცოცხლისადმი პატივისცემით განახორციელებთ, ამგვარი ექსპერიმენტები მხოლოდ სიკეთის მომტანი იქნება კაცობრიობისთვის“.

სწორედ რუსეთი-2045-ის პროექტის მოტივაციისა და მისი რაობის დადგენას მიეძღვნა რუსეთი-2045-ის და სისტემური პროგნოზირების ევრო-აზიური ცენტრის მიერ ერთობლივად ორგანიზებული საერთაშორისო კონგრესი „გლობალური მომავალი“ („Global Future“), რომელიც წელს, თებერვალში გაიმართა მოსკოვში. სახელგანთქმული მეცნიერები რუსეთიდან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან (მათ შორის, თავად სინგულარობის კონცეფციის ავტორი რეი კურცვეილი, ის სპიკერობდა მრგვალ მაგიდას „ინვესტიციები მომავალში“): ნეირობიოლოგები, ფუტუროლოგები, რობოტტექნიკოსები, კოსმოსური ტექნოლოგიების სპეციალისტები, ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, სასულიერო წოდების წარმომადგენლები, კულტუროლოგები შეიკრიბნენ, რათა ესაუბრათ ახალ ადამიანსა და კაცობრიობის განვითარების ახალ იდეოლოგიურ პარადიგმაზე.

„ჰაერში დაკიდებულ“ იდეებზე მონადირე უნიჭიერესი ადამიანები 25-წუთიანი მოხსენების ფორმატში, საკუთარი პროფესიული გადასახედიდან ცდილობდნენ განესაზღვრათ რუსეთი-2045-ის ტექნოლოგიური პროექტის არსი, მისი განხორციელებადობის ხარისხი და მნიშვნელობა. ერთ-ერთმა მონაწილემ, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკური ნეირობიოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, ალექსანდრე ფროლოვმა, გამოყენებითი პროექტი „ავატარი“ სირთულით ბირთვული იარაღისა და კოსმოსური ტექნოლოგიების შექმნას გაუთანაბრა. სხვათა შორის, არსებობს თვალსაზრისი, რომ ავატარები, ანუ ნეიროინტერფეისებით მართული რობოტები, ბირთვული იარაღი თუ არა, ქსელური ომების მთავარი იარაღი ნამდვილად გახდება. ქსელური ომები კი, ზოგიერთი შეხედულებით, სამომავლოდ



სრულიად ჩაანაცვლებს ომის წარმოების ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ სტრატეგიებს. როგორც ჩანს, ავატარები ე.წ. გარდამავალ პერიოდშიც დაინერგება.

დიმიტრი იცკოვმა ჯერ კიდევ შარშან ოქტომბერში, ნიუ-იორკში გამართულ სინგულარობის საერთაშორისო სამიტზე გამოაცხადა უკვდავებისთვის რბოლა სამშვიდობოდ და საერთაშორისო საზოგადოებრიობას ერთობლივი ძალისხმევისკენ მოუწოდა. „რუსეთსა და აშშ-ს შორის, დაძაბულ ურთიერთობათა დიდი გამოცდილება არსებობს: კოსმოსურ ტექნოლოგიებში კონკურენცია, ცივი ომისა და შეიარაღების რბოლა. მსურს, რომ ახალი რბოლის დაწყება შემოგთავაზოთ: ესაა რბოლა უკვდავებისთვის. და ის იქნება პირველი პოზიტიური პროექტი, რომელიც ჩვენ შორის ურთიერთობებს კი არ დაძაბავს, არამედ გააუმჯობესებს. იმის ნაცვლად, რომ ახალ საფრთხეებს ვიგონებდეთ ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, პირველად ვიზრუნებთ სიცოცხლის შენარჩუნებაზე, პირველად გვექნება სასიკეთო კონკურენცია. და მნიშვნელობა არ აქვს, ვინ გაიმარჯვებს. მთავარია, რომ ადამიანებმა შეძლონ იმდენ ხანს სიცოცხლე, რამდენ ხანსაც გაუხარდებათ. ამით მთელი კაცობრიობა მოიგებს (Project "mmortality-2045"- Russian experience. 16.10.2011.www.russia-2045.com).

რუსეთი-2045 დაუღალავად ცდილობს თავისი პატივისცემა გამოხატოს ყველა ადამიანის სულიერი და კონფესიური ფასეულობების მიმართ და მიუხედავად ამისა, ეთიკის საკითხი მაინც რჩება პროექტის აქილევსის ქუსლად. სწორედ ის ბადებს უამრავ შეკითხვასა და ეჭვს. რმა-ის ხელოვნური ინტელექტის მეთოდოლოგიის სამეცნიერო საბჭოს თანათავმჯდომარე, პროფესორი დავიდ დუბროვსკი თვლის, რომ „უკვდავების მოპოვების შემთხვევაში, ადამიანი შეინარჩუნებს ძველ გენეტიკურ პროგრამებს, აგრესიულობაზე, ეგოიზმსა და მომხმარებლობაზე ჩაციკლულს“, რაც იმას ნიშნავს, რომ „მომავლის ადამიანში მაღალი ზნეობრივი დონის აღზრდის რეცეპტები ჯერჯერობით უცნობია“.

დიმიტრი იცკოვის აზრით, ეთიკა პროექტის განვითარების ფეხდაფეხ უნდა ევოლუციონირებდეს იმ დონეზე, რომ 2045 წლისათვის ავატარებით და კიბერ-დანამატებით აღჭურვილმა ადამიანმა თავისი თითქმის ღმერთის სადარი შესაძლებლობები კაცობრიობის სასიკეთოდ გამოიყენოს და არა ნგრევისთვის, როგორც აქამდე. მაგრამ ასე გამალებით განვითარებული ეთიკა ეგებ სულაც არ იყოს ეთიკა ტრადიციული გაგებით?

არსებული ცივილიზაციის რელიგიური პრიორიტეტები ამოყირავდება, – მიიჩნევს მოძრაობის თანამგრძნობი ერთ-ერთი ექსპერტი, მაგრამ ეს გარდაუვალია და ამას ვერ შევცვლით.

ისტორიას „ეთიკისა“ და ფუტუროლოგიის თანამშრომლობის არაერთი სავალალო მაგალითი ახსოვს. იქნებ ეთიკა კი არ უნდა მოვარგოთ ახალ ადამიანს, არამედ ახალი ადამიანი უნდა მოერგოს ეთიკას?! ეთიკის შეკვეთილი ევოლუცია, მისი გარდაქმნის მცდელობა ყველა არსებული რელიგიის ფასეულობრივ სისტემას აყენებს ეჭვქვეშ. თუმცა, მოძრაობას მოწყალე თვალით უყურებენ ის რელიგიები, რომელთათვისაც უცხო არაა მულტისხეულებრიობის ტრადიციები და ადამიანის ცნობიერების უნიკალური ექსპერიმენტებით ცნობილი სასულიერო პრაქტიკები.

რუსეთი-2045-ის იდეოლოგიის ერთ-ერთი მთავარი საყრდენია ტრანსცენდეტური ტრანსჰუმანიზმის იდეა, რომელიც ტრანსჰუმანიზმის ადვაიტა-ვედანტასთან და სხვა ინდურ ფილოსოფიურ სისტემებთან სინთეზის საინტერესო ვარიანტს წარმოადგენს. მოძრაობის აქტიური მხარდამჭერის, ადვაიტა-ვედანტას ინდური ორდენის ბერის, სვამი ვიშნუდევანანდა გირის თქმით, მისი რელიგიური სწავლების ტრადიციაში არსებობს ტექნიკები, რომლებიც იოგს საკუთარი ცნობიერების ალტერნატიულ სხეულში გადატანის საშუალებას აძლევს.

ქრისტიანობისთვის ადამიანი სულის და ხორცის ერთობაა და მათი განცალკევების იდეა არა მარტო წარმოუდგენელია, არამედ ღვთაებრივი წესრიგის უმაგალითო შებღალვაცაა. „ჩვენ ნამდვილად არ ხელგვეწიფება სულის სხეულისგან გამოცალკევება და მისი იქ გადატანა, სადაც მოგვეპრიანება“, – ამბობს ცნობილი რუსი თეოლოგი ალექსეი ოსიპოვი. სმოლენსკისა და ვიაზმას ეპისკოპოსი პანტელეიმონი თვლის, რომ „ყველა მსგავსი ტექნოლოგია ბოროტებაა, არაბუნებრივია და არღვევს ღვთის ჩანაფიქრს. ჩემი აზრით, ეს იმ რევოლუციური თემის გაგრძელებაა, რომელიც ჩვენში XX საუკუნის დამდეგს გაჩნდა: „ჩვენს სამყაროს ჩვენ თვითონ ავაშენებთ... არავინ გვჭირდება: არც ღმერთი, არც მეფე და არც გმირი! რასაც გვინდა, ყველაფერს თანამედროვე მეცნიერების დახმარებით მივაღწევთ!“ (დიმიტრი პისარენკო, „კიბორგების ეპოქა გვიტევს: ტვინის გადანერგვა უკვდავებად გვაქცევს“,14.03.2012, kp.ru).

არსებული ცივილიზაციის რელიგიური პრიორიტეტები ამოყირავდება, – მიიჩნევს მოძრაობის თანამგრძნობი ერთ-ერთი ექსპერტი, მაგრამ ეს გარდაუვალია და ამას ვერ შევცვლით, მოდით, ნუ დავემსგავსებით იმ დინოზავრებს, რომლებიც იმისთვის შეკრებილან, რათა ახალი ევოლუციური რგოლის – ძუძუმწოვრების გაბატონების შეჩერება განუზრახავთ – ამგვარი მაქსიმები, ცხადია, ყურს ჭრის და თანამედროვე ადამიანს საკუთარი არსებობის უმნიშვნელობაზე დააფიქრებს. ფრენსის

ფუკუიამამ, როგორც ბიოეთიკოსმა, კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა ტრანსჰუმანიზმი, რადგან მასში ადამიანის უნიკალური არსისა და მის უფლებათა შებღალვა დაინახა. ესეც რომ არ იყოს, ადამიანს საღვთო უფლებაც გააჩნია აუთენტიურობაზე. ჩვენ ვუკადრისობთ სიყალბეს და პიროვნების პროტეზირება, მისი სუროგატები და ასლები ძნელად თუ მოგვანიჭებს ბედნიერებას. ბოლოს და ბოლოს, ადამიანი ხომ საბოლოოდ დაკარგავს თუნდაც ფიზიკურ-ემოციური განვითარების მოტივაციას. ყოვლისშემძლეობის ილუზიის ფსიქო-კაფსულაში, თუ ფსიქო-ტუნელში გამომწყვდეულს, ფსიქოლოგების აზრით, აუცილებლად განელევა ემპათია ანუ თანაგანცდის უნარი, რაც გამოიწვევს ზნეობრივი თამასის დაბლა დაწევას, რომელიც მანამდე მის აგრესიას და სხვა ინსტინქტებს არეგულირებდა. აბსოლუტის სასარგებლოდ ადამიანის პიროვნების ზღვრული გაფართოების ამოცანა კი, რომელიც მსოფლიო ჰუმანისტურ კულტურებში თავად ადამიანშივე, როგორც მიკროკოსმოსში, ხორციელდებოდა, საერთოდ კარგავს აზრს და მომხიბვლელობას.

რაც შეეხება, ზოგადად კულტურას, მას ალბათ იმ მხრივადაც შეავიწროებს მოძრაობა, რომ მიზნობრივი, ანუ თავის მსოფლმხედველობას მორგებული კულტურის ტოტალურ პროპაგანდირებას და დანერგვას გვპირდება. და ეს მხოლოდ მცირე ნაწილია შეკითხვებისა, რაც პროექტის გაცნობისას ჩნდება.

მთავარი კითხვა მაინც ასე ჟღერს – რამდენად რეალურია დიმიტრი იცკოვისა და სხვა ტრანსჰუმანისტების გამაოგნებელი იდეების ბოლომდე რეალიზება?

ჩამონათვალი ინოვაციური მიღწევებისა, რომლებსაც თავად იცკოვის ოპტიმიზმი ეფუძნება, ასეთია: Shadow Robotics-ის, Robonaut Hand-ის და სხვა კომპანიების ხელები და ხელის მტევნები; Boston Dynamics-ის სამოძრაო აქტივობის სისტემები; ჰიროში ისიგუროს გემინოიდების სახის მიმიკის სიმულაცია; ბერკლის და სტენფორდის სპეციალისტების შექმნილი ხელოვნური კანი, რომელსაც მგრძნობელობა გააჩნია; ლოზანის ტვინისა და ცნობიერების ინსტიტუტის პროექტის Blue Brain-ის (ცისფერი ტვინის) ფარგლებში ხელოვნური ტვინის მოქმედი მოდელის უჯრედ-უჯრედ, ნეირონ-ნეირონ აღდგენის მცდელობა; პროფესორ უაიტისეული მოდელი პრიმატის ტვინის სიცოცხლის უზრუნველყოფისა, რომელიც იმდენად სრულყოფილი იყო, რომ ექსპერიმენტულ პირობებში საშუალებას იძლეოდა მაკაკას ტვინს სხეულისგან მოშორებით ეცოცხლა; Carboncopies და MIT-ის მიერ ერთობლივად შემუშავებული ერითროციტების ზომის მიკრო-გადამწოდები, რომლებსაც შეუძლიათ სისხლში მოგზაურობა, მათზე ათეულობით ათასი დამკვირვებელი და ინფორმაციის გადამცემი ტრანზისტორია დამონტაჟებული; პროექტი ATLUM & Molecular sticky tape, რომელიც გენეტიკური მოდიფიკაციების საშუალებით აიძულებს უჯრედებს თითოეული სინაპსის გენური მახასიათებლით მონიშვნას, რაც ნეირონთა კავშირების რუკის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა.

ეს შთამბეჭდავი ჩამონათვალი აუცილებლად ჰპოვებს გამოყენებას სხვადასხვა სფეროში, უპირველესად, ალბათ მედიცინაში, მაგრამ ადამიანის პიროვნება მაინც ბევრად მეტია, ვიდრე ნეირონებს შორის კავშირი – ის უნიკალური წარმოდგენების, მოგონებებისა და ფანტაზიების ერთობლიობისგან შემდგარი მთელი სამყაროა. შეიძლება ყველაფერ ამის დატანა უსულო მანქანაში? „ცისფერი ტვინის“ პროექტს, მაგალითად, კურცვეილიც კი სკეპტიკურად უყურებს, რადგან ამოქმედებულიც რომ იქნას მილიარდობით ნეირონის ემულაცია, მას მერე სწავლება დასჭირდება და ამაზე რა დრო წავა, ეგ უკვე კაცმა არ იცისო.

„ამაზე ლაპარაკი მაშინ გახდება შესაძლებელი, როცა მეცნიერებს ზუსტად ეცოდინებათ, რა არის ცნობიერება, – ამბობს ჰიროში ისიგურო, პირველი ანტროფომორფული რობოტის „გემინოიდის“ შემქმნელი, – დღესდღეობით კი ეს არაა ცნობილი“.

რაც შეეხება ცილოვანი ტვინის ხელოვნურ მატარებელში გადანერგვას, რმა-ის ადამიანის მორფოლოგიის ინსტიტუტის ნერვული სისტემის განვითარების ლაბორატორიის ხელმძღვანელი სერგეი საველიევი ამისთვის ორ გადაულახავ წინააღმდეგობას ხედავს: „ჯერ ერთი, შეუძლებელია სხეულიდან მომუშავე ტვინის ნერვებიან-გრძნობის ორგანოებიანად ამოღება, მეორეც, ტვინი სისხლძარღვოვანი სისტემის გარეშე მხოლოდ 6 წუთი ცოცხლობს და მერე ყოვლად პროზაულ ხრწნას იწყებს. რაც შეეხება ტვინის გაყინვას იმ იმედით, რომ ოდესღაც მას ახალ გარსში მოათავსებენ, ეს სრული აბსურდია, რადგან ტვინს აქვს პერიფერიული კავშირები ჩვენს სხეულში, და ყველა ნერვის გადაჭრა უბრალოდ ტვინის მოკვლას ნიშნავს” (დიმიტრი პისარენკო, „კიბორგების ეპოქა გვიტევს: ტვინის გადანერგვა უკვდავებად გვაქცევს“,14.03.2012, kp.ru).

ტვინის სიკვდილთან და ცნობიერების დაბინავებასთან დაკავშირებით ძალზე მნიშვნელოვანი მოსაზრება გამოთქვა დალაი ლამამ დიმიტრი იცკოვთან საუბარში: „არსებობს ცნობიერების დონე, რომელიც მთლიანადაა დამოკიდებული ტვინსა და ნერვულ სისტემაზე, ამიტომ როცა ტვინი და ნერვული სისტემა კვდება, ცნობიერებაც ქრება... მაგრამ რჩება დონე ფაქიზი ცნობიერებისა, რომელიც სიცოცხლეს აგრძელებს. მაგრამ მერე, თქვენ როგორ გამოიყენებთ ცნობიერებას, – ამ ფაქიზ ცნობიერებას? ეს კარგი კითხვაა (იცინის)“. („ჩვენი შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაიზრდება“, 4.05.2012, ვზგლიად.რუ).

ამ წინააღმდეგობების გათვალისწინებით, რუსეთი-2045-ის პროექტი შეიძლება ბრწყინვალე უტოპიის მოდელირების მცდელობადაც ჩაითვალოს, რომელიც თავისი პროვოკაციული შინაარსით მოწოდებულია მთვლემარე მდგომარეობიდან გამოიყვანოს რუსული მეცნიერება, ბიძგი მისცეს რუსული ინტელექტუა-

ლური პასიონარულობის (ეს ტერმინი ანა ახმატოვას ვაჟის, ცნობილი ეთნოლოგის ლევ გუმილევის დანერგილია და კოლექტიურ ეროვნულ აღმაფრენას, აღტკინებას გამოხატავს) აღორძინებას, რომელიც 90-იან წლებში ტვინების მასობრივმა გადინებამ სერიოზულად დააზარალა. ასეთ საქმეში ზეამოცანების მნიშვნელობის ექსპერტი, ცნობილი ფუტუროლოგი მაქსიმ კალაშნიკოვი მოძრაობის საინიციატივო ჯგუფის წევრი და ერთ-ერთი იდეოლოგია. მის ინიციატივას უკავშირებენ კალიფორნიული სილიკონის ველის (Silicon Valley), გრანდიოზული ინოვაციური კომპლექსის, რუსული ანალოგის სკოლკოვოს მშენებლობას. თუმცა, კალაშნიკოვი კატეგორიულად წინააღმდეგია სილიკონის ველის ბრმად კოპირების. მსგავს მცდელობებს ის სრულ ფიასკოს უწინასწარმეტყველებს და მათ წარმატების მიღწევის ველურ მეთოდად მიიჩნევს, რომელიც მხოლოდ გარეგნული ნიშნების იმიტაციაზეა აგებული. „არავის სურს შეიგნოს, – ამბობს კალაშნიკოვი, – რომ ტექნოპარკები და სასწაულებრივი ველები წარმატებულია მხოლოდ მაშინ, როცა იქმნებიან დიადი, მიღმური მიზნებისთვის, გრანდიოზული ამოცანებისთვის“ (სწორედ ზერთული ამოცანების დასახვის ტალანტის გამო, რამაც რუსეთს ატომური იარაღი და კოსმოსში გაჭრა მოუტანა, ემადლიერება ის ბერიასა და სტალინს, და მათ დროინდელ სსრკ-ს რუსული იმპერიის მწვერვალად აღიარებს. თავად სილიკონის ველის დიდებაც კენედის 1961 წელს გაცხადებულ სუპერმიზანს – 1969 წლამდე მთვარეზე ადამიანის გადასმას – უკავშირდება). (მაქსიმ კალაშნიკოვი, „მდარე ფანტაზიის კრიზისი“, www.russia-2045.com). გახდება თუ არა რუსეთი-2045-ის პროექტი რუსეთის ზესახელმწიფოებრივი პოტენციალის დამბრუნებელი ზეამოცანა ამას დრო გვიჩვენებს.

P.S. კონგრესის (GF-2045) ვიდეოების ნახვის მერე, რომლებიც იმდენად ჩამთრევი აღმოჩნდა, რომ ორი დღე-ღამის განმავლობაში პრაქტიკულად ვერ მოვწყდი ლეპტოპის ეკრანს, რაღაც ნათელი სიხარულის იმპულსი ვიგრძენი. არადა, საკმაოდ დათრგუნული ვიყავი დიდი მოცულობის ურთულესი სამეცნიერო ინფორმაციის პრესის ქვეშ, ტვინი ახდაზე მქონდა. ჩემი შთაბეჭდილებების მასიდან მაინც გამოვარჩიე იმპულსის მიზეზი

კიბორგების და ავატარების ხანაში აუცილებლად აზვირთდება დეჰუმანიზაციის და მარტოობის კრიზისი, რომელსაც მეცნიერება ველარ გასწვდება. მაგრამ დაკარგულის დაბრუნება იოლი საქმე არაა. ამიტომ კაცობრიობამ სჯობს დღესვე გამოაცხადოს რბოლა ევოლუციური ლიდერობის შესანარჩუნებლად, ვიდრე კიბორგიზაცია ჯერ კიდევ ფუტუროლოგთა აბსტრაქციების საგანია. ხვალ, ექსპონენციალურად აჩქარებულ დროში, ეს შეიძლება უსაშველოდ დაგვიანებული იყოს.

და მას ცნობილი ასტროფიზიკოსის, „პანოვ-სნუქსის მრუდის“ (ეს მრუდიც სინგულარობის ამსახველია) ავტორის ალექსანდრე პანოვის მოხსენებაში მივაგენი. ის აღმოჩნდა „სედოვის იერარქიული კომპენსაციების კანონი“, რომელიც პანოვმა სინგულარობის შესაძლებელი სცენარების დახასიათებისას გამოიყენა. ამ კანონის თანახმად, როცა ახალი ევოლუციური ლიდერი ჩნდება, ძველი ევოლუციური სისტემები კი არ ქრებიან, არამედ მხოლოდ ადგილს იცვლიან ევოლუციურ სისტემაში, სადღაც მის პერიფერიაში გადადიან, შესაძლოა, გარკვეული რედუცირებაც განიცადონ. პანოვი ამ პოსტულატს მეცნიერების ბედს უკავშირებს: „... მეცნიერება ტიპური პროგრესული მოვლენაა, რომელიც რაღაც კრიზისების საპასუხოდ გაჩნდა და მათ გადალახვას ემსახურება. მაგრამ ის, როგორც ადამიანური ცივილიზაციის ვექტორის განმსაზღვრელი, არ შეიძლება იყოს მარადიული ლიდერი. მას ადრე თუ გვიან სხვა ევოლუციური ლიდერი შეცვლის, რომელზეც ჯერ არაფერი ვიცით“. ჩვენ იგივე წარმატებით შეიძლება მივუსადაგოთ ეს თვალსაზრისი ნეოადამიანს, იგივე კიბორგს, რომელიც ტრანსჰუმანისტების პროგნოზებს თუ ავყვებით, ერთადერთი ხსნაა კაცობრიობის სინგულარობის კრიზისიდან გამოსაყვანად. ადამიანი როგორც ბიოლოგიური სახეობა კი არ გაქრება (ჩემი სიხარულიც ეს იყო), არამედ რამდენადმე რედუცირდება. სწორედ ამ პერიფერიულ არსებობაში, ანუ ნეოცივილიზაციის ჩრდილში, მას კიდევ მიეცემა შანსი აღდგეს და დაიბრუნოს დაკარგული პოზიციები და ც ო დ ნ ა, რომლებიც მომხმარებლობას და სხვა ბევრად უფრო მდაბალ ინსტინქტებს გადააყოლა, რადგან კიბორგების და ავატარების ხანაში აუცილებლად აზვირთდება დეჰუმანიზაციის და მარტოობის კრიზისი, რომელსაც მეცნიერება ველარ გასწვდება. მაგრამ დაკარგულის დაბრუნება იოლი საქმე არაა. ამიტომ კაცობრიობამ სჯობს დღესვე გამოაცხადოს რბოლა ევოლუციური ლიდერობის შესანარჩუნებლად, ვიდრე კიბორგიზაცია ჯერ კიდევ ფუტუროლოგთა აბსტრაქციების საგანია. ხვალ, ექსპონენციალურად აჩქარებულ დროში, ეს შეიძლება უსაშველოდ დაგვიანებული იყოს.

Olympia

შეუზღუდავი პასუხისმგებლობის კორპორაცია „ზურა ქარუმიძე“

ავტორი ალექს ჩიღვინაძე
ფოტო ლევან ხერხეულიძე

„კარგი ხელოვნება ეგეთი ხედვით იწყება: „ვცდილობ დავუკრა რა-ღაც ახალი იდეა, არაამქვეყნიური გზნებით შეფერილი“
ერიკ დოლფი ჯორჯ რასელს, გრიგოლ რობაქიძის ენით

– აქ იყო „ქიმერიონი“, – მეუბნება ზურა.

რუსთაველის თეატრის ტუალეტში ვდგავართ და ვეწევით. დარბაზში ლიტერატურული პრემია „საბას“ დაჯილდოების ცერემონია მიმდინარეობს. შორიდან აღწევს აპლოდისმენტები. მალე წლის საუკეთესო რომანის ნომინაციაში გამარჯვებულს გამოაცხადებენ. ზურას რომანი „მელია-ტულეფიაც“ არის წარდგენილი.

– ავალ, არ გამოაცხადონ... – მეუბნება და სიგარეტს აქრობს.

სარკეში ვხედავ ბოლში გახვეულ საკუთარ სახეს და ღია კარში ჩანს ზურა, რომელიც „ქიმერიონის“ გავლით რუსთაველის თეატრის დარბაზს ჩქარი ნაბიჯით უბრუნდება. მეჩვენება, რომ ეს ადგილი უფრო ცოცხალია, „ტულეფიაში“ აღწერილის წაკითხვის შემდეგ... ვბრუნდები დარბაზში და თვალებით ვეძებ ზურას...

ზურას რომანმა ვერ გაიმარჯვა, მაგრამ აქ ეს არ არის მთავარი. აქედან არ იწყება ეს ისტორია. გიყვებით ამბავს ვისკიზე, მისტიკაზე და ზურაზე. ის J&B-ს მოფერებით იოსიფ ბროდსკის ვისკის ეძახის. მისტიკა კი, არ ვიცი, შეიძლება ვისკის ოქროსფერ ნისლში ჩაკარგვაც იყოს, ან როცა ფორტეპიანოს მიუჯდება და რომელიმე ჯაზური კომპოზიციის დაკვრას იწყებს.

ზურა გამომცემლობა „სიესტაში“ გავიცანი, სადაც წელიწადზე მეტხანს ვმუშაობდი. იქაურობის ხშირი სტუმარი იყო. „სიესტამ“ მისი სამი წიგნი გამოსცა: 2009-ში – „ჯაზის ცხოვრება“, რომელშიც ორი წლის წინ საბას პრემია მიიღო, დოკუმენტური პროზის ნომინაციაში, წელს კი – „დაგნი, ანუ სიყვარულის ნადიმი“ ინგლისურ ენაზე, რომელიც „დუბლინის პრემიაზეა“ წარდგენილი და „მელია-ტულეფია: Fox -Trot“...

„ზურა ნამდვილი მწერალია, რა!“ – ასე დამიხასიათა ის ერთმა ჩემმა თანამშრომელმა, რომელსაც მაინცდამაინც არ უყვარს წიგნი და კითხვა. სამაგიეროდ, შესანიშნავად წარმოუდგენია, როგორი უნდა იყოს კარგი მწერალი და მის წარმოდგენას ზუსტად ემთხვევა ზურა ქარუმიძე, იმიტომ, რომ მასთან ლაპარაკი ყოველთვის საინტერესო, მისი წიგნები კი ინფორმაციის მდიდარი საბადოა...

ძნელია საკუთარი თავის შეცნობა, მაგას მთელი ცხოვრება უნდა, – ამბობს ზურა. წარმოიდგინე ტვინის კლავიშები, რომლებზეც ნოტებს იღებენ, მელოდია ძალიან გეცნობა, მაგრამ ვერაფრით გაიმეორებ. კიდევ ერთხელ უსმენ, მაგრამ მაინც არ გრჩება. მხოლოდ ცალკეული ნოტები გესმის. შეკითხვა – „ვინ არის ზურა ქარუმიძე?“ – იმიტომ დავუსვი, რომ ცალკეული ნოტები აეღო და საზღვრები მოგვენიშნა, სადამდე წავიდოდით, მოგვეხაზა კონტურები პორტრეტისა... კონტურები კი ასეთია:

***

„ზურა ქარუმიძე არის ზურა ქარუმიძე. ეკლექტური, ბევრ რამეს მოდებული ტიპი, რომელსაც კარგი მუსიკა და კარგი სასმელი უყვარს. კიდევ რა? რომ ვთქვა, რომ ძალიან ღრმა პიროვნებაა, მოგატყუებ. უფრო მცურავია, ვიდრე მყვინთავი, უფრო სპრინტერია, ვიდრე სტაიერი“.

გუშინ დამესიზმრა, ვიღაც მეუბნებოდა, წავედი ახლა მე, იმიტომ, რომ თავში გზა მაქვსო. ჰოდა, რატომღაც ვთხოვე, აეხსნა, რას ნიშნავდა ეს თავში გზის ქონა. იმ უცნობმაც დაიწყო და აი, როგორც კომიქსებში, ისე გაჩნდა მის თავზე ღრუბელი, სადაც ვხედავდი, რას გულისხმობდა. მისი ხმა არც მესმოდა. ვხედავდი მხოლოდ თეთრ ღრუბლებში მოქცეულ მოძრავ პეიზაჟებს. და მივხვდი, რომ ძალიან კარგად ვიცი, რას ნიშნავს, თავში გქონდეს გზა. რას ნიშნავს წასვლის სურვილი? რას ნიშნავს, რომ აუცილებელი არ არის ცხოვრება, მთავარია ხეტიალი, მოგზაურობა... ეს „თავში გზა“, ალბათ, ჯერ კიდევ იმ მომენტიდან გვიჩნდება, როცა სარკეში საკუთარი ანარეკლის გარჩევას ვსწავლობთ... როცა „სარკეები ქარის წისქვილებს ემსგავსებიან“ და მოგზაურობ განათლებაში, პროფესიაში, სიყვარულში, სექსში... ჰოდა, რადგან საქმე გარბენებზე და გზაზე მიდგა, ვინტერესდები, როგორი იყო სტარტი.

„გაგეცინება, მაგრამ ყველაფერი დაიწყო ფილმით. ფრანკო ძეფირელის ფილმით „რომეო და ჯულიეტა“. მერვე კლასში ვიყავი. მაგ ფილმის ნახვის შემდეგ დავჯექი და, პრაქტიკულად, მთელი შექსპირი წავიკითხე. მაშინ გადავწყვიტე, რომ ჩემი სამომავლო საქმიანობა ინგლისურ ლიტერატურასთან ყოფილიყო დაკავშირებული... ორმოცდამეშვიდე სკოლაში ვსწავლობდი, რომელიც სპეციალიზებული ინგლისური სკოლა იყო და მერვე კლასში დავდგით „რომეო და ჯულიეტა“, ინგლისურად. მე ვთამაშობდი ტიბალტს... როცა საშინაო დავალებას მოვრჩებოდით, საღამოობით მივდიოდით ერთ ქალბატონთან, რომელიც ყოფილი მსახიობი იყო, ის რაღაცნაირად გვეხმარებოდა როლების გააზრებაში, ვკითხულობდით ერთად და შემდეგ ვიწყებდით მზადებას სათამაშოდ. კარგი საღამოები იყო, იქ მოვისმინე პირველად Simon & Garfunkel, სულ პირველი ალბომი, იმ ქალის შვილიშვილს უყვარდა...“

აქეთ „რომეო და ჯულიეტა“, იქით კი საიმონი და გარფანკელი. მგონი, საკმარისი მიზეზებია, რომ ბრიტანეთის წვიმიანი მიწის სიზმრები გადმოგედოს, წერამ აგიტანოს, თან თუ არ ჩერდები და ნელ-ნელა სულ უფრო ღრმად შედიხარ ამ სამყაროში – ჰამლეტი და ჯონ ლენონი, ელისი საოცრებათა ქვეყანაში, სიჩუმის ხმები,

ჯონ დონი და გზა თავში, გზა, რომელიც იქით წაგიღებს და არ არის მნიშვნელოვანი, სად... – მერე ამერიკასაც გადაწვდები და როგორც ზაპპა იტყოდა, „პლასტმასის რობოტები გეტყვიან, რა უნდა წაიკითხო“.

ძენის ოსტატები ამბობენ, როცა მოსწავლე მზად არის, მასწავლებელი მას თვითონ იპოვნისო. ზურამ უნივერსიტეტში ჩააბარა და, როგორც თვითონ ამბობს, შექსპიროლოგ ნიკო ყიასაშვილს „დაუდგა“ სტუდენტად, როგორც ძველ რომანებშია. კიდევ, გერმანისტ მიშა კვესელავასთან ურთიერთობამ ითამაშა თავისი როლი...

„სადღაც 19 წლის ასაკში პირველი მოთხრობა გავაკეთე. მაშინ ძალიან ძნელი იყო სადმე რაიმეს დაბეჭდვა. მე და ჩემმა მეგობრებმა ავიღეთ და ჩვენ თვითონ გამოვიგონეთ ჟურნალი, რომელსაც „კენტავრი“ დავარქვით. მაშინ საბეჭდი მანქანა ერთდროულად მხოლოდ 8 ასლს, 8 პირს იღებდა, მეტი არ გამოდიოდა, ჰოდა, ეს 8 ეგზემპლარი გავაკეთეთ. რის გამოც, შემდეგ, სუკის ჯურღმულებში ამოვყავი თავი... 77 წელია. ვილაცას ეგონა, რომ ეს პოლიტიკური ხასიათის ანტისაბჭოთა ჟურნალი იყო, რატომღაც ზვიად გამსახურდიას დაუკავშირეს. მერე წაიკითხეს და – ჩვენო, პოლიტიკურ დისიდენტებს დავდევთ, გიჟებთან საქმე არა გვაქვსო“.

„სუკი, ალბათ, უფრო მოთხრობებმა „გააგიჟა“, მათ შორის, ალბათ, ზურას მოთხრობებმაც, რომლებიც, როგორც მითხრა, „სიურრეალისტურ-აპოკალიპტური“ ტექსტები იყო, „კალმის პირველი ცდა“...

***

იმ უცნაურ დროს, როდესაც „37 მანეთიანი სამოთხე“ ინგრევა, საქართველო იმ კენტავრს ჰგავს, რომელიც უნაგირს მალავს, ამტკიცებს, ადამიანი ვარო და ხელით სიარულს იჩემებს, მაგრამ არ გამოსდის და ისევ თავის მითოლოგიური წარმოშობით ამართლებს მარცხს.

უნდა აგვერჩია მამული, ენა, სარწმუნოება, თუ სლავური გარეგნობის მზეთუნახავები, ჩალის ფასად ნაყიდი თვითმფრინავის ბილეთები და დომინოს წკაპა-წკუპი სამსახურში... აქეთ – ჩაკეტილი, ჩაჟანგებული საზოგადოება და იქით – ახალი ურდულებით, ბოქლომებით აღჭურვილი ნაციონალისტი დისიდენტები...

„Some lovely glorious nothing I did see“ (არაფერს ვხედავ მშვენიერს), – წერდა ჯონ დანი. ზურა ამ ინგლისელი პოეტის კვლევას იწყებს, უცნაური ბიოგრაფიითა და კიდევ უფრო უცნაური მეტაფიზიკური პოეზიით. ჯონ დანი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და პოპულარული ინგლისელი პოეტია. ის მღვდელი იყო. ცხოვრებაში არცერთი ლექსი არ გამოუქვეყნებია. უამრავ ქადაგებასთან ერთად, მას თვითმკვლელობის დასაცავი ტრაქტატიც ეკუთვნის.

„უნივერსიტეტში სწავლისას საკუთრივ მხატვრულ პროზას ნაკლებად ვწერდი და ძირითადად ლიტერატურათმცოდნეობითი მუშაობა წავიდა, მაშინ დავიწყე უკვე ჯონ დანზე მუშაობა. ჩემი უფროსი მეგობარი – თემურ კობახიძე მუშაობდა ტომას ელიოტზე, ხოლო ელიოტი ჯონ დანის ერთ-ერთი ხელახლა აღმომჩენი იყო მე-20 საუკუნისათვის“.

ჰოდა, აქედან გავედი ჯონ დანზეო, ჯერ დიპლომი გავაკეთე, შემდეგ კი დისერტაციაო. მისმა მეტაფორებმა თავბრუდამხვევი ეფექტი მოახდინაო, – ამბობს და ამატებს, რომ დონის პოეზიაში ინტელექტის და მგრძნობელობის უნიკალური ბალანსი მოსწონს. არადა, ამ პოეტს ოფიციალური საბჭოთა ლიტმცოდნეობა მაინცდამაინც გულში არ იხუტებდა – „ფორმალისტ-მანიერისტად“ მიიჩნევდა, რელიგიურ მისტიკაში გადავარდნილად, კონტრრეფორმაციის პოეტად...

მიყვარს ის ავტორები, და ზურა ერთ-ერთი მათგანია, ვის ტექსტებშიც ვხვდები იმას, რომ ავტორი ბოლომდე ენდობა საკუთარ გონებას, მაგრამ სანამ ამ ნდობას მოიპოვებდა, დაეჭვების, გაკვირვების და უნდობლობის დიდი ისტორია გამოიარა... „სერიოზულად ჩავუჯექი და წავიკითხე კანტის „მსჯელობის უნარის კრიტიკა“. დავდიოდი გურამ თევზაძესთან საკონსულტაციოდ, რომ აეხსნა რაღაცეები. მერე ჰაიდეგერის კითხვა წავიდა“. მახსოვს, კანტს რომ ვკითხულობდი, გაოგნებული ვიყავი, როგორ შეიძლება დრო და სივრცე ასე დამარცვლო, მოახერხო, ასე ჩაუღრმავდე დეტალებს... დროის ამბავში ჰაიდეგერს ვუსმენ. დრო დროობს მომავლიდან. ის კი არა, რომ წარსული გადადის აწმყოში, აწმყო – მომავალში, არა. მომავლიდან მოდის რაღაც ისეთი იმპულსი, რაც წარსულსა და აწმყოს აკავშირებს, შენ წარსულიდან ირჩევ იმას, რაც მომავლისთვის აქტუალური ხდება და უკავშირებ აწმყოს...“

მაგრამ ლიტერატურულ ტექსტთან ურთიერთობის ყველაზე მაგარი სკოლა, მაინც ნიკო ყიასაშვილთან სახლში, სამშაბათობით გამართული საღამოები იყო. ის აკითხებდათ „ულისეს“ თარგმანს. რასაც გააკეთებდა, სტუდენტებზე ტესტავდა. ზურა ამბობს, რომ ეს იყო ძალიან დიდი გამოცდილება, ერთი მხრივ, სახიფათოც კი, „იმიტომ, რომ თავიდანვე „ულისეს“ ტიპის ტექსტში გადავარდნა არ ვარგა ახალგაზრდა კაცისთვის. ჯერ კლასიკური რაღაცა უნდა გაიაროს – დინჯი, ნარატიული, გასაგები. მე კი ორივე მხრიდან არაბუნებრივ ტექსტებში მოვხვდი. იმიტომ, რომ ჯონ დანის პოეზიაც უჩვეულო პოეზიაა, ბაროკალური პოეზიაა, ძალიან გადატვირთული მეტაფორებით და პოლიფონიური ხატოვანებით. სიყვარულზე წერს და ლაპარაკობს ქიმიაზე, გეოგრაფიაზე, გეომეტრიაზე. ანუ უშუალოდ რაღაც აზრის გამოთქმა, მაშინ სუსტ ლიტერატურად მივიჩნიე. და ასეთი გავლენებით, როგორც ჩანს, მთლად ნორმალურად არ განვითარდა ჩემი მწერლური პერსონა. მერე ისევ მივუბრუნდი კლასიკას და თანდათან, ასაკთან ერთად, ყველაფერი დაღვინდა, დალაგდა“.

მხატვრულ, კულტუროლოგიურ და ფილოსოფიურ ტექსტებთან თამაში იმდენად ჩაჯდა ზურას ბუნებაში, რომ ახლაც კი ყველაფერი, რასაც წერს, ერთმანეთშია გადახლართული, ნარატივი ამ თამაშებითაა გაჟღენთილი...

***

ერთი მოთხრობა აქვს ზურას, „პაროდოსი“ ჰქვია. მე პირადად არ მეგულება სხვა ტექსტი, დათო ბარბაქაძის „ტრფობა წამებულთას“ თუ არ ჩავთვლით, სადაც ასე ზედმიწევნით იყოს გადმოცემული ის პროცესები, რაც ოთხმოცდაათიანი წლების საქართველოში ხდებოდა. ჩემი გადმოსახედიდან, ზურა ძალიან ზუსტად აღწერს მაშინდელ სიტუაციას, ეს ძალიან ადეკვატური რეფლექსიაა, მიუხედავად იმისა, რომ ალეგორიაა, გაჯერებულია ალუზიებით სხვადასხვა კლასიკურ ნაწარმოებთან და ყველაფერი იმპროვიზებულია, პოლიტიკა საერთოდ არ არის ნახსენები.

„პაროდოსი“ დაიწერა 1991 წელს, იმ აღშფოთების შედეგად, რომელიც გამიჩნდა. თბილისის ქუჩებში სამოქალაქო ომის შემზადება მიდიოდა, ფაქტობრივად, უკვე დაწყებული იყო შეჯახებები ქუჩაში. აი, ამან დამაწყებინა წერა, პირდაპირ ცხელ გულზე. იყო ჯახი ქალაქსა და სოფელს შორის, ორივე მხრიდან სიმახინჯე მოდიოდა, იყო რაღაც წარმართული პლასტების ამოხეთქვა, რელიგიური თვალსაზრისით საზოგადოება აბსოლუტურად მარგინალიზებული იყო და გამოვიდა ასეთი გროტესკული ტექსტი, რომელიც, პრინციპში, დღესაც იკითხება, – მიამბობს ზურა და იქვე აგრძელებს, – მიუხედავად იმისა, რომ შიზოიდური გარემოს ნაწილები ვიყავით, მთლად ვერ გავრეკავდით, იმიტომ, რომ სხვა მოთხოვნილებები გვქონდა... ასე დავაარსეთ ალმანახი „ახალი დროება“ მე, დათო ზურაბიშვილმა, გია ჭუმბურიძემ“.

„ახალ დროებაში“ ნაცვლად „ერის მისიაზე ფიქრისა“, ზურა ახალი ქართული ლიტერატურული პროცესის გააზრებას და, ზოგადად, კულტურული ტრადიციის ხელახალ ინტერპრეტაციას ცდილობდა.

„კარგი პროცესები იყო ოთხმოცდაათიან წლებში, იმიტომ რომ შემოვიდა ინფორმაცია, დაიწყო განახლება, დაიწყო ურბანიზაცია... ქალაქი იყო მიხეილ ჯავახიშვილთან, ვასილ ბარნოვთან... მაგრამ მაინც სოფლურ-პასტორალური უფროა ქართული პროზა... 90-იან წლებში კი ენის ცვლილება იწყება“, – მიხსნის ზურა და ვხვდები: ქალაქში, როგორც ტექსტში და ტექსტში, როგორც ქალაქში. ტექსტის ქუჩური გაგება ანუ ფსიქოგეოგრაფია, ქუჩაბანდები – ფრაზები და სიტყვის ბანდები, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში.

„გეოლოგიური თვალსაზრისით ტფილისის ტერიტორია წარმოადგენს ზღვის ფსკერს, რომელიც ჩამოყალიბდა კაინოზოური ხანის პირველ პერიოდში. ანუ მესამეულ ეპოქაში. (მის ქვემოთ ცარცული სისტემის ნალექებია.) აქ ადრე თევზები და მოლუსკები ბინადრობდნენ. ერთმანეთს ერწყმოდა მილიარდობით ბიოქიმიური პროცესი, სწორედ ისეთი, ახლაც რომ მსჭვალავს ამ ქალაქში მოსახლეთა ცოცხალ უჯრედებს.

აქა ყველანი ღლევენ!

აქ ახლაც თევზები და მოლუსკები ბინადრობენ, და სიყვარულის სენით დასჯილი სულები. ზღვა არის ტფილი და ღვინომუქი...“ (ღვინომუქი ზღვა, 2000 წელი)

***

ზურა 37 წლის იყო, ჩვენი პატარა ქვეყნიდან იმ ზღაპრულ, დიდ ქვეყანაში რომ მოხვდა... ვიცი, თუ რას ნიშნავს ამერიკა მისთვის, იმიტომ, რომ ვიცი, რას ნიშნავს ჩემთვის. მთელი ეს ჯაზმენები საქსოფონებში ჩასახლებული ჯინებით, ტომ ვულფის, კერუაკის, ედუარდ ჰოპერის, ჯიმ ჯარმუშის ამერიკა, უსასრულო გზატკეცილები, უკაცრიელი კუნძულის მსგავსი ბენზინგასამართი სადგურები და ბარები, სადაც ლოთობდა ჩარლზ ბუკოვსკი... უამრავი კულტურის, უამრავი დისკურსის, ტრადიციის თავშესაყარი, თუმცა ზედმეტად პურიტანული, მაგრამ მაინც ზღაპრული ქვეყანა. მარადიული მაგალითი იმისა, რომ უნდა გაბედო, რომ ნებისმიერი რამის გაკეთება შეგიძლია, რომ მთავარია, უკან არ დაიხიო.

„ამერიკაში წავედი 94 წლის იანვარში, დავყავი ერთი წელი. ეს იყო კიდევ ერთი საეტაპო რამ ჩემთვის, სულ სხვა სამყაროში ამოვყავი თავი. ძალიან დიდი გავლენა მოახდინა, ლინგვისტურს რომ თავი დავანებოთ, სამყაროს აღქმის თვალსაზრისით“.

ზურა ამერიკაში იჰაბ ჰასანთან სამუშაოდ წავიდა, ვისკონსინის უნივერსიტეტში. ეს ჰასანი კაიროში დაბადებული ამერიკელი მეცნიერია. თუკი რამე მაქვს პოსტმოდერნზე წაკითხული ყველგან მისი სიტყვებია მოყვანილი.

თბილისის ქუჩებში სამოქალაქო ომის შემზადება მიდიოდა, ფაქტობრივად, უკვე დაწყებული იყო შეჯახებები ქუჩაში. აი, ამან დამაწყებინა წერა, პირდაპირ ცხელ გულზე. იყო ჯახი ქალაქსა და სოფელს შორის, ორივე მხრიდან სიმახინჯე მოდიოდა, იყო რაღაც წარმართული პლასტების ამოხეთქვა.

ამერიკაზე მიამბობს. „იქ რაღაც-რაღაცებმა გამაკვირვა, მაგალითად, პროფესურის და სტუდენტების პოლიტიკურმა და სოციალურმა ანგაჟირებულობამ, მე გაზრდილი ვიყავი ისეთ ლიტერატურაზე, რომელიც არ ცნობდა ამას, რომელიც უპირველეს ყოვლისა, თამაშზე და ხელოვნებაზე იყო ფოკუსირებული... ამიტომ არ დამავიწყდება, ერთმა პროფესორმა წამაკითხა თავისი ნაშრომი ტომას ელიოტის „უნაყოფო მიწაზე“, ამტკიცებდა, რომ ეს პოემა არის მისოგენური, ანუ ქალთმოძულე, ანტისემიტური... გავოგნდი, მეთქი, რა შუაშია, რატომ უნდა წაიკითხო ასე ეს ნაწარმოები“.

ზურამ ამერიკაში „პაროდოსი“ და კიდევ ერთი მოთხრობა „ხარება რომ დაემთხვა აღდგომას“ თარგმნა ინგლისურად, რომელიც ერთ-ერთმა ამერიკულმა ჟურნალმა მიიღო დასაბეჭდად, რაც ძალიან გასაკვირი ამბავი იყო. „ათდოლარიანი ავანსის ჩეკი რომ გამომიგზავნეს, მაგაზე ხომ საერთოდ გაგიჟდნენ, ეგეთი რაღაცები ძალიან იშვიათად ხდებაო“, – ამბობს ზურა.

რაღაც წარმართული პლასტების ამოხეთქვა.

„Clockwatch Review“ მგონი აღარ გამოდის, თუმცა იმ დროს, ამერიკის საუკეთესო ლიტჟურნალების 50-ეულში შედიოდა, თვით ენტონი ბერჯესმაც კი შეაქო; მაგ ჟურნალს გამოსცემდა უეზლის უნივერსიტეტი, ილინოისის შტატში – ასევე ამერიკის ერთ-ერთი საუკეთესო ქსელია უნივერსიტეტებისა... იმავე ნომერში კი, სადაც ზურა ქარუმიძის მოთხრობაა, დაბეჭდილია უკვე კლასიკად აღიარებული რაიმონდ კარვერის და მარგარეტ ეტვუდის ტექსტები.

იჰაბ ჰასანი წერდა: „პაროდოსი“ აღბეჭდილია შმაგი რაბლეანურობით, მფეთქავი პაროდიულობით, პოეტურობით, ეროტიზმითა და პოლიტიკური შარჟირებით...“

ასეთი კარგი გამოხმაურება, ჰასანის გარდა, ჰქონდათ სხვებსაც, ზურას ამერიკელ კოლეგებს, რომლებმაც არტოსაც კი შეადარეს ზურა. არის ასეთი – ჰერბერტ ბლაუ, ამერიკული თეა-

ტრის რეფორმატორი, რომელმაც 57 წელს „გოდოს მოლოდინი“ სან-ფრანცისკოში ტუსაღებისთვის დადგა, ჰოდა, მასაც ძალიან მოსწონებია.

„იცი, „ღვინომუქი ზღვა“ როგორ იწერებოდა? – მეკითხება ზურა, – აი, იმ ერთი წლის განმავლობაში, რაც მე წავიკითხე ამერიკაში პოსტმოდერნული თეორია და ლიტერატურა, აი, იმის გადახარშვის პროცესში ხდებოდა „ღვინომუქი ზღვის“ წერა. იმის მაგივრად, რომ დამეწერა სამეცნიერო ნაშრომი პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაზე, ავიღე და რომანი დავწერე. ყველა ამ თავისი თეორიული და მხატვრული ასპექტებით, რომელიც ალბათ ყველაზე კარგი რამეა, რაც აქამდე დამიწერია, მაგრამ ძალიან მძიმედ იკითხება“.

როცა ქართულ პოსტმოდერნულ ლიტერატურაზე ჩამოვარდება სიტყვა, ალბათ პირველი, ვინც გვახსენდება, ზურა ქარუმიძეა. ჯოისის გავლით, მოდერნისტული ლიტერატურის შესწავლის შემდეგ წინ პოსტმოდერნის დიდი უფსკრულია, თუმცა შეიძლება ეს უფსკრული ეკრანული გამოსახულებაც იყოს, მაგრამ გაშინებს ვერაგი სიმულაკრებით ამოვსებული სივრცე. გაჩერდები და იდგები უფსკრულთან, წინ წახვალ და რომ ჩავარდე? ჩავარდები და მიფრინავ ელისივით. შენ წინ წიგნების თაროებია, წიგნს იღებ და იძულებული ხდები, სულ სხვა თაროზე დადო. ერთმანეთის გვერდით ანთავსებ სულ სხვადასხვა სტილის, ჟანრის და ეპოქის წიგნებს...

ზურა იხსენებს: „როცა პოსტმოდერნით დავინტერესდი, ბორხესით ვსაზრდოობდი, კიდევ სამი დიდი ლიტერატურული შთაბეჭდილება იყო: „ვარდის სახელი“ – უმბერტო ეკოსი, მილორად პავიჩის „ხაზარული ლექსიკონი“ და ზიუსკინდის „ნელსურნელება“... მერე კიდევ ბევრი ვიკითხე იტალო კალვინო, ამანაც იმოქმედა ჩემს ლიტერატურულ სტილისტიკაზე. თვითონ წერის პროცესის თემატიზაციას რაც შეეხება, ერთ-ერთ მოთხრობაში მიწერია, რომ „მწერალი ამბის თხრობისას, თხრობის ამბავსაც ჰყვება“.

ხშირად გამიგია, რომ პოსტმოდერნი, როგორც „ეპოქალური მოვლენა“ დასრულდა. თუმცა პოსტმოდერნს ეს თვითდასრულების კოდი დასაწყისშივე ჰქონდა, ჯერ კიდევ მაშინ, საკუთარ ჭიპლარს რომ იქნევდა, როგორც ცეცხლოვან, ლაზერულ მათრახს. ჰოდა, მგონი პოსტმოდერნის შემდეგ რაც გაჩნდა, ესაა ნოსტალგია, ნოსტალგია ძველი ფორმების მიმართ. ესეც გათვალისწინებული იყო, ალბათ, „პოსტ-მეინახეთა“ მიერ. ანუ თხრობის ამბავს რომ შეჰყვები, თვითონ თხრობა გენატრება, ყოველ შემთხვევაში, ჩემი, როგორც მკითხველის როლის შემსრულებელი ავტორის შთაბეჭდილება ასეთია.

„ძალიან დიდი დრო დამჭირდა აი, ამ ნარცისიზმის გადასალახავად, რომელიც ადრეულ ნაწერებშია, როცა მკითხველის იგნორირებას ახდენ და იკეტები საკუთარ ლიტერატურულ სამყაროში. „ჯაზის ცხოვრებამ“ გატეხა ეგ ნავსი, ის მიდრეკილება, რა თქმა უნდა, დარჩა ასოციაციებისადმი და კულტუროლოგიური რაღაცები თამაშისადმი, მაგრამ ამბავი ხომ მოსაყოლი იყო, ასე უფრო გამდიდრდა კიდეც ეს ამბის თხრობის პროცესი“.

ჯაზზე წიგნის დაწერის იდეა რადიო „სინდიკატთან“ თანამშრომლობის შემდეგ გაჩნდა. „ჯაზური რადიოს აწყობა ჩვენში იოლი საქმე ვერ იქნებოდა. რაღაც „კულტურტრეგერული“ განცდა გვქონდა, რომ ჩვენში ფართო მასებისათვის ნაკლებად ცნობილ მუსიკალურ ფორმას „ვატრიალებთ“... რადიოს მფლობელმა მთხოვა, პატარა ჩანახატები გამეკეთებინა ჯაზსა და ჯაზმენებზე... მერე გადაცემაც მიმყავდა: „ჯაზი და ღვინო“, პოპულარული გახდა, ხალხი მთხოვდა, აუდიო-დისკებად გამოუშვიო... მთელი ცხოვრება ვოცნებობდი, რომ რაღაც დამეწერა ჯაზზე, ან მოთხრობა, ან რომანი, სადაც პერსონაჟები ჯაზმენები იქნებოდნენ, მაგრამ მეთქი მოვუყვები ქართველებს ჯაზის ისტორიას თავიდან ბოლომდე, იმიტომ, რომ მაგარი ხალხია ყველა, თვითონ პროცესებიც ისეთი საინტერესოა. სამოც წელიწადში გაიარა ერთმა სახელოვნებო ფორმამ ის, რაც ევროპულ ხელოვნებას ჰქონდა გავლილი 400 წლის განმავლობაში. იქ იყო თავისი შუა საუკუნეები, თავისი რენესანსი, თავისი მანიერიზმი, თავისი მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი“.

წერისას კაცის ყველა უნარი და მექანიზმი მუშაობს – ბიოქიმიით დაწყებული, ინტელექტით დამთავრებული; მართლა ბიოქიმიური დონის მოთხოვნილება ჩნდება მაგ საქმისა... მედიტაციაცაა, სტრიპტიზიც, კოპულაციაც (თავისი ორგაზმით), ნერვების წყვეტაც, აზროვნებაც, გრძნობებში ტრიალიც.

...ქალაქს აკლია რადიოს ღამის ეთერი, წამყვანი, რომელიც ვისკით გაბზარული ხმით ელაპარაკება ქალაქს... რადიოს ღამის ეთერში არა, მაგრამ საზოგადოებრივი მაუწყებლის ღამის ეთერში კი მიჰყავდა ხოლმე ზურას ტელეგადაცემა, 2006-2008 წლებში. „ღამის საუბრები“ – ასე ერქვა.

„ვერასოდეს წარმოვიდგენდი თავს ტელეწამყვანად, არა ვარ ასეთი „საჯარო ტიპი“, ტელეკამერაც მუდამ მანერვიულებდა... მაგრამ, ეტყობა, კაცმა ყველაფერი უნდა გამოსცადო... საინტერესო იყო, ბევრი საინტერესო ხალხი მყავდა სტუმრად: ხელოვანი და მწერალი გინდა, თუ მეღვინე, ასტროფიზიკოსი, ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი... ბევრი თემა საინტერესოდ გაიხსნა ამ „საუბრებში“... სასიამოვნოა, როცა ქუჩაში უცნობი ხალხი გაჩერებს და მადლობას გეუბნება. ...ერთმა დიასახლისმა ქალბატონმა ეგეთი რამე მითხრა: „ცუდი დღე მქონდა, სანერვიულო და დამღლელი; ძილის წინ „ღამის საუბარს“ ვუყურე და რაღაც მომეშვა. მაშინ ვიფიქრე – ეს დღე არც ისე ცუდი გამოდგა...“

***

რადიოს რომ ვუსმენდი, ყოველთვის წარმოვიდგენდი, სად იჯდა ეს ადამიანი. როგორი იყო, რას აკეთებდა თავისუფალ დროს. რა ტემპერატურა იყო ოთახში, როგორი სურნელი იდგა,

რა იდო მაგიდაზე, სად წავიდოდა და ასე შემდეგ... მწერალიც ასეთი უცნაური „დიჯეია“.

„წერა მიწევს სიჩუმეშიც და ხმაურშიც... მაიკლ ჰოკუისტია ეგეთი კაცი – ვინც ამერიკას დოსტოევსკი გააცნო; ჩემი მეგობარია; ერთხელაც მკითხა – სად მიდიხარ ხოლმე, როცა რაღაც დასაწერი გაქვსო (იგულისხმა – ქალაქგარეთ სახლში, მთაში, ოკეანის პირას, ტბის პირას და ა.შ.) მე გამეცინა – ვერსადაც ვერ მივდივარ: ძირითადად სახლში ვწერ და ოფისში.

ვარგას ლიოსა მართალია – მწერლობა დისციპლინის გარეშე არ იქნება; რომანზე მუშაობისას ყოველდღე ვწერ, დღისით, 3-4-საათის განმავლობაში; პახმელიაზე ხარ, თუ არა, არა აქვს მნიშვნელობა, ასე იყო ადრეც – დისერტაციას რომ ვწერდი... წერისას კაცის ყველა უნარი და მექანიზმი მუშაობს – ბიოქიმიით დაწყებული, ინტელექტით დამთავრებული; მართლა ბიოქიმიური დონის მოთხოვნილება ჩნდება მაგ საქმისა... მედიტაციაცაა, სტრიპტიზიც, კოპულაციაც (თავისი ორგაზმით), ნერვების წყვეტაც, აზროვნებაც, გრძნობებში ტრიალიც და რაც გინდა კიდევ ის... მთავარია შთაბეჭდილებების ნაკადიდან ამოყვინთო და სიტყვებში მოიცვა მაქსიმალურად ბევრი, „სიცხადე შეიტანო“... თუმცა, წერა ჩემთვის, ასევე, არის „თამაში რიოში მარგალიტებით“ ...

სახლში ორი „ტრაფეინი“ ექსპონატი აქვს: საბეჭდი მანქანა „Olympia“ (დისერტაციაც მაგ მანქანაზე დავწერე და სხვა იმდროინდელი სტატიებიცო.) და როიალი – Bechstein – 1916 წლის გამოშვება, „ჩემი უსაყვარლესი არსებაა, არადა ჩემს დას უყიდეს თავის დროზე – პიანისტად ზრდიდნენ...“

„მახსოვს, საბეჭდი მანქანის პირობებში cut-ს და paste-ს პირდაპირი მნიშვნელობით ვაკეთებდით: „ვჭრიდით“ რაღაცა მონაკვეთს და სხვაგან „ვაწებებდით“ და ა.შ. კომპიუტერმა მთლიანად შეცვალა წერის პრინციპი – ტექსტი ხაზოვანად კი არ იწერება: ანუ – თავიდან ბოლოსაკენ, არამედ – „ფუვდება“ – მთელი ამ cut, copy, paste, insert და ა.შ. ამბებით... კიდევ კარგი, ჯოისს კომპიუტერი არა ჰქონდა – ისეთ რამეებს გამოაცხობდა, „ფინეგანის აღაპი“ ბავშვის ტიტინად მოგვეჩვენებოდა...“

ტეტრისი ხომ ყველას გითამაშიათ? ერთი ძველი კომპიუტერული თამაშია. აგურები ნარნარით ეშვებიან ეკრანზე. ღილაკების გამოყენებით ატრიალებ მათ, ფორმისა და ზომის მიხედვით მიუჩენ ადგილს. კედლის ნაწილი, რომლის აშენებასაც დაასრულებ, მწკრივი, რომელიც ბოლომდე შეივსება, მაშინვე ქრება. წერისას დაახლოებით ასე ჩამოდიან სიტყვები, შინაარსის თუ ჟღერადობის მიხედვით ერთმანეთის გვერდით ვანთავსებ და დალაგდება თუ არა სტრიქონი, მყისვე იშლება. მხოლოდ ის მონაკვეთები მრჩება, სადაც ცარიელი ადგილია დარჩენილი, სადაც უსწორმასწორო ფანჯრებია გამოჭრილი.

***

„მიმიქარამს ფოქსტროტი, რომელიც ამერიკელებმა (ვასერმანებმა) იცეკვეს უშგულში 1926 წელს...“

„მელია-ტულეფიას“ ისტორია 2003 წელს დაიწყო... თედო ჯაფარიძე ამერიკაში საქართველოს ელჩი იყო, მე და მისი მეუღლე ერთ ორგანიზაციაში ვმუშაობდით, იყო ასეთი ამერიკა-კავკასიის ინსტიტუტი და სწორედ მათგან შევიტყვე, რომ არსებობს

ჯონ დანის მემორიალი, წმინდა პავლეს ტაძარი, ლონდონი 2001

17-წუთიანი ფილმი და რაღაც მემუარების მსგავსი ჩანაწერები, ამერიკელ ცოლ-ქმარზე, რომლებმაც 1926 წელს იმოგზაურეს საქართველოში, სვანეთში, და ეს ყველაფერი გადაიღეს. იმავე წელს იმათი შვილები ჩამოვიდნენ, რომლებიც დემოკრატიულ პარტიაში საკმაოდ სერიოზული ხალხია. ის ხალხი გავიცანი მაშინ, წავიყვანე სვანეთში, ვნახე ის ფილმიც და ჩანაწერებიც წავიკითხე. თუმცა შემდეგ მიმავიწყდა".

და მხოლოდ „ჯაზის ცხოვრების" დამთავრების შემდეგ მიუბრუნდა ისევ ამ თემას. ამას ისიც დაემთხვა, რომ ერთ-ერთი ამერიკული ორგანიზაციიდან გრანტი მიიღო, რომ ამერიკაში ჩასულიყო და მასალა შეეგროვებინა. ასე დაიწყო რომანზე ფიქრი.

„სტუდენტობიდან მოყოლებული მაბოდებდა 20-იან წლებზე, თბილისური ავანგარდი, თბილისური მოდერნიზმი, სიმბოლისტების და ფუტურისტების ჯახი, ალბათ ეს იყო ბოლო გაელვება ესთეტიკური თავისუფლებისა საქართველოში, მერე ჩაკვდა ყველაფერი. სულ მინდოდა ჩემი სიყვარული გამომეხატა, ცოტა დამცინავი, სენტიმენტალური. ასე რომ, ერთი სული მქონდა, როდის მივიდოდი ქიმერიონის აღწერამდე, რას გავაკეთებდი...

ახლა კი რომანიდან სცენარს ვაკეთებ, რაც ასევე ძაან საინტერესოა, ხელახლა ვუყურებ მთელ ამ მასალას, სულ სხვა თვალით და ის აქცენტები, რაც რომანშია, უკან იწევს, კინემატოგრაფს თავისი სპეციფიკა აქვს, იქ მეტაფორული წიაღსვლების ადგილი ნაკლებად არის".

„მელია-ტულეფიას" წაკითხვის შემდეგ, პირველი განცდა, რაც გამიჩნდა, იყო ის, რომ თარგმნის შემთხვევაში ამ წიგნს სიამოვნებით წაიკითხავდნენ საზღვარგარეთაც. სხვას რომ თავი დავანებოთ, 20-იანი წლების თბილისური ავანგარდის, იმ პერიოდის მხატვრული გადამუშავება აქამდე არავის გაუკეთებია, თანაც ასე ხარისხიანად. და ამ ტიპის რომანი, გეგონება, „ამოვარდნაა" იმ ტექსტებიდან, რაც საქართველოში იწერება... ჩემი აზრით, სწორედ ამის აღნიშვნა უნდა მომხდარიყო „საბაზეც".

„საბა" კარგი რამეა – ლიტერატურული პროცესისა და ბაზრის წამახალისებელი... „ჩაკეტვის" პრობლემა გაჩნდა – ჯერ ერთი, იმიტომ, რომ კარგი ტექსტი ცოტა იწერება, მეორეც – ლიტერატურული კრიტიკა ისევ მოიკოჭლებს ჩვენში; მესამეც – ჟიური ვერ იქნება ყოველთვის „უშეცდომო"... აკა მორჩილაძე ჩემზე უკეთესი მწერალია (და შესანიშნავი პიროვნება), „ობოლე" მშვენიერი ტექსტია, მაგრამ „ტულეფიასაც" არ აკლია თავისებური ღირსება..." – მეუბნება „საბას" დაჯილდოების შემდეგ.

***

„დაუნდობლობის ოკეანეში, ეროვნული ჰიმნის ღილინითა და სახელმწიფო სიმბოლოთა სახვით დაცურავდნენ მარტოსულნი"

საქართველოში ყველა პოლიტიზირებულია, ოღონდ სამოქალაქო საზოგადოება ისევ ემბრიონის მდგომარეობაშია. ჩვენთან ფართო საზოგადოების ბუნება იწრო არს... ზურა თითქოს ლიტერატურული პრიზმიდან უყურებს ამ ყველაფერს... მაგალითად, გუდიაშვილის მოედნის ბოლოდროინდელ ამბებს თუ გავიხსენებთ, ის მათ ასე აღწერს:

„რატომღაც მგონია, რომ ეს რაღაც ახალი არის ის, რასაც „სამოქალაქო საზოგადოება" ერქმის: ის, რაც 90-იან წლებში იშვა და განვითარდა, ხოლო „ნაცმოძრაობამ" შთანთქა და მოინელა, დღეს ხელახლა იბადება. გამოჩნდა ხალხი, ვისთვისაც გარემოზე და ჰაბიტატზე ზრუნვა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც საკუთარი და სხვისი თავისუფლებისა და ღირსების დაცვა, და ა.შ. – აქ ახლა არ შევუდგები „სამოქალაქო საზოგადოების" ანალიტიკას. მთავარი ისაა, რომ ამ ხალხში ახალგაზრდობა ჭარბობს – შინაგანად თავისუფალი და ჯანსაღად ირონიული ხალხი. არა, ძველგაზრდებიც იქა ვართ, მაგრამ ჩვენ უფრო „ვაკომენტებთ," ვიდრე „ვპოსტავთ"..."

„საქართველოში არის ბევრი დინოზავრი და ბევრი მექანიკური ფორთოხალი, არის ძალიან არაბუნებრივი მოდერნიზაცია. რელიგიური ნაციონალიზმი, რომელიც 90-იან წლებში არ იყო, 2000 წლებიდან უკვე რელიგიური ნაციონალიზმით ჩანაცვლდა – „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ მართლმადიდებელი".

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი კატალიზატორებს, ტრანკვილიზატორებს, ამფეტამინებსა და, რაც მთავარია, ჯანსაღად მოაზროვნე, მძლავრ ტვინებს ითხოვს... და ეს დოზა ყოველდღიურად უნდა გაიზარდოს. ბრძოლის ველი ისე უნდა განივრცოს, რომ როგორმე გადაფაროს ურბანულ ზომებამდე გაზრდილი „მექანიკური ფორთოხალი"...

„საქართველოში არის ბევრი დინოზავრი და ბევრი მექანიკური ფორთოხალი, არის ძალიან არაბუნებრივი მოდერნიზაცია, რის შედეგადაც ვიღებთ ამას. რელიგიური ნაციონალიზმი (რომელიც 90-იან წლებში არ იყო, იყო პირწმინდა ნაციონალიზმი), 2000 წლებიდან უკვე რელიგიური ნაციონალიზმით ჩანაცვლდა – „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ მართლმადიდებელი". ამას მრავალი მიზეზი აქვს. ერთ-ერთი კი, ალბათ, ხელისუფლების აგრესიული პოლიტიკაა, რომელმაც საზოგადოება აღიქვა მასად, რომელიც უნდა გადააკეთო. ამან კი უკურეაქცია გამოიწვია და ხალხმა ეკლესია უფრო ნაცნობ თავშესაფრად მიიჩნია, თუმცა ამას რელიგიასთან საერთო არაფერი აქვს – სარწმუნოების წმინდა რიტუალური, ზედაპირული აღქმაა...

და მიუხედავად იმისა, რომ სრული ღიაობა, ინტეგრაციაა დეკლარილებული, ხალხი ჩაიკეტა, ჩაიკეტა იმ სივრცეში, რომელსაც ტელევიზია უქმნის. ტელევიზია იქცა ავადმყოფურ სივრცედ

– უგემოვნობა, კიჩი და პოლიტიკური პროპაგანდა ზეიმობს. ასეთი მასშტაბის მე არ მახსოვს...

ყოველთვის შორს ვიდექი პოლიტიკისგან, არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი არ ვყოფილვარ, არასოდეს მიყვარდა პოლიტიკა, ყოველთვის ვიყავი ჯანსაღ უმცირესობაში, ინტელექტუალური და შემოქმედებით შრომის პროფესიის კაცი მაინც უმცირესობაში რჩება ხოლმე ყოველთვის. მაგრამ ბოლო პერიოდში ისე მოხდა, რომ მთლად პირდაპირ არა, მაგრამ რაღაც კუთხით მეც შევედი ამ პროცესში, ისევ რაღაც ენობრივი და ტექსტუალური კუთხით“.

ზურა იმას გულისხმობს, რომ „ქართულ ოცნებას“ „შეუერთდა“. რომ ვეკითხები, იქ რას აკეთებ-მეთქი, გელა ჩარკვიანად ვმუშაობო, – მპასუხობს. ინგლისურენოვანი ტექსტების ექსპერტია.

„მთელი მოედნის გაყოლებაზე კაცებს ფერხული გაეჩაღებინათ. მოფერხულეთა თაურმდგომი ვინმე ადრეკილა იყო სახელად: პერანგი აწეული ჰქონდა, პერანგის მეგობარი – ჩაწეული. ცალი ხელით სირს ათამაშებდა, მეორეში კი მეგაფონი ეჭირა. თაურმდგომის ზურგს უკან დანარჩენები ჩამწკრივებულიყვნენ: თითოეულს ხელები წინმდგომის თეძოებზე ედო და უქაქუნებდა. ასე გადაადგილდებოდნენ ქაქუნითა და სიმღერით. როცა ვირი ყროყინს დაამთავრებდა, თაურმდგომი იწყებდა მეგაფონში ყვირილს: „ა, თქვენისთანა ვაჟებს თხემზე ძაღლის სკორეც კი მოგვიცხია, მოგვიცხია, მოგვიცხია!“ დანარჩენები ამაზე პასუხობდნენ: „მელია ტულეფია, იოჰ! იოჰ!“ „იაა! იაა!““ („პაროდოსი“)

***

ჩვენი საუბრისას საფერფლეები ბრძოლის ველს ემსგავსებიან, სადაც უამრავი ნამწვია მიმოფანტული. თამბაქო ზურას საყვარელი ბოსტნეულია. დანიის დედოფლის საყვარელ ბერძნულ სიგარეტს ეწევა.

„ჩემი ცხოვრების საუნდტრეკია ერიკ დოლფის „შენ რა იცი სიყვარული რა არის, – მეუბნება ზურა, – მე ვიცი, ის რომ არაფერი არ ვიცი... იმდენად გადავარდნილი ვიყავი ტექსტებში და ლიტერატურაში, რომ გარე სამყაროს გიგოსავით აღვიქვამდი ტექსტით, ანუ ის თხა მაშინ არ მოდიოდა შეტევაზე. ჩემსა და გარე სამყაროს შორის იყო ტექსტი და ეგ მაინტერესებდა ყველაზე მეტად. რა თქმა უნდა, იყო სხვა რაღაცებიც: მეგობრებთან ურთიერთობა, მუსიკა... მაგრამ მთელი ეს სიყვარული სუბლიმირდებოდა ლიტერატურაში...“

როგორც ჩანს, საბოლოოდ, ის ლიტერატურაში სუბლიმირებული სიყვარული, წლების წინ ამოიფრქვა და იმ ქალისკენ მიიმართა, რომელიც ახლა მისი ცოლია. ხშირად მხვდებიან ერთად. მოსეირნობენ და ერთმანეთს ისე უყურებენ, რომ გული აგიჩუყდება. ნინა სასიამოვნო ქალია, მოღიმარი, თბილი და მშვიდი. ერთი შვილიც ჰყავთ, ლევანი, რომელიც შემთხვევით გავიცანი ერთ პატარა ბარში... ერთად ვსვამდით და შემდეგ გამახსენდა, რომ სადღაც მყავდა ნანახი. გამოვეცნაურეთ ერთმანეთს და აღმოჩნდა, რომ – ზურას წიგნის პრეზენტაციაზე.

ზურას თაობას თუ ბებიები და ბაბუები ზრდიდნენ, პოსტსაბჭოთა საქართველოში მშობლებმა დაკარგეს სამსახურები (მეც და ზურას შვილიც ოთხმოცდაათიან წლებში ვდგამდით პირველ ნაბიჯებს), ასე რომ, ჩვენი თაობა დანევროზებულ მშობლებთან აღმოჩნდა პირისპირ, ცივსა და ბნელ ოთახში...

„მოქნილი და დამთმენი მამა ვიყავი, მკაცრი არ ვყოფილვარ. მიშვებული მყავდა... პატარა იყო ამერიკაში რომ აღმოჩნდა და იქაურ სკოლაში სწავლობდა... ბევრ რამეში თვითონ გაერკვა, რა თქმა უნდა...“

დავბერდი და თან არ დავბერდიო. თუმცა ისეთ ასაკში ვარ, ახალ არსებასთან მინდაო ურთიერთობა. თუმცა როგორი ბაბუა ვიქნები, არ ვიციო.

ოჯახის კიდევ ერთი წევრი ფოქსტერიერის ჯიშის ძაღლია. მაგარი პერსონაჟიაო, ამბობს. ბიკუს-ასტრა (ოფიციალურად) ხოლო ისე – დელფი ქვია. ძაღლი უკვე ძალიან ბებერია. ერთი-ორი ოპერაციაც კი აქვს გადატანილი და რაღაცნაირი სევდიანი გამოხედვა აქვს... ახლაც მას ასეირნებს. ძაღლი ისე ნელა მოდის, რომ გვიწევს დაველოდოთ. ისეთ თემებზე ვლაპარაკობთ, რომელსაც მისთვის აქტუალობა არ დაუკარგავს.

„სხვა და სხვისადმი მიმართება, თავისუფლება, თამაში; სხვა, როგორც არა ალტერ-ეგო, არამედ აბსოლუტური სხვა, რომელთანაც როცა კონტაქტში შედიხარ, რაღაცები გენგრევა, საკუთარი თავის გადაფასებას ახდენ...

ამ შთაბეჭდილებების დენადობის რაღაცაში მოხელთება, ძველი იმპერატივია, ეზრა პაუნდიდან, ტომას ელიოტიდან და ანრი ბერგსონიდან წამოსული, მაგრამ მაინც ამბიციაა, რომ როცა წერ, უნდა მოახერხო, მაქსიმალურად დატოვო ეს მრავალფეროვნება, დენადობა და თან მოაქციო, რაღაც ისეთ ტექსტუალურ ფორმაში, რომ ეს ყველაფერი არ ჩაკვდეს შიგნით, არამედ რაღაც სიცხადე მიეცეს. ძალიან რთულია ამის მიღწევა.

ყოველთვის რაღაც ახლის მოლოდინში ხარ, შემთხვევის თუ შემთხვევითობის იმედად, რომელიც რადიკალურად რაღაცას ცვლის, შემდეგ შემთხვევითობა უნდა აქციო უფრო მდგრად რაღაცად, უნდა ეცადო, იმიტომ, რომ სულ შემთხვევითობაში რომ იყო – სისულელეა, მარაზმია. ყველაფერშია ეს, ხელოვნებაშიც, სიყვარულშიც...“

ერთხელ, მატარებლით ვიმგზავრეთ ერთად. „ჯაზის ცხოვრების“ პრეზენტაცია უნდა ყოფილიყო ბათუმში. ნება-ნება შევექცეოდით ვისკის. გაპარტახებულ, მიტოვებულ ბაქნებზე ვჩერდებოდით. ჭიქები დაგვავიწყდა, ასე რომ, პლასტმასის გაჭრილი ბოთლიდან ვსვამდით. ნელ-ნელა ვისკის ოქროსფერ ნისლში ვეხვევით. ვეკითხები, ზურა, რა არის ბედნიერება შენთვის?

თითქოს ამ კითხვისთვის მომზადებული იყო, შეკითხვის დამთავრება არ მაცალა, ისე მომახალა: „ბედნიერება არის თავისუფლება. ბედნიერება არის, როდესაც საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმალურ რეალიზაციას ახერხებ, როდესაც არ გაურბიხარ ისეთ შანსს, რომელიც შენგან ითხოვს ძალისხმევას, რომ შენში ჩადებული პოტენციალის განხორციელებას, რეალიზაციას და მატერიალიზაციას შეძლებ, აი, მაგის საშუალება თუ გაქვს, მაგას თუ ახერხებ, მაგ ნაბიჯზე თუ წამსვლელი ხარ, გყოფნის გაბედულება – შენ ბედნიერი ხარ. ადრე მე სხვა რამე მეგონა, ვფიქრობდი, კარგ ტექსტს თუ დაწერ, ესაა ბედნიერება. არ არის ეგრე. არავითარი გაგიგებენ, არ გაგიგებენ, გარემოსთან ჰარმონიაში ყოფნა არ არის მნიშვნელოვანი. საკუთარი თავის რეალიზაცია თავისუფლების ხდომილებაში, თავისუფლების აქტში მონაწილეობა – აი, ეს არის ბედნიერება“.

ყველაზე ღია ბარათი ლონდონიდან

ავტორი მარიკა ქოჩიაშვილი

ხომ იცი, ასეა – შენს ქალაქს, სადაც მთელი ცხოვრება გიცხოვრია, იმ ხიბლს ვერ ამჩნევ, რომელსაც ვთქვათ, უცხოელი ტურისტი მაშინვე შენიშნავს და მოიხიბლება.

ლონდონში პირველად ორი წლის წინ ვიყავი. ვნახე ბიგ ბენი და ვივაჭრე ოქსფორდ სტრიტზე, გავისეირნე „ლონდონ აი"-თი და ბუკინგემის სასახლის წინ ფოტო გადავიღე. ეს ის კადრებია, რომელიც ნებისმიერ თქვენგანს უნახავს – ღია ბარათების ლონდონი. არადა ამ ქალაქში, მაგალითად იქ, სადაც მე ვცხოვრობ – ისტ ლონდონში, ყველაზე ჰიპსტერულ უბანში, იმდენი საინტერესო რამ ხდება, რომელსაც პოსტკარდზე ვერასოდეს ნახავთ.

ლონდონიდან რამდენიმე ფირი ჩამოვიტანე. უმეტესობა იქ გადასახლების პირველ ეტაპზე გადავიღე და არც ვიცოდი, რა აღმოჩნდებოდა დავიწყებულ, მისტიკურ ფირებზე.

როცა გამჟღავნებულს პირველად ვათვალიერებდი, ასე მეგონა, სხვის ფოტოებს ვუყურებდი. გამახსენდა ის პირველი აღქმები და შეგრძნებები, რაც ამ ქალაქში ახალჩასულს მქონდა. მაშინ ფოტოაპარატით, თითქმის ყოველ შაბათ-კვირას მარტო დავბოდიალობდი ხოლმე ისტ ლონდონში და ახლა, ფოტოების თვალიერებისას, ისევ თავიდან აღმიდგა პირველი შთაბეჭდილებები, რაც, მაგალითად, ბრიკ ლეინზე გასეირნებისას მქონდა. ეს ადგილი კვირაობით გადაიკეტება ხოლმე და გასაყიდად გამოფენენ ნახმარ წიგნებსა და ზედ მიწაზე დაწყობილ მილიონ წვრილმანს: ბებიების დროინდელ სამკაულებს და საკიდებზე დაკიდებულ მეორად ტანსაცმელს, ანუ ვინტაჟს – მას, რაც ყველაზე მოდურად მიიჩნევა ჰიპურ ისტში.

ახლა უკვე ბრიკ ლეინზე, ან ბროდვეიზე თითქმის ყოველ კვირას დავდივარ, თუმცა აღარ მაკვირვებს, რადგან იქვე ვცხოვრობ, ჩემი გახდა და შევეჩვიე, თუმცა, არა იმდენად, რომ ინტერესი დავკარგო და აღარ მომინდეს კიდევ ერთხელ გავისეირნო ფოტოაპარატით და საინტერესო სახეებს და კომპოზიციებს ჩავავლო.

და თუ ზოგჯერ მაინც მომბეზრდება ხოლმე იქაურობა, ჩავჯდები მეტროში, ამოვალ გაჩერებაზე „ნოთინგ ჰილ გეით", პორტობელო მარკეტისკენ გავუხვევ და სულ სხვა სამყაროში აღმოვჩნდები – სულ სხვა სახეებით, ხასიათით, კულტურით და კომპოზიციებით. ეს არის ის, რაც ყველაზე მეტად მხიბლავს ამ ქალაქში. მრავალპოლუსიანია ლონდონი და არ მინდა, რომ ბოლომდე „შევეჩვიო".



დედოფლის იუბილეზე, რომელიც ბრიტანეთში მაისში აღნიშნეს, ბევრი ფოტო გადავიღე. ამდენი UNION JACK FLAG–ი ერთად მანამდე არ მინახავს.

ისტ ლონდონში, ბრიკლეინზე, ქუჩის ბაზრობა შაბათობით იმართება. აქ ვინტაჟ ტანსაცმელსა და აქსესუარებს ყიდიან.

ლონდონში მზე ნიუსია. კარგ ამინდში, მწვანეში ჩაფლული პარკები ხალხით ივსება და ბარბეკიუს კვამლის სუნი ტრიალებს.

ერთ დღეს, უნივერსიტეტისკენ მგზავრობისას, ეს წყვილი მეტროს ვაგონში ჩემს წინ იჯდა. ბევრს არ მოსწონს, როცა ფოტოს უღებ, მაგრამ ესენი იმდენად ერთმანეთით იყვნენ მოცულები, რომ თუ სწორად მახსოვს, ვერც შემამჩნიეს.

დედოფლის იუბილის აღსანიშნად ჩემს ქუჩაზე, უილთონ უეიზე, ქუჩის ღრეობა მოეწყო. ყველა თავისი საჭმელ-სასმელით იყო გამოსული საკუთარი სახლის წინ და ილხენდნენ.

პორტობელოს ქუჩა და ქუჩის მუსიკოსები – ეს უკვე ვესტ ლონდონია, აი, რომ გეუბნებოდით, სულ სხვა კულტურა და ხასიათი აქვს-მეთქი.

აქ მზის გამოსვლას პირდაპირი გაგებით ზეიმობენ. ესეც ერთ-ერთი მზიანი დღეა რეჯენტის არხზე. ადამიანებმა, რომლებიც გემებზე ცხოვრობენ, „მუსიკის ფესტივალი" მოაწყვეს, თავთავიანთ გემბანებზე გამოიტანეს წიგნები, ახლად დაწურული ფორთოხლის წვენი, მეორადი ტანსაცმელი და ყიდნენ, თან მუსიკით ერთობოდნენ.

შორდიჩი, ისტ ლონდონი, დეკემბერი, 2011 წელი, მილიონიდან ერთ-ერთი წვიმიანი დღე.

ლონდონელი გოგოები ჩემს ქუჩაზე, უილთონ უეიზე დედოფლის იუბილეს აღნიშნავდნენ – აი, ასე.

პაბი NEW CROSS HOUSE, სადაც ყოველი ლექციის შემდეგ, სახლში დაბრუნებამდე ლუდის დასალევად შევივლით ხოლმე.

ეს ბრიკ ლეინია და ზედ ათასიდან ერთ-ერთი ვინტაჟის მაღაზია.

მეტროს გაჩერება BANK. თქვენს მიხვდებოდით, რა გადავიღე ამ ფოტოზე.

ჩემს ქუჩაზე ცხოვრობდა მერი პოპინსი. :)

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

2012

14 - 30 სექტემბერი

ზოგჯერ ბრძენიც შეცდება

ოლეგ ტაბაკოვის თეატრი - სტუდია, რუსეთი

www.tbilisiinternational.com
www.facebook.com/TbilisiInternational

ახალი გოჯოლაღი

ლიტერატურა

ლიტერატურული პროცესი
და „საბა“ გადაეცემა...
მაშო სამადაშვილი

საავტორო
მადათაშვილი
აკა მორჩილაძე

ბიბლიოთეკის წმენდა-შევსება 2
ლაშა ბულაძე

ესე
მწერალი დონ კიხოტ ლამანჩელი
ბექა ქურხული

და „საბა“ გადაეცემა...

ავტორი მაშო სამადაშვილი
ფოტო მაკა გოგალაძე

12 ივლისს რუსთაველის თეატრის დიდი დარბაზი საზეიმო განწყობით ლოს ანჯელესის კოდაკის თეატრს ჰგავდა, სადაც ამერიკის კინოაკადემიის მიერ გაცემული ჯილდოები წლის ყველაზე მეტ ვნებათაღელვას და სპორტულ აზარტს იწვევს.

ვიდრე თეატრის ვრცელ ფოიეში ღონისძიების შემდეგ დაგეგმილი ფურშეტისთვის ემზადებოდნენ, დარბაზი უკვე ივსებოდა ხალხით, სცენაზე დამონტაჟებულ დიდ მონიტორებზე კი „კურიერის“ სპორტული ბლოკი სრულდებოდა. დალუქული კონვერტების გახსნამდე, რომლებშიც წლის უმთავრესი ლიტერატურული საიდუმლოება ინახებოდა, წუთებიღა რჩებოდა.

სტუმართა ნაწილისთვის მოლოდინს შარშანდელი „საბას“ დაპირებებიც ამძაფრებდა. 2011 წლის ცერემონიის დასასრულს, „თიბისი ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა მამუკა ხაზარაძემ განაცხადა, რომ 10 წლის იუბილეს გამო, საბა-2012 მასშტაბურობით, სიახლეებითა და კრეატიულობით გამორჩეული ღონისძიება იქნებოდა. სიახლე მართლაც იყო ცერემონიის დროს რამდენიმე მუსიკალური ნომრის დამატება და ისიც, რომ უამინდობის მიზეზით, ღონისძიება „თიბისი ბანკის“ ეზოს ნაცვლად, რუსთაველის თეატრში გაიმართა. თუმცა, სხვა მხრივ, წლევანდელი „საბა“ მთავარი ლიტერატურული მოვლენისთვის ცოტა მოსაწყენიც კი აღმოჩნდა და მსგავსი განწყობა გამარჯვებულთა სიის გამოქვეყნებამ გამოიწვია.

იარუსი მოხერხებული ადგილია სცენაზე განვითარებულ მოვლენებზე და პარტერის წინა რიგებში მოკალათებულ ნომინანტებზე დასაკვირვებლად. სწორედ მათი მღელვარების ხარისხისა და თავდაჭერის მანერით ვცდილობდი, „გამომეცნო“, თუ რას ვნახავდი მომავალი 45 წუთის განმავლობაში. ზურა ქარუმიძე პირველ რიგში განმარტოებით იჯდა და მოუსვენრად აკვირდებოდა მომსვლელ-წამსვლელს. მის ფორიაქს რაღაცნაირად ამართლებდა საზოგადოების ნაწილის წინასწარი განწყობა და მოლოდინი, რომ წლის საუკეთესო რომანის ტიტულს ქარუმიძის „მელია-ტულეფია: fox-trot" აიღებდა. თუმცა, ქარუმიძეს რომ შანსი არ ჰქონდა, ამას მაშინ მივხვდი, როგორც კი დარბაზში აკა მორჩილაძე დავლანდე (ის პირადი მიზეზებით, ლონდონიდან თბილისში რამდენიმე დღით ადრე დაბრუნდა, „საბაზე“ დასასწრებად კი სპეციალურად ჩამოვიდა სოფლიდან. როგორც წესი, აკა მორჩილაძე „საბას“ ცერემონიას მხოლოდ იმ წელს ესწრება, როდესაც ორგანიზატორები დაჟინებით იწვევენ ღონისძიებაზე). ვფიქრობ, გამარჯვების იმედი არ უნდა ჰქონოდა ირაკლი სამსონაძეს, რომლის სასარგებლოდაც ლიტერატურული ფსონები წელს საერთოდ არ იდებოდა (ქარუმიძის და მორჩილაძის რომანებისა და ილიას უნივერსიტეტის მიერ წლის რომანად დასახელებული „გასაბერი ანგელოზისგან“ განსხვავებით). „საბაზე“ საერთოდ არ მოვიდა „წლის რომანის“ ტიტულის ერთ-ერთი პრეტენდენტი, ზაზა ბურჭულაძე. ორიდან ერთი

იყო მიზეზი: ის ან ისევ თავის საყვარელ – განაწყენებული მწერლის პოზაში უცხადებდა პროტესტს „საბას“ ცერემონიას, ანდა წინასწარ წაგებული თამაშის სანახავად არ მოვიდა.

„საბა“ „თიბისი ბანკის“, „პენ-კლუბის“, გაზეთ „24 საათის“ და ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ერთობლივი პროექტია, თუმცა, დღეს, ძირითადად, „თიბისი ბანკის“ სახელთან ასოცირდება. მის საპრიზო ფონდს, 40 ათას ლარს, პლუს წლიდან წლამდე გაწეულ საორგანიზაციო ხარჯებსა და ჟიურის წევრთა ჰონორარებს, სრულად აფინანსებს დამფუძნებელი ბანკი. შესაბამისად, „საბა“ კერძო ინიციატივაა, რომელიც თითქმის დაარსებისთანავე იქცა ქვეყნის ნომერ პირველ პრემიად. მისი მიღება გაცილებით უფრო პრესტიჟულად ითვლება, ვიდრე – იდეოლოგიით დაღდასმული შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიისა და მისი „ახალგაზრდა“ და შედარებით გლამურული კლონის – „გალას“ მოპოვება („გალა“ თბილისის საკრებულოს ყოველწლიური ლიტერატურული პრემიაა). ფრაგმენტული და მწირი ლიტერატურული კრიტიკის და ალტერნატიული კონკურსების არარსებობის ფონზე, „საბა“ ქართველი ავტორებისთვის „ნობელიც“ არის, „ბუკერიც“ და „გონკურებიც“. მას კონკურენციას ვერ უწევს ვერც 2010 წელს დაარსებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პრემია წლის საუკეთესო რომანისთვის.

„საბას“ დღემდე ბონუსად მოჰყვება ის უკამათოდ დიდი როლიც, რომლის შესრულებაც მან დაარსებისთანავე ითავა ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში. ის ჟურნალისტები და კრიტიკოსები, რომლებიც 1990-2000-იანი წლების პირველ ხანებში ლიტერატურაზე წერდნენ, „საბას“ დაარსებას სიბნელეში ნათურის ანთებას ადარებენ. ქვეყანაში, სადაც მთელი ათწლეულის განმავლობაში, ტყვიების ზუზუნში, „კერასინკასთან“ იწერებოდა და იკითხებოდა წიგნები; სადაც სულ რამდენიმე წიგნის მაღაზია არსებობდა, ახლად დაარსებული გამომცემლობები კი წიგნებს მაქსიმუმ 500-იანი ტირაჟით ბეჭდავდნენ, სამ ახალგაზრდა და ყველაზე მოდურ ქართველ ავტორს – რატი ამაღლობელს, ლაშა ბუღაძეს და დათო ტურაშვილს ლიტერატურული პრემიის დაარსების იდეა გაუჩნდათ. მათი იდეა „თიბისი ბანკის“ დამფუძნებელმა მამუკა ხაზარაძემ დააფინანსა. პრემია „საბად“ კრიტიკოსმა ბიძინა მაყაშვილმა მონათლა. ორგანიზატორებმა თავიდანვე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეს იქნებოდა პირველი დამოუკიდებელი პრემია, თავისუფალი ყოველგვარი კონიუნქტურისგან.

„საბას“ დაარსება ძალიან მნიშვნელოვანია. პირველ ყოვლისა, ეს ხელს შეუწყობს ლიტერატურულ პროცესებს. მნიშვნელოვანია იმითაც, რომ კონკურსში ყველა თაობის მწერლები და პოეტები იღებენ მონაწილეობას, რომლებიც ახლა ერთმანეთისგან საკმაოდ გაუცხოებულები არიან. ამჯერად კი ყველანი ერთად ვიქნებით, ერთმანეთს შევაფასებთ და გარკვეულ ურთიერთობებსაც ჩაეყრება საფუძველი“, – აღნიშნა მწერალმა დათო ტურაშვილმა „24 საათთან“ ინტერვიუში 2003 წლის 4 აპრილს, როდესაც პრემიის დაარსების შესახებ ოფიციალურად გამოცხადდა.

წლების განმავლობაში „საბამ“ სწორედ ბნელ ოთახში ანთებული ნათურის ფუნქციით იცხოვრა. 10 ცერემონია 10 წელიწადში, 62 ავტორისთვის გადაცემული 74 ჯილდო, თავდაპირველად რვა, 2011 წლიდან კი ცხრა ლიტერატურული კატეგორია. 42 მწერალი და კრიტიკოსი, რომლებმაც ჟიურიში იმუშავეს. 1500-ზე მეტი წაკითხულ-შეფასებული წიგნი. ჩვენთან მრავალფეროვანი კვლევები არ ტარდება და არავინ იცის რეალური კორელაცია „საბას“ აღებას და წიგნის გაყიდვების მომატებას შორის, მაგრამ წიგნი აშკარად უფრო მეტად რომ იყიდება და გამომცემლობებიც, როგორც წესი, გეგმებს „საბას“ კალენდარული წლის მიხედვით აწყობენ, ესეც ფაქტია.

„საბა“ არსებით გავლენას წიგნის გაყიდვებზე ვერ ახდენს, მაგრამ კითხვის პოპულარიზაციას ნამდვილად იწვევს. ის, რომ კითხვა კარგ ტონად ითვლება, ამაში „საბას“ წვლილიც არის“, – ამბობს გამომცემელი ბაკურ სულაკაური, რომლის წიგნებიც ყველაზე ხშირადაა კონკურსში გამარჯვებულთა შორის.

თუმცა, სწორედ იმ ავტორიტეტის გამო, რაც „საბამ“ თავიდანვე მოიპოვა, დაარსებიდან ათი წლის თავზე, მის მიმართ გაცილებით უფრო დიდი პრეტენზიები გამოითქმის, ვიდრე მსხვილი ბანკის მიერ დაარსებული, კერძო პრემიის მისამართით შეიძლება არსებობდეს. საქმე ისაა, რომ საზოგადოება არ აღიქვამს „საბას“ კერძო პრემიად. ის წლის მთავარი ლიტერატურული მოვლენაა და ამიტომაცაა, რომ ჟიურის ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელსაც ოდნავაც კი შეიძლება კონიუნქტურის ელფერი დაჰკრავდეს, უკვე მკითხველის გაღიზიანებას იწვევს. პრინციპში ხომ, სწორედ კერძოობის გამო, „საბა“ გაცილებით უფრო თავისუფლად შეიძლება იყოს სიახლეებზე ორიენტირებული, გამარჯვებულების არჩევისას გაბედული და არაპროგნოზირებადი, ვიდრე ქალაქის მერიის მიერ დაარსებული, ანდა – სახელმწიფო ჯილდო. რეალურად კი, „საბა“ ზოგჯერ „გალაზე“ უფრო მეტადაც პროგნოზირებადია, ჟიურის გადაწყვეტილებები კი – წინა წლების არჩევანის უბრალო გამეორება. „საბას“ ცერემონიის ერთგულ მაყურებელს ათი წლის განმავლობაში უკვე ხუთჯერ აქვს მოსმენილი ფრაზა: „საბა“ წლის საუკეთესო რომანისთვის გადაეცემა აკა მორჩილაძეს. ბოლოს ეს ფრაზა ლიტერატურის მოყვარულებმა 12 ივლისს მოისმინეს.

აკა მორჩილაძის ტექსტები ყოველთვის დინამიკური საკითხავია, მის გამარჯვებას ყველაზე თავზეხელაღებული, ანდა შარიანი კრიტიკოსიც კი ვერ გაასაჩივრებს. თუმცა, „საბას“ წესდების მიხედვით, ჟიურის წევრებს არ ევალებათ, თავიანთ გადაწყვეტილებას საჯარო ახსნა-განმარტება მოაყოლონ და პრობლემასაც ეს იწვევს. ხშირად იქმნება ხოლმე სიტუაციები, როცა მსგავსი განმარტებები საჭიროა. დარწმუნებული ვარ, დარბაზში შეკრებილი პუბლიკის ნაწილს გაუჩნდა კითხვა: რატომ აკა მორჩილაძე მეხუთედ და არა ქარუმიძე, ანდა ბურჭულაძე-სამსონაძე – პირველად? „წაიკითხეთ სხვა რომანები და მიხვდებით, რატომ მივეცით აკას მეხუთედ „საბა“, – მითხრა ჟიურის წევრმა, კრიტიკოსმა ბიძინა მაყაშვილმა ცერემონიიდან რამდენიმე დღის შემდეგ.

„ჟიურის ყველა წევრი, შორტლისტში მოხვედრილი რომანების წაკითხვის შემდეგ, ერთნაირ შეფასებას აკეთებდა – „არა, აკა არის მწერალი“, ნამდვილად ყველა ძალიან მოგვხიბლა მისმა ტექსტმა“, – ამბობს ჟიურის მეორე წევრი, მწერალი თეონა დოლენჯაშვილი.

ამ აღტაცებას იზიარებს, ფილოსოფოსი გიგა ზედანიაც, რომელმაც „სა-

ბას“ ჟიურიში წელს პირველად იმუშავა. თუმცა, ამბობს, რომ „Obole“-სთან ბევრი პრეტენზია აქვს, პირველ რიგში კი, ის, რომ მისი ავტორი არამოდერნულად წერს, რის საილუსტრაციოდაც ფლობერისა და ბალზაკის მაგალითს იხსენებს: „ფლობერმა სულ 4-5 რომანი დაწერა, რადგან ყველა ფრაზას, რომელიც შემდეგ მის წიგნებში ხვდებოდა, ის ჯერ დაფაზე წერდა და ხმამაღლა კითხულობდა, ბალზაკი კი უამრავს წერდა, თუმცა მოდერნული პროზის მაგალითად ფლობერი რჩება. აკას, ერთადერთი, რაც შეიძლება უსაყვედურო, ისაა, თუ რატომ არ არის ის ფლობერი, ანუ რატომ წერს ამდენს და, ასე ვთქვათ, უგულისყუროდ. თუმცა ამ კრიტიკით პრობლემა არ გვარდება, რადგან თუ აკა ფლობერი არაა, არც სხვა ფლობერი გვყავს, ამიტომ მისი საშუალო ნაწარმოებიც კი, უკეთესია, ვიდრე საშუალო მწერლის კარგი ნაწარმოები“.

აკა მორჩილაძე, „საბა“, 2012

რამდენად ზუსტია მსგავსი მიდგომა წლის რომანის გამოვლენისას? „საბას“ ორგანიზატორები დაბეჯითებით იმეორებენ, რომ პრიზს გადასცემენ იმ წლის საუკეთესო ტექსტს და არა ავტორს. ამიტომ თუკი, 2003, 2005, 2006 და 2008 წელს აკა მორჩილაძის ტექსტები იყო საუკეთესო, ესე იგი, აკა მორჩილაძე ამდენივე „საბას“ წაიღებდა სახლში. ამ ლიტერატურული პრემიის წესდება ერთი და იგივე ავტორის დაჯილდოებას არ კრძალავს (განსხვავებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯილდოსგან, რომელსაც ნებისმიერი მწერალი – თუნდაც ისეთი, რომელსაც შეუძლია წლის მონაცვლეობით, თავისივე საუკეთესოს რეკორდი მოხსნას – ცხოვრებაში ერთხელ აიღებს). ასევეა ბევრი სხვა, უცხოური ლიტერატურული პრემიის შემთხვევაშიც. თუმცა, იმ მწერლების ჯილდოს გარეშე დატოვება, რომლებიც შეიძლება მორჩილაძესავით ვერ წერენ, მაგრამ ქართულ ლიტერატურაში ტენდენციებს ქმნიან, ახალი ჟანრები შემოაქვთ, რაღაც უნიკალურის შექმნას ცდილობენ და სათქმელის გადმოცემის ფორმასა და ენას ხვეწენ, პრემიის ორგანიზატორთა საკამათო სტრატეგიად შეიძლება მივიჩნიოთ.

„ჩვენ საუკეთესო რომანი ავარჩიეთ და ამ პროცესში არ ფიქრობ ლიტერატურული პროცესის განვითარებაზე, – მეკამათება გიგა ზედანია, – რა, ზაზა ბურჭულაძეს რომ აეღო ეს პრემია, ეს მას უფრო ცნობილს გახდიდა, უკეთეს რომანებს დაწერდა, თუ სხვებს უნდა მოვუწოდოთ, რომ მისნაირი რომანები წერონ? ცალკე საკითხია ზაზა ბურჭულაძეს რატომ არ აქვს არცერთი „საბა“, მაგრამ წელს წარმოდგენილი „გასაბერი ანგელოზი“ ძალიან სუსტი რომანია, ამ ტექსტს ჟიურის არცერთ წევრზე შთაბეჭდილება არ მოუხდენია, ზურა ქარუმიძისაც თითქმის ყველაფერი მაქვს წაკითხული და შემიძლია ვთქვა, რომ ეს რომანი, ნამდვილად სჯობდა მის სხვა რომანებს, მაგრამ ეს არაა საკმარისი მიზეზი „საბას“ მისაღებად“.

აკა მორჩილაძემ სამადლობელ სიტყვაში აღნიშნა, რომ ნელ-ნელა იჯერებს, რომ მწერალია და დაამატა, რომ სცენაზე „აზდაკი“ დალანდა. მისი ეს ფრაზა, ოდნავ მოულოდნელიც იყო პუბლიკისთვის, რადგან აკა მორჩილაძე ის მწერალია, რომელიც „ლიტერატურულ ორომტრიალში“ სრულებით არ მონაწილეობს, არცერთ თავის კოლეგას საჯაროდ არც აქებს და არც აძაგებს და არ ინტერესდება, შეაქვთ თუ არა „საბას“ ნომინანტთა სიაში მისი წიგნები.

აკა მორჩილაძის გარდა, „ეს ხომ იყო უკვე“-ს განცდას იწვევდა საუკეთესო პროზაული კრებულის ნომინაციაში ბესიხვედელიძის, საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკის ნომინაციაში ლევან ბრეგაძის, საუკეთესო პიესის ნომინაციაში კი ლაშა ბუღაძის გამარჯვება (ოთხივე მათგანი პირველი „საბას“ გამარჯვებულებიც არიან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ „ბი-ბი-სი“-ს მიერ აღიარებულ ლაშა ბუღაძის „ნავიგატორს“ მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით ალტერნატივა არც ჰყოლია და ასე მოიპოვა ბუღაძემ მესამე „საბა“ საუკეთესო პიესისთვის).

საინტერესო იყო თარგმანის კატეგორიაც, რომელშიც 9 ძალიან ღირსეული ნომინანტი შედიოდა, თუმცა, თავიდანვე გამოკვეთილი იყო ფავორიტიც – დამსახურებული მთარგმნელი დავით წერედიანი „ფაუსტის“ ოსტატური და ორიგინალური ვერსიით, რომელიც, ვფიქრობ, რომ უკონკურენტო გახლდათ.

„ამ თარგმანის მიმართ მაქვს შენიშვნები, მე ის შევადარე ორიგინალს და პასტერნაკის თარგმანს, წაკითხული მაქვს ჯორჯანელის თარგმანიც. რა თქმა უნდა, მერჩივნა, შინაარსობრივი თვალსაზრისით თარგმანი უფრო ზუსტი ყოფილიყო, თუმცა ხდომილება, რომ „ფაუსტი“ ითარგმნა, განსაკუთრებით დასაფასებელია. თუ ხმას სხვას მივცემდი, ეს მაია ბადრიძისეული „უთვისებო კაცის“ თარგ-

ლაშა ბუღაძე, „საბა“, 2012

მანი იქნებოდა, რადგან ეს არის უზარმაზარი ნაშრომი, „უთვისებო კაცი“ XX საუკუნის ერთ-ერთი ურთულესი და ძალიან ღრმა ნაწარმოებია, თუმცა, საბოლოოდ მაინც გოეთეს მნიშვნელობამ გადაწონა“, – ამბობს გიგა ზედანია. თუმცა, ხდომილებაზე საუბარი ჟიურის წევრის მხრიდან არცთუ ადეკვატურია. დავით წერედიანამდე „ფაუსტი“ ხომ არაერთხელ ითარგმნა, თანაც უახლოეს თარგმანს უკვე გამოუჩნდნენ კრიტიკოსები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ წერედიანის „ფაუსტი“ კარგი ქართულით გამოირჩევა, მაგრამ გოეთეს „ფაუსტთან“ შინაარსობრივი თვალსაზრისით ცოტა საერთო აქვს. სწორედ ამიტომ ჟიურის გადაწყვეტილების „ხდომილებით“ გამართლება, არცთუ დამაჯერებელია, თუნდაც იმავე „უთვისებო კაცის“ ფონზე...

პოეზიაში საქმე, ვფიქრობ, რომ ყველაზე მარტივად იყო. პაატა შამუგიას მეექვსე კრებულის, „დაუჯდომელის“ უპირობო ლიდერობას, ერთი მხრივ, კრებულის ღირსეულობამ, მეორე მხრივ კი, კონკურენტების კრებულების სისუსტემ შეუწყო ხელი (დანარჩენი ნომინანტები იყვნენ: ცირა ბარბაქაძე, კატო ჯავახიშვილი, ვაჟა ხორნაული, ელგუჯა მარღია).

რაც შეეხება დოკუმენტური პროზის ნომინაციას, რომლის გამარჯვებულიც გიორგი მაისურაძე გახდა წიგნით „ჩაკეტილი საზოგადოება და მისი დარაჯები“, გადაწყვეტილების მიღებისას ჟიურიმ საკმაოდ დიდხანს იკამათა. ზედანიას თქმით, „ჟიურის წევრების ნაწილისთვის მიუღებელი იყო ავტორის პროვოკაციულობა“.

სამაგიეროდ, წლის საუკეთესო პროზაული კრებულის გამოცნობას არ სჭირდებოდა გონების განსაკუთრებით დაძაბვა, შორტლისტის გამოქვეყნებისთანავე ცხადი გახდა, რომ დაპირისპირება ზურაბ ლეჟავასა და ბესო ხვედელიძეს შორის წარიმართებოდა, და ასეც მოხდა – საბოლოოდ, „საბა“ ბესო ხვედელიძის „წითელს“ ერგო.

ბევრს საუბრობენ, რომ წლევანდელ „საბას“ პირველი პრობლემები შორტლისტის გამოქვეყნებისას გაუჩნდა.

„წლევანდელ შორტლისტში ვერ მოხვდა რამდენიმე ძალიან საინტერესო ავტორი, – ამბობს გიორგი ლობჟანიძე, – მაგალითად, გელა ჩქვანავა. თუ ჩახედული ხარ თანამედროვე ლიტერატურულ პროცესში, უნდა იცოდე, რომ წელს მისი ორი ძალიან მნიშვნელოვანი კრებული გამოვიდა, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც არათუ შორტლისტში უნდა მოხვედრილიყო, არამედ პროზაული კრებულის ნომინაციის ფავორიტიც უნდა გამხდარიყო. მრჩება შთაბეჭდილება, რომ მისი არგაყვანით სხვებს გზა გაუთავისუფლეს და გამარჯვება გაუმარტივეს“.

გიორგი ლობჟანიძე ხარვეზს ხედავს დებიუტის ნომინაციის დაკომპლექტებაშიც. მისი თქმით, ნახევარფინალს მიღმა დარჩა ძალიან საინტერესო დებიუტანტი მწერალი ქალი ლელა კოდალაშვილი, რომელმაც „თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, დახვეწილი ლიტერატურული ხერხების გამოყენებით შემოიტანა შიშველი ეროტიზმი“.

ზოგადად, „დებიუტის“ კატეგორიაში გამარჯვებულის გამოვლენა ძალიან რთულია, ვინაიდან დებიუტის ნომინაციაში შემოდის პროზაც, პოეზიაც და თარგმანიც. ამის გამო, ხშირად აზრთა ყველაზე დიდ სხვადასხვაობას სწორედ „საბას“ ეს კატეგორია იწვევს ხოლმე (ცენტრალური პრემიის – წლის რომანის გარდა). შეიძლება ითქვას, ამ მხრივ გამონაკლისი მხოლოდ შარშანდელი „საბა“ თუ იყო, როცა თამთა მელაშვილის პირველი მცირე რომანი „გათვლა“ უპირობო ფავორიტი გახდა.

თეონა დოლენჯაშვილი 2012 წლის დებიუტის ნომინაციაში ჟიურის გადაწყვე-

ტილებას ასე ხსნის: „მე და გიგა ზედანიას ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გაგვიჩნდა პრემიის გაყოფის იდეა, ზოგადად, არ მივესალმები მსგავს რამეს, თუმცა რადგან დებიუტი იყო და თანაც ჟანრულად მრავალფეროვანი, კომპრომისზე წავედით. სალომე ბენიძე პოეზიაში ჩემი უდავო ფავორიტი იყო, პროზაში კი უფრო რთულად გვქონდა საქმე. ჯაბა ზარქუა ისეთ ჟანრში მუშაობს, რომლის განვითარებაც ქართულ ლიტერატურას სჭირდება, სანდრო ნავერიანი კი არის ახალი ხმა ქართულ ლიტერატურაში. თუმცა, „სხვა გზა“ ჩემი ფავორიტი მოთხრობა იყო, სოციალური დრამა ძალიან დროული და საჭირო თემაა. გარდა ამისა, ეს მოთხრობა „წლის საუკეთესო 15 მოთხრობის“ სამეულში მოხვდა, ქართველ მწერალ ქალთა გერმანულ ანთოლოგიაში თამთა მელაშვილისა და ანა კორძაია-სამადაშვილის მოთხრობებთან ერთად შევიდა, გერმანიაში მოღვაწე ქართველმა მწერალმა ნინო ხარატიშვილმა კი სწორედ ეს ტექსტი გამოარჩია და შეაფასა“.

კაატა შამუგია, „საბა“, 2012

„თავიდან ექსპერიმენტული ტექსტისკენ ვიხრებოდი, სწორედ ამ ნიშნით გამოვარჩიე სანდრო ნავერიანის „არგენტინული პიტბული“, არა იმიტომ, რომ ეს ტექსტი იდეალურად მიმაჩნდა, უბრალოდ სიახლისთვის მინდოდა მხარი დამეჭირა, თუმცა, როცა საბოლოოდ, ჟიურიში ორი პოტენციური გამარჯვებული გამოიკვეთა – სალომე ბენიძე და ეკა ტოგონიძე, არ ჩამითვლია, რომ ეს გადაწყვეტილება უსამართლო იყო. სალომეს ტექსტები ჩამოყალიბებული პოეზიაა, ხოლო როცა ეკატერინე ტოგონიძის „სხვა გზა“ ხელახლა წავიკითხე, გამიჩნდა განცდა, რომ ეს იყო გამართულად დაწერილი მოთხრობა, ეს იყო შეუდარებლად კარგი ტექსტი, ვიდრე სხვა დებიუტანტების მოთხრობები“.

როდესაც დიქტოფონით, უკვე მეორედ, ჟიურის წევრების ამ პასუხებს ვისმენდი და ისინი ერთმანეთის მიყოლებით დავალაგე, მივხვდი, რომ წლევანდელ „საბაზე“, იმ ნომინაციაშიც კი, რომელიც ყველაზე თავისუფალი და ექსპერიმენტული „ზონა“ უნდა ყოფილიყო, სინამდვილეში ყველაზე „კლასიკური“ გადაწყვეტილება მიიღეს – გამარჯვებული მხოლოდ „გამართული წერის“ კრიტერიუმით აირჩიეს (მაშინ, როცა გაუმართავი და ბლაგვი ქართული, მკითხველს არც სხვა ნომინანტების ტექსტებში მოსჭრიდა ყურს).

კრიტიკას „საბას“ ჟიურის მიერ სხვადასხვა წელს მიღებული, ზედმეტად გაწონასწორებული გადაწყვეტილებების შესახებ გიგა ზედანია ასე პასუხობს: „საბა“ არ არის ახალგაზრდული პრემია, საქართველოში მკითხველების უმრავლესობა ახალგაზრდა არაა, რაც უფრო ასაკში შედის ადამიანი, მისი გემოვნება, სულ უფრო კონსერვატიული ხდება, ცუდია თუ არა ეს? – არა, მგონია. მთავარი მრავალფეროვნებაა. იქ იყვნენ ადამიანები, რომლებიც უფრო მოდერნულ ან უფრო კლასიკურ ტექსტებს უჭერდნენ მხარს, მთავარი ისაა, რომ ესთეტიკური პრინციპები არ დაჩაგრულა“.

როდესაც „საბას“ გამარჯვებულთა სიის ავ-კარგს განიხილავენ, ლოგიკურია, რომ კრიტიკისა თუ ქების ადრესატები, პირველ რიგში, ჟიურის წევრები ხდებიან. „საბას“ დაარსებისთანავე ორგანიზატორებმა ხომ სწორედ ჟიურის კომპეტენტურობა დაასახელეს პრემიის ობიექტურობის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ კრიტერიუმად. ამიტომ, თავიდანვე დადგინდა, რომ ჟიური ყოველწლიურად შეიცვლებოდა, შედეგების გამოცხადებამდე წევრთა ვინაობა გასაიდუმლოებული დარჩებოდა და ორგანიზატორები არ ჩაერეოდნენ ჟიურის მუშაობაში. მათ თავიდანვე შექმნეს ჟიურის იდეალური წევრის პროტოტიპიც. ის უნდა იყოს კარგი მკითხველი – დახვეწილი ლიტერატურული გემოვნებით, კეთილსინდისიერი ადამიანი – რათა წიგნის წაკითხვა არ დაიზაროს, ჯგუფში მუშაობის გამოცდილება უნდა ჰქონდეს – ჟიურის დანარჩენ წევრებთან ჰარმონიულად რომ ითანამშრომლოს და მტკიცე პრინციპებით გამოირჩეოდეს – „სატელეფონო ზარების“ და სხვათა გავლენის ქვეშ რომ არ მოექცეს. "საბას" ორგანიზატორი რატი ამაღლობელი დასძენს იმასაც, რომ ჟიურის დაკომპლექტებისას პროფესიონალიზმთან და მდიდარ ლიტერატურულ გამოცდილებასთან ერთად, მნიშვნელოვანი ფაქტორია მრავალფეროვნებაც. „არასდროს ვაკომპლექტებთ ჟიურის ერთი ლიტერატურული ჯგუფიდან. თუ საქართველოში მრავალფეროვნებაზე შეიძლება ლაპარაკი, ჩვენს ჟიურიზე ეს მრავალფეროვნება აისახება“.

თუმცა, პრემიის ორგანიზატორები არ მალავენ, რომ წესდებაში ჩაწერილი თუ ზეპირსიტყვიერად შეთანხმებული ამ პრინციპების დაცვა ყოველდღიურ სამუშაო პროცესში უჭირთ; განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ჟიურის შერჩევის დრო დგება. მცდელობა – მაქსიმალურად იყოს

სალომე ბენიძე და ეკატერინე ტოგონიძე, „საბა", 2012

დაცული მრავალფეროვნების პრინციპი – ხშირად შეუსრულებელ მისიას ემსგავსება. თუ 2003 წლიდან დღემდე „საბას" ჟიურის წევრთა ვინაობას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ „საბაზე" სულ ერთი და იგივე სახელები ტრიალებს. რამდენიმე ლიტერატორი ჟიურიში სამჯერაც კი მოხვედრილა. თუმცა ამას თავისი ახსნა აქვს: „პატარა ქვეყნის ლიტერატურულ ცხოვრებაში ჩართული ადამიანების რიცხვი ძალიან მცირეა და ჟიურის შერჩევა რთულია", – ამბობს ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი და 2004, 2007 წლებში „საბას" ჟიურის წევრი ლაშა ბაქრაძე. მაგრამ, ეძებს კი „საბა" ახალ ადამიანებს ჟიურისთვის? ეძებს, მაგრამ ისევ იმ საკუთარ ჩაკეტილ წრეში, ამიტომაცაა, რომ წლევანდელი დებიუტანტი შეიძლება, მომავალ წელს ჟიურიში აღმოჩნდეს და რვა ჟანრული ნომინაციის შეფასება მოუხდეს. რატი ამაღლობელი მიიჩნევს, რომ ეს არ არის პრობლემა, თუ დებიუტანტს გამორჩეული ლიტერატურული ალღო და გემოვნება აქვს.

მკითხველთა და კრიტიკოსთა ნაწილისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი ხარვეზი „საბას" ჟიურის ინერტულობაა. მათ რომ უფრო გაბედული და რადიკალური გადაწყვეტილებების მიღება შეეძლოთ, ეს უფრო მეტად გამოაფხიზლებდა მწერლებსაც და საქართველოში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესსაც. „თუ ჟიური პროფესიული თვალსაზრისით გაიზრდება, „საბას" შედეგები შეიძლება, უფრო საინტერესოც იყოს", – ამბობს ლაშა ბაქრაძე.

ჟიურის წევრები ხშირად იმეორებენ იმასაც, რომ მათ ორიგინალურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც სიახლის ძიების მიზნით მიიღეს, ყოველთვის იმდენი კრიტიკა მოჰყვა, რომ ამან შემდეგ ჟიურის წევრთა შორის სიფრთხილის გრძნობა გააჩინა.

2009 წლის საუკეთესო რომანის კატეგორიაში დამსახურებული და ცნობილი მწერლის, თამაზ ჭილაძის "ბრეიგელის მთვარეს" კონკურენციას დამწყები რომანისტის თეონა დოლენჯაშვილის "შემფისი" უწევდა. ჟიურიმ კლასიკოსი ავტორის ტექსტს ახალგაზრდა მწერალი ქალის პირველი რომანი ამჯობინა და "საბა" თეონა დოლენჯაშვილს გადასცა. ეს გადაწყვეტილება კი, როგორც თეონა იხსენებს, დიდხანს იყო კრიტიკის საგანი და დასძენს: "ჟიურის ურჩევნია, ისეთი გადაწყვეტილებები მიიღოს, რომელზეც ვერ შეედავებიან".

თუმცა, 2009 წლის საუკეთესო რომანის მისამართით კრიტიკის სხვა ვერსიაც არსებობს. ზოგიერთი ლიტერატორის აზრით, "შემფისის" გამარჯვება არა ჟიურის გაბედული არჩევანის, არამედ სიფრთხილის მაგალითი უფრო იყო, როცა მათ ნომინაციის საერთოდ გაუქმებისგან თავი შეიკავეს და სუსტ ტექსტებს შორის შედარებით ნაკლებად სუსტი ამოარჩიეს.

„საბას" ათწლიანი ისტორიის მანძილზე ჟიურის ყველაზე რადიკალურ გადაწყვეტილებად 2007 წლის მაგალითი მიიჩნევა. ამ წელს „საბა" წლის საუკეთესო პიესის ნომინაციაში საერთოდ არ გაიცა. საზოგადოებისთვის არავის აუხსნია, რატომ არ გაუქმდა თავიდანვე ეს ნომინაცია, თუკი ჟიური ფიქრობდა, რომ შორტლისტში შესული ნომინანტებიდან არცერთი იყო გამარჯვების ღირსი. უხერხულობას იწვევდა ის ფაქტი, რომ ნომინანტთა შორის იყო ლაშა ბუღაძე პიესით „ვიდრე მთავარ გმირს ეძინა". თუმცა, ის ასევე წარდგენილი იყო წლის რომანის ნომინაციაზეც. საბოლოო ჯამში, რამდენიმე ცნობილი და აღიარებული პიესის ავტორმა ბუღაძემ იმ წელს საუკეთესო რომანისთვის მიიღო „საბა" (რის გამოც, ვეღარ მიიღებდა ჯილდოს საუკეთესო პიესისთვისაც), პიე-

სის ნომინაციაში კი ჯილდო საერთოდ არ გაიცა. მაშინდელ ჟიურის წევრებს ეს გადაწყვეტილება დღესაც სწორად მიაჩნიათ. „ეს იყო ჟიურის ერთ-ერთი რეფორმატორული გადაწყვეტილება, რაც სამომავლოდ სტიმული უნდა გამხდარიყო დრამატურგიის განვითარებისთვის," – ამბობს ბიძინა მაყაშვილი. „იმ წელს „საბას გაცემა უხარისხო ლიტერატურის პროპაგანდა იქნებოდა. ზოგადად, უგემოვნობისა და უნიჭობის წახალისება დამღუპველია. ეს იყო ვაჟკაცური და პრინციპული გადაწყვეტილება, რომელიც, კარგი იქნებოდა, სხვებსაც გაემეორებინათ", – ამბობს ლაშა ბაქრაძე. მწერალი და 2007 წლის "საბას" ჟიურის წევრი ანა კორძაია-სამადაშვილი კი დასძენს: „ფული, რომელსაც ავტორები იღებენ, ძალიან მალე იხარჯება, ტიტული კი მთელი ცხოვრების მანძილზე რჩება. ამიტომ კომპრომისი დაუშვებელია".

ლევან ბრეაძე და დავით წერედიანი, „საბა", 2012

კომპრომისებზე ღიად საუბარს ჟიურის წევრები ერიდებიან, მაგრამ მკითხველში ეჭვი ჩნდება: არიან კი „საბას" გამარჯვებულები მართლაც საუკეთესო ავტორები? ეს კითხვა ზოგიერთ წელს კიდევ უფრო აქტუალური ხდება, რადგან პატარა, კარჩაკეტილ ლიტერატურულ საზოგადოებაში კარგადაა ცნობილი იმ ფარული კრიტერიუმის შესახებაც, რომელსაც „საბას" ჟიურის წევრები გვერდს ზოგჯერ ვერ უვლიან. ეს ნომინანტთა სოციალური მდგომარეობაა, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან ადამიანური ფაქტორია გამარჯვებულის არჩევისას, მაგრამ ცხადია, ლიტერატურასთან კავშირში არ არის.

„ის, რომ ვიღაცას მატერიალურად უჭირს, მუდმივად არის დამატებითი კრიტერიუმი", – ამბობს ბაკურ სულაკაური. ეს გარე შეფასებაა, რადგან ბაკურ სულაკაური ჟიურის წევრი არასოდეს ყოფილა. თუმცა, ამას ჟიურის წევრებიც ადასტურებენ.

თეონა დოლენჯაშვილი: „გამიგია, რომ უჭირს და მივცეთ, მაგრამ ეს ავტორისთვის შეურაცხმყოფელია, ჩემთვის კი – მიუღებელი, წელს ასეთი რამ არ მსმენია. მე პირადად მირჩევნია, ყველა კონკურსში დავმარცხდე, ვიდრე არაობიექტურობაში დამდონ ბრალი. ჩემი პრინციპი უცვლელია – უნდა გამოვარჩიო ჩემი აზრით ღირებული ლიტერატურა და ახალი აღმოჩენები გავაკეთო".

ანა კორძაია-სამადაშვილი: „მსმენია ასეთი საყვედურები, რატომ არ მიეცით ჯილდო? ხომ იცით, რომ ცოლი მოჰყავს? ეს ძალიან სამწუხაროა, რადგან „საბა" არ არის წამახალისებელი პრემია".

თუმცა, „საბა" რომ წამახალისებელი პრემია კი არა, ღირსეულთა გამოვლენის საშუალებაა, ამის გააზრება საზოგადოების და თვითონ მწერალთა ნაწილსაც უჭირს. ამით აიხსნება, ალბათ, თხოვნა-ჩაწყობის და ჟიურიზე გავლენის მოხდენის მცდელობები, რასაც არც ჟიურის წევრები მალავენ. "საბას" ოთხგზის გამარჯვებული, მწერალი ლაშა ბუღაძე ამბობს: „როგორც წესი, ჟიურის წევრები ის ხალხია, რომელზეც ტენდენციები არ მუშაობს. თუმცა ყოფილა რამდენიმე წევრზე ზეწოლის შემთხვევებიც. ძნელია ადამიანის პოვნა, ვინც კონიუნქტურას არ აჰყვება, თანაც აქ ყველა ერთმანეთის ნაცნობია". სწორედ ამ გარემოების გამო რატი ამაღლობელი ამბობს, რომ მომავალი წლიდან ერთ მკაცრ წესს შემოიღებენ: ავტორი, რომელიც ჟიურის წევრს საკუთარი წიგნის პროტექციას სთხოვს, ავტომატურად მოიხსნება ნომინაციიდან, მიზეზი კი საჯაროდ დასახელდება. ასეთი შემთხვევები აქამდეც ყოფილა, მაგრამ ჩვენ ჩვენს ავტორებს ვუფრთხილდებოდითო, – ამბობს რატი ამაღლობელი.

კრიტიკოსთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ სასურველია, გართულდეს ნაწარმოებების შერჩევისა და პრემირების პროცედურაც, გაიზარდოს ნაწარმოებების შესაფასებლად გამოყოფილი დრო და გაკონტროლდეს გამოცემათა თარიღიც: „საბაზე" მხოლოდ იმ კონკრეტული წლის გამოცემები უნდა მოხვდეს და არა მომდევნო წლის მარტ-აპრილში გამოცემული წიგნები, რომელთაც, პირდაპირ ვიტყვი, ყალბი, ანუ წინა წლის თარიღი აწერია ხოლმე", – ამბობს კრიტიკოსი და „საბას" ჟიურის გამოცდილი წევრი მალხაზ ხარბედია.

„შეუძლებელია, მოკლე დროში წაიკითხო 250 წიგნი, თუ ისედაც არ ხარ ჩართული ლიტერატურულ პროცესებში", – მიაჩნია ბაკურ სულაკაურს. გიორგი ლობჟანიძე კი ამატებს: „ჟიურიში მუშაობისას ყველაფრის წაკითხვა მარათონულ დროში მომიწია – თებერვალში დამირეკეს, რის გამოც ღამეები გავათენე, რამე წაუკითხველი რომ არ დამრჩენოდა. მეორეც, 1000 ლარად (ჰონორარი, რომელსაც ჟიურის წევრებს უხდიან) 4 თვის მანძილზე მუშაობა რთულია და ამ დროს

გამარჯვებულების ლოჟა, „საბა“, 2012

მაღალი დონის შენარჩუნებაც რთულდება“.

ჟიურის მუშაობის ხარვეზების გამოსწორება მალხაზ ხარბედიას ასე ესახება:

„აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს ზეპირი თუ წერილობითი რეცენზირების სისტემა. კარგი იქნება, თუკი ჟიური საფეხუროვანი იქნება და მხოლოდ 5 ადამიანის პასუხისმგებლობაზე არ იქნება დამოკიდებული გადაწყვეტილება. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ ჟიური გაცილებით ადრე უნდა შეიკრიბოს ხოლმე. მაგალითად, არ იქნება ურიგო, თუკი 2012 წლის „საბას“ ჟიური, რომელიც 2011 წლის ლიტერატურულ პროდუქტს აფასებს, 2011 წელსვე შეიკრიბება და პარალელურად გაეცნობა მასალებს“.

კრიტიკოსები „საბას“ განვითარებისა და დახვეწისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევენ რამდენიმე სხვა ნაბიჯის გადადგმასაც. გიორგი ლობჟანიძე ამბობს, რომ ძალიან კარგი იქნება, თუკი, „საბას“ დაემატება ნომინაცია „წლის საუკეთესო საბავშვო წიგნისთვის“. ლაშა ბაქრაძე კი „არამხატვრული ლიტერატურის“ მეტად წინ წამოწევას ურჩევს მესვეურებს და ამატებს, რომ უკვე დიდი ხანია, ასეთი იდეა აქვს: პრემიის მიღების შემდეგ გამარჯვებულებს სიტყვის დაწერა და საჯარო წაკითხვა ევალებოდეთ. ასე მკითხველს შეეძლება, "საბას" გამარჯვებულებს შეხვდეს და მათთან ერთად იმსჯელოს თანამედროვე ლიტერატურაზე".

რაც მთავარია, „საბამ“ როგორმე უნდა მოიშოროს „კლანურობის“ ბრალდება, რაც შესაძლოა, გადამეტებული შეფასება იყოს, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ უამრავი თანამედროვე ქართველი ავტორია „საბას“ გარეშე. თუნდაც არჩილ ქიქოძე, რეზო თაბუკაშვილი, ირაკლი ჯავახაძე და სხვები. რატი ამაღლობელი ამბობს, რომ „საბას“ ვერმიღებას ორი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს, ზოგ შემთხვევაში თავად ავტორები ხსნიან ნომინაციიდან საკუთარ წიგნს, ან მათ კონკრეტულ წელს ძალიან ძლიერი კონკურენტები ჰყავთ. თუმცა, ბაკურ სულაკაური სხვაგვარ მაგალითს იხსენებს. მისი აზრით, 2011 წელს ესეისტიკის ნომინაციაში წარდგენილი ლევან ბერძენიშვილის „წმინდა წყდიადი“ ამ ჟანრში საქართველოს ისტორიის მანძილზე დაწერილი საუკეთესო წიგნი იყო, რომელიც „საბათი“ არ აღინიშნა და სამაგიეროდ „საბა“ მოიპოვა სხვა ძალიან მოდურმა ავტორმა, პაატა ქურდაძემ თავისი „ფსიქოდელიური ქრონიკით“: „როცა „წმინდა წყდიადის“ დონის წიგნი არსებობს, იქ სასაცილოა, რომელიმე რიგითი წიგნის პრემირება. ეს არ არის მხოლოდ ჩემი აზრი, ძალიან ბევრმა ადამიანმა მითხრა, რომ ამ გადაწყვეტილებით შოკირებული დარჩა, რადგან ეს უფრო პოლიტიკურ არჩევანს ჰგავდა“.

სულ მალე „საბას“ საკუთარი ვებ-საიტი ექნება, სადაც, ორგანიზატორების თქმით, ლიტერატურული პროცესების მიმოხილვა დაიწყება და ონლაინ ფორუმის მეშვეობით დისკუსიებიც გაიმართება. საიტზე გაიყიდება წიგნებიც, აიტვირთება სრული ინფორმაცია ამ ლიტერატურული პრემიის ათწლიანი ისტორიის შესახებ. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, ისაა, რომ ამ საიტის მეშვეობით ყოველწლიური „საბა“ ყოველდღიურ პროცესად იქცევა. თუკი მისი ვირტუალური სივრცე მართლა შეუწყობს ხელს ლიტერატურული დისკუსიის გაღვივებას, მგონი, რომ სწორედ ამ შემთხვევაში შეასრულებს ის თავის მთავარ ფუნქციას – იყოს რეალურად თავისუფალი და მიუკერძოებელი, სიახლეებზე ორიენტირებული პრემია. „საბას“ ამბიციაც, წარმართოს ლიტერატურული პროცესი, მხოლოდ ამ ფუნქციის შესრულების შემდეგ იქნება ლეგიტიმური.

თიბისი ბანკის საიუბილეო საჩუქარი ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებს

ავტორი სალომე აფხაზიშვილი

თიბისი ბანკმა მეოცე საიუბილეო წელი მასშტაბური კულტურული ღონისძიებებითა და პროექტებით გახსნა, კიდევ უფრო მრავალპროფილიანი და შემოქმედებითი, ვიდრე ის სახელოვნებო პროექტებია, რომელიც უშუალოდ თიბისი ბანკის ინიციატივითა და ხელშეწყობით უკვე წლებია ხორციელდება.

დაარსებიდან მეოცე წელი ბანკმა ეროვნული კინემატოგრაფიის განვითარებას მიუძღვნა, რასაც მალევე მოჰყვა Artarea TV2.0 – პირველი მასშტაბური მულტიმედიური ინტერნეტ-პორტალის ამოქმედება საქართველოში, რომელიც კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციით მთლიანად ხელოვნებასა და მის განვითარებაზეა ორიენტირებული. ამავე მიზანს ემსახურება ბანკის ცენტრალურ შენობაში არსებული სამხატვრო გალერეა და საგამოფენო დარბაზი, რომელიც წლის განმავლობაში უამრავ მნიშვნელოვან და საინტერესო ღონისძიებებსა და გამოფენებს მასპინძლობს. თუმცა, განსაკუთრებული აქცენტი 2012 წელს თიბისი ბანკმა მაინც კინემატოგრაფიის განვითარებაზე შეაჩერა.

„კინო ძალიან დიდი ფუფუნებაა. მხატვარს შეუძლია აიღოს ფუნჯი და დახატოს, პოეტს – აიღოს ფურცელი და კალამი და დაწეროს, კინოს კი მხოლოდ ერთი ადამიანი ვერ გააკეთებს. კინოს გადაღებას კი ტექნიკური და ფინანსური რესურსის გარდა, პროფესიონალების მთელი ჯგუფი სჭირდება. გარდა ამისა, პროექტის განხორციელება ერთგვარ აუცილებლობადაც იქცა ისეთ ქვეყანაში, რომელსაც კინოს ასწლოვანი ტრადიციები აქვს და სადაც 90-იანი წლებიდან კინოპროცესები თითქმის მთლიანად განადგურდა, განსხვავებით მსოფლიო კინოსგან, რომელმაც ამ პერიოდში და მანამდეც განვითარების ძალიან საინტერესო გზა გაიარა. ამ დროს კი ბევრმა რეჟისორმა თავის გადასარჩენად საქართველო დატოვა, ზოგმა კი თავისი პროფესიით გააგრძელა მუშაობა. კრიზისი არა მარტო საზოგადოებაში, არამედ კინოშიც გაჩნდა და მას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. სწორედ იმიტომ ვაფასებ ამ პროექტს, რომ ამჯერად თიბისი ბანკმა თავისი არჩევანი კინოს განვითარებაზე შეაჩერა და პროცესში სწორედ ახალგაზრდები ჩართო“, – ამბობს თიბისი ბანკის კინოპროექტის ხელმძღვანელი ნინო ანჯაფარიძე.

„20 წელი / 12 თვე“ – ასეთია ამ პროექტის სახელწოდება, რომელშიც მონაწილეობას საქართველოში მოღვაწე მწერლები, ფოტოგრაფები და კინემატოგრაფისტები იღებენ. პროექტის პირველ ეტაპზე მწერლებისა და ფოტოგრაფების თორმეტმა შემოქმედებითმა წყვილმა წელიწადის თორმეტ თვესთან დაკავშირებით, ამავე რაოდენობის ორიგინალური ნოველა და

ოპერატორი ბერნარდას ანდრიუშის


რეჟისორი ანა ურუშაძე


რეჟისორი დათო ქემხაძე და სამხატვრო ხელმძღვანელი ნანა ჯორჯაძე

რეჟისორი ლევან სიხარულიძე


რეჟისორი ანა სიმინტია



ფოტო შექმნა. მეორე ეტაპზე კი, ახალგაზრდა კინემატოგრაფისტების მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა ნოველების მიხედვით კინო-სცენარები და რვაწუთიანი ფილმები წარმოადგინა.

საზოგადოებამ კინოპროექტის შესახებ 2012 წლის დასაწყისში გაიგო. პროექტში მონაწილეობის სურვილი 682-მა განმცხადებელმა გამოთქვა, რომელთაგან პროფესიონალმა ჟიურიმ 60 საუკეთესო შეარჩია და ისინი 12 შემოქმედებით ჯგუფად დაყო, რომელიც რეჟისორის, მხატვრის, ოპერატორის, სცენარისტისა და კომპოზიტორისგან დაკომპლექტდა.

მონაწილეების შერჩევისას, ჟიურიმ მთავარ კრიტერიუმად, კინოში მათი ახალგაზრდული და მწირი გამოცდილება მიიჩნია და მათ ახალი გამოცდილების მიღებისა და გამოყენების უნიკალური შესაძლებლობა მისცა:

„ვინაიდან ეს პროექტი თიბისის საიუბილეო თარიღთან ასოცირდება, ბანკი ცდილობს ადამიანებს მოულოდნელი სიხარული მიანიჭოს. ამიტომ მონაწილეების შერჩევისას, ჟიურის სხვა წევრებმა, ჩემთან ერთად, აქცენტი იმ ადამიანებზე გააკეთეს, რომლებსაც ბოლომდე არ მიეცა თავის გამოვლენის საშუალება. ჩვენ, ძირითადად, დამწყები კინემატოგრაფისტები შევარჩიეთ, რომლებმაც ბევრი ფილმის გადაღება სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ შეძლეს. ფილმს რომ გიფინანსებენ და ამხელა შესაძლებლობას გაძლევენ, ეს ძალიან დიდი საჩუქარია“, – ამბობს ჟიურის წევრი, დრამატურგი თამარ ბართაია.

მოულოდნელი სიხარული, რომელიც პროექტის ყველა მონაწილემ პირველივე დღიდან გაიზიარა, მათთვის გამოცდილებასთან, საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობასა და დიდ მოტივაციასთან ასოცირდება, რომელიც ფილმზე მუშაობის

რეჟისორი გრიგოლ აბაშიძე

დასრულებისთანავე გაჩნდა და მათთვის ინსპირაციისა და მოქმედების ძლიერ კატალიზატორად იქცა. სტერეოტიპებით მდიდარ და ტექნიკურად რთული პირობებიდან, ახალგაზრდა კინემატოგრაფისტები, მაღალი ხარისხის ტექნიკური რესურსებისა და პროფესიონალი გადამღები პერსონალის გარემოცვაში აღმოჩნდნენ:

„იღებდე პროფესიონალ ჯგუფთან ერთად, ხელმძღვანელად გყავდეს – ნანა ჯორჯაძე და მასტერკლასებს გიტარებდეს მიშა კობახიძე, რომელიც ჩემთვის ყველაფერია, ამაზე სასარგებლო რა უნდა ინატრო, თან როცა ჯერ კიდევ 20 წლის ხარ და ამ სფეროში ყველაფერი წინ გაქვს“, – აღნიშნავს პროექტის ერთ-ერთი მონაწილე, სცენარისტი მარიამ პერტია.

პროექტის კინოკოლექციაში უკვე ექვსი მოკლემეტრაჟიანი ფილმი დაგროვდა, რომელთაგან ყველა განსხვავებული და საინტერესოა. მიზეზი ის შემოქმედებითი თავისუფლება იყო, რომელიც რეჟისორიდან დაწყებული ოპერატორით დამთავრებული, გადამღები ჯგუფის ყველა წევრს მიეცა.

პირველი რეჟისორი, რომელმაც კინოპროექტის პირველი ფილმი გადაიღო, დათო ქემხაძეა. ის სხვა მონაწილეებისგან განსხვავებით, დიდი ხანია აღარც სტუდენტია და არც დამწყები რეჟისორი. რამდენიმე ფილმის გადაღებისა და უცხოურ კინოფესტივალებში მონაწილეობის შემდეგ, პროფესიული საქმიანობის პარალელურად, რეჟისორს სხვა, ფინანსურად უფრო შემოსავლიანი საქმის გაძღოლა მოუწია. სწორედ ამ დროს, მეგობრის რჩევით, აპლიკაცია თიბისის კინოპროექტში გამოაგზავნა, სამსახურიდან რამდენიმედღიანი შვებულება აიღო და გადაღებებიც დაიწყო. ფილმი, რომელზეც დათო ქემხაძემ სცენარისტ გიორგი ჯორჯაძესთან, მხატვარ ნინო სურგულაძესთან და ოპერატორ ლევან მაისურაძესთან ერთად იმუშავა ორი მოზარდის ახალგაზრდული გატაცების შესახებ მოგვითხრობს. გადამღები ჯგუფის ორგანიზებულობა, ახალგაზრდა და საინტერესო კოლეგების გაცნობა და რამდენიმედღიანი ურთიერთობა ნანა ჯორჯაძესთან, დათო ქემხაძეს ამ პროექტის ყველაზე დიდ დამსახურებად მიაჩნია.

პროექტის მეორე ზრდასრული მონაწილე გია დიასამიძეა, რომელიც ამბობს, რომ ასაკის მიუხედავად, კინოში ჯერ ისევ ახალგაზრდაა. დოკუმენტურ ფილმებზე მუშაობის შემდეგ, პირველი მხატვრული ფილმი სწორედ ამ პროექტისთვის გადაიღო. მისი ნამუშევრის მთავარი გმირი 82 წლის მამაკაცია, რომელსაც სიცოცხლეში არავინ აფასებს. ჯგუფური მუშაობის უნარი, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და ახალგაზრდული ენთუზიაზმი, რომელიც მის ფილმზე მუშაობისას მხატვარმა ნიკოლოზ გურასპაშვილმა, კომპოზიტორმა თაზო ლიპარტელიანმა, ოპერატორმა გიორგი ხაინდრავამ და სცენარისტმა ელენე რევიშვილმა გამოიჩინეს, რეჟისორს გადაღებების წარმატებით დასრულებასა და დასახული მიზნის მიღწევაში განსაკუთრებულად დაეხმარა. მისი თქმით, ამ პროექტის ყველაზე დიდი დამსახურება ის არის, რომ თიბისიმ კინოს განვითარების სწორი გზა შეარჩია, როდესაც არჩევანი მოკლემეტრაჟიანი ფილმების ხელშეწყობაზე გააკეთა, რადგან კინოინდუსტრიაში მომუშავე პროფესიონალი პერსონალის მისაღებად სწორედ ბევრ მოკლემეტრაჟიან ფილმზე მუშაობაა საჭირო.

ახალგაზრდები კინოპროექტის განსაკუთრებულ ღირებულებად ტექნიკურ რესურსებსა და ორგანიზებულ გადაღებებს თვლიან. თუკი მანამდე ფილმისთვის საჭირო ტექნიკური და ადამიანური რესურსი არაპროფესიონალებითა და დაბალი ხარისხის ტექნიკით შემოიფარგლებოდა, ამ პროექტში გადამღები ჯგუფის ყველა მონაწილე საკუთარ საქმეზე ფიქრობს და თან გადასაღები მოედნის ყველა მოქმედი პირის საქმიანობას ეცნობა.

„თუკი ადრე ჩემს ფილმებში მთავარი გმირების როლებს ჩემი ძმა, ბებია, დეიდაშვილები და მეზობლები თამაშობდნენ, ამ პროექტმა საშუალება მომცა პროფესიონალ მსახიობებთან ისე მემუშავა, როგორც პროფესიონალ რეჟისორს“, – ამბობს ანა ურუშაძე, ერთ-ერთი ფილმის – „კაცი, რომელსაც ვუყვარდი“ – რეჟისორი, რომელიც ორი მეგობარი გოგონას დიალოგზეა აგებული.

სცენარი ანა ურუშაძემ პროექტის კიდევ ერთ მონაწილესთან, სცენარისტ მარიამ პერტიასთან ერთად შექმნა. „სწორედ ამ პროექტში ვისწავლე ოპერატორთან, მხატვართან და მსახიობებთან ურთიერთობა, რამაც გადაღების პროცესი ძალიან ორგანიზებული და სრულყოფილი გახადა“, – ამბობს ანა და განსაკუთრებული აღფრთოვანებით ასახელებს მისი ჯგუფის წევრებს: ოპერატორ გიორგი შანიძეს და მხატვარ შორენა ფსუტურს.

მიუხედავად იმისა, რომ მოტივაციის ნაკლებობას რეჟისორი გრიგოლ აბაშიძე და ოპერატორი ირაკლი ახალკაცი არც პროექტში შემოსვლამდე უჩიოდნენ, თიბისი ბანკის პროექტმა ისინი საკუთარ შესაძლებლობებში უფრო მეტად დაარწმუნა და მანამდე წვალებით ნასწავლი მეთოდების სწორად და ეფექტიანად წარმართვის საშუალება მისცა: „უნივერსიტეტში სწავლის დროს სულ ვფიქრობდით ხოლმე, აი, ახლა იქ რომ ეს მდგარიყო, ფილმი ბევრად კარგი გამოვიდოდა. ამ პროექტში ზუსტად ვიცოდით, რომ ის, რაც გვჭირდებოდა, აქ აუცილებლად იდგმებოდა“, – ამბობს პროექტის კიდევ ერთი დასრულებული ფილმის, „კარგი გაკვეთილის“ (სამუშაო სათაური) რეჟისორი. ეს არის 14 წლის ბიჭის წინააღმდეგობებითა და თავგადასავლებით სავსე ერთი დღის ისტორია, რომელიც უცნობ ადამიანს მიენდობა.

ახალგაზრდა რეჟისორი გრიგოლ აბაშიძე პროექტის მნიშვნელოვან ღირსებად შემოქმედებით ჯგუფთან კოორდინირებულ და შეთანხმებულ მუშაობას მიიჩნევს და ამბობს, რომ გადაღებებით მიღებული სიამოვნების ერთ-ერთი მიზეზი მხატვრის – თეო ბარამიძის თავდაუზოგავი და პროფესიონალური მუშაობა გახდა.

ახალგაზრდა კინემატოგრაფისტები პროექტის მნიშვნელოვან ღირსებად იმ ურთიერთობებს მიიჩნევენ, რომელიც მათ შემდგომ პროფესიულ ზრდაში აუცილებლად დაეხმარებათ, რაშიც უპირველესად ისეთ ადამიანებთან ურთიერთობას გულისხმობენ, როგორებიც არიან პროდიუსერები: ზვიად ალხანაიძე, პაატა გოძიაშვილი, ელისო ჭანტურია; ხმის ოპერატორი ირაკლი ივანიშვილი; გადამღები ჯგუფის ხელმძღვანელი მინდია ესაძე და ახალგაზრდა კოლეგები.

პროექტის სამართლიანობას უსვამს ხაზს კიდევ ერთი რეჟისორი – ანა ციმინტია, რომელიც საქართველოში პროექტის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე ჩამოვიდა. ანა რამდენიმე

კადრი ფილმიდან „კარგი გაკვეთილი“


კადრი ფილმიდან „კაცი, რომელსაც ვუყვარდი“

კადრი ფილმიდან „კაცი, რომელსაც ვუყვარდი“

კადრი ფილმიდან „ივლისი“

წელი ევროპაში ცხოვრობდა და ქართველ კინემატოგრაფისტებს თითქმის არ იცნობდა, თუმცა პროექტში სწორედ მისი და მისი მეუღლის ერთობლივი ნამუშევრის ობიექტური შეფასებით მოხვდა. სიურეალისტური და კომედიური ფრაგმენტებით მდიდარი ფილმის გმირი ახალგაზრდა ქალია, რომელიც წლების განმავლობაში საკუთარი გზავნილის მიღებას ელოდება. პროფესიონალ პროდიუსერებთან და გადამღებ ჯგუფთან ერთად, ანასთვის არანაკლებ საინტერესო მისი ჯგუფის წევრებთან ურთიერთობა აღმოჩნდა – მხატვარი თამო ჭავჭანიძე, სცენარისტი ანასტასია თოფურიძე და კომპოზიტორი თაკო ჟორდანია ანას ფილმის გადაღების უშუალო მონაწილეები არიან.

სწორედ ჯგუფური მუშაობის მნიშვნელობაზე საუბრობს პროექტის მეექვსე ფილმის რეჟისორი – ლევან სიხარულიძე, რომელმაც თავისი ნამუშევარი ივლისის თვეზე ოპერატორ დიმიტრი (დიტო) დეკანოსიძესთან და მხატვარ თეო ბარამიძესთან ერთად გადაიღო:

„ამ პროექტში ბოლომდე დავრწმუნდი, რომ ჯგუფი რეჟისორის პირველი დასაყრდენია. ვისწავლე, რომ რაშიც შენ ხარ დარწმუნებული და რასაც შენ ფიქრობ, ამაში პირველ რიგში ჯგუფის ყველა წევრი უნდა დაარწმუნო და შენი სათქმელი გასაგებად უთხრა. გადასაღებ მოედანზე მათთან ერთად მუშაობა ჩემთვის არაჩვეულებრივი გაკვეთილი აღმოჩნდა. ეს პროექტი ძალიან დიდი კომფორტია, რომელიც ყველანაირად ხელს გიწყობს, რომ საკუთარი თავის რეალიზაცია სწორად განახორციელო, იფიქრო შინაარსობრივ მხარეზე და არა ტექნიკურ პრობლემებზე, რაც მანამდე უხვად არსებობდა“.

კადრი ფილმიდან „რიბი“

უშუალოდ გადასაღებ მოედანზე მოქმედი პირების გარდა, თიბისი ბანკის კინოპროექტმა დამწყებ კინემატოგრაფისტებს კინოსამყაროს ისეთი წარმომადგენლები გააცნო, როგორებიც არიან – ნანა ჯორჯაძე, რომელიც ამავე დროს პროექტის სამხატვრო ხელმძღვანელი და გადაღებების უშუალო მონაწილეა, დრამატურგი თამარ ბართაია, რომელიც თითოეული სცენარის დახვეწაზე დღეების განმავლობაში მუშაობს და მონაწილეებთან ინდივიდუალურ მასტერკლასებს მართავს, კომპოზიტორი გია ყანჩელი, ქართველი კინორეჟისორები – მიშა კობახიძე და ალექსანდრე-საშა რეხვიაშვილი და ცნობილი პოლონელი რეჟისორი კშიშტოფ ზანუსი. აღსანიშნავია, რომ მასტერკლასების სერია კვლავ გრძელდება და პროექტის ფარგლებში ისეთი ცნობილი კინორეჟისორების ჩამოყვანა იგეგმება, როგორებიც არიან – უნგრელი იშტვან საბო და გერმანელი ვიმ ვენდერსი.

პროექტის ხელმძღვანელი და მთავარი პროდიუსერი პაატა გოძიაშვილი პროექტს მნიშვნელოვან ხარისხობრივ მიღწევად აფასებს, რომელიც რამდენიმე წელიწადში იმაზე მეტ პროფესიონალ რეჟისორს, სცენარისტს, ოპერატორსა და მხატვარს მოიყვანს კინოინდუსტრიაში, ვიდრე ეს დღეს არის ან უახლოეს მომავალში წარმოგვედგინა.

„გარდა იმისა, რომ თიბისი ბანკმა ხარისხიანი ფილმების კეთების შესაძლებლობა მოგვცა, მისი, როგორც ინიციატორის ჩარევა ამ პროცესის შინაარსობრივ სტრუქტურაში მაქსიმალურად მინიმალური იყო, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს, თიბისი ბანკის, როგორც მოაზროვნე ერთეულის არსებობაზე. მისი პრიორიტეტი სწორედ ხელოვნების არა მექანიკური მხარდაჭერა, არამედ შინაარსობრივი გააზრება და კულტურის სფეროში მომუშავე ადამიანების ხელშეწყობის მაქსიმალური მხარდაჭერა გახდა“, – აღნიშნავს პაატა გოძიაშვილი.

პროექტის დაწყებიდან დღემდე, უკვე ექვსი ფილმის გადაღება დასრულდა. ყველაფერი დანარჩენი უკვე პოსტპროდუქციისა და თორმეტი მოკლემეტრაჟიანი ფილმის ერთ სრულმეტრაჟიან ფილმად გაერთიანებას უკავშირდება. პროექტის სამხატვრო ხელმძღვანელის, ნანა ჯორჯაძის თქმით, ამ პროექტის გზით, ქართულ კინემატოგრაფიას ნიჭიერი, მოაზროვნე, თავისუფალი, ლაღი და ორიგინალური ხედვის კინემატოგრაფისტები შეემატებიან.

პროექტის დარჩენილი ექვსი ფილმის გადაღება აგვისტოს შუა რიცხვებიდან განახლდება. თიბისი ბანკის მხარდაჭერით შექმნილ სრულმეტრაჟიან ფილმს საზოგადოება 2012 წლის 17 დეკემბერს, თიბისი ბანკის დაბადების დღეზე, დიდ ეკრანზე იხილავს, რომლის შესახებაც თავად რეჟისორი ნანა ჯორჯაძე საუბრობს:

„მაყურებელი ნახავს ახალ ფილმს, რომელშიც ერთდროულად იუმორიც იქნება და სევდაც, სასოწარკვეთაც და იმედიც, ვნებაც და სიყვარულიც. რა უნდა იყოს იმაზე დიდი საჩუქარი, როდესაც შენივე ქვეყნის ახალგაზრდა კინემატოგრაფისტები ინდივიდუალური ხედვით გამორჩეულ ნამუშევრებს გთავაზობენ?“

პროექტის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას ჟურნალი „ცხელი შოკოლადის“ მომდევნო ნომრებშიც შემოგთავაზებთ.

მადათაშვილი
(რომანი)
გაგრძელება

აკა მორჩილაძე

გენერლის მიხვედრილობა

ასე რომ ითქვას, იმერეთში ხმა დავარდა, დაჭერები ახალი ძალით მოვიდაო. ყველას აწვალებდა ფიქრი, ვინ იყო ის ერთი გაჩეჩილაძე, რომლის გამოც მთელი ეს თევდორე გაჩეჩილაძეები მოუგროვებიათო. ოღონდ კი, ამაზე ლაპარაკის გაბედვა შეიძლებოდა მხოლოდ ჩურჩულით და მხოლოდ სახლში.

თევდორე გაჩეჩილაძეთა ჯგდომა ქუთაისის შინსახკომში გაგრძელდა თორმეტ დღეს.

თორმეტი დღის თავზევე გაიხსნა კლორთაღლის ბიბლიოთეკა.

ოღონდაც, მანამდე, თბილისის შინსახკომმა თამარა გიორგევნა მტკიცედ დატანჯა. ამოქექა, რომ ის არის მეფისდროინდელი საზოგადო მოხელის შვილი, რომ სწავლობდა თავადაზნაურ ქალიშვილთა სასწავლებელში, რომ მისი წინაპრები ბარე, ხუთას წელიწადს ემსახურებოდნენ საქართველოს მეფეებს, რომ მისი ქალიშვილი, ხალხის მტრის, ათი წლის წინათ დაპატიმრებული, ნიკო აბესაძის ცოლია, რომ მისი შვილიშვილი კოკი ცუდად სწავლობს და უბნის ავარა ბიჭებსაა გადაკიდებული და ასე დაუსრულებლად. და ამიტომ, მას უნდა სცნობოდა ადამიანი, რომელიც ბიბლიოთეკაში მოვიდა.

თამარა გიორგევნა მაგარი ქალი იყო, იფიქრა, მე ამ კედლებს გარეთ ვეღარ გავაღწევო და ახალი ცხოვრებისთვის მოემზადა. ქალიშვილს კი პერედაჩზე უარი უთხრეს, მალე გამოვუშვებთ, არ გინდა პერედაჩიო.

იმ დღეების განმავლობაში, თამარა ბიბლიოთეკარი ძალიან უცნაურ ალაგას იჯდა, თავისი საკნის ვიწრო სარკმლის ღრიჭოებს იქეთ ხედავდა მოქალაქეთა ფეხებს, დეკემბრის ატალახებულ ქუჩის ნაკუწს და ესმოდა ნაირნაირი ხმები ქალაქისა. დაკითხვა მას სამჯერ ჩაუტარეს. აქედან, პირველი იყო ყველაზე აუტანელი. ბიბლიოთეკიდან მოყვანისთანავე ის შეიყვანეს დასაკითხ ოთახში, დასვეს სკამზე და დატოვეს მარტო. დამკითხველი კაცი ალბათ, მხოლოდ ხუთი საათის შემდეგ მოვიდა და ვითომ აქ არაფერიაო, ჰკითხა პირდაპირ: მოქალაქე, ვინ იყო ბიბლიოთეკაში იმ წუთისთვის, როდესაც მოქალაქე შემოვიდა?

თამარამ უთხრა, რომ სტუდენტი გოგოები და მათი სახელებიც თქვა.

ამ დროისთვის გამომძიებლებმა, ბიბლიოთეკის ჟურნალით, უკვე იცოდნენ გოგოების ვინაობა და სამივენი უკვე აყვანილი ჰყავდათ ეთერის სახლიდან. ზაირას გულიც კი წაუვიდა. ხოლო ლეილას დედას მთელი ის დღეები, რაც გოგოები შინსახკომში იყვნენ, საჭმელი არ უჭამია.

სრული უბედურება, რომელმაც მოიცვა ამდენი ოჯახობა, არაფერი იყო იმასთან შედარებით, რა მნიშვნელობასაც გამომძიებლები ანიჭებდნენ მიცვალებულის ვინაობის დადგენას.

ის გამომძიებელი თანდათან ატყობდა, რომ თამარა გიორგევნა სრულ სიმართლეს პასუხობდა. ოღონდაც, უცებ წამოდგებოდა და გავიდოდა, ხოლო ბრუნდებოდა ასე, საათნახევრის, ორი საათის, ან სულაც, სამი საათის შემდეგ. ბოლოს, საერთოდაც სხვა გამომძიებელი შემოვიდა, იმ პირველს, სამუშაო საათები გათავებოდა. გამომძიებლები, უფროსობასთან ერთად ადარებდნენ სამი სტუდენტი გოგოსა და თამარა გიორგევნას ჩვენებებს და ხედავდნენ, რომ ისინი წვეთი წყალივით ჰგავდა ერთმანეთს.

ვახტიორი, რუბენ ნაზაროვი, მალევე იქნა გათავისუფლებული. ვინაიდან, მან ვერაფერი თქვა ისეთი, რასაც ხელს ჩასჭიდებდი. თამარა გიორგევნამ მხოლოდ ორი რამ დაუმალა გამომძიებლებს: არ უთქვამს, რომ მიცვალებულმა ფრანგული პასპორტი სრულიად უდარდელად უჩვენა. არც ისა, რომ ამ მიცვალებულის სახელი და გვარი გაახსენდა. ის კი თქვა, ჩანთიდან მიქსტურა ამოიღო და დალიაო.

სანამ თამარა გიორგევნა ამეებს ლაპარაკობდა, სამი გამომძიებელი ცალკე კითხავდა შეშინებულ, სრულიად ენაჩავარდნილ და გაუბედურებულ გოგოებს, რომელნიც იგივეს იმეორებდნენ, რასაც მტკიცე ბიბლიოთეკარი. ოღონდაც, იმათ არც ფრანგული პასპორტი დაენახათ და არც კიდევ, მოწმობა. ფეჩთან მოვიდაო. ხელში აფთიაქის ბოთლი ეჭირაო. მერე, რო დაბარბაცდა, მე მომცაო, ლეილამ ისიც კი თქვა, მაგიდაზე დავდე, ფეჩთანო.

თუკი თამარა კიდევ ორჯერ და უფრო ხანმოკლედ დაჰკითხეს – ეგებ, რას ლაპარაკობდა, ის უფრო დაწვრილებით გაიხსენოო, გოგოებს ყოველდღე ელაპარაკებოდნენ, ისინი კი სულ ნაკლებს და ნაკლებს ამბობდნენ, გამხდრები და წამხდრები.

გაკვეთამ აჩვენა, რომ მიცვალებულს სულაც არ დაელია რაიმე წამალი, ცოტა ალკოჰოლი კი ჩარჩენოდა სხეულში. რა ვიცით, რა ვიცით, ეგება, იმ ბოთლში არაყიც კი იყო, რაღაცა, მთვრალივით კი ამბობდაო, ესეც ამოგლეჯილ იქნა მაშებით გოგოთა გონებიდან, თამარამ კი გაიხსენა, ამ ეკლესიაში ვარ მონათლულიო, ასე ამბობდაო.

აბა, საბრალო ტუსაღებმა, თბილისსა და ქუთაისში, რა იცოდნენ, რომ მოიძებნა კლორთაღის ეკლესიის ძველი დავთრები და ოთხი კაცი დღედაღამ ამათ ქექვაში იყო, რათა რაიმე საყურადღებო აღმოეჩინა, მაგრამ ამაოდ.

კლორთაღელი მოქალაქენი სამ დღეს შიშით უმზერდნენ ეკლესიის წინ გაჩერებულ შინსახკომის შავსა და საშიშარ ფურგონს და გული უსკდებოდათ – ვინ იცის, ვის წასაყვანად მოვიდნენ, იქ კი დგანან, მაგრამ ეგებ, აქეთ იყურებიანო. სინამდვილეში, ვახტიორ რუბენასგან ყველაფერიც იცოდნენ: ბიბლიოთეკაში კაცი მოკვდა და ისეთი ამბავი ატყდა, რო გენერალი ყალიჩავა ხელქვეითებს ქუდით სცემდაო. ვინ იყო ის გარდაცვალებული, არავინ იცოდა. ლეილას დედამ ლუკმა ვერ გადაყლაპა, მამა წევდა პაპიროსს. ეთერის ბებია ჩუმად მოთქვამდა ჩამოფარებულ ფარდებში, მამა კი უხალისოდ დაიარებოდა სამსახურში, პარკში. კიდევ კარგი, ახლა სადირიჟორო არაფერი ჰქონდა. ზაირას დედას პერედაჩზე ასევე უარი უთხრეს, მალე მოვა სახლშიო, ოღონდ კი მღელვარება, დარდი და ვაება დიდი იყო. ყველა ტიროდა: უნივერსიტეტის კომკავშირი ნიშანს ელოდა უშიშროებიდან, გარიცხეთ და მოაშთეთ ეს ხალხის მტრებიო.

მაგრამ გამოძიების საქმე წინ ვერ მიდიოდა. ის უცნობი მიცვალებული, სიმონ ტიფლიდა ისევ მორგში ესვენათ და ბიბლიოთეკის წინაც იმიტომ იყო გაჩერებული მანქანა, რომ გოგოებისა და ბიბლიოთეკის გამგის ნახსენებ ბოთლს ეძებდნენ.

ბოთლი კი არსად იყო.

რუბენა ისევ მიაბრუნეს ჩეკაში.

ბიბლიოთეკის ჩხრეკის მესამე დღეს, იმ შავი, დახურული მანქანით, დილის ხუთ საათზე, ეკლესიაში ლეილა მოიყვანეს და დაწვრილებით აღაწერინეს ვითარება და ბოთლის ამბავი. აი, აქ მოგვადგაო, აი, აქ ამბობდა უცხო ენაზე რაღაცასო, მერე დაბარბაცდა, ხელები გამოიშვირა და შუშა შემომაჩეჩაო. აი, აქ, მაგიდის კიდეზე დავდგი და წაქცეულს მივცვივდით, მერე ეგ შუშა არც დამინახავს და არც გამხსენებიაო.

ერთი კვირის თავზე გენერალმა ყალიჩავამ უკვე იცოდა, რომ მიცვალებული ცრუობდა, როდესაც ამბობდა ამ ეკლესიაში მომნათლესო. ის სულ სხვაგან მონათლეს.

სწორედ რომ, ერთ გამთენიას, ქუთაისში რვა მანქანა შინსახკომლები შეხრიგინდნენ თბილისიდან გაუფრთხილებლივ.

ბედი იმას, ვინაც უფროსობის ჰაზრის ამოცნობა იცის. რაც თევდორე გაჩეჩილაძეები წამოჰკრიფა ქუთაისის შინსახკომის უფროსმა ველოდიონ ამირიძემ, იმის მერე, ღამის საათებში შინ წასვლა აჰკრძალა.

ვისაც ბერიას ხელქვეით ემსახურნა ოდესღაც, იმას ამგვარი რამეები არ გაუჭირდებოდა.

სტუმარს ღამე უნდა ელოდე, მტერს ღამე უნდა ელოდე, საქმეს ღამე უნდა აკეთებდე. ყოველ შემთხვევაში, ამის იერი მაინც უნდა შეჰქმნა. ველოდიონ ამირიძემ ეს გადასარევ თარგზე იცოდა.

ჰოდა, ჩამოვიდნენ.

გენერალმა ყალიჩავამ, საოლქო შინსახკომის გაღაღანებულ ფანჯრებს ამოხედა მანქანიდან გადმოსვლისას, ქუდი დაიხურა და მიხვდა, რომ მუშაობის წესებში გამოჭერის დრო კაი ხნის წასული იყო.

ის ენერგიულად შევარდა გამშვებ პუნქტზე, სადაც გაჭიმული დაუხვდა მორიგე ჩეკისტი და კარებიდანვე, ნაბიჯის გაუჩერებლივ დაიძახა: ყველა მომიყვანეთ!

ყველა თევდორე გაჩეჩილაძე, მოხუცია და ყმაწვილიც, უფროსის ფართე კაბინეტში ამოიყვანეს.

გენერალი ყალიჩავა ისევ მაგიდის კუთხესთან იჯდა, სანახევროდ მობრუნებული, წინ ჩაის ჭიქა ედგა შიგ ჩადებულ კოვზით, ხელით კი ქუდს მუჭავდა.

ბაბუები და შვილიშვილები ნაშიმშილევი და წამხდარი ჩანდენ.

ა, საქართველო, ერთათ ყველა, – გაიფიქრა გენერალმა ყალიჩავამ და რატომღაც დაფრთხა, ეს რა გავიფიქრეო. კინოს ბრალი იყო. იმ დღესაც შინსახკომის კინოში ომისდროინდელი კინო, გიორგი საკაძე გაუშვეს. იქ, ბებერი და ახალგაზრდა, ხმლებით ხელში, ხშირად ჩანდა ერთად. ახლა ამათ დაუკავშირა. ცოტა და, საქართველო აღარ იქნება რუსეთში. მთლად საშინელება მოუვიდა თავში – რავარც სათათრეთში აღარ არი, იმ კინოში რო იყო... ამის გაფიქრებაზე ქუდი მაგრად მომუჭა ხელში, ამოიხვნეშა და ტუსაღებს ჩააცქერდა. ისინი იდგნენ, კაი შელანძღულები, დაღლილები და რაღაცნაირად შელახულები. ყალიჩავამ ერთი გახედა ამირიძეს და ქუდით მიანიშნა – ე, ის მეოთხე რო დგას თავიდან, ე, ის დატოვეო.

პატიმრები გალაგდენ.

კაბინეტში, კარადასთან, რაღაცასავით მიდგმული დარჩა ერთი მოხუცებული თევდორე გაჩეჩილაძე.

ხელები ჩამოეშვა და იდგა – გაუპარსავი, დიდი ჟოკეის ქუდით, რომელსაც პირი მთლად გახუნებოდა.

– მოდი, ბიძია აგერ, – უთხრა გენერალმა ყალიჩავამ, – მოდი, დაჯედი აგერ....

გლეხკაცი უნდობლად დაიძრა. ორი ნაბიჯი გადმოდგა და ისევ გაჩერდა, მერე, თითქოს დასძლია ყოველი უსიამოვნებაო, მოვიდა და წინ დაუჯდა ყალიჩავას – გლეხურად, მოუხერხებლად, ამნაირ სკამებს მიუჩვევლად.

– სადოური ხარ ბიძია, შენ, – ჰკითხა გენერალმა; ამოიღო

უბიდან ვერცხლის პორტსიგარი, ზედ გამოსახულ სტალინის თავით და გადაუშალა წინ, როგორც კეთილი ლაპარაკის დასაწყისის წესია მტარვალ-გამომძიებელთა შორის.

– ხომლითელი... – იყო მოკლე პასუხი, – მდივნების ნაყმევი ვართ ჩვენ.

– ბატონყმობა გადავარდა, ბაბუა, კაი ხანია, მოსწიე პაპიროზი, – ჩაიღიმა გენერალმა.

მოხუცმა ამოიღო ერთი პაპიროსი, ღონივრად დაატრიალა დაკვრანჩხულ, უხეშ თითებში და უბისკენ გააქანა – იქანა მოვწევ...

– იქანასთვისაც მოგსცემ, – გაიცინა ისევ გენერალმა და გადახედა ამირიძეს.

მერე უბიდან კონვერტი ამოიღო, მოუხერხებლად გახსნა და იქედან ამოაძრო ფოტოსურათი.

– ა, ბაბუა, იფიქრე, ახლა ვითომ ოცდაათი წლის წინათ ხარ და თუ გინახავს ეს კაცი მაშინ. იმერეთში ნავალი კაცი ჩანხარ.

მოხუცმა უნდოდ, მხოლოდ წამით შეხედა ფოტოს და ამოიხვნეშა.

– კარგად შეხედე ერთი, გვეტყვი რამეს, მადლობას გეტყვით....

– თუ არა, დამალპობთ აქანა, ხომ? – თქვა ნაწყენივით, ბერიკაცმა.

გალერეა

ზურა მჭედლიშვილი
„კოპალა“ დეტალი,სერიიდან ქართული მითოლოგია, 2012
83 X 73 სმ. ფერწერა, აკრილი, ტილო.

გენერალმა ყალიჩავამ ისევ გაიცინა.

– ხო იცი, ბაბუა, რავარია ეს ორგანო. აქანა ზედმეტობები არ გამოდის.

– ერთი მხრივ კი, – თავი დაიქნია მოხუცმა.

იმათ კი ერთმანეთს გადახედეს. გაეცინათ.

– მეორე მხრივ, იცოცხლე, – მოხუცმა ამირიძეს შეუბღვირა.

– კაი, კაი... – თქვა იმან უხალისოდ.

– ვოთხმოცდაორი წლის კაცს, რა უნდა მიქნათ, ბიჭო, აქანა მე? ალიხანოვი მახსოვს და იგი კიდე... რა ქვია... საკალოვიო თუ რაცხა ჯანდაბა... ტყვიები ასე ცვიოდა რიყეზე... აწი, მე, თუ მოვკვდები თუ არა, სხვა რა... ზამთარია, საქმე მაინც აფერი გვაქ...

გენერალმა ყალიჩავამ გადაიხარხარა.

– ა, მალაძეც... მალაძეეეც... – მერე კი უცებ მოიღუშა და უთხრა – არი უარესი ცხოვრებაც, დამიჯერე, ბაბუა... სიკვდილს ნატრულობდე და არ კვდებოდე... – და სურათი ფრთხილად მიუტრიალა.

მოხუცმა ამოიხვნეშა.

– ეგი არის. ეგი ვნახე, ათას ცხრაას ოცდათერთმეტ, არა, ათას ცხრაას ოცდათორმეტ წელში. ჩემს პირადათ სახლში, – თქვა უცებ.

გენერალმა ყალიჩავამ თითები გაატკაცუნა და თავის თავს დაუღრიალა უხმოდ: გენიოსი ხარ!

ამირიძემ გაოცებით შეხედა გენერალ ყალიჩავას.

– ეგი მეიყვანა, კუჭიკო მდივანი იყო ამნაირი. თავადიშვილი. თფილისში იყო. მერეთ... იგი მევიდა, ერთხელ ღამე, გვაქმიე რამეო. ახლა, ჩვენ მდივნების გაზდილი ვართ... მაგენი. ვაჭამე, არ გაჩერდენ და წევიდენ თავის გზას...

– ნამდვილათ? ნამდვილათ ესაა?

– ეგია, ვინ იქნება... ამნაირი იერის კაცი იშვიათია. შეხედე, რავარი თვალები აქ.

მაგი არ გავიწყდება, ლამპის შუქზე რო ნახო, მაინც. რავა?

– არა, არაფერი. სახელი, გვარი, რამე ამნაირი, არ გახსოვს?

– ილიკო ქვია მაგას... ქვია რა, ახლა ქე იქნება მითაჟმის. როდინდელი ამბავია მაგი. გაცინება იცის, რაღაცნაირი... მაგი, კუჭიკომ თქვა... კი არ უთქვია, მარა, მივხვდი ჩემით. კუჭიკო მდივანს რა უნდა გაჭირებოდა იმფერი, უკან რო მობრუნებულიყო. ხო დოუწვენ სახლკარი, რო შემევიდა წითლები... ჩვენი მთავრობა, – შეასწორა მოხუცმა – ბიძა ყავდა მაგას, დამბლიანი. ქე გამეიწვა შიგნი და გევიდა კუჭიკო ტყეში. იმის მერე ვის უნახია... თბილიშიაო, ხმა კი იყო. მაშინაც, რაცხა ტყის ამხანაგი იყო მაგისი.... ტყე-ტყე იყვნენ ეტყობა. მიდოდენ საღაცას. გლეხი კაცი ვარ, საცა გინდა იქ ჩამსვი...

– მაგი არ დეიგვიანებს, – წაისისინა ამირიძემ.

– ეუჰ, რა შემეშინდა, – თქვა თევდორე გაჩეჩილაძემ – ვოთხოზდა მეოთხეში გადავდექი.

ელაპარაკე სიბერეს. სიბერეს რას უზამ? გაიფიქრა დანანებით გენერალმა ყალიჩავამ.

– კაი, ბაბუა, მითხარი ტყეში იყვენ მაგენი გასულები?

– ვოცდათერთმეტ წელში რაღა ტყე იყო, – ჩაიცინა მოხუცმა – რა ვიცი მე. გადიოდენ ეგება ოსმალოში ან საღაცას.

– ილიკო, ესე იგი?

– ილიკოვო. ასე მახსოვს....

– ამ კუჭიკო მდივნის, თუ ვინაა, აღარავინაა დარჩენილი?

– გამოწვენ და...

გენერალმა ყალიჩავამ ამოიხვნეშა.

– კაااااი.... – თქვა მძიმედ.

– კი მარა, მავნებელი და ბანდიტები რავა შემოუშვი სახში, რატო არ აცნობე საჭირო ორგანოებს? – გაბრაზდა უცებ ამირიძე.

– ბატონი იყო ჩვენი... კაი კაცი იყო, – თქვა გლეხმა უცბად.

– მაგ კაი კაცმა გადაწვა ნახევარი რაიონი...

– არ დოუშავებია რამე, სანამ არ მიადგენ...

– კაი, კაი... – ქუდი დააფლო მაგიდას გენერალმა ყალიჩავამ – გვარი არ შეგიძლია ესე იგი... ამან კიდე, იცოდა შენი სახელი და გვარი... შენი სახელი დაირქვა ყალბ საბუთში...

– მაგი არ ვიცი მე...

– იმიტომ ხარ ახლა დაკავებული, რო მაგი გვგონიხარ...

მოხუცმა სურათს დახედა.

– ვაი თქვენ ჭკუას, თუ ეგი გგონივართ.

– შენ ნუ გაგვიუფროსდები ახლა, – დაახალა ამირიძემ.

– მიწაში რა გაქ დამარხული? – ჰკითხა უცებ გენერალმა ყალიჩავამ, – რა ჩაგაბარეს, რო მიდიოდენ?

სიჩუმე ჩამოწვა.

– ახლა გამოჩდება, რავარი მართალი კაცი ხარ, ბაბუა... თუ არა, ასე, იმერულათ, ქე შლი ხელებს, – ჩაიღიმა გენერალმა, – მიყურე ახლა? მაგენი საჭმელათ არ იქნებოდენ მოსული შენთან. მაგენი მიდიოდენ საღაცას და ტვირთი მოგაბარეს. ვერ ათრევდენ იმ ტვირთს. ასეა ხოლმე. ნასწავლი კაცი რო იყო, იოლათ მიხვდებოდი...

– ნასწავლობაზე არ არი მაგი, – ჩაიღიმა გლეხმა, – მაგი გონებაზეა. გონება ქე გაქ მაგარი, მარა არ გავხარ ნასწავლ კაცს...

ყალიჩავამ არაფერი თქვა, პაპიროსს ჩაწვდა თავის პორტსიგარში.

– ჩვიდმეტი-თვრამეტი წელიწადია გასული, – თქვა და პაპიროსს მოუკიდა, – პირობას გაძლევ, რო კუჭიკო მდივანი ცოცხალი აღარ იქნება. ამას ხვალ გაგიგებ, ცოცხლია თუ არა. ეს კაცი კიდე წინა პარასკევს მოკვდა თფილისში. ჭკვიანი კაცი ჩანხარ შენ, ბაბუა, და მიხვდები, ამხელა გზაზე ტყულათ არ წამოვიდოდი.

ეს ამბავი, იმას უნდა მოხსენდეს...

– იმას? – თითქოს გაიკვირვა გლეხმა.

– იმას, – თავი ჩახარა განერალმა და პაპიროსი გაატარ-გამოატარა დიდ საფერფლეზე, – იმას. თუ არა, მოგვკიდებენ მე და შენ ხელს და ჰეე, სად გევიღვიძებთ, თუ გევიღვიძებთ საერთოოთ... ციმბირს იქით. ეს სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა...

გლეხი ჩაფიქრდა.

– იმას რათ უნდა ეს ამბავი? – იკითხა ხმადაბლა.

გენერლამა გაიღიმა.

– ახლა მიყურე, – თქვა ხვნეშით, – ან მოიგონებ ახლა ყველაფერს, დაჯდები და დალაგებით მომიყვები, ანდა, რა ვქნა. შენა აქ იჯდები, მე წავასხამ ბიჭებს და გადავთხრი ყველაფერს. შენ ეზოს, ვენახს და სახლს. დანგრევაც რო მომიწიოს, უნდა გავაკეთო, მიტომ, რომე არ გახსოვს გვარი. გვარი რო გახსოვდეს, ახლავე, ჩემი მანქანით გაგიშობდი სახლში...

გლეხმა ამოიოხრა.

– არ მახსოვს, მისი პატრონდედავატირე.

– რა დაგიტოვეს? – იყო შეკითხვა.

მარშალმა ლავრენტი პავლეს ძე ბერიამ დარეკა სამი დღის თავზე, უფროსების გვერდის ავლით, პირდაპირ გენერალ ყალიჩავას ელაპარაკა.

– მალადეც, მალადეც, რადიონ... მალადეც.... ცდები მანდ, სოფელში. დიდი საქმეები აქ არი. ვიფიქროთ, ა? ვიფიქროთ...

– როგორიც შენი ბრძანება იქნება, ლავრენტი პავლოვიჩ... პარტია რასაც გვიბრძანებს, – იყო ზრდილობიანი პასუხი.

– პარტიას უკეთესი უნდა თავისთვის, ხო იცი? რადიონ... იმუშავე, იმუშავე... კაი, იცოცხლე.

ამ დროს უკვე შინ იყვნენ ლეილა, ეთერი და ზაირა.

იმის აღწერა შეუძლებელია.

მამას მოეტანა ფორთოხლები, ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინეთ. სადღაც ეშოვნა. დარწმუნებული ყოფილიყო, გამოუშვებენო და ვიტამინები დასჭირდებაო. რას გაიგებდი, ეს ფორთოხლები ცოლის დასაიმედებლად ეშოვნა, თუ მართლაც იცოდა რაღაც, რასაც პირმოკუმულობის დროის გამო ცოლსაც ვერ ეუბნებოდა. ლეილამ სამი ფორთოხალი ერთბაშათ შეჭამა. ეთერის ბებიამ კექსი გამოუცხო. ფქვილი ჰქონდათ. ზაირას ჰკოცნიდნენ და მურაბიან ჩაის აძალებდენ ხაჭაპურთან ერთად.

ოღონდაც შეღავათი არ იყო. მოდიოდა ახალი წელი. სამ დღეში ყველა ჩათვლა უნდა მოესწროთ. ჯერ კიდევ არ იცოდნენ, როგორ დაუხვდებოდენ ლექტორები და კომკავშირის კომიტეტი.

კარგად დაუხვდნენ. მორიდება არ ყოფილა.

მაშინ რექტორად იყო ბრგე და თავგადაპარსული პროფესორი ნიკო კეცხოველი. იმას ახალგაზრდობაში ბოლშევიკებთან ომში ჭრილობაც კი დარჩენოდა, მაგრამ ახლა თითონ იყო ბოლშევიკი. ასეთი დრო იყო. იმან იცოდა ხოლმე თავისი სტუდენტების მოვლა და დაცვა. ბიჭებს იცავდა და სამ საწყალ გოგოს არ დაიცავდა?

არ დაუბარებია, მაგრამ ყველა ეუბნებოდა გოგოებს, კეცხოველმა გიშველათო. ამის სინამდვილში გამორკვევა ძნელად შეიძლებოდა, სად მიწვდებოდნენ რექტორს? დასანახზე ხშირად იყო, დერეფანში, ბაღში, სპორტულ მოედანზე, მაგრამ ვინ გაუბედავდა ლაპარაკს კეცხოველს. იმის ბიძა, ლადო კეცხოველი, ახალგაზრდობაშივე მოეკლათ, ბელადის უახლოესი მეგობარი იყო ლადო კეცხოველი. ეს ყველამ იცოდა. ჰოდა, სიტყვა ეთქმოდა.

ასეთი იოლა ჩათვლები გოგოებს არც მანამდე და არც მერე არ მიუღიათ, ყველაზე ავი ლექტორებიც პირდაპირ უწერდნენ, უსიტყვოდ, მკაცრად, მადლობასაც ვერ შებედავდი. ნაახალწლევზე კიდევ გამოცდები დაიწყებოდა.

თამარა გიორგევანც გაუშვეს, იმავე დღეს, ოღონდ საღამოს ჟამს. მოიხვია შალი, შეიკრა პალტოს ღილები და წავიდა სახლში, კამოს ქუჩაზე, სადაც ქალიშვილთან და შვილიშვილთან ერთად ცხოვრობდა.

წამლის შუშა კი, ეგრეც ვერ იპოვნეს.

ბიბლიოთეკის წმენდა-შევსება-2 (კითხვარი)

ავტორი ლაშა ბუღაძე

1. ნუ ვაიძულებთ ბავშვებს, წაიკითხონ:

„ბიძია თომას ქოხი“. მოიშორეთ მავნე ჩვევა: დაივიწყეთ ეს წიგნი. ერთმა პრეტენზიულმა მშობელმა მითხრა: „ჰარი პოტერის“ კითხვას სჯობია ისევ „ბიძია თომას ქოხი“ იკითხოს. ეს შეცდომაა! თუკი ღმერთმა ქნა და „ჰარი პოტერს“ მიადგა, აცალეთ, მიუშვით; ნუ დაგვავიწყდება, რომ მთავარია კითხვით შეძლოს გართობა.

2. რჩევა 2-3-4-5-6 (და ა. შ.) წლის ბავშვის მშობლებისთვის:

მიუჩინეთ ბავშვს აქტიურად მკითხველ-მომყოლი ბებია (თუნდაც დროდადრო მთვლემარე; ბავშვი უფრო მეტად მობილიზებულია ასეთ დროს). დაგვიანებულია ბებიის მიჩენა 20-22 წლის ბავშვისთვის. მოხუცის გაწვალება ნამდვილად აღარ ღირს. აქ, შეყვარებულმა უნდა ამოიღოს ხმა.

3. რჩევა თინეიჯერ ბიჭებს:

ეძიეთ სნობი. თქვენი ხსნაა მსუბუქად ინტელექტუალი გოგონა. ოღონდ უსექსოდ არაფერი გამოვა. კითხვას შინაგანი სიმშვიდე სჭირდება. სარბენ-საწვალებელი არ უნდა გქონდეთ. უნდა იცოდეთ, რომ თუ რამეა, სნობ-მშველელი გოგო აუცილებლად გამოგიწვდით დახმარების ხელს.

4. რა წავაკითხოთ დედებს:

უსამსახუროდ შთენილთ, ცხადია, პრუსტი. მინიმუმ, ექვსი თვით დაგიკავებთ დედას. შეაპარეთ თომას მანიც (არ დაუჯეროთ, თუკი გეტყვით, რომ წაკითხული აქვს; აკონტროლეთ და ამოწმეთ, აიძულეთ წაკითხულის შინაარსი მოყვეს). ამ მხრივ მისწრება იქნებოდა „ჯადოსნური მთა“; მინიმუმ, ერთი თვით გაგათავისუფლებდათ. წარმატების შემთხვევაში, შეაძლიეთ „იოსები და ძმანი მისნი“. არ ენდოთ დოვლატოვის შეფასებას („ამ წიგნს ყველა აქებს: თუმცა, ვისაც არ ვათხოვე, მეათე გვერდს ვერავინ გასცდა. მერე ფურცლები ეწე-

ბება ერთმანეთს. ამ დროს, ყველა ამას ამბობს: რა გენიალური წიგნია, რა გენიალური წიგნია“). პოლიტიკურად აღტკინებულ დედებს რომელიმე სკანდალური ქართველი ავტორი მიუგდეთ საჯიჯგნად: სულ ცოტა, ერთი კვირა მაინც ილაპარაკებს მასზე. თვითონაც დაისვენებს და თქვენც დაგასვენებთ პოლიტიკისგან.

5. რა წავაკითხოთ მამებს, რომელთაც (მათივე თქმით) არაფერი წაუკითხავთ ბოლო 10 წელი?

ერთმნიშვნელოვნად, დათო ტურაშვილის წიგნები. მაგ: „მე ვარ დიეგო“, ან „ამერიკული ზღაპრები“. მელანქოლიურებს – „ჯინსების თაობა“. იტყვიან: „კარგად არტყამს, იცი“, ან „ნუ, ვიღაცეებს ვიცნობდი მაგათგან, ყველას არა“. ამ მხრივ (და სხვა მხრივადაც) ეს ავტორი იდეალურია.

6. რა წავაკითხოთ ბებიას (ან ბაბუას), რომელიც მოულოდნელად დაინტერესდება თანამედროვე ქართული ლიტერატურით („მანახე, აბა, ერთი რას წერენ“)?

ასეთებს პირდაპირ ზაზა ბურჭულაძე უნდა ატაკოთ, პრინციპით: „ხომ ითხოვდი, აჰა!“ ამის შემდეგ, ან სამუდამოდ უერთგულებს თანამედროვე ქართულ ლიტერატურას, ან იქვე განუტევებს სულს.

7. რა წავაკითხოთ მოქმედ პრეზიდენტს?

შექსპირის „რიჩარდ მეორე“ (და არა „რიჩარდ მესამე“) – „თავს რითიღა შევიქცევ, როცა მეფობას ჩამომართმევენ!“; მ. გორკის „მაქსიმეს ბავშვობა“ და ჟან-ჟაკ რუსოს მემუარების პირველი ორი თავი („ბავშვობაში ყველაფერზე უარს მეუბნებოდნენ“). შესაძლებელია ძალით ვუკითხოთ (ვთქვათ, მიტინგებზე – ხმის გამაძლიერებლებიდან): „გულივერის თავგადასავალი“ (კერძოდ, გულივერი გოლიათთა ქვეყანაში) და ნ. პელიკანის „დამშრალი შადრევანი“.

8. რა არ წავაკითხოთ ბ. ივანიშვილს?

ქართველ პოეტთა ლექსები. სჯობს, სხვებს დაევალოთ ციტატათა ამოყვირება.

9. მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრთა მშობლების შვილთათვის უჩუმრად შესაგზავნი:

სარტრის „გულისრევა“ (სხვა თუ არაფერი, მარტო სახელწოდება გაიკეთებს თავის საქმეს), დოჩანაშვილის „ვატერ(პო)ლოო, ანუ აღდგენითი სამუშაოები“, დოსტოევსკის „ეშმაკნი“, მარკიზ დე სადის „ბუდუარული ფილოსოფია“ და მაინც, ყოველი შემთხვევისათვის – „თხა და გიგო“.

10. რომელ პოპულარულ (პაპსა!) ავტორთა კითხვა არ ღირს?

ნუ გაიწვალებთ თავს ჰარუკი მურაკამით. დღემდე ვნანობ, არ უნდა წამეკითხა-მეთქი. მით უმეტეს, რომ წიგნებიც სქელტანიანი აქვს: მინიმუმ, ორი კარგი წიგნის ადგილს იკავებს. მოაშთეთ კოელიო! როგორც იქნა, თვალი აეხილა მსოფლიოს: მისი წიგნები ბესტსელერთა სიიდან გაქრა. ნურც ანა გავალდაზე გახარჯავთ დროს; შეურაცხმყოფელად უინტერესოა. ლარსონს კიდევ არა უჭირს. ოღონდ საზაფხულო არაა. თუმცა, თაროზე გასაჩებელი ნამდვილად არ გახლავთ.

11. მაშ, რა წიგნებით შევავსოთ თარო (უაღრესად სუბიექტური, „სააგვისტო“ რჩევა)?

ეკოს „პრაღის სასაფლაო“ (მაინც კარგია), ჯოისის „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზდობისას“ (ახალი გამოცემა, გია ბერაძის თარგმნილი), „ულისე“ (ახალი გამოცემა. ნიკო ყიასაშვილისგან. გადახედა მისმა ქალიშვილმა, მაიამ), ევრიპიდეს „ორესტესი“ (ნანა ტონიას თარგმანი), რობერტო ბოლანიოს „მესამე რაიხი“ (flibusta-დან, აი, საიტიც ესაა), ანრი დე სენ-სიმონის მემუარები და სალმან რაშდის „ფლორენციელი ჯადოქარი“ (მაქედანვე ესენიც).

12. რაღა უნდა წავიკითხოთ, თუკი ეჭვი გაგვიჩნდა, რომ უკვე ყველაფერი წაკითხული გვაქვს?

მესიჯები. მხოლოდ სატელეფონო მესიჯები. ვაგლახ, ბევრ მწერალს აჯობეს.

13. 2012 წლის „საბას“ თარო (რა შემრჩა; 10 წლის შედეგი):

გოდორი. აღმოსავლურ-დასავლური დივანი. სამი ცალი პროზაული (მოთხრობების) კრებული. ოთხი პოეტი. ერთიც ყურანი (და საერთოდ, არაერთი თარგმნილი წიგნი). სანტა-ესპერანსა. კონფლიქტი: „ადიბასი“ VS „პირველი ორი წრე“. ორი რომანისტი ქალი. ერთი პიესა. ყოველწლიური კრიტიკული ქორო: „ნუ ჩაგრავთ ავტორებს, იფიქრეთ ქველმოქმედებაზე, ტექსტებს რა მნიშვნელობა აქვს!“.

დიდი წმენდა (ან დიდი შევსება) - 10 წელიწადში.

14. კარგი მწერლების უინტერესო წიგნების მცირე წმენდა:

უელბეკის „ბრძოლის ველის გაფართოება“, ფამუკის „სიჩუმის სახლი“, მარკესის „ვიხსენებ რა ჩემი ცხოვრების სევდიან კახპებს“, ეკოს „ბაუდოლინო“, ლიოსას „სამყაროს დასასრულის ომი“, ჰერტა მიულერის მოთხრობები, კუტზეეს „შემოდგომა პეტერბურგში“, დორის ლესინგის „ღარი“, ბარნსის „ინგლისი-ინგლისი“, ბაშევის-ზინგერი (სრულად), სელინის „რიგოდონი“.

15. თარომდე არმოსაშვებნი (2012 წლის გუნებაზე-განწყობით)

ერიხ-ემანუელ შმიდტი (ჯვარი აქაურობას), ერლენდ ლუ (ღმერთო, შენ გვიშველე), დანიელ პენაკის „რომანივით საკითხავი“ (ჩემ მტერს).

16. აგვისტოს საზეპიროები:

ვინ ვინაა საქართველოში? (2004 წლის გამოცემა; რეფრენად ბრძენთა სიტყვებით: „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა“)

17. გადასამეორებლად:

დ. ბარბაქაძის „ტრფობა წამებულთა“ (თხრობით)

აბა, შეხვედრამდე!

მწერალი დონ კიხოტ ლამანჩელი

ავტორი ბექა ქურხული
ილუსტრაცია თაკო ბაქრაძე

დღემდე დაბორიალობს, თუმცა სულ უფრო და უფრო იშვიათად ჩნდება. სულ უფრო და უფრო ბაცდება მისი აჩრდილი, მაგრამ გაიხედავ და მაინც გამოჩნდება, თანაც ყოველთვის მოულოდნელად: – წვეტიანი ჩაჩქანი, გამხდარი, გაფითრებული სახე, წმინდა სიგიჟით ანთებული თვალები და მორყეულ ბუნიკიანი შუბი, რომლითაც საოცარ, მოულოდნელ, სასაცილო და ტრაგიკულ ამბებს თხზავს.

დაბორიალობს, დადის გზა-კვალ არეული და საკუთარ ხილვებში გაბნეული. მისი სახელი, დიდი ხანია, ერთდროულად სასაცილო და გმირული ამბების სიმბოლოდ იქცა, რადგან კარგად რომ დააკვირდე გმირობას, თვალებში რომ ჩახედო და ახლოდან გაუარ-გამოუარო, შეიძლება ძალიან სასაცილო ამბები შეგრჩეს ხელთ. ძალიან ხშირად, გმირის მდგომარეობა და ჰეროიზმი სასაცილოა და ამ ირონიულ კონტექსტს და ელფერს გმირი ხშირად საკუთარი სისხლის ფასადაც ვერ იშორებს. თუმცა, ვინ თქვა, რომ ეს ცუდია... გააჩნია! სამაგიეროდ, მის სახელს ვერასოდეს და ვერანაირად ვერ მიეკარება ვერაფერი მდაბალი და ლაჩრული. დონ კიხოტობა ვერაფრით დაუკავშირდება თავკერძობას, სულმდაბლობას, ორპირობას, ღალატს, მშიშრობას, ეგოიზმს, გამყიდველობას, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ეს ყველაფერი ამაზრზენი და საზიზღარია. რაც ამაზრზენი, ნაძირლური და აღმაშფოთებელია, თითქმის შეუძლებელია იყოს სასაცილო. გაცილებით ადვილია, გმირზე გაგეცინოს, ვიდრე მოღალატეზე და ჩამშვებზე! თუმცა, გმირს იშვიათად სცალია ჩვენს სიცილზე გასაბრაზებლად. ის ყველაზე დიდებულ და მშვენიერ რაშზე – ნეკნებამოჩრილ, გაძვალტყავებულ და ყურებპარტყუნა როსინანტზე ზის და ზეცისაკენ აღმართული შუბით მუქარას უთვლის ყველანაირ სიბილწესა და ბოროტებას და ბრძოლაში იწვევს იმის იმედით, რომ ამ ამბებს ყველაზე მშვენიერი, ჰაეროვანი, განათლებული და კეთილშობილი ბანოვანი – ხმელი ხმიადითა და ნივრით ნასაუზმევი, წერა-კითხვის უცოდინარი, დუნდრუცელა და ულამაზესი, დულსინეა ტობოსელი შეიტყობს და აღფრთოვანდება.

დადის დონ კიხოტი და მას უკან დასდევს ნაცარა ვირზე გადამჯდარი, ზარმაცი, მუცელღმერთა, მსუნაგი, მატყუარა, ფანტაზიორი, გულუბრყვილო და კაი გლეხურად დამჯდარი ჭკუის პატრონი სანჩო პანსა. რომელიც, ამავე დროს, ახერხებს, თავისი პატრონისა და რაინდის ერთგული იყოს და არა მარტო იმიტომ, რომ ხმელეთზე მდებარე კუნძულზე დიდ საგრაფოს ელოდება, არამედ იმიტომაც, რომ როგორც ყველა ნამდვილი გლეხი, მთელი თავისი გლეხური ეშმაკობის მიუხედავად, საბოლოო ჯამში, მაინც ჯანმრთელი ვინმეა და აქედან გამომდინარე, ერთგულიც. მთელი მათი ბატონობა-საჭურველმტვირთველობის, თავგადასავლების (სისხლისმღვრელი და სახიფათო ბრძოლები მტრის უდიდეს ლაშქართან – ცხვრის ფარებთან, დევებთან – ქარის წისქვილებთან, ეშმაკეულებთან – იანგვისელ მეჯორეებთან, ფუნდუკში საბნით ფრენა თუ ჰერცოგისა და ჰერცოგინიას ვერაგული მასპინძლობის ამბები და ლომის გალიაში შესვლა), ერთმანეთთან ჯამაგირზე ჩხუბის და მონანიების – „ვირი ვარ ბატონო, ნამდვილი ვირი, ღირსი ვიქნებოდი, თუ თქვენი უმაღლესობა მოწყალებას მოიღებდა და კუდსაც შემაბავდაო“, სანჩო პანსას ტყუილებისა და მამაძაღლობების მიუხედავად, „ხომ დღესავით ნათელია, რომ ჩემი ბატონი გიჟი და დამთხვეულია და მე კიდევ უარესი გადარეული, რომ ამდენი ხანია უკან დავდევ“...

ყველაზე უცნაური და გამაოგნებელი შედეგი, სწორედ ის მეტამორფოზა გახდა, რომელიც ბატონმაც და მისმა საჭურველმტვირთველმაც ერთად განიცადეს: – ისინი ისე დაემსგავსნენ ერთმანეთს, როგორც ღმერთმა დაიმგვანა ადამიანი, როდესაც ის „სახედ თვისად“ შექმნა და როგორც ყოველი ადამიანი, ასე თუ ისე, სულ სხვადასხვა გზებით, სწორით, მცდარით, კიდევ უფრო მცდარით, კიდევ, კიდევ უფრო მცდარით და იმაზე კიდევ უფრო მცდარი გზით, თუნდაც იგივე უღმერთობით და ღმერთის უარყოფით ცდილობს დაემსგავსოს ღმერთს.

დონ კიხოტისა და სანჩო პანსას ერთობლივი თავგადასავლის ბოლოს სანჩო პანსაც შემოქმედი გახდა, თავისი ბატონივით (თუნდაც მისი ხანმოკლე გუბერნატორობა „კუნძულზე“, დულსინეასთან „შეხვედრა“, თეთრი რაინდის საჭურველმტვირთველთან, ან ჰერცოგინიასთან საუბარი გავიხსენოთ). სანჩო პანსამაც თხზვა დაიწყო. ისიც ფილოსოფოსი გახდა, მიხვდა, რომ არარსებული, ის, რასაც თვალით ვერ ხედავ, შეიძლება გაცილებით რეალური აღმოჩნდეს, ვიდრე აბსოლუტურად ხელშესახები რამ. მაგალითად, შენ ცხვირწინ წამოკოტრიალებული თეთრი ნავარული ღვინით სავსე ტიკჭორა, ან მალიორკულ ზეითუნის ზეთში, ბლომად ხახვში, მწვანილსა და წითელ და მწვანე წიწაკაში ჩაშუშული ცხვრის კანჭი.

სერვანტესი ცდება, როდესაც ამბობს, რომ სანჩო პანსა ისეთი გულუბრყვილო იყო, რომ საკუთარი ტყუილებისაც კი სჯეროდაო. სანჩო პანსას არ სჯეროდა საკუთარი ტყუილების და დულსინეა ტობოსელსაც კარგად იცნობდა. უბრალოდ, სანჩო პანსამ, ბოლოსკენ რაღაცები იგრძნო, მიხვდა და გაიგო. მიხვდა, რომ რაღაც ხდებოდა, რომ ეგრე მარტივად არ იყო საქმე, რომ მიხვედი, დაინახე და რაც დაინახე, ეგ არის და მეტი არაფერი. მიხვდა, რომ იმის იქით რაღაცები ხდება, უბრალოდ ხდება, უცნაური, მურტალი და ნათელი რამეები. რა? რატომ? მაგას ბოლომდე ვერ ჩასწვდა,

ვერ ჩაძვრა, ან ვინ ჩამძვრალა, რო? არ იცოდა, მაგრამ გრძნობდა, ხვდებოდა, ესმოდა და ეგ კიდევ გაცილებით მაგარი და საშიში რამეა, ვიდრე ნებისმიერი ცოდნა.

გრძნობდა, ესმოდა, ხვდებოდა და სულ უფრო და უფრო ირეოდა და იბნეოდა. დონ კიხოტი ბევრს ეჩიჩინებოდა და უხსნიდა, ბევრსაც აგებინებდა თავის სანჩო პანსას, მაგრამ უფრო მეტს – ვერა, და სიმართლე რომ ვთქვათ, არც ეცალა. თავისი გასაჭირი ედგა, სულ უფრო და უფრო მეტი თავსატეხი და საბრძოლველი უჩნდებოდა, სულ უფრო და უფრო მატულობდა ბოროტება. ყოველი მხრიდან უტევდნენ ჯადოქრები, დევები, ბოროტი სულები, მტრები. სულ უფრო და უფრო მეტი იყო საომარი, სათხზველი და საწერი. და სულაც არ განიცდიდა, არ ჰქენჯნიდა სინდისი, რომ დაღუპა ეს ჩვენი პატიოსანი სანჩო პანსა. ისეთ რამეში აიყოლია, რომელთან შედარებითაც საფუნდუკეებში ატეხილი ცემა-ტყეპა ვენახების ბოლოში ჩამომჯდარი შავი შაშვის სტვენა იყო და მეტი არაფერი. დონ კიხოტმა დაახლოებით ისეთი რამე გაუხსნა სანჩო პანსას, რაც გველმა, მაგ შაითანმა, ადამს და ევას. დონ კიხოტმაც კარგი ვაშლი მიაწოდა და ამ ჩვენს საწყალ სანჩოსაც, როგორც ყველა გლეხს, ნამგზავრსა და დამაშვრალს, ჭამა უყვარდა და მსწრაფლ ჩაახრამუნა ეს ვაშლი. აქ ხოგაის მინდიას გახსენებაც შეიძლება, რომელმაც გველის ხორცი შეჭამა თავის მოსაკლავად და მისანი კი გახდა, მაგრამ ხოგაის მინდი მიხვდა, რომ მისანი გახდა, სანჩო პანსამ კი, ეგეც ვერ გაიგო, რა შარ-ხათაბალაში გაეხვა და რომ ახლა, სულ სხვანაირი დაბრუნდებოდა თავის შავტუხა, კაპას და კეთილ ცოლ სანჩიტასთან და საყვარელ ჩოჩრებთან.

ცალკე ამბავია, მთავარი, დიდი შემოქმედი, მწერალი და დამთხვეული, თავად მიგელ სერვანტეს საავედრა, – ნაომარი, ნაბრძოლი, ნატყვევარი, ალჟირიდან ორჯერ გამოქცეული. დამთხვეული და გიჟი რომ არ ყოფილიყო, „დონ კიხოტს“ რა დააწერინებდა.

მთელი ცხოვრება მაინტერესებს და იმქვეყნად მაინც ვკითხავ, თუნდაც ამისთვის საიქიოში ესპანურის სწავლა დამჭირდეს (სააქაოში მეზარება), თავიდან თვითონაც ხომ არ დასცინოდა დონ კიხოტს? რისთვის დაწერა? რა უნდოდა? საშაყიროდ? „ს

საგანი და ეს ხელიც ღვთის, ესპანეთისა და მეფისთვის ბრძოლაში კი არ დამიზიანდა, არამედ ქურდბაცაცობასა და სალახანობაშიო.“ სიყალბე სისულელეა. აქედან ეს ამბავი მხოლოდ ღიმილისმომგვრელი ანეკდოტია და მეტი არაფერი.

თუმცა, არა მგონია, ეს ისტორია ასევე სასაცილო ყოფილიყოს სერვანტესისთვის. რაც უნდა დიდი ადამიანი იყო, ან იქნებ სწორედ მაგიტომაც, ძალიან ძნელი და მტკივნეულია, დაუმსახურებელი და უსამართლო ლანძღვისა და ქირდვის ატანა, თანაც ვიღაც ვიგინდარასგან. რადგან სიყალბეს, სისულელის გარდა, დიდი თავხედობა და სიბრიყვეც ახლავს. მით უმეტეს, რომ ამ დაპირისპირებაში სერვანტესი სრულიად მარტო დარჩა, რადგან დონ კიხოტი ამ ყველაფერს, ძალიან ზევიდან უყურებდა. ისედაც ბევრი ჰქონდა საბრძოლი და საფიქრალი და ვიღაც მატრაბაზებისთვის აღარ ეცალა, რომ ორთაბრძოლაში გამოეწვია. მით უფრო, რომ იმ ვიღაცას, რაინდობისა არაფერი ეცხო. სანჩო პანსამ კი, თითქოს ჯიბრზე, წერა-კითხვა არ იცოდა, თორემ ეგ რაინდობას დიდად არ დაგიდევდათ და იქნებ კარგა გემრიელადაც ჩაეფარებინა კინკრიხოში. და თუ ჯანზე დაუდგებოდნენ, მუხის კეტსაც დაატრიალებდა.

სერვანტესისთვის კი, როგორც ჩანს, ეს ყველაფერი საკმაოდ მტკივნეული იყო. მით უმეტეს, რომ როდესაც „დონ კიხოტს“ წერდა, სერვანტესი ჯერ კიდევ ჩვეულებრივი ადამიანი იყო. ჩვეულებრივი, გაღატაკებული, ხეიბარი ჯარისკაცი, რომელსაც გამუდმებით უწევდა ყოველდღიურ სარჩოზე და ლუკმა პურზე ზრუნვა, ვალებისაგან და მევალეებისაგან თავის დახსნა – ხანდახან, ციხის საკანითაც კი.

მისი მსგავსი ჯარისკაცები იმ დროინდელ ევროპასა და ესპანეთში უამრავი იყო. მიგელ სერვანტეს საავედრამ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ „დონ კიხოტის“ დაწერით, სერვანტესი გახდა. მით უმეტეს, რომ „დონ კიხოტის“ გარდა, მისი სხვა ნაწერები დიდი ვერაფერი შვილი გახლავთ. თავად „დონ კიხოტშიც“ არის სურათები – მაგალითად, ეჭვიანი ქმარი რომ მეგობარს ცოლს აბარებს – აბა, ერთი გაეარშიყე და მითხარი, რას იზამსო და სხვა მსგავსი სისულელეები. ამგვარი თავები ნაწარმოებში უეჭველად თავს გადაგაშლევინებს, იმიტომ, რომ წინ სულ სხვა, ძალიან მაგარი ამბები გელის.

რჩება შთაბეჭდილება, რომ სწორედ თავად დონ კიხოტ ლამანჩელმა, დიდმა შემოქმედმა, მებრძოლმა და მწერალმა, შემოისვა ცხენზე, გამოიტაცა და გადაარჩინა დიდი მებრძოლი მიგელ სერვანტეს საავედრა და დიდ შემოქმედად და მწერლად აქცია. იმის მიუხედავად, რომ ადვილი შესაძლებელია, რომ სერვანტესი მორიგ გასართობ რომანს წერდა – დღეს რომ ბულვარულს ეძახიან. და ამ დროს, მისგანვე დასაცინად გამეტებულ დიდ გმირს, დონ კიხოტს გადაეყარა, რომელმაც ყველაზე საშინელი ჯადოქრობისაგან – წამხდარი და გაბითურებული თანამედროვეობისაგან გამოიხსნა. უკან კი სანჩო პანსა მოსდევდათ, გაჩქარებული ჩაქჩაქით, გამალებით სცემდა ქალამნიან ფეხს ნაცრისფერ ფერდებზე, თავის თვალის ჩინსა და გულით საყვარელ სახედარს. თან დაფეთებული, მალიმალ იბრუნებდა გაბანჯგვლულ თავსა და „სხვილ კისერს“, „ემანდ არ მოგვეწივნენ ეს ოხრებიო“.

„სანტა პერმანდადა“!

ამის მიუხედავად, ადვილი შესაძლებელია, ნატანჯი და ნაბრძოლი მიგელ სერვანტესი, რომელმაც თავისი ცხოვრების უკანასკნელი ხანა ციხეში გაატარა, მაინც ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მიხვდა, დიდი სერვანტესი რომ გახდა. შეიძლება, რაღაცას გრძნობდა, მაგრამ რაც უფრო დიდია შემოქმედი, მით უფრო უჭირს დაჯერება, რომ მართლა დიდი და მნიშვნელოვანი რამ შექმნა. და სხვათა შორის, ამაში დასარწმუნებლად – საყოველთაო აღიარება, ჯილდოები და პრემიები ისევე ნაკლებად ეხმარება, როგორც ციხის საკანი და ბორკილები.

საერთოდ, სახელმწიფო და სამშობლო, თავის მებრძოლებსა და მწერლებს, ღიმილის, ნატეხი პურისა და ჭიქა ღვინის მაგივრად, უმეტეს შემთხვევაში, რატომ ხვდება გამაყრუებელი სტვენით, ციხის დილეგით, ან სულაც ეშაფოტით, ცალკე საკითხავია. ალბათ, უფრო იმიტომ, რომ სახელმწიფოსაც და სამშობლოსაც, უფრო ხშირად, სწორედ იანგვისელი მეჯორეები მართავენ, რადგან მიგელ სერვანტეს საავედრას, დონ კიხოტ ლამანჩელს და თქვენ წარმოიდგინეთ, თვით სანჩო პანსასაც კი, ამისთვის არ სცალიათ. სანჩო პანსამ ერთი კვირა ვერ გაძლო თავის საოცნებო გუბერნატორის თანამდებობაზე. მობეზრდა, თქვენ გიჟები ხომ არა ხართო. იჩურთა შარვლის ჯიბეში პური და ყველი, შეახტა თავის ვირადინს და სულ ცუხცუხით მოცოცხა იქიდან, თავისი ბატონისაკენ, გამოუჯავრდა – მე აქეთ პირს აღარ ვიზამო. დონ კიხოტს კი ბოროტებასთან ჰქონდა საბრძოლველი და ავ სულებთან საომარი, და თავის მოგზაურ რაინდობას ვერაფერზე გაცვლიდა. სერვანტესს კი თავისი გულის, სისხლისა და ნაწამები ცხოვრების ფასად დასაწერი ჰქონდა წიგნი, რომელზეც დოსტოევსკი ამბობდა: – „ეს არის წიგნი, რომელიც ჩვენ შეგვიძლია უფალს ვაჩვენოთ მეორედ მოსვლისას, ბოლო ჟამს, უკანასკნელი განკითხვის დროს და შეგვიწყალებსო.“

ამაზე დიდი რეცენზია ალბათ არც დაწერილა.

შეწყალების რა მოგახსენოთ, მაგრამ, მგონი, როდესაც მზეს, დედამიწას, მთვარეს და ჩვენს გალაქტიკას ყავლი გაუვა, ბოლო, დიდი აფეთქების ათინათში, უკანასკნელი, რაც გამოჩნდება, ეს როსინანტზე ამხედრებული, მწუხარე სახის რაინდის ფერმკრთალი სახე, სიკეთითა და სიგიჟით ანთებული თვალები და ზეცისკენ აღმართული ბუნიკმორყეული შუბი იქნება, რომლითაც ცეცხლის ალით წითლად გადანათებულ ცას უკანასკნელ სიტყვებს მიაწერს.

რომ ჩვენ ყველანი მართლა ვცდებოდით, ცდებოდა სერვანტესი, სანჩო პანსა, ნაცარა ვირი და როსინანტი...

და ის წისქვილები, ჩვენ რომ წისქვილებად ვხედავდით და აღვიქვამდით, და დონ კიხოტს კი დევებად ეჩვენებოდა, სინამდვილეში მართლა დევები ყოფილან! და ეს ჩვენ ვხედავდით ასე, ჩვენ ვცდებოდით, ჩვენ გვეგონა წისქვილები.

და დღემდე გვგონია!



პერსონალური ქრისტე

ავტორი თეონა დოლენჯაშვილი
ილუსტრაცია GAMEZ

Your own personal Jesus
Someone to hear your prayers
Someone who cares
Someone who's there…
Depeche Mode. „Personal Jesus."

დაესიზმრა – თითქოს უზარმაზარი თავი ება და ამის გამო ვერც მანქანაში ჯდებოდა და ვერც თავისი ახალი ბინის სადარბაზოში შედიოდა. საკუთარი ოფისის მაღალი, ელექტრონული კარის ოთხივე მინა სევდიანად ირეკლავდა მის წარმოუდგენელი სისწრაფით მზარდ თავს, რომელიც ამიერიდან არსად, არცერთ შენობაში არ შეეტეოდა და ამგვარად, უსახლკარობისა და სამუდამო მარტოობისთვის იყო განწირული.

რომ გაიღვიძა, ცხადშიც ისევ იგრძნო ნაბახუსევისგან ატკიებული და თითქოს მართლა გაზრდილი თავის მასშტაბები. ახლაღა აღმოაჩინა, რომ გვერდით ბიზნესფორუმის წვეულებიდან გამოყოლილ ქალს ეძინა, რომელსაც წარმატებით შეეთავსებინა როგორც საქმიანი, ისე სექსუალური პარტნიორის ფუნქცია. როგორ და როდის შეთანხმდნენ ამ მეორეზე, არ ახსოვს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა და მისი სუნთქვა რომ არა, ოთახშიც ისეთივე სიჩუმე იდგებოდა, როგორიც სიზმრის უცნობი არქიტექტორების მიერ დაპროექტებულ ქუჩებში. საათზე დილის ცხრა იყო, კალენდარზე კვირა დღე, გარეთ უცხო ქალაქი. თოვდა და თოვლის პატარა დაკრისტალებული ფანტელები გულგრილად ეხლებოდა სასტუმროს ფართო შუშიან ფანჯრებს.

ქალის გაღვიძება და მისი ძალადვნებიანი კვნესის გაგონება არ სურდა. ამიტომ თითქმის ფეხაკრეფით წამოდგა და შხაპის ორთქლში გაბუნდოვანებული და აბაზანის სარკიდან დანახული საკუთარი ნამძინარევი, ნაკვთებმოშვებული ორეული ლამის ზიზღით შეათვალიერა. აბაზანიდან გამოსულმა სწრაფად ჩაიცვა და იმ იმედით, რომ საღამოს ნომერში დაბრუნებულს ქალი აღარ დახვდებოდა, კარი ქურდივით ჩუმად გაიხურა. სასტუმროს რესტორანში შესულმა შვებით ამოისუნთქა, სიგარეტს მოუკიდა და რადგან ირლანდიელებსა და შოტლანდიელებს შორის ვისკის გამო გამართულ მრავალწლოვან ომებში გამარჯვებული მისთვის შოტლანდიური დალმორი იყო, სწორედ ის შეუკვეთა. ნამდვილი მარტოობის დროს არასდროს შველოდნენ ქალები. სასმელი! აი, რა ხდიდა ყველაზე კარგად.

თვითმფრინავის ბილეთი თანაშემწეს შემდეგი დღისთვის დაეჯავშნა. მთელი დღე წინ ჰქონდა და საქმე თითქმის არაფერი. სვამდა და ძარღვებში ნელ-ნელა სასიამოვნო სითბო უჯდებოდა. ბოთლი უკვე სანახევროდ დაეცალა, ტელეფონმა რომ დარეკა. ყოფილი ცოლი რეკავდა, როგორ ხარო. იქვე ბავშვების ხმა ისმოდა. უმცროსი გოგო ტელეფონს დასწვდა და უცნაური რამ უთხრა:

– მალე ჩამოდი რა, მამა. აპოკალიფსია გამოცხადებული.

– რას ამბობ? რა არის?

– რა და აპოკალიფსი! სამყაროს დასასრული...

– რა სისულელეა, საყვარელო. ეგ ვინ გითხრა?

– ვინ და ტელევიზორში თქვეს. 21 დეკემბერს არის გამოცხადებული. ზეგ!

ცოლზე გაბრაზდა. ეს რა სისულეებს ასმენინებს ბავშვებს.

– მომისმინე, ნინი. რასაც ტელევიზორში ამბობენ, ყველაფერი სიმართლე არ არის.

– არა, ეს არის. სკოლაშიც თქვეს მასწავლებლებმა.

ცოლზე გაბრაზდა. მისი იდეა იყო ბავშვები იმ სირებით სავსე სკოლაში შეეყვანა.

– ჩემი ხომ გჯერა? არავითარი აპოკალიფსი არ იქნება!

– მჯერა. ჰოდა, მალე ჩამოდი. უშენოდ სამყაროს დასასრულის ნახვა არ მინდა.

ტელეფონი გათიშა და კიდევ ერთი ჭიქა დაისხა. მოუსვენრობამ შეიპყრო. გულდამძიმებულს მოეჩვენა, რომ უამრავი საქმე ჰქონდა და ის კიდევ ძვირფას დროს ტყუილად ფლანგავდა. „საქმის გარდა მართლა აღარაფერი მახსოვს. და ძალიანაც კარგი. თავისუფალი დრო არ უნდა მქონდეს, არაფერში მჭირდება საკუთარ თავთან დარჩენის აუტანელი წუთები", – გაიფიქრა და კიდევ ერთი ჭიქა გადაკრა. მერე პალტო მოიცვა და ქუჩაში გამოსულმა სახე ცივ ნიავს შეუშვირა.

გარეთ ფიფქებმა ცვენას უმატეს. საშობაოდ მორთული ქალაქის ქუჩებში მიაბიჯებდა და რამდენჯერმე ისიც კი მოეჩვენა, რომ ხალხი შობის ნაცვლად წარღვნისთვის უფრო ემზადებოდა, ისე გაცხარებული და დაძაბული შესეოდა შოპინგ ცენტრებს და ჰიპერმარკეტებს. რიჩმონდის პარკის შესასვლელთან გაჩერდა. თბილ პლედებში გახვეული სიმებიანი კვარტეტი საშობაო მელოდიებს უკრავდა. სარეკლამო ბილბორდებზე არმაგედონის თემაზე შექმნილი სახუმარო კალენდარი ტრიალებდა: 12 თვე – 12 აპოკალიპტური მოვლენა – გლობალური გამყინვარება, გლობალური დათბობა, ინფექციები, მიწისძვრები, უცხოპლანეტელთა შემოსევა, ბირთვული ომი, მეტეორების წვიმა...

პარკში შევიდა. ნელა მიაბიჯებდა. მოსწონდა ფეხქვეშ რბილად ცვალებადი მიწა, ნისლიდან ამოზრდილი მოულოდნელი ხეები. „ამ ორ დღეში მართლა რომ დასრულდეს ყველაფერი, – გაიფიქრა, – რამდენი საქმე დამრჩება დაუმთავრებელი..." გაახსენდა მშობლები, რომ-

ლებთანაც ასე ცოტა დროს გატარება უხდებოდა, შვილები, რომელთაც მისი მოუცლელობის გამო, მუდმივად აკლდათ მამა. ქალი, რომელიც დაკარგა და ახლა მხოლოდ სიზმარში თუ იხსენებდა მისი თვალის ფერს და სხეულის სითბოს. ფიფქები უკანასკნელი რომანტიული წერილებივით ცვიოდა და ადნებოდა სახეზე, მისი სადღაც ზემოთ ასული, შენახული და ახლა ასე სწრაფად მდნარი სიტყვები, რომლებიც უნდა ეთქვა და ვერ თქვა.

„ორი ადამიანის ურთიერთობა ძალადობაა," – გაიფიქრა, – „სიყვარული ძალადობაა, სისასტიკეა, შიშია. სხვა ადამიანთან გახსნილად ყოფნის შიში."

პალტოს ჯიბეში ისევ ტელეფონი აწკრიალდა. ამჯერად, კომპანიის აქციონერთა საბჭოს წევრი და ძველი მეგობარი ურეკავდა. რაღაცნაირად დაძაბული ხმა ჰქონდა.

– როდის ჩამოდიხარ?

– ხვალ საღამოს მოვფრინავ. რა ხდება?

– ისეთი არაფერი... გავკოტრდით, – ამ სიტყვებს არაადეკვატური სიცილი მოჰყვა. რატომღაც უკბილოდ ხუმრობდა.

– წუხელ ბევრი დალიე?

– დავლიე კი არადა... მართლა გავკოტრდით.

– ვერ გავიგე.

– ჰო, ცოტა ძნელი გასაგებია. აქციონერთა ნახევარზე მეტმა აქციები გაიტანა. ყველას გააქვს. ნამდვილი ისტერიაა.

– რაა? ხუმრობ?!

– არა. არ ვხუმრობ. შენ მანდ ჭურში ხარ, არა? შეიშალა სამყარო.

– რა ხდება? – მოსმენილის გააზრებას ცდილობდა.

– აპოკალიფსი, – ისევ სიცილი და ცუდად დაფარული შიში.

– რა აპოკალიფსი?! ვერ არიან? ყველა ერთად როგორ გაგიჟდა...

– ჯერ მაიას ტომის კალენდარი, მერე რამდენიმე შეშლილი მეცნიერი, ასტროლოგები, შარლატანები, სატელევიზიო ისტერია... და აი, შედეგიც მივიღეთ. მანდ არაფერი იგრძნობა?

– რა უნდა იგრძნობოდეს? არმაგედონის მოლოდინი?

– ალბათ... არ ვიცი.

– რა აბსურდია! გაივლის ორი დღე და უკან მოგვაწყდებიან.

– ჰო... – პარტნიორის თანხმობას თავდაჯერება აკლდა.

პარკიდან გამოსულმა ქალაქს სხვა თვალით შეხედა. სწრაფადმოძრავ ქუჩებში ხალხი ირეოდა. ახლაღა შეამჩნია მათი თვალებგაფართოებული სახეები, შიში და ამავე დროს, უცნაური სიმსუბუქე. სამყაროში მართლაც შეცვლილიყო რაღაც. როგორც ჩანს, კაცობრიობას მიზეზი მიეცა მხრებიდან მოეხსნა მარადიულობის ტვირთი. დასასრულის სიახლოვე მომავლისგან გვათავისუფლებს. ჩვენ ხომ ისე ვცხოვრობთ, რომ გვგონია არასდროს მოვკვდებით და ამიტომ საერთოდ არ ვცხოვრობთ. ახლა კიდევ, აპოკალიფსის მოლოდინით შეცვლილი ადამიანები მთელი ცხოვრების ჩატევას ორ დღეში ცდილობდნენ.

ბანალურია, მაგრამ სასტუმროსკენ მიმავალს რამდენჯერმე შემოესმა ტაძრებიდან ზარის რეკვის ხმა. ეკლესიური არასდროს ყოფილა და მით უმეტეს ახლა ტაძარში შესვლა ნამდვილ ფარისევლობად მიიჩნია.

სასტუმროში აბრუნდა. ნომერში, რა თქმა უნდა, აღარავინ იყო. მხოლოდ ორი მარტივი წინადადებისგან შემდგარი ტრადიციული წერილი დახვდა. პირველი წინადადება ნაწყენ და მიტოვებულ ქალს ეკუთვნოდა: „ლაჩარი ხარ!", მეორე – აპოკალიფსს: „უფალმა შეგინდოს".

ამოიოხრა და მინიბარი გამოაღო, საიდანაც ვისკის ახალი ბოთლი ამოაძვრინა. პლაზმა ჩართო. ალბათ, უფრო მძიმე შეგრძნებების გასაფანტად. ბიბისის საინფორმაციო გამოშვებაში ათასობით უმსხვილეს გაკოტრებულ კომპანიაზე საუბრობდნენ. პირდაპირ არავინ ამბობდა, მაგრამ ცხადი იყო, რომ მათი მმართველობის ეპოქა დასრულდა, სამყაროს კორპორაციები აღარ მართავდნენ. ძალაუფლება მთლიანად ეკლესიის და სამღვდელოების ხელში გადასულიყო. „და რა განსხვავებაა ჩვენს შორის?" – სევდიანად გაიფიქრა, – „რა თქმა უნდა, არავითარი. სამყაროში მთავარი ფულია და ვის ხელშიც გადავა, მმართველიც ის ხდება. მაგრად ტექნიკურად კი ააგორეს ანაფორიანებმა. რა თქმა უნდა, ამ „აპოკალიფსის" შემდეგაც კარგა ხანი ასე დარჩება".

სასმელი დაიმატა, რომელიც სწრაფად მოეკიდა. მოითენთა. ასე ჯობდა. ოდესმე ხომ უნდა დაევიწყა ეს ინფორმაციულად მოწამლული სამყარო... ცოტაც და ჩათვლემდა. ამიტომ ჯერ ვერ მიხვდა, კარზე კაკუნის ხმა მისი არეული სიზმრიდან იყო, თუ ცხადიდან. წესით,

გალერეა

ზურა მჭედლიშვილი

„დალი", 2012, 8X11სმ ოფორტი, გრაფიკა

სიზმრიდან უნდა ყოფილიყო, რადგან არავის ელოდა, მაგრამ ხმა არ შემწყდარა და ისიც თანდათან გამოფხიზლდა.

ზღურბლზე დაახლოებით მისი ასაკის კაცი იდგა. გრძელი, უკან შეკრული თმით, მოშვებული წვერითა და მუხლზე გადახეული ჯინსებით ვუდსტოკიდან გადმომხტარ მომღერალს წააგავდა. გაკვირვებულმა შეამჩნია, რომ ამ ყინვასა და სიცივეში კაცი ფეხშიშველა იყო. და რომ, რაც ყველაზე უცნაურია, ზურგზე უზარმაზარი ხის ჯვარი ეკიდა. და მაინც როგორ მოხვდა ეს შეშლილი მაწანწალა ხუთვარსკვლავიან სასტუმროში, სადაც უკითხავად ჩიტიც ვერ გადმოფრინდებოდა და კლიენტთა სიმშვიდეზე სანიმუშოდ ზრუნავდა სასტუმროს დაცვა.

იდგა და გაკვირვებული უცქერდა. კაცმა კი, ვითომ არაფერიაო, გაუღიმა და ოთახში უკითხავად შემოაბიჯა. შემოსასვლელთან ჯვარი მხრებიდან მოიხსნა, იქვე კედელთან ფრთხილად მიადგა, მაგიდასთან დაჯდა და თავისი ღრმა ცისფერი თვალებით ახედა.

– გამარჯობა, ნიკოლოზ. როგორ ხარ?

– გამარჯობა. ვიცნობთ ერთმანეთს?

– მე გიცნობ.

– მე არ გიცნობ. ვინ ხარ?

– შენი პერსონალური ქრისტე.

– ქრისტე?

– ჰო.

– ვინ?!... და ახლა უნდა დაგიჯერო?

– მტკიცებულებები გინდა? აი...

კაცმა ხელისგულები ამოატრიალა და ნიკომ სამსჭვალისგან დატოვებული ორი სისხლიანი ღრმული და იქიდან გამომზირალი გულისმომწველი სიცარიელე დაინახა.

– ეს რაა?.. – ძალა მოიკრიბა. საუბრის უნარიც კი წართმეოდა.

– ჭრილობებია. შენთვის.

ნიკოს იმავე ჭრილობების დასანახად შიშველი ტერფებისკენ თვალის გაპარება მოერიდა, რადგან მთელი არსებით იგრძნო, რომ კაცი მართალს ამბობდა.

– და რა გინდა? – გულზე რაღაცამ მძლავრად მოუჭირა.

– არაფერი. ვიფიქრე, რომ მარტო ხარ და ხმის გამცემი გჭირდება. ასე არ არის?

– არ ვიცი. – ერთიანად ძალაგამოცლილი მაგიდასთან დაეშვა. მოეჩვენა, რომ დიდ, განათებულ სცენაზე მოამწყვდიეს, სადაც ყველა გასასვლელი ჩაკეტილია. რაღაც მნიშვნელოვანი როლი დააკისრეს და იმის შიში, რომ არაფერი შეეშალოს...

– ნურაფრის გეშინია. დასახმარებლად მოვედი. შეგიძლია მელაპარაკო, როგორც მეგობარს.

ნიკო შეეცადა გაეხსენებინა როდის ელაპარაკა ბოლოს მეგობარს. სამწუხაროდ, ვერ გაიხსენა. ვერც საუბარი და ვერც მეგობარი.

– თუ გინდა, მე გაგახსენებ, ბოლოს ალექსანდრე იყო ასეთი. და ახლა სად არის?

– ალექსანდრე მკვდარია.

– თქვენი ბოლო საუბარი გახსოვს?

– რაღაცები მახსოვს, რაღაცები არა.

– კომპანიიდან რა მიზეზით გაუშვით, ის ხომ გახსოვს?

– რა თქმა უნდა. ძალიან მნიშვნელოვანი გარიგება ჩაშალა.

– ჩაშალა თუ ჩაეშალა?

– გადაწყვეტილება დირექტორთა საბჭომ მიიღო.

– და ეს წერილი? – სტუმარმა ჯინსის ჯიბიდან რაღაც ფურცელი ამოიღო და მაგიდაზე დადო. ნიკომ მეგობრის მიერ შვიდი წლის წინ დაწერილი წერილი იცნო.

– მაშინ კარგად არ მოუსმინე. არც წერილი წაგიკითხავს დიდი გულისყურით. უკვე სხვა პროექტს იწყებდი და არ გეცალა.

– წავიკითხე. ეგ თვითმკვლელობის წინ დაწერილი წერილია. მე აღარაფერი შემეძლო...

სტუმარი მოულოდნელად მაგიდაზე დადებულ მის ციფრულ პლანშეტს დასწვდა, სადაც დატვირთული დღის გრაფიკს და საქმიან შეხვედრებს იწერდა. და ვიდრე ნიკო რამის თქმას მოასწრებდა, შიგ რაღაცების მონიშვნა დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ თავი აიღო და უთხრა:

– სამწუხაროდ, ნამდვილი კრიზისი გაქვს.

– კომპანიაში აქამდე ყველაფერი წესრიგში იყო. თუმცა დღეს...

– არა. ეგზისტენციურ კრიზისს ვგულისხმობ. იქნება, საკუთარი სულის კრიზის მენეჯმენტზეც გეზრუნა?

– და კონკრეტულად რაზე? – გაღიზიანდა.

– კონკრეტულად? კარგი... ვთქვათ, აი, ეს პატარა გოგო. იცნობ?

სტუმარმა პლანშეტს დააწკაპუნა და ნიკოს ბავშვის ფოტო დაანახა. ნიკო ფოტოს პირველად ხედავდა და ვერ გაეგო, როგორ მოხვდა მის სამუშაო ფოლდერებს შორის. სურათზე ქერათმიანი და სიფრიფანა სამიოდე წლის გოგო იდგა და ოდნავ დაელმებული ნაღვლიანი თვალებით უყურებდა ობიექტივს.

– არა. რატომ უნდა ვიცნობდე?

– იმიტომ, რომ შენი შვილია.

– ჩემი???

– ჰო. 2008 წლის აპრილის ბოლო გახსოვს?

ნიკოს კარგად ახსოვდა 2008 წლის აპრილიც, მაისიც და ივნისიც. განსაკუთრებით ივნისი, რადგან ივნისის დასაწყისში ის და ანა ერთმანეთს დაშორდნენ. ანამ უთხრა, რომ მისგან ბავშვს ელოდებოდა. სასტუმრო Georg V-ს ლაუნჯში ისხდნენ. ნიკოს თავზარი დაეცა და შესაბამისად, სულ რაღაც თხუთმეტ წუთში გადაწყვიტეს, რომ ანა ბავშვს მოიშორებდა. შემდეგ ნიკო საქმიან შეხვედრაზე წავიდა, ანა გინეკოლოგთან. მას შემდეგ ანა აღარ უნახავს. მხოლოდ ერთადერთი წერილი მიიღო ელექტრონულ ფოსტაზე. სადაც ორიოდე წინადადება ეწერა: „ბავშვი აღარ არსებობს. ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრდა“. ნიკოლოზი ანასთან შეხვედრას რამდენჯერმე ეცადა, მაგრამ ამაოდ. მას არც მის სატელეფონო ზარებზე უპასუხია, არც წერილებზე. არადა, ნიკოს უყვარდა ანა. მერე რა, რომ ეს არასდროს უღიარებია. გამოვიდა, რომ უყვარდა და ამას თავადაც მოგვიანებით მიხვდა, რადგან მასზე ფიქრმა და დარდმა იმაზე დიდხანს გასტანა, ვიდრე ეს ნორმალური იყო. მოკლედ, ცოტა არ იყოს გაიტანჯა.

– ანა? – იკითხა ფერდაკარგულმა.

– კი.

– და რატომ მომატყუა?

– იმიტომ, რომ ასე გინდოდა...

თავი ხელებში ჩარგო. ეს სიზმარს ჰგავდა. სიზმარს ცხადში. მისი გონება გამოსავალს ეძებდა და უცებ განათდა! ეს კაცი ხატად ღვთისა თუ ძე ღვთისა... მოკლედ, როგორც უწოდებდნენ, ეკლესიამ გამოუგზავნა. ისევე, როგორც მისი კომპანია უგზავნიდა კლიენტებს კერძო აუდიტს.

სტუმარი ისევ მის წარსულში იქექებოდა და ნიკო თავისი ცხოვრების სხვა ცნობილი თუ უცნობი ამბის მოსასმენად მოემზადა.

– და ეს?

მონიტორზე ამჯერად კორპორაციის კადრების განყოფილების რეპორტი იყო. ნიკოს ბრძანებით, ბოლო წელს თანამშრომელთა რაოდენობა 30 პროცენტით შეამცირეს. ეს ხალხი მისთვის უბრალო სტატისტიკა იყო. მაგრამ სტუმარს ახლა ამ გვარების გასწვრივ მათი ადამიანური ისტორიები მიეწერა. ბედის შემდგომი განვითარება – აქ იყო ულუკმაპუროდ დარჩენილი ოჯახები, დაშორებული წყვილები, განათლებას და საჭმელს მოკლებული ბავშვები, მოკლედ, ერთობ სევდიანი ამბები...

– ეს ბიზნესია. სხვა გზა არ მქონდა? რა უნდა გამეკეთებინა?! – აღშფოთდა ნიკო, – გამოდის, რომ რადგან მმართველი ვარ, ამიტომ ამ ყველაფერში ბრალდებული და დამნაშავე?

– არა. ეს მხოლოდ იმისთვის, რომ იცოდე, რას ნიშნავს იყო მმართველი და პირველი. და რომ არაფერი იკარგება და ყველა სიტყვას მოყვება თავისი ექო, ყველა საქმეს – შედეგი. შენ ძალიან მოუცლელი ხარ იმისთვის, რომ ამ შედეგებზე იფიქრო... ისინი კი უამრავია და დროთა განმავლობაში იმდენი დაგროვდა, რომ უკვე – უმართავიც.

– და ამ ხალხს... ამდენ მშიერს როგორ ვუშველო? მით უმეტეს, რომ თურმე გავკოტრდით.

– ჯიბის ფული ხომ დაგრჩა? იმდენი, ხუთ პურს და ორ თევზს რომ იყიდის. ჰოდა, ეცადე, ყველა მშიერზე გაანაწილო.

ნიკომ ამ სიტყვების აზრი კარგად ვერ გაიგო, მაგრამ ახლა ფიქრის დრო არ ჰქონდა, რადგან სტუმარმა კიდევ ერთხელ დააწკაპუნა და მონიტორზე საპრეზენტაციო სქემებად, ანგარიშებად, საქმიან რეპორტებად გამოთვლილი ჯორჯის ყოველდღიური და საქმიანი ცხოვრება გამოისახა, სადაც აქამდე უმნიშვნელო მოვლენებს, დეტალებს და ათასგვარ წვრილმანსაც კი ახლა უდიდესი მნიშვნელობა შეეძინა. ნიკოლოზის გასაკვირად, განსაკუთრებით მძიმე შედეგები მის გულგრილობას, კონფორმიზმს, სიჩუმეს, თუ უბრალოდ, უყურადღებობასა და თვალის არიდებას გამოეწვია.

სტუმარი თავის უფსკრულივით უძირო და ფართოდ გახელილ თვალებს არ აშორებდა. ნიკო კი დაძაბული ცდილობდა ერთი ახლობელი ადამიანი მაინც გაეხსენებინა, ვინც მას ახლა დაეხმარებოდა, მაგრამ მიხვდა, რომ ამ სამყაროში მას არ ჰყავდა თანამგრძნობი. რომ ყველანი მისნაირები იყვნენ. უმალ საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტებოდნენ, მასსავით მოუცლელობას მოიმიზეზებდნენ და გასამხნევებლად ბეჭზე ხელს უგულოდ დაუტყაპუნებდნენ. აქამდე უცნობმა ძრწოლამ შეიპყრო, რადგან მთელი სიცხადით იგრძნო, რომ მის ცხოვრებაში უკვე დამდგარიყო მისი პირადი, პერსონალური აპოკალიფსი – სრული და აბსოლუტური მარტოობა.

– მარტო არა ხარ, – გაუღიმა სტუმარმა და ნიკო უცებ დაიხუჭა, რადგან მოეჩვენა, რომ მისგან წამოსულმა სინათლემ თვალი მოჭრა, – მარტო არ ხარ... იცოდე, რომ ვისაც უყვარდი, ისევ გელოდება.

ნიკო კარგად ვერ მიხვდა, ვის გულისხმობდა სტუმარი. ანას, მის ცხოვრებაში კვალდატოვებულ რომელიმე, ახლა ასე რთულად გასახსენებელ ადამიანს, თუ საკუთარ თავს, მაგრამ ვერც ამჯერად ჩაეკითხა, რადგან სტუმარი წამოდგა და წასასვლელად მოემზადა. მხრებზე თავისი ჯვარი მოიკიდა, რომლის სიმძიმემ ცალი მხარი ფრთამოტეხილი ფრინველივით ჩამოუგდო. ოთახიდან გასვლისას კიდევ ერთხელ გამოხედა. მისმა გამჭოლმა მზერამ კვლავ ნიკოს მიღმა გაიარა და ახლა მან უცნაური სტუმრის თვალით სასტუმროს ძვირფასი ლუქსი, საკუთარი თავი და მისივე მძინარე ორეული დაინახა.

სიზმარი ყოფილა, – დაასკვნა ერთდროულად სევდითა და სიხარულით და თვალები მოიფშვნიტა. ოთახში მარტო იყო. ყველაფერი ისე უძრავი და გაყინული იყო, როგორც უცნობი არქიტექტორებისგან დაპროექტებულ სიზმარში. საწოლზე ვისკის დაცლილი ბოთლი ეგდო, მაგიდაზე – საქმიანი წერილებით სავსე პლანშეტი. კედელზე მონოტონურად ზუზუნებდა პლაზმა. გარეთ ისევ თოვდა და თოვლის წვრილად დაკრისტალებული ფანტელები გულგრილად ეხლებოდა სასტუმროს ფართოშუშიან ფანჯრებს. ნიკო წამოდგა, გამოსაფხიზლებლად პირზე წყალი შეისხა და ფანჯრიდან გადაიხედა. გაშეშდა... ვრცელ და დათოვლილ ქუჩებში ფეხშიშველა მიაბიჯებდა ზურგზე ჯვრებმოკიდებული მილიონობით პერსონალური ქრისტე.

გალერეა

ზურა მჭედლიშვილი

„როკაპი“, მეგრული ზღაპრები, 2011. 8 X 11 სმ ოფორტი,გრაფიკა

მჩუქნით ყველაფერს, რის ყიდვაც გინდათ, თუ მე-1000 ალმოჩნდით ჯვირას!!!

ვოვული



ოთარ ხვედელიძე
პოეტი

ოთარ ხვედელიძის ლექსები ურბანული ესთეტიკითაა გაწყობილი და ხასიათდებიან ჰერმეტულობით, რაც ხელოვანის ინტროვერტულ ბუნებაზე მიუთითებს; ეს „პრივატული“ მხატვრული ანტურაჟი უფრო კონტურებს მოგაგონებს – ძირითად, სახასიათო შტრიხებს ასახვის ობიექტისა, რომელიც ქვეცნობიერში დალექილი სულიერი ცხოვრების ანარეკლია.

არსებობს პოეზია, რომელიც გამოსახვის ფორმით ფერწერასთან ასოცირდება, ასევე, – პოეზია, სადაც წამყვანი გამომსახველი მუსიკაა და ა.შ.; რაც შეეხება ოთარ ხვედელიძის პოეზიას, იგი უფრო კინოს მოგაგონებს; ესაა განწყობები, რომლებიც „კადრირებულია“ – შეგრძნება ძირითადად ყალიბდება სტატიკური ხატების მონაცვლეობით, რომელთა მიმდინარეობა თავისთავად ქმნის ასოციაციურ ნაკადს, ექსპრესიულ ფონს; კარგი ილუსტრაციაა მაგ. ლექსი „ორი“:

ახალგაზრდები და მოხუცები, – მონაკვეთის ორი ბოლო, – აი, რა გადმოიცემა ლექსში; უძლურება, რომელიც მათ შორისაა მოქცეული. მაგრამ, უძლურება – გამოწვეული არა იმდენად მოსალოდნელი (ფიზიკური) სიკვდილით, მიწის სურნელით, რომელიც ლექსში იგრძნობა და რომლის წინაშეც, თითქოს, ყველაფერი აზრს კარგავს („ისინი ხვდებოდნენ, რომ კარტოფილის ფესვების მომავალ საცხოვრებელს წარმოადგენდნენ“), არამედ – სულიერი იმპოტენციით, უსახურობით, რომელიც იგივდება სიკვდილთან. ლექსი კადრებით აღიქმება და ერთი მთლიანი მეტაფორაა დანეკროზებული გარემოსი. თუმცა, ის, რაც ერთისთვის ლპობის პროცესია, მეორისთვის – სიცოცხლეს ბადებს; სიცოცხლე უნივერსალურია – ასეთია ფინალური მინიშნება.

აღნიშნული პუბლიკაცია ოთარისთვის დებიუტია. დაიბადა 1987 წელს და როგორც ავტორი, პირველად ინტერნეტში გამოჩნდა. ამბობს, რომ პირადი ცნობების გაღება არ უყვარს. თავად მას მოუსმინეთ: „მირჩევნია, მაგიდაზე დაგსვათ, თეფშზე დაგიდოთ საკუთარი ტვინი და გითხრათ“ „გემრიელად მიირთვით“; არც იმის აღნიშვნა მომერიდება, რომ უკეთესს ვერაფერს იგემებთ.“

ELEMENTARY

მინახავს ავტობუსები ხალხით სავსე და
ავტობუსში მყოფი ხალხი – საკუთარი კანის სუნით შეწუხებული,
ფანჯრებისკენ მიტრიალებული სახეებით. მანქანის ძრავის ხმაურში
მათი – ხორხის მილმა არსებული – სიჩუმე გამიგია.
გამიგია ხის ფესვებში ჭიანჭველების დუმილის ხმა და
ნახშირად ქცეული პიანინოს ნოტების უკვდავებაში გადასვლა.
დამიჯერეთ, სხვაა სახურავზე შემომჯდარი ფრინველის დუმილი,
როცა ხელში იარაღმომარჯვებული უყურებს ვინმე.
საშინელებაა ჰაერში გასროლილი წითელი წვეთები,
მინიატურული თავის ქალის მსხვრევის ხმა,
ჩამოლვრილი რძესავით – დღის ხმებზე.

რატომ ამოძრავებ თავს ნერვიულად ფრინველო? –
მაშინ, როცა შენს დაბლა, სახურავქვეშ,
პატარა ბავშვები პლასტმასის სათამაშოებით ერთობიან.
უდაბნოში ნაშობი ბავშვის სათამაშო კი სილის ოკეანეებია.
ნუთუ არ გესმის,
უდაბნოს გზებზე, ბენზინგასამართ სადგურებთან,
როგორ მღერის ჯონი კეში: „ღმერთი ბოლოს მოგიღებს“.
ჩვენ კი ვცეკვავთ ისე, რომ მტვერი
ჩვენი ფეხის გულებს ვერც კი ასცილებია.
გააჩერე თავი და ჩემს თავში, გასულ წელს გამხმარი ბალახებით
გაკეთებულ ბუდესაც მიაკითხე.
მერე ერთად დავფიქრდეთ, თუ რა
საშინელია ლოდინი საყვარელი ადამიანის, დის, ძმის, მეგობრის;
რა მარტივად საშინელია ლოდინი შენსა და იარაღს შორის.

დახედე ჩემს თვალებს,
ერთში – მკვდარ ცხვრებს ატყავებენ ახალგაზრდები,
მეორეში კი – კვერცხი მიდევს, მე რომ მოგპარე.

მე სახლში ვზივარ და თოვლი ყველაფერს უფერულს ხდის,
ფრინველი კი სასაცილოდ იგდებს ადამიანის სიტყვებს.

** * **

გვერდზე გადახრილი ხორბლის ყანის შუაგულში ვდგავარ
და მიყვარს მის ნაპირებს მომდგარი ქარის ტალღების ყურება -
დროდადრო – გამორიყული ანგელოზების
ძნელად გასარჩევი ხმა რომ ერთვის.
რას ყვირიან ანგელოზები? რატომ იჭერენ ცხენებს? -
თვალებს აცლიან, ცეცხლს უკიდებენ და ასე გვიხსნიან ცეცხლს.
ეს ქარია!
აქ ვერსად ნახავ თავშესაფარს.
ჰოდა, ირბინონ ცხენებმა.
ასეთ დროს, მე გაუნძრევლად ვდგავარ, მთელი ძალით
შევისუნთავ სივრცეს,
გადამწვარი ბალახების ნახშირისგან ვიღებავ თითებს,
შავად – ერთის გამოტოვებით.
ეს კლავიშებია და ქარი უკრავს „მკვდრების ცეკვას“.
მხოლოდ შენ იცოდე: თუ აქ სადმე ვინმე დგას და არ იწვის –
შენი თმების სიმღერის გამო – მთის მდინარეების ლურჯ სიცივეზე.

* * *

მე უკვე დამარცხებული და უიარაღო ვარ, ერთი სურვილით:
ვიყო ქვაფენილი – გადამიაროს მანქანამ, ტანკმა, ტრაქტორმა;
გადამიფრინონ ჩიტებმა,
როგორც დედის ხელის გულებმა – ჩვილის შუბლს; ვუყურებდე ადამიანებს,
რომლებიც ივლიან ჩემზე, გარშემო და გვერდით, –
როგორ დატოვებენ სახლებს იმისთვის, რომ ისევ დაბრუნდნენ უკან
ან დაიკარგონ სადღაც,
ნებით თუ უნებლიეთ.
მახსენდება, რომ არსებობენ ადამიანები,
რომლებიც აღარ ბრუნდებიან უკან –
მაშინ მე ვაგროვებ ყველა რუკას,
ვიდებ მუცელში და თვალებიდან ვბეჭდავ ახალ მსოფლიოს,
სადაც ყველა ქალაქს, ქუჩას, ქვეყანას, შენობას ერთი და იგივე სახელი აქვს,
რათა ადამიანები არასოდეს,
არასოდეს წავიდნენ საბოლოოდ.

ორი

გაჩერებაზე, ავტობუსის მომლოდინე,
პენსიაზე გასულ, საჰაერო ძალების
ლეიტენანტს მოხუცი კაცი ედგა გვერდით, –
ეჭყანებოდა და ენას უყოფდა.
ენაზე ტყვია ქონდა დამაგრებული.
აღიზიანებდნენ – ერთმანეთს.
სანამ არ მოვიდნენ ახალგაზრდები, ხელში
სულ ახალი ბარებით და არ გადათესეს მათი თვალები.

ისინი ხედავდნენ ბავშვებს, – როგორ აფსამდნენ
დანგრეულ კედლებს;
სტუდენტთა საცხოვრებელის ფანჯრებში გამოკიდებულ
მინიატურულ თავებს;
სახლისკენ მიმავალ მუშას, გზად შეგროვებული
ხის ნაგლეჯებით და გრძნობდნენ
ახალგამომცხვარი ნამცხვრის სუნს.
ხვდებოდნენ, ეს იყო დღე, როცა მათი სახე შეეჩვია
საპარსის მჭრელ პირებს,
თუმცა ისინი მხოლოდ კარტოფილის ფესვების მომავალ
საცხოვრებელს წარმოადგენდნენ.

* * *

შევდივარ ადამინებით სავსე სასადილოებში, რესტორნებში, –
მე მგონი, უფრო ვარ მწერი,
წვნიან საჭმელში შემთხვევით აღმოჩენილი,
ადამიანების დიდი თვალებით დანახული და
საოცრად დიდი პირებიდან წამოსული
ყვირილის ხმით შეშინებული.
არც არავინ მოდის, მითხრას, რომ ეს არაა რეალობა,
არც ის, – რომ მკვდარი ტრამვაების სულები,
სინამდვილეში, ჭაობებში არ განისვენებენ.
იტყუებიან დედები, როცა შვილებს ეუბნებიან:
ცხოვრება მშვენიერია (არავინ შეგახსენებს,
რომ ყველა სახლს თავისი რუკა აქვს,
ყველა სახლს – თავისი ენა, რომელზეც იქ ლაპარაკობენ).

ხმები

საომარი მოქმედებების
დარბაზიდან უკანასკნელი მელოდიების გამოსვლისას,
ნახევრად აშენებულ შენობაში,
მამა საკუთარ შვილებს უყვება
ზღაპრებს.
ოთახში ბნელა -
ჩანან მხოლოდ
კატის რადიოთვალები და თეთრი
მართკუთხედი კედელზე.
ისტორიის დასასრულს, მამა თმებზე ეხება
შვილებს და ეუბნება:
არასდროს ყოფილა ადამიანთა ყურება თურმე საჭირო.
მსმენელებს უკვე ჩაძინებოდათ ჯერ კიდევ მაშინ, როცა
საომარი მოქმედებების დარბაზში, კონცერტის დირიჟორი
მთელ ორკესტრს მოუწოდებდა:
გახსენით ცეცხლი ყველა იარაღიდან.
უკანასკნელ ხმებს კი ქონდათ ზუსტად ისეთი ფორმა,
როგორც კედლის აშენებისას გამორჩენილ
წითელ აგურს.

* * *

ყველა დღე უკვე ნათარგმნია გასული წლებიდან;
ყველა ქუჩა
დანგრეული ქალაქებიდან შემორჩენილი კადრების თარგმანია
და არც პირველები ვართ, ვინც დაიკარგა თარგმანში.
ჩვენც გადავთარგმნეთ საკუთარი თავები,
როცა გვეგონა, რომ ვიყავით მარტონი.
მე მაინც არ ვჩერდები!
ვმღერი სიმღერას ადამიანებზე და ვამბობ:
არავინაა მარტო!
არ არის მარტო ის ადამიანი, გზის მოპირდაპირე მხარეს
გაურკვევლად რომ იქნევს ხელებს;
არც ის ბავშვი, შიმშილისგან შეწუხებული,
რესტორნის უკანა კართან;
არც ის მოხუცი მეთევზე ხიდზე, ანკესით ხელში.
ნათარგმნია ეს ამღვრეული მდინარეც – ზღვისკენ დაძრული
(პატარა ბავშვების მწვანე თვალებიდან რომ სვამს წვენს).
ვეძახი მდინარეს – გაჩერდეს.
ვეძახი, როგორც საკუთარ მშობელს.
არც მკვდრები არიან მარტონი –
მათ ყოველთვის სდარაჯობენ ქვები.

საუბრები აბაჟურის ქვეშ

პირველი ბურთი

ავტორი აკა მორჩილაძე

ისიც არ მახსოვს, სკოლაში დავდიოდი თუ არა. თუ დავდიოდი, ნული კლასი მექნებოდა დამთავრებული, როცა მშობლებთან ერთად აღმოვჩნდი ზღვისპირეთში.

მატარებლით წავედით, ჩავედით ადრიან დილით, ისე, რომ მზეც არ ამოსულიყო და გაოგნებული და რაღაცით ბედნიერი დავდიოდი ზღვის ნაპირზე. მგონი ბედნიერება იყო, ან აღტაცება, ან რომელიმე მომიჯნავე ამხანაგი. ეგრე ყოფილა, როცა პირველად ნახავ ზღვას. რა იყო საკვირველი ქვიან ნაპირზე და – ამოუცნობი, გლუვი და ზურმუხტისფერი ნამტვრევები, რომლებიც აქა-იქ გამოერეოდა ხოლმე ქვებს შორის. როგორც შევიტყვე, დამტვრეული ბოთლების ნამტვრევები ყოფილიყო, რომლებიც წყალს თუ ქვებს შორის ხეხვას სულ მთლად დაეგლუვებინა და არც ხელს გაგიჭრიდა და არც არაფერი. ოღონდაც, ეგ, რა თქმა უნდა, არ იყო მთავარი, მთავარი მზე რომ ამოვიდა, მერე იყო, თუმცა იმ პირველი ზღვის რაღაცნაირი ნეიტრალური მრისხანება კი დამამახსოვრდა.

ადგილს განთიადი ერქვა, ახლოსვე იყო ადგილი, რომელსაც ლესელიძე ერქვა და მთელი ამბავი. უბრალო ფანჩატურები, გაფრთხილებები, რომ შეიძლება მორიელი შემოხოხდეს და სხვა ასეთი წვრილმანები, პლაჟზე კოტრიალთან ერთად, ალბათ, იოლი დასავიწყებელი იქნებოდა, ოღონდაც ერთხელ, კაი გათენებულზე, იმ კოტეჯებს შორის, ჩვენ და ჩვენი მეზობლები რომ ვბინადრობდით, კრემისფერი ვოლგა შემოგრიალდა. ძველი ვოლგა რა თქმა უნდა, ცხვირზე – მქროლავი ირმით და სარკეზე ჩამოკიდებული მაიმუნით. იმ ვოლგიდან გადმოვიდა საშუალო სიმაღლის კაცი ტილოს პერანგში, ხოლო პერანგი იმავე ფერისა იყო, როგორისაც ვოლგა და კაცს კი ჰქონდა ცისფერი თვალები და კეხიანი ცხვირი. ეძებდა მამაჩემს. რასაკვირველია, მალე იპოვნა, ოღონდ იმათი საუბრით მე არ დავინტერესებულვარ, თუმცა,

შედეგი კი მალევე გავრცელდა ჩემზე: დედაჩემმა ჩამაცვა შორტები, პერანგი და შემაგდეს იმ ვოლგის უკანა, ფართო სავარძელზე. მამაჩემი და ის მოსული კაცი ხალისიანად ჩასხდნენ, გააბოლეს პაპიროსი „გრუზია“ და დავიძარით.

მალევე შევამჩნიე, რომ უკანა მინასა და სავარძლის ზურგს შუა დიდი კოპლებიანი ბურთი დევს და წავეტანე. ბურთი მთლად გაბერილი არ იყო, მაგრამ ძალიან საინტერესო კი ჩანდა. ასეთი ბურთით ნამდვილი ფეხბურთელები თამაშობდნენ. კი წავეტანე, მაგრამ მამაჩემმა, აბა, წყნარად იჯექიო. ის კაცი კი გახალისდა და რაღაც მითხრა, შერეული რუსულ-ქართულით, სადაც სიტყვები მიაჩ და ფუტბოლ გაისმა.

გზისა არაფერი მახსოვს, მაგრამ გრძელი ნამდვილად არ იყო.

ზღვისპირა ქალაქში შევედით, რომელსაც, ჩემი ახლანდელი ანგარიშით, ადლერი ერქვა. მივუხ-მოვუხვიეთ და ისეთ ადგილას აღმოვჩნდით, სადაც ქოლგები და მრგვალი მაგიდები იდგა.

მანქანა შორიახლოს გავაჩერეთ. იქიდან ზღვაც ჩანდა და ზღვის ნაპირის მთელ სიგრძეზე იმდენი ხალხი გაწოლილიყო, განთიადში რომ ვერასდროს ნახავდი. მოკლედ, ერთ მრგვალ მაგიდას მივუსხედით და მე ფეხიანი ფინჯნით ნაყინი მომიტანეს. საერთოდ, პირველად ვნახე ეგეთი ნაყინი. ზედ შოკოლადის ფხვნილიც კი მომიყარეს. ისე, ეტყობოდა, რომ დიდ პატივში ვიქნებოდი, რახან მამაჩემს და ამ კაცს თავისი საქმე ჰქონდათ. ეს საქმე ალბათ იმ ორ უშველებელ ბოთლთან იყო დაკავშირებული, ნაყინთან ერთად რომ მოიტანეს. ბავშვი რომ ხარ, შამპანურის ბოთლი განსაკუთრებით დიდი გეჩვენება. ძალიან დაორთქლილი ბოთლები იყო. ხელიც კი მივადე.

ისინი თავიანთი კეთილი საქმით დაკავდნენ, მე კი ნაყინს მივხედე, თავიდან ერთგვარი სიფრთხილით, რახან ნაყინი მაინც უცხოდ გამოიყურებოდა, მაგრამ ალღო რომ ავუღე, გავუსვი და გამოვუსვი. მალე კიდევ ერთი პორცია შემომთავაზეს. რამდენი პორცია უნდა შემოეთავაზებინათ, რომ არ მომწყენოდა, ძნელი სათქმელია. ლიმონათს და ხილსაც მაძალებდნენ, მაგრამ რამდენს შეჭამ და დალევ? აშკარად ატყობდნენ, რომ ვიწყენდი. საერთოდაც, ახლა რომ ვხვდები, ჩემი წაყვანა შეცდომა იყო, მაგრამ რატომღაც წამიყვანეს. რა იცის ბავშვმა, სვამენ, თუ რას შვრებიან უფროსები? სრულიადაც ვერ ვხვდებოდი, რომ ესენი კარგა საფუძვლიანად შესდგომოდნენ და საქმე კი ის იყო, რომ მარტონი აღარ იყვნენ და ორი კარგი იერის კაცი კიდევ შემომატებოდათ. ერთმა შამპანურის მავთულისგან სამკაპი გააკეთა და ჭიქაში ატრიალებდა. მეც ამით დავკავდი. მაგიდას გარშემო ვუვლიდი და ამ სამკაპით ჭიქებს ვურევდი, გაზს ვაცლიდი შამპანურს, როგორც ქართველთა წესი იყო მაშინ.

მერე კი დამეძინა. ალბათ, დამეძინა, იმიტომ, რომ აღარ მახსოვს.

ერთი მახსოვს, რომ რომელიღაც წამს გამაღვიძა ხორხოცმა და სულ აღარ ვიყავით იმ ზღვის პირას, არამედ სადღაც ტყეში და მე ერთმანეთზე მიდგმულ სკამებზე ვიწექი. რომელიმე ქალაქგარეთა რესტორანი თუ იყო.

დილით გამეღვიძა ჩვენს კოტეჯში და პირველი, რაც დავინახე, იყო ის ცუდად გაბერილი, კოპლებიანი ბურთი. ზედ ცხვირთან დაედოთ.

ის კაცი ძველი ზღვისპირელი ფეხბურთელი ყოფილიყო, როგორც მრავალი წლის შემდეგ ვიცანი ტელევიზორში იმ ცისფერი თვალებით და კეხიანი ცხვირით. სხვებისა არ ვიცი.

ბორჯომის წყაროები
რუბრიკას წარმოგიდგენთ "ბორჯომის წყაროები"

„დიოგენეს ბიბლიოთეკა“

ავტორი ანინა ტეფნაძე

ტრადიციულ დავაში – „ელექტრონული წიგნები ნაბეჭდი წიგნების წინააღმდეგ“ – არსებობს ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი ნაბეჭდი წიგნების სასარგებლოდ. ეს არგუმენტი მოწმობს, რომ ადამიანს განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებს წიგნის ფლობა, ხელში დაჭერა, სახლში „მოთავსება“. მოკლედ რომ ვთქვათ, წიგნების „შეგროვება“. და თუმცა ელექტრონულ წიგნსაც ჩვეულებრივად ყიდულობს მომხმარებელი, კითხულობს და ფლობს, ეს შეგრძნება ვერ შეედრება უკვე წაკითხული წიგნების თაროზე შემოდებას. არგუმენტი, რა თქმა უნდა, შეუვალი არაა, სამაგიეროდ, ადამიანურია.

რამდენიმე თვის წინ მშობლების სახლიდან ცალკე საცხოვრებლად გადავედი. გადასვლა თურმე არც ისე მარტივი ყოფილა, როგორც ადრე წარმომედგინა. მთავარი სირთულე კი ის იყო, რომ ვერაფრით გადავწყვიტე, რა უნდა წამეღო თან და რა – დამეტოვებინა.

არის ნივთები, რომლებიც ეკუთვნის სახლს და არის ნივთები, რომლებიც პირადად შენ გეკუთვნის. უნდა წაიღო თუ არა თან ბავშვობის ფოტოები? ძველი დღიურები? ბავშვობის სათამაშოები? სადმე რომ სამუდამოდ გადადიოდე საცხოვრებლად, დასატოვებლად ვერ გაიმეტებდი, მაგრამ როცა ისიც კი არ იცი, რამდენი ხნით იცხოვრებ ამა თუ იმ სახლში, გაცილებით კრიტიკული ხდები. ხომ შეიძლება კიდევ მოგიწიოს ადგილის შეცვლა. ერთი „ნაქირავებიდან“ მეორეში გადანაცვლება. მერე რა უნდა ქნა? ყველა ნივთი, რომლის ახალ სახლში გადატანაც გიძნელდება, მოულოდნელად ზედმეტი ხდება. ყველაფერი, რაც პათეტიკურია, რჩება. ყველაფერი, რაც პრაქტიკულია, მიგაქვს.

საქმე რთულდება, როცა წიგნების ბედი უნდა გადაწყვიტო.

ყველა ჩვენგანს სახლში დიდი ბიბლიოთეკა აქვს. ის სავსეა ჩვენი და ჩვენი მშობლების წიგნებით. ოქროსფერყდიანი სერიებით, საბავშვო ბიბლიოთეკით, პოეტური კრებულებით, ლექსიკონებითა და სამეცნიერო ლიტერატურით. ეს წიგნები იშვიათად გვჭირდება და იშვიათადვე ვკითხულობთ. მათი თან წაღება უაზრობაა, რადგან სადაც არ უნდა გადახვიდე, იქაც დაგხვდება იდენტური ბიბლიოთეკა. გამოიცანით, რატომ? იმიტომ, რომ სახლის პატრონებსაც დაეზარათ თან ამ წიგნების წაღება.

მეორე მხრივ, შეიძლება დაგენანოს იმ წიგნების სახლში დატოვება, რომლებიც საბჭოთა კავშირში „არ დაბადებულან“ და თავადვე შეიძინე – ნათარგმნი და ქართული თანამედროვე ლიტერატურა, რომელთა თავმოყრასაც წლები დასჭირდა. მაგრამ ეს წიგნები უკვე წაკითხული გაქვს, რაც მათი თან წაღების შესაძლებლობას ამცირებს. თუ ისევ გავიხსენებთ ნაბეჭდი და ელექტრონული წიგნების დავას, ელექტრონული წიგნების სასარგებლოდ ერთი არგუმენტი მეტყველებს, რომ ნაბეჭდი წიგნები მძიმეა და მათი თან ტარება – პრობლემატური. ეს კი ნამდვილად მნიშვნელოვანი არგუმენტია.

ამგვარად, ახალი ცხოვრება ძველი ბიბლიოთეკის გარეშე დავიწყე. სიცარიელის ამოვსებას კი ახალი ლიტერატურის მალ-მალე შეძენით ვცდილობ. ამჟამად „დიოგენეს ბიბლიოთეკას“ ვაგროვებ. ეს არის წიგნების სერია, რომელშიც შვიდი წიგნი შედის: ჩაკ პალანიკის „მებრძოლთა კლუბი“, ედით უორტონის „უმანკოების ხანა“, უილიამ ფოლკნერის „დროშები მტვერში“, ვუდჰაუსის „დაიკიდე, ჯეივზ“, პოლ ოსტერის „მისნის ღამე“, ორჰან ფამუქის „სტამბოლი“ და უმბერტო ეკოსა და კარდინალი მარტინის დიალოგები „რა სწამს მას, ვისაც არ სწამს“. ერთად მშვენივრად გამოიყურებიან, მაგრამ საკითხავია, რა აქვთ ამ სერიის წიგნებს საერთო დიზაინის გარდა? რამ განაპირობა მათი ერთ სერიაში გაერთიანება?

ყველა მათგანი მხატვრული არაა (მაგ. უმბერტო ეკოსა და კარდინალი მარტინის საუბრები არამხატვრულ ლიტერატურას მიეკუთვნება). არც თემატური მსგავსება შეინიშნება. ავტორების ასაკი და „სულისკვეთებაც“ განსხვავებულია. სამაგიეროდ, ყველა ეს წიგნი პირველად გამოიცა ქართულ ენაზე და ისეთი წიგნებია, აქამდეც რომ წაკითხული უნდა ჰქონოდა ქართველ მკითხველს.

„დიოგენეს ბიბლიოთეკის“ სერია მნიშვნელოვანი ნაბიჯია იმ მთარგმნელობითი ნაპრალის ამოსავსებად, რომლებზეც ამდენს წუწუნებენ ხოლმე წიგნის მოყვარული ადამიანები. მე პირადად ძალიან გამიხარდა „მებრძოლთა კლუბის“ ქართულ ენაზე თარგმნა. წიგნი არაჩვეულებრივია, ეპოქალური, საეტაპო და სამწუხაროდ, ასე დაგვიგვიანდა მისი ქართულ ენაზე გამოცემა. დარწმუნებული ვარ, ქართული თარგმანი მათაც დაინტერესებთ, ვისაც ეს წიგნი უკვე წაუკითხავს სხვა ენაზე.

თუ სერიოზული საკითხავი მოგენატრათ, უმბერტო ეკოსა და კარდინალი მარტინის

მიმოწერა კმაყოფილს დაგტოვებთ. ეს არის ორი იტალიელი ინტელექტუალის საჯარო მიმოწერა, რომელიც 1995 წელს დაიწყო და ჟურნალი „ლიბერალის“ ფურცლებზე მიმდინარეობდა. წიგნის მთავარი თემა რწმენა და მისი უქონლობაა.

ორჰან ფამუქის თაყვანისმცემლებს მისი „სტამბოლი“ აუცილებლად მოეწონებათ. პირველად ეს რომანი 2003 წელს გამოქვეყნდა და დღემდე ფამუქის ერთ-ერთ საუკეთესო წიგნად ითვლება. ეს ნაწილობრივ ავტორის მემუარებია და ნაწილობრივ კულტურული ისტორია. ორჰან ფამუქის ავტობიოგრაფიის ფონზე მკითხველის თვალწინ ცოცხლდება სტამბოლი – ქალაქი, რომლის შესახებაც ყველაზე უკეთ ფამუქი ჰყვება.

სტამბოლის შემდეგ შეგვიძლია პირდაპირ ნიუ-იორკზე გადავიდეთ. ედით უორტონის „უმანკოების ხანა“ ძველი ნიუ-იორკის ცხოვრების ამსახველი რომანია. რომანი 1920 წელს გამოიცა და პულიცერის პრემიის მფლობელი გახდა. რომანი მეცხრამეტე საუკუნის ამერიკული „მაღალი საზოგადოების“ ზუსტ პორტრეტს წარმოადგენს და თვალწინ გვიხატავს ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ მეჯლისიდან მეჯლისამდე, სანამ მათი ცხოვრება თავდაყირა არ დადგება.

პ.გ. ვუდჰაუსის „დაიკიდე, ჯივზ“ იუმორისტული წიგნია. მსუბუქი, სახალისო და სწრაფად წასაკითხი. ინგლისელი არისტოკრატი ბერტი ვუსტერი და მისი გონებამახვილი კამერდინერი ჯივზი მსოფლიო ლიტერატურის ცნობილი წყვილია. მათ უკვე დაიპყრეს მსოფლიოს გარშემო უამრავი მკითხველის გული და ამიერიდან ქართველ მკითხველსაც გაამხიარულებენ.

პოლ ოსტერის „მისნის ღამე“ შედარებით ახალი, 2003 წელს გამოცემული რომანია. წიგნის მთავარი გმირი, სიდნი ორი, სიკვდილს სასწაულით გადაურჩება. გამოჯანმრთელების შემდეგ ის ყიდულობს ბლოკნოტს და იწყებს მოთხრობის წერას კაცზე, რომელმაც ახალი ცხოვრება დაიწყო. მკითხველი ამ რომანის მეშვეობით რამდენიმე სამყაროში მოგზაურობს: პოლ ოსტერის, მისი ნაწარმოების მთავარი გმირის (სიდნი ორის) და სიდნი ორის ნაწარმოების მთავარი გმირის. წიგნის ქართული თარგმანი ნამდვილად დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

უილიამ ფოლკნერის „დროშები მტვერში“ მისი „იოკნაპატოფას ოლქის“ წიგნებიდან პირველია. სწორედ ამ რომანით იწყება ფოლკნერის გმირების სევდიანი და შთამბეჭდავი სამყაროს შენება. ეს არის მდიდარი სამხრეთული ოჯახის ისტორია, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ წლებში ვითარდება. როგორც კრიტიკოსები ამბობენ, ფოლკნერმა სწორედ ამ წიგნში იპოვა საკუთარი „ხმა“. ეს წიგნიც პირველად გამოიცემა ქართულად.

ჯერჯერობით სულ ესაა. ეს არის წიგნები, რომლითაც მე ახალი ბიბლიოთეკის შევსება დავიწყე. მათ ნამდვილად შეუძლიათ ახალი ძალით გაგრძნობინონ კითხვის და ფლობის სიამოვნება. შესაძლოა, სერიის ყველა წიგნი არც წაიკითხოთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, „დიოგენეს ბიბლიოთეკაში“ სათქვენო წიგნს ნამდვილად იპოვით. წასაკითხად და თაროზე შემოსადებად.

ჩარგეიშვილის საადვოკატო დარბაზი

ბიზნეს და საგადასახადო დავები

სამეწარმეო
კორპორაციული სამართალი

შრომის სამართალი

სამოქალაქო სამართალი

სისხლის სამართალი
(ეკონომიკური დანაშაულები)

ადმინისტრაციული სამართალი

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 15ა ოფისი 28ა. ქ.თბილისი
ტელ: (+995 32) 237 93 00
ფოსტა: info@chargeishvili.ge
ვებ-გვერდი: http://www.chargeishvili.ge

უჟმური მწერალი, რომელიც კომპრომისზე არ მიდის

ავტორი ლელა კოდალაშვილი



„მელია-ტულეფია: FOX-TROT“
ავტორი ზურაბ ქარუმიძე

ჩემი არალიტერატორი ნაცნობები ხშირად ინტერესდებიან – თანამედროვეებს შორის რომელი მწერალია ჩვენთან გამორჩეული, ვისი წაკითხვა ღირს... მაგალითად, აკა მორჩილაძის შესახებ ყველას სმენია, იმათაც კი, ვისაც სკოლაში ნასწავლი „გრიგოლ ხანძთელის“ მერე მხატვრული ნაწარმოები არ წაუკითხავთ. მაგრამ მათ, ვისაც უფრო მეტად უცხოელ ავტორებთან აქვთ შეხება – მხოლოდ გამოუმზეურებელი, პროფესიონალების მიერ აღმოჩენილი გვარების გაგება უნდათ. მე კი, იძულებული ვარ, მხოლოდ რამდენიმე მწერალი დავუსახელო და მცირე პანეგირიკის მერე საუბარი უკვე მრავალგზის განხილულ თემაზე გადავიტანო, – თუ რა მძიმე დღეშია ახლანდელი ქართული პროზა, რომელიც თავის თავში რამდენიმე მწერლურ „ტუსოვკას“ აერთიანებს და რომლის საქმოსნურ მოღვაწეობაზე ამჯერად არ გავამახვილებ ყურადღებას.

თუმცა, ვერ იტყვი, რომ საქართველოში, ვთქვათ, რომანები ცოტა იწერება. ლამისაა, ყოველი მეორე მწერალი, ვალდებულებას იღებს, რომ მოთხრობების კრებულს ერთ-ორ წელიწადში მსხვილტანიანი ნაწარმოებიც მიაყოლოს. ეს სულისკვეთება ერთგვარ წესად იქცა. წესის მიმდევარნი კი, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ცდილობენ, როგორმე კალაპოტიდან არ ამოვარდნენ და, გრაფომანული სიჯიუტით, ასორმოცდაათგვერდიანი რომანი მაინც მიიტანონ ფინიშამდე. მაგრამ ამ მწერალთა უმეტესობას მოთხრობებიც უღიმღამო აქვს და, ბუნებრივია, დიდტანიან ტექსტთან შეჭიდება ხარისხის დაგდების კიდევ უფრო მეტ გარანტიას იძლევა.

რას აშავებენ ეს რომანები, ასიოდე მოწყენილ მკითხველს ხომ მაინც გადააგორებინებენ რამდენიმე უგემურ საღამოსო – მითხრა ერთხელ ერთმა მწერალმა. მართალია – ტექსტები ნაკლებს სცოდავენ მათი ავტორებისგან განსხვავებით, რომლებიც ნამდვილი მწერლის ამბიციითა და კატეგორიულობით მოითხოვენ საზოგადოებისაგან ყურადღებას, ლიტერატორებისაგან შეფასებას, „ფრენდებისაგან“ „ლაიქებს“, კონკურსებისგან პრემიებს, უცხოელი კოლეგებისგან მიწვევებს. ზარალდება ლიტერატურა, ზეიმობს უტილიტარიზმი, კონიუნქტურა, ფსევდომეგობრობა. საბოლოოდ კი ცხადი ხდება, რომ ამ ყველაფრის წინაღმდეგ ბრძოლას აზრი არა აქვს, რადგან პატარა ქვეყანაში, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ყველა ერთმანეთს, ასე თუ ისე, ვიცნობთ და, აქედან გამომდინარე, ანგარიშს ურთიერთკეთილგანწყობას ვუწევთ და არა ლიტერატურას, მწერლობა ვერ განვითარდება. შეიძლება წარმოჩნდეს მხოლოდ რამდენიმე პერსონა, რომელიც ამ საერთო ლიტერატურული ჩალიჩისგან განზე დგას და საქმეს აკეთებს. დანარჩენები კი, როგორც ერთიანი ამორფული მასა, გაურკვეველი ტრაექტორიით მოძრაობენ, და, როგორც მოხეტიალე ჯამბაზების დასს, მათაც, აქა-იქ, თაყვანისმცემელთა პატარ-პატარა ჯგუფები ასდევნებიან.

რაც შეეხება პერსონად ყოფნას, ჩვენს კონიუნქტურულ საზოგადოებაში ეს არც ისე მარტივია, რადგან აბსოლუტურად მარტო ვითარდები, იზრდები; ანგარიშს არ უწევ სოციუმს, კოლეგებს, არ ერთვები იაფფასიან პროექტებში, რაც ასევე იაფფასიან მკითხველს შეგძენს. ერთი სიტყვით, არ აკეთებ დაშვებას რომელიმე კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცეში, რათა არ გაიჟღინთო დესტრუქციული მიკროკლიმატით, რომელიც ძალაუნებურად გიზღუდავს თვალსაწიერს, ჩარჩოში გაქცევს, ლიტერატურული საქმოსნობისკენ გიბიძგებს...

ერთ-ერთი ასეთი პერსონა ქართულ მწერლობაში ზურაბ ქარუმიძეა. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მის შემოქმედებას 90-იანი წლებიდან დღემდე კომპრომისი არ გაუკეთებია ფსევდომკითხველის, როგორც მასის, სასარგებლოდ; არ უზრუნია თაყვანისმცემელთა რიცხვის გაზრდაზე, არ გაუთამაშებია სვლა, რომელიც ამა თუ იმ კონკრეტულ მომენტში მომგებიანი იქნებოდა, არ უცდია, გამხდარიყო უფრო მარტივი და კომერციულად წარმატებული. სწორედ ამიტომაა, რომ მას მუდამ ვიწრო წრე იცნობდა და აფასებდა. ვერაფერს ვიზამთ, ე.წ. ინტელექტუალურ ხელოვნებას იმთავითვე ცოტა თაყვანისმცემელი ჰყავს. ის თითქმის არასოდესაა კომერციული. გართობისმოყვარული ქართველი მკითხველისთვის ქარუმიძის ტექსტები უჟმური და მძიმეა. ლიტერატურული საზოგადოების მოტაშფანდურე ნაწილისთვის კი თავად ქარუმიძეც ასეთივე უჟმური, ფეხის ხმას ვერამყოლი, კომერციულად უნიჭო ტიპია. ეს დახასიათება ბევრმა შეიძლება ნაკლად ჩაუთვალოს. უფრო მეტიც – ხელოვნება მასისთვის თუ ვიწრო წრისთვის – ამაზე დღემდე დავობენ, თუნდაც, ამერიკული და ევროპული კინოს მომხრეთა ჯგუფები... მაგრამ, ამ თემაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ. ზურაბ ქარუმიძეზე ვსაუბრობდი, რომლის პოპულარობა საგრძნობლად გაიზარდა მას შემდეგ, რაც

ლიტერატურული პრემია – „საბა“ აიღო. ესეც ჩვენი საზოგადოების სნობიზმია, თორემ მისი შემოქმედება პრემიამდეც და პრემიის მერეც იგივე დარჩა... (არ მინდა, ვინმემ ისე გაიგოს, თითქოს ზემოთ ნახსენები ჰიპერპოპულარული აკა მორჩილაძე ქარუმიძისგან განსხვავებით უწიგნურთათვის თხზავს გასართობებს. ის სხვა კატეგორიის, მრავალწახნაგოვანი მწერალია და მასზე სხვა დროს ვისაუბრებ. აქ კი მხოლოდ ერთ-ერთ ძირითად შტრიხს გავუსვამ ხაზს – აკა მორჩილაძეში აკუმულირდა დიდი ხნის მანძილზე დაგუბებული ე.წ. საერთო-სახალხო ენერგია და ხასიათი, რომელიც მწერლის მხატვრულ ფსიქოლოგიზმში გარდატყდომის მერე დღემდე პერსონაჟებად და სიტუაციებად გვიბრუნდება. მორჩილაძე ხალხისგან ნაკვები მწერალია და ხალხისთვისვე წერს. იმ „ხალხში“ კი ყველა მოიაზრება – წერა-კითხვის უცოდინარი კრიმინალიდან დაწყებული, ვიდრე ინტელექტუალამდე. ქარუმიძემ კი საკვები ხელოვნებისგან მიიღო. მას უკვე არსებული ნიმუშების თავისეული ინტერპრეტაციები ხიბლავს. სწორედ ამიტომ შექმნა, თუნდაც, ლუის კეროლის ზღაპრის სტილიზებული თარგმანი.)

თუმცა, ცოტა ხანში, რაღაც ახალი და გარდამტეხი, აშკარად მოხდა. ეს გახლავთ მისი რომანი, „მელია-ტულეფია: FOX-TROT“, რომელმაც ქართულ სალიტერატურო სივრცეში მანამდე გამოუყენებელი დეკორაციების, ლიტერატურული მოტივების, სოციოლოგიური წიაღსვლების, მისტიკის, ისტორიის, კომპოზიციური ხერხების, ცოტა არ იყოს, ეკლექტური ნიმუში გადაგვიშალა. ჩემი ნათქვამი უფრო გასაგები რომ გავხადო, შევეცდები, დაინტერესებული მკითხველისთვის ეს რომანი ცოტა უფრო დაწვრილებით განვიხილო.

ცხადია, არ შევუდგები იმის შესახებ საუბარს, თუ სად იწყება რეალური ისტორია, ფაქტები, ნამდვილი თუ გამოგონილი პერსონაჟები ან ავტორის ფანტაზია. სიუჟეტი კლასიკური რომანის ტრაექტორიით ვითარდება, რომელიც შეკრული და ერთი შეხედვით კონცენტრირებულია მთავარ გმირებზე. ესენი არიან: ამერიკიდან ჩამოსული ცოლ-ქმარი – ამერიკელი ბილი და ფრანგი მერიონი (კომერსანტი და ფემინისტური მიმართულების ჟურნალისტი), რუსი ნადია ვორონცოვ-დაშკოვა და შაქრო კარმელი. ოთხი სხვადასხვა ეროვნების ადამიანი, რომელიც ექცევა ევროპაში უკვე დაბერებული, საქართველოში კი ახლად ფეხადგმული ბოჰემურ-მოდერნისტული დინების ნაკადში. მათი უნისონი მაშინაც კი არ ირღვევა, როცა წყვილებს შორის როლთა ახალი გადანაწილება ხდება. ანუ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ისევე, როგორც ეს ოთხი პერსონაჟი, ასევე მასთან ერთად ქვეყნის ხელისუფლება და ხელოვანთა ბომონდი – ერთი სამყაროა. თითქოს ყველა ერთად – მხატვარი, პოეტი, მუშა, ოფიციანტი, რევოლუციონერი, ჩინოვნიკი, კომერსანტი – დაძრულა და ერთი დიდი, მისტიკური რიტუალის ჩატარება განუზრახავს.

არა მგონია, მკითხველისთვის ან ტექსტის მხატვრული ღირებულებისთვის მაინდამაინც მნიშვნელოვანი იყოს ის, რომ რომანის ფაბულა გარკვეულწილად რეალურ ისტორიას ეყრდნობა. სულერთია, წიგნიდან ამას მაინც ვერ შეიტყობთ. საგულისხმო რომ ყოფილიყო, ალბათ ავტორი ანოტაციას მაინც დაურთავდა. ყველაფერი მაინც ერთმანეთშია არეული. აქ მთავარი პერსონაჟი არის ეპოქა და მისი სუნთქვა. ავტორი, ლამისაა, აკრობატულ ილეთებს იყენებს, რომ მკითხველამდე სწორედ მთავარი რამ – მეოცე საუკუნის ოციანი წლები მოიტანოს. ის ამისათვის არ ირჩევს მარტივ ხერხს – მაგალითად, მთავარ გმირს, რომლის ფონზე თავისთავად გამოჩნდება ქვეყანა და ეპოქა. ის მთავარ პერსონაჟებს, ერთი მხრივ, გარკვეული ტრაექტორიისთვის ამოქმედებს, რათა ბუნებრივად განავითაროს ესა თუ ის გამოძახილი. მეორე მხრივ, არ ერიდება ლირიკულ გადახვევებს, რათა კიდევ უფრო მეტად გაამდიდროს რომანის ფაქტურა. ის, წიგნის ფურცლებზე, როგორც დახლზე, „გვიყრის“ ყველაფერს, რაც კი იმ პერიოდის სურნელს გვაგრძნობინებს, ამისათვის იყენებს იმდროინდელ პრესას, სხვადასხვა ინფორმაციებს, კინოთეატრების აფიშებს, იყენებს კაფეებს, სამიკიტნოებს, რესტორნებს, იყენებს გზას, გამვლელ-გამომვლელს თუ უბრალოდ, მცხოვრებს. ყველა და ყველაფერი რაღაც რაკურსით ჩნდება ჩვენ თვალწინ, იმ რაკურსით, რომლითაც ყველაზე მეტად გამოხატავს თავის მახასიათებლებს. ამერიკელი ცოლ-ქმრის გზა სვანეთისკენ უხვევს, სადაც მწერალი დაწვრილებით ინფორმაციას გვაწვდის იქაურ ეთნოსზე, მის ჩვევებსა და რიტუალებზე, იქაური კერძების რეცეპტებზეც კი, რათა გაგვჟღინთოს მონათხრობით, ჩვენც გავჯერდეთ, გავბრუვდეთ სვანური რახითა და კანაფით, იქაური მაჩუბის ოდნავ შმორიანი სუნითა და ყველაფრის განმწმენდი მთის სისპეტაკით.

მე ვფიქრობ, რომ სვანეთის ეპიზოდების აღწერისას ქარუმიძეს აშკარად ღალატობს ზომიერების შეგრძნება. ის ეგზალტირებულია, როგორც მთხრობელი და მისი ამ ფარული ეგზალტაციის ფონზე სვანეთში ჩასული პერსონაჟების იქაურობისადმი ინტერესი სადღაც, თვალსა და ხელს შუა იჩქმალება. ღალატობს აგრეთვე საკუთარი ემოციების მოთოკვის უნარი და მისი ეს ფეტიშიზმი მაქსიმუმს სწორედ სვანეთში აღწევს.

ბევრი გააღიზიანა ნაწარმოების ენამ, განსაკუთრებით ის კატეგორია, ვისაც რობაქიძისეული პომპეზურ-თეატრალური სიტყვათწყობანი მაინცდამაინც არ ეპიტნავება და არც მისი ქარუმიძისეული რემინისცენციები მოსწონს. მაგრამ ყველაფერს ცვლის თამაშის ფაქტორი. დიახ, ქარუმიძე თამაშობს. უფრო სწორად კი, როგორც მეოცე საუკუნის ოციანი წლების ტანცმაისტერი, პერსონაჟებთან ერთად ილეთებს ხვეწს. როგორც კი მკითხველს ამ უხილავი ცეკვის რიტმი გადმოედება, რომლითაც სუნთქავს მთელი ეს ორასოცდათორმეტგვერდიანი ტექსტი, როცა მკითხველი მიხვდება, რომ მწერალი ქორეოგრაფია, ხოლო ენა, რომელსაც ის იყენებს, მხოლოდ შეთამაშებაა იმდროინდელ პათეტიკასთან, იმდროინდელ პერსონაჟებთან, სიტუაციებთან, მოქმედებებთან, ლანდშაფტთანაც კი, ამის მერე „ანტირობაქიძისტთა“ პროტესტი ნელდება და ნელ-ნელა იწყება რელაქსაცია, პერსონაჟების შეყვარება, უფრო სწორად კი, თქვენ, როგორც მკითხველი, ამ რომანში ჩატარებული რიტუალის უხილავი მონაწილე ხდებით. გიჩნდებათ ამბიცია, აქტიურად ჩაერთოთ ტექსტში. გამოთქვათ თქვენი მოსაზრებები და შეხედულებები, რადგან აქ ისეთი ეგზოტიკური სისავსეა, რომ ჩნდება უცნაური შთაბეჭდილება – ერთადერთი, რაც აქაურობას აკლია, ეს თქვენა ხართ.

იუმორი – ზურაბ ქარუმიძის კიდევ ერთი მახასიათებელი. წაიკითხავ რამდენიმე ფურცელს და ელოდები, როდის გამსუბუქდება თხრობა და ამასთან ერთად მთელი სამყარო. შედარებითობის, დაპირისპირებულობის მომენტს მუდამ ფლობს, არ უშვებს შემთხვევას, რომ სიტუაციური „შაყირი“ არ გამოურიოს: „ტრადიციულ სვანურ სადღეგრძელოთა წყობა – „ღმერთი“, „მთავარანგელოზი“, „ჯგრაგი“, ლამარია“ – ამხანაგ გოროზიას ნომენკლატურაში სახეცვლილი იყო – „საბჭოთა ხელისუფლება“, „წითელი არმია“, „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა“, „გაუმარჯოს განახლებულ სვანეთს“.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტი ნაკლებმხატვრულია. უფრო სწორად, რომანში თითქმის არაა მოტანილი ის მხატვრული სამყარო, ის ღრმა წიაღსვლები, რომელიც მანამდე ახასიათებდა ზურაბ ქარუმიძის შემოქმედებას. გექმნება შთაბეჭდილება, თითქოს იქვე, ჩვენ თვალწინ სწირავს მხატვრულ სიტყვას და სანაცვლოდ მოაქვს ეს ნაზავი, ეს დელაკრუასებური მრავლისამსახველი ტილო, რადგან თითქოსდა ეს მიუჩნევია უფრო მნიშვნელოვნად. თითქოს მხატვრული სამყაროს გადმოდენა ამ რომანში, ცოტა არ იყოს, საჩოთირო რამე გამხდარა, რადგან წინ წამოწეულა უფრო მნიშვნელოვანი – ეპოქალური არსი.

ამ პრიორიტეტს „ეწირება“ აგრეთვე მშრალად დახატული პერსონაჟები, შტრიხების დონეზე მოხაზული ხასიათები. თითქოს ავტორს მათთვის არა სცხელა. ვორონცოვ-დაშკოვას სამყაროში ჩაღრმავება მეშვიდეხარისხოვანია, აგრეთვე, ნაკლებად საინტერესოა ფრანგი ქალის, მერიონის ეროტიკული განცდებიც, რომელიც მას შაქრო კარმელთან სიახლოვის შემდეგ უნდა გასჩენოდა. მაგრამ ქარუმიძეს ნატიფი ფსიქოლოგის თვალი აქვს, რაშიც ხანდახან გაკვრით მაინც გვარწმუნებს. აი, მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ნიმუში: „აზნაურყოფილი შალვა ელიავა პირზე ხელს აიფარებს და იცინის, თითქოსდა მანამდე რაღაცა პროტოკოლური დაძაბულობის ჩარჩოები ახლა არაპროტოკოლური იუმორის ჩარჩოებმა კიდევ უფრო გაამძაფრა“. მოკლედ, ყველაფერს იმდენად ვეხებით, რამდენადაც გზად მიმავალ პერსონაჟებს თავს გადახდათ და გვერდს ვერ ავუვლიდით. სამაგიეროდ, მწერალი სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანის შორ რაკურსს ირჩევს და ადამიანთა ხასიათებზე მეტად ქვეყანათა ხასიათებს უღრმავდება. ცდილობს, მოკლედ და ლაკონურად დახატოს ამა თუ იმ ქვეყნის რომელიმე საკვანძო თვისება: „არადა ქართველებისთვის... წარსული და წარმომავლობის სიძველე ისეთივე მნიშვნელოვანი რამ არის, როგორც ამერიკელისთვის სამომავლო გეგმების დალაგება“.

რომანის ენა ხანდახან საგანგებოდაა უტრირებული. ეს იმიტომ, რომ ავტორს თითქოს ქვეცნობიერი სურვილი აწვალებს, გააღიზიანოს თავისი მკითხველი, ყელში ამოუყვანოს, ბოლომდე დაანაყროს მისი ემოცია. ქარუმიძემ თითქოს მხოლოდ იმიტომ გააცოცხლა ოციანი წლების ქართული ლიტერატურული ბოჰემა, რომ აქ, ამ რომანით აღადგინოს და შემდეგ ჩვენ თვალწინ დაასამაროს და დასცეს – აი, ავტორის პათეტიკური სწრაფვა და დაფარული ოცნება.

„მელია-ტულეფია“, საბოლოო ჯამში, მეცნიერულ-დოკუმენტურ-მხატვრული ტილოა. სოციოლოგიური კონტექსტია, პოლიტიკურ-კულტურული ვითარების ქრონიკაა.

რაში მდგომარეობს ქარუმიძისეული პოსტმოდერნი, ზაზა შათირიშვილმა ჯერ კიდევ რომანის რამდენიმე თავის დაბეჭდვისას ისაუბრა და ამაზე აღარ შევჩერდები. აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ ეს მწერალი, იგივე შათირიშვილის მიერ ნახსენები „ულისეს“ ავტორისგან განსხვავებით, აქ თითქოს მხოლოდ ქართველისთვის ან საქართველოს კარგად მცოდნისთვის შექმნილ ტილოს ქმნის. ის, რასაც მწერალი წიგნის თითქმის ყველა კუთხე-კუნჭულში ეყრდნობა, ჩვენთვის კარგად ნაცნობი სამყაროა რიგი უცნობი პერიპეტიებით. ვერ გაგიგია, რომელი რომელს ასდევნებია – ქართული ბოჰემის მომაკვდავი სიმბოლო შაქრო კარმელი ამერიკელ ცოლ-ქმარს, თუ ამერიკელი ცოლ-ქმარი – შაქრო კარმელს და მასთან ერთად მთელ იმ ბალასტს, რასაც იმდროინდელი პოსტრევოლუციური მეტასტაზებისა და მწერალთა სალონური ყოფის ანარეკლი შეადგენს არისტოკრატიული ატრიბუტიკისა თუ მანერების თანხლებით.

დიახ, შაქრო კარმელი მომაკვდავი ბოჰემაა, რომელმაც სახეცვლილება ვერ მოახერხა და ნებსით თუ უნებლიეთ თავი სასიკვდილოდ გადადო. შაქრო კარმელი მწერლის მიერ მოტანილი, ოციანი წლების „ნივთმტკიცებაა“, რათა ყველამ დაინახოს, თუ რა დიადი, ამაღლებული, ერუდირებული და არისტოკრატიული უსაქმურობა იდო იმ ყველაფერში. ამის შემხედვარეს მოყირჭებულობის განცდა მეტად და მეტად გიჩნდება ბურჟუაზიული აქსესუარების, მისი ნიშან-თვისებების მიმართ და კიდევ ერთხელ ხვდები, რომ ეს ფასადური მედიდურობა შინაგან უმწეობას და უმაქნისობას მალავს. მაგრამ შაქრო კარმელის პერსონაჟს, ისევე როგორც, ქართულ-ბოჰემურ ფენომენს, აქვს მომხიბლავი პასუხი ამ ბრალდების წინააღმდეგ. და, სხვათა შორის, ეს პასუხი დღემდე სერიოზულად მუშაობს ქართველი ერის ცნობიერებაში: „ეჰ, ჩემო უილიამ, შენ ამას ვერ გაიგებ! შენი აღზრდა და შენი მოდგმა ამის საშუალებას არ მოგცემს. მომიტევე, ამას რომ გეუბნები და ეცადე, მაინც ეცადე, რომ გამიგო. მთავარია ცხოვრების ხარისხი და არა რაოდენობა, რაღაცა დროში დათვლადი და დაანგარიშებადი რაოდენობა.“

მეორე მხრივ, ყოველთვის საინტერესოა ნაწარმოები, სადაც მხოლოდ მწერლის ნააზრევს არ მიჰყვები, ერთ ადამიანს არ უდგახარ კვალში. რადგან ამ ტექსტში დგება სხვა უამრავი მწერლისა და მოაზროვნის რანდევუ. ალუზიები, ციტაციები, ასოციაციები, ისტორიული რეალობა, მწერლური ფანტაზია ამ მწერალმა ერთად შეკრიბა და კალაპოტში მოაქცია, შემდეგ კი ჟონგლიორობის მრავალფეროვანი ხერხების გამოყენებით საკუთარ, ინდივიდულურ ფორმაში მოიყვანა, სხვაგვარად გაიაზრა, უფრო ზუსტად კი, დაუსრულებელი, უსასრულო გარდასახვის ხელოვნების წინაშე დაგვაყენა.

ზურაბ ქარუმიძემ შექმნა პრეცედენტი, შესაძლოა, არცთუ ისე უნაკლო, ხოლო უფრო მიუკიბავ-მოუკიბავად თუ ვიტყვით, მთელი რიგი ხარვეზებისა და ღირსებების მრავალფეროვნებით. ამ ტექსტმა დაგვანახა, რომ შესაძლებელია, იარსებოს სრულიად სხვაგვარმა ქართულმა რომანმა და, რაც მთავარია, ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ აღარ გიპყრობს პესიმიზმი იმის გამო, რომ ლიტერატურამ სათქმელი ამოწურა.

„100 ლექსი“
კარლო კაჭარავა
გამომცემლობა „ინტელექტი“
გამოცემის წელი 2012
ფასი 4 ლარი
„კარლო კაჭარავას 100 ლექსის კრებული მისი ბოლო ლექსებით იწყება და შებრუნებული ქრონოლოგიით, ადრეული ლექსებისკენ მიდის. ბევრი მათგანი პირველად ქვეყნდება...
ამ ტექსტებზე მკითხველმა შეიძლება ბევრი იფიქროს, მაგრამ ფიქრის სურვილი გაჩნდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჯერ მათ ირაციონალურად მიენდობა, გაჰყვება იმ სამყაროში, რომლის ვერბალიზაციაც თუ ვიზუალიზაციაც კარლო კაჭარავას შემოქმედებითი ამოცანა იყო“.

ბელა წიფურია

„ხუან დე მაირენა“
წერილები, ესეები და ლიტერატურული პორტრეტები.
ანტონიო მაჩადო
მთარგმნელი მერი ტიტვინიძე
გამომცემლობა „არტანუჯი“
გამოცემის წელი 2012
ფასი 6 ლარი
1956 წელს, როდესაც ხუან რამონ ხიმენესს ნობელის პრემია მიანიჭეს, საგანგებოდ აღინიშნა, რომ ეს პრემია ეკუთვნოდა ანტონიო მაჩადოსა და გარსია ლორკას, რადგან სამივე ერთად წარმოადგენდა ესპანეთის სწორუპოვარ პოეზიას.
„ხუან დე მაირენა“ – ეს არის ორიგინალური ფორმისა და შინაარსის, ერთი იდეით გაერთიანებული, თავისუფალი კომპოზიციის ნაწარმოები, რასაც ანტონიო მაჩადო ასე განმარტავს: „ჩვენ არ უნდა ვქმნიდეთ რაღაც განსაკუთრებულ სამყაროს, სადაც ეგოისტურად დავტკბებოდით საკუთარი თავის ჭვრეტით, არ უნდა ვქმნიდეთ ისეთ გარემოს, რაც სხვისთვის გაუგებარი და მიუწვდომელი იქნებოდა“...

„საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანძურიდან“
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი 2012
ფასი 29.90 ლარი
ეს წიგნი მცდელობაა წარმოადგინოს იმ არაჩვეულებრივი კოლექციების ნაწილი, რომელსაც ფლობს საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

„სიბრძნე სიცრუისა“
სულხან-საბა ორბელიანი
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
გამოცემის წელი 2012
ფასი 14.90 ლარი
წიგნში შესულია სულხან-საბა ორბელიანის ყველასთვის ნაცნობი და საყვარელი იგავები, რომლებიც ზურა მჭედლიშვილის მიერ ორ ფერში შესრულებული უნიკალური ილუსტრაციებითაა გაფორმებული.

„ულისე“
ჯეიმს ჯოისი
მთარგმნელები:
ნიკო და მაია ყიასაშვილები
ბაკურ სულაკაურის გამომცემელობა
გამოცემის წელი 2012
ფასი 24.90 ლარი
ჯეიმს ჯოისი 1882 წელს დაიბადა ირლანდიაში. ცხოვრობდა პარიზში, ტრიესტში, ციურიხში. გარდაიცვალა ციურიხში, სადაც დაკრძალეს კიდეც. წერდა ლექსებს, პოემებს, ესეებს, მოთხრობებს, პიესებს...
XX საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან და სახელგანთქმულ წიგნს, „ულისეს“, ავტორმა შვიდ წელზე მეტი მოანდომა და 1921 წელს დაასრულა, როცა ამერიკაში ლიტერატურულ ჟურნალში ნაწყვეტები გამოქვეყნდა, ჟურნალის გამომცემლები დააპატიმრეს და დაჯარიმეს. „ულისე“ წიგნად 1922 წელს გამოვიდა პარიზში. 1934 წლამდე ყველა ინგლისურენოვან ქვეყანაში აკრძალული იყო.
„ულისეს“ რამდენიმე თავი ნიკო ყიასაშვილის თარგმანით პირველად 1983 წელს გამოვიდა და მაშინვე დიდი მოწონება დაიმსახურა. მთარგმნელმა გააგრძელა მუშაობა „ულისეზე“ და მის კომენტარებზე, მაგრამ დასრულება ვერ მოასწრო. ნიკო ყიასაშვილის თარგმანი შეავსო და გამოსაცემად მოამზადა მაია ყიასაშვილმა. ასე რომ, ამჯერად ქართველ მკითხველს ჯოისის ამ უდიდესი შედევრის წაკითხვა სრულად შეუძლია.

„პარასკევა“
მიშელ ტურნიე
მთარგმნელი ვლადიმერ რაქვიაშვილი
გამომცემლობა სიესტა
გამოცემის წელი 2012
ფასი 9 ლარი
რობინზონ კრუზოს მოულოდნელობებით აღსავსე თავგადასავალს, რომელიც უკვე ათწლეულებია, ბავშვების საყვარელი საკითხავია, ამჯერად ფრანგი კლასიკოსი, გონკურების პრემიის ლაურეატი მიშელ ტურნიე მოგვითხრობს.
რობინზონ კრუზო პატარა მკითხველს შრომისმოყვარეობით, ოპტიმიზმით და უსაზღვრო გამომგონებლობით გააოცებს. უკაცრიელ კუნძულზე შემთხვევით მოხვედრილი რობინზონი იმედს არ კარგავს, რომ ადრე თუ გვიან სანაპიროს აუცილებლად მოადგება გემი, რომელიც მას გადაარჩენს. მანამდე კი ის კუნძულს „ესპერანსას“, ანუ იმედს არქმევს და აქ ახალ სახელმწიფოს აარსებს. სწორედ „ესპერანსაზე“ ხვდება ის ულამაზეს პარასკევას, რომელიც მას ველური ბუნების უამრავ საიდუმლოს აზიარებს.
მიშელ ტურნიეს „პარასკევა“ ქართულ ენაზე პირველად ითარგმნა.

უჯრედული თერაპია

C ჰეპატიტი ღვიძლის ციროზის ერთ-ერთი უხშირესი გამომწვევი მიზეზია და ამ დაავადებით საქართველოს მოსახლეობის 7%-ზე მეტია ავად. დღესდღეობით ციროზის – ღვიძლის ქრონიკული დაავადების ბოლო სტადიის განკურნების ერთადერთ გზად ღვიძლის ტრანსპლანტაცია მიიჩნევა, თუმცა დაავადებულთათვის კვლავ დიდ პრობლემად რჩება დონორთა სიმცირე, ქირურგიული გართულებები, დონორი ორგანოს მოცილება და ძვირადღირებული ოპერაცია.

არსებული რთული პრობლემების პირობებში თანამედროვე მედიცინა ციროზიანი პაციენტების მდგომარეობის გაუმჯობესების ალტერნატიულ გზად საკუთარი ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გამოყენებას განიხილავს და მიიჩნევს, რომ ამ მეთოდით მკურნალობა უსაფრთხოცაა და ამავდროულად ღირებულიც.

თუმცა ამ დასკვნას წინ მეცნიერების ხანგრძლივი მუშაობა უსწრებდა: თაგვებზე წარმატებული ექსპერიმენტის შემდეგ ძვლის ტვინის უჯრედებით მკურნალობის კვლევები იმ პაციენტებში დაიწყო, რომელთაც ღვიძლის ქრონიკული უკმარისობა აწუხებდათ. ახალი მეთოდით ღვიძლის ცეროზით დაავადებულ პირველ ცხრა პაციენტს იაპონიაში უმკურნალეს. მათ შორის 1 ქალი იყო და 8 – მამაკაცი, ასაკი: 59-69 წელი. გამომწვევ ფაქტორს 3 შემთხვევაში B ჰეპატიტის ვირუსი წარმოადგენდა, 5 შემთხვევაში – C ჰეპატიტის, ერთ შემთხვევაში კი მიზეზის დადგენა ვერ მოხერხდა. კვლევის დროს არ გამოიყენებოდა ანტივირუსული თერაპია. პაციენტებზე 24 კვირიანმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ უკვე 4 კვირის შემდგომ მათ ჩაილდის ქულები მნიშვნელოვნად შეუმცირდათ და ეს პროცესი 24 კვირის დაკვირვების ბოლომდე გაგრძელდა. შედეგი ძალიან მნიშვნელოვანი იყო: „ტოტალური ცილა და ალბუმინი სტატისტიკურად მნიშვნელოვნად გაიზარდა, სტატისტიკურად მნიშვნელოვნად შემცირდა პროკოლაგენ III პეპტიდი, რაც ფიბროზის ხარისხის შემცირებაზე მიუთითებდა. ასციტის მოცულობამ 2 კვირის თავზე იკლო. ღვიძლის ბიოფსიით ტრანსპლანტაციდან 4 კვირის თავზე დადგინდა, რომ ჰეპატოციტების ტრანსპლანტაციის მარკერებმა ალფა ფეტოპროტეინმა და პროლიფერირებადი უჯრედების ბირთვის ნუკლეარულმა ანტიგენმა (PCNA) ტრანსპლანტაციამდე მაჩვენებლებთან შედარებით სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მოიმატა. ერთადერთი გართულება პაციენტებში იყო ცხელება ტრანსპლანტაციის მეორე დღეს, მაგრამ შემდგომ არავითარი გართულება აღარ აღნიშნულა“, – წერდნენ მოგვიანებით კვლევის ინიციატორები.

შემდეგ უკვე მსგავსი კვლევა ბრაზილიელი მეცნიერების მეორე ჯგუფმა იმ 30 პაციენტს ჩაუტარა, რომლებსაც ღვიძლის ქრონიკული დაავადებები აწუხებდათ და ღვიძლის ტრანსპლანტაციის რიგში იყვნენ. მათ შორის აღმოჩნდნენ ალკოჰოლური ციროზით და ქრონიკული C ჰეპატიტით დაავადებულებიც. პაციენტებს ღვიძლის არტერიაში საკუთარი ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედები შეუყვანეს და მეორე დღესვე გაწერეს. მკურნალობის ეფექტურობა ისაზღვრებოდა ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა ალბუმინი შრატში, ბილირუბინი, პროთრომბინის ინდექსი, ჩაილდის ქულები ტრანსპლანტაციიდან 0, 30, 60, 90, 180, 360 დღეებზე. შედეგი კვლავ წარმატებული იყო: 3 თვის თავზე საკონტროლო ჯგუფში ჩაილდ ქულები გაიზარდა, რაც ციროზის დამძიმებას მიანიშნებდა, საკვლევ ჯგუფში კი მნიშვნელოვნად შემცირდა. პარალელურად კონტროლის ჯგუფში MELD ქულები 12 თვის მანძილზე იმატებდა, ალბუმინის დონე კი – იკლებდა. რაც შეეხება ნამკურნალევ ჯგუფს, აქ MELD ქულები სტაბილური დარჩა, ხოლო ალბუმინის დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა, განსაკუთრებით პირველ 3 თვეში. თუმცა ამ ორ ჯგუფს შორის სხვაობა 12 თვეზე შემცირდა. ამასთან, გამოირიცხა ალბუმინის დონეზე პლაზმის კომპონენტების ერთჯერადი გადასხმის გავლენაც. ტოტალური ბილირუბინი კვლავ საკვლევ ჯგუფში იყო დაკლებული, განსაკუთრებით პირველ 3 თვეში, კონტროლის ჯგუფში კი მატულობდა.

კვლევების შედეგად ექიმები მივიდნენ დასკვნამდე, რომ უჯრედული თერაპია პაციენტს სიცოცხლის ხარისხსა და ხანგრძლივობას უუმჯობესებს. ამასთან, მას ღვიძლის ტრანსპლანტაციის სიაში საკუთარი რიგის ლოდინის საშუალებასაც აძლევს.

ღვიძლის დაავადებების დროს ღეროვანი უჯრედებით მკურნალობა მაღალტექნოლოგიურ პროცესს გულისხმობს: პაციენტის ძვლის ტვინის შეგროვება 50-100 მლ რაოდენობით თეძოს ძვლიდან ხდება. შემდგომ კი სპეციალურ ლაბორატორიაში ღეროვანი უჯრედების შემცველი ფრაქციის გამოთავისუფლება იწყება. ეს დაახლოებით 3 საათიანი პროცედურაა, რომლის შემდგომაც ექიმები გამდინარე ციტომეტრის მეშვეობით დაუყოვნებლივ იწყებენ უჯრედების რაოდენობის, სიცოცხლისუნარიანობისა და პროცენტული შემცველობის დადგენას. პარალელურად კლინიკაში პაციენტის ღვიძლის არტერიაში სპეციალური კათეტერით ღეროვანი უჯრედების შეყვანა ხდება. კლინიკა „ჯეოქარდის“ სამედიცინო დირექტორი გოჩა შათირიშვილის თქმით, ამ მეთოდის კლინიკური გამოცდა საქართველოშიც მიმდინარეობს. „ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკასა და თსსუ-ს კლინიკური ანატომიის დეპარტამენტთან ვთანამშრომლობთ. ჩვენი მეთოდი ციროზიანი პაციენტებისთვის ღვიძლის არტერიაში საკუთარი ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვას გულისხმობს. პაციენტი, როგორც წესი, მეორე დღეს ეწერება და საკუთარი ფეხით გადის კლინიკიდან. ამავე დროს მინდა ნათლად აღვნიშნო, რომ ეს მეთოდი არ განკურნავს პაციენტს ვირუსული C და B ჰეპატიტებისგან, ამისთვის არსებობს სხვა სახის ანტივირუსული მკურნალობა – ინტერფერონი, რიბავირინი და ლამივუდინი“, – აღნიშნავს გოჩა შათირიშვილი.

მეცნიერები განმარტავენ, რომ ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაცია ღვიძლის ციროზის შორსწასულ სტადიაში გამოიყენება, როგორც მდგომარეობის შესამსუბუქებლად და გასაუმჯობესებლად, მაგრამ არა განსაკურნებლად. ღვიძლის ციროზის განკურნების ერთადერთ საშუალებად დღეს კვლავ ღვიძლის ტრანსპლანტაცია რჩება, უჯრედული თერაპია კი წარმოადგენს მის ალტერნატიულ მეთოდს და მიმართულია პაციენტის სიცოცხლის ხარისხისა და ხანგრძლივობის გაუმჯობესებისთვის. ღეროვანი უჯრედები ციროზიანი პაციენტისათვის ერთგვარ ხიდს ქმნიან, რათა მან წარმატებით მიაღწიოს ღვიძლის გადანერგვის ოპერაციამდე.

ავტორი ნინო ბერძენიშვილი





„ნადირობის სეზონი"

მოიხედე კრიზისის ჟამს

არცთუ მშვიდი თეატრალური სეზონი რობერტ სტურუასა და რაინერ ვერნერ ფასბინდერს შორის

ავტორი დავით ბუხრიკიძე

რომ არა თეატრალური პრემია „დურუჯი", რომლის წლევანდელი ჟიურის წევრობამაც წყევლა-კრულვის ლირიკული, მაგრამ „სასარგებლო" დოზა მომიტანა, დაახლოებით 40 თეატრალურ წარმოდგენას ერთი თვის განმავლობაში ვერ გავუძლებდი. განვლილი, არცთუ მშვიდი თეატრალური სეზონი უცნაურ და ოდნავ სიურრეალისტურ ჩარჩოში თავსდება: გასული წლის სექტემბერში, რუსთაველის თეატრში დადგმულ რობერტ სტურუას „ნადირობის სეზონსა" და ივნისის ბოლოს, სამეფო უბნის თეატრში განხორციელებულ „კატცელმახერს" შორის. სხვათა შორის, რაინერ ვერნერ ფასბინდერის ეს პიესა პირველად იდგმება საქართველოში.

სტურუას უცნაურ გამოთქმებსა და საკუთრივ მასზე გამოცხადებულ „ნადირობაზე" იმდენი ითქვა და დაიწერა, რომ მითი რეჟისორის შესახებ, აშკარად რეალობას აღემატება. და ვიდრე დიდი შემოქმედებითი კაპიტალის რეჟისორი დიდი კაპიტალის მქონე ივანიშვილის მხარდაჭერას დამაინტრიგებელ, ახალ თეატრალურ მოვლენად აქცევს, დიდი საზაფხულო პაუზა პუბლიკისთვის სულის მოთქმისა და რეფლექსიის საშუალება იქნება.

...როდესაც ივნისში „დურუჯის" ჟიურის წევრებმა საუკეთესო რეჟისორთა მოკლე სია გამოვაქვეყნეთ, გაირკვა, რომ კლასიკოსი რობერტ სტურუა („ნადირობის სეზონი"), მისი შეგირდი, რეჟისორი გიორგი თავაძე („გვესაჭიროება მოხუცი კლოუნი", ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრი) და შეგირდის ძმა, მსახიობი ნიკა თავაძე („სტრიპტიზი", სამეფო უბნის თეატრი) მთავარი კონკურენტები აღმოჩნდნენ. ცხადია, ეს სპექტაკლები გარკვეული ტენდენციების, შეფასების მაუწყებელია და პირველ რიგში, მათი ანალიზია საინტერესო.

სტურუას ბოლო ოპუსი, გარკვეულწილად, შიდათეატრალური კრიზისის წერტილია, რომელშიც იკრიბება თამაზ ჭილაძის პიესა, გია ყანჩელის მუსიკა, თემურ ნინუას მხატვრობა და რეჟისორის ესთეტიკაში გაწაფული რუსთაველის თეატრის მსახიობების თამაში (რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ია სუხიტაშვილი).

რეჟისორის ცხადი და ოსტატური ეკვილიბრისტიკა საათსა და ორმოც წუთშია მოქცეული. სპექტაკლი შეფერხებული ნახევრადშედევრის შთაბეჭდილებას ტოვებს. ის ფრაგმენტული, ცხადი და ტრაგიკომიკური ანარეკლია სამყაროს შესახებ – ქვეტექსტებითა და სიღრმეებით, კონკიას მითის სირთულითა და სიმარტივით, დრამატული კონტექსტით და აღსასრულისადმი ირონიული დამოკიდებულებით. სწორედ კონკიას პროტოტიპია ია სუხიტაშვილის პერსონაჟიც, რომელსაც სპექტაკლის დასასრულს დამსახურებულად ერგება წითელი „ადიდასის" ცალი ფეხსაცმელი... სწორედ ის, რომელიც მან „მანქანის სავარძელზე სიყვარულისას" ქუჩაში ფეხგაშვერილმა დაკარგა. უფრო ზუსტად, რომელიც მოპარეს...

თუმცა, ესეც არ არის მთავარი. „ნადირობის სეზონში" იმდენი საინტერესო რამაა მოუხელთებელი, რომ ფინალში, ხელთ, პოსტმოდერნული სიჭრელით გამოტენილი იგავი შეგრჩებათ. მოკლულ პრეზიდენტებზე, ურიცხვ და ურცხვ გარიგებებზე; მშვიდობისა და თავისუფლების სახელით გაყიდულ ღირსებებზე...

თეთრ, ქათქათა საწოლებზე შავი და ტალახიანი ფეხსაცმლით ჩაივლიან მამაკაცები, მერე იქვე უსამართლობას შეწირულ „დამნაშვის" სისხლით შეღებილ პერანგებს ჩამოატარებენ, შემდეგ – მოკვეთილ თავებს... მერე სადღაც ზეცაში თეთრი გედისა და პრინცესა გენრიეტას შესახებ მელანქოლიურ პასაჟს გვეტყვიან... ცხადია, სტურუას სპექტაკლი ასევე სავსეა ბრეხტისეული იგავებითა და პოლიტიკური სარკაზმით: „მშვიდობა არ არ-

„რომეო და ჯულიეტა“

„კრეპის უკანასკნელი ფირი“

სებობს, მშვიდობა ჩვენი, პრეზიდენტების მოგონილია. არც თავისუფლება არსებობს; თავისუფალი მხოლოდ თავისუფლების ქანდაკებაა!“

მიუხედავად ამგვარი მღელვარე და გაბედული მოწოდებისა, „ნადირობის სეზონი“ პუბლიკაზე უფრო დამაბნეველად ზემოქმედებს, ვიდრე შთამაგონებელი სიცხადით და თავისუფლების შეგრძნებით. სავსეა მისთვის დამახასიათებელი, შესანიშნავად ნაკეთი, მაგრამ დამღლელი რეჟისორული რებუსებით. სხვათა შორის, პირველი სპექტაკლის დასასრულს, როდესაც „ბრავო“ და ოვაციები არ ცხრებოდა, რობერტ სტურუა სცენაზე გამოვიდა და მცირე პოლიტპერფორმანსიც მოაწყო. ეს რეჟისორის ბოლო საპრემიერო გამოჩენა იყო სცენაზე, რადგან მალევე დატოვა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა. ახალ სპექტაკლზე, რომელიც მარია კალასის მასტერკლასის შესახებ მოგვითხრობს, იგი ლამის კონსპირაციულად განაგრძობს მუშაობს. პარალელურად მოსკოვის თეატრ „ეტ ცეტერაში“ თანამედროვე ფრანგი დრამატურგის პიესას დგამს.

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში რეჟისორმა გიორგი თავაძემ რუმინელი დრამატურგის, მატეი ვიშნეკის პიესა ოდნავ შეცვლილი სათაურით დადგა: „გვესაჭიროება მოხუცი კლოუნი“. სპექტაკლში მონაწილე ორი ახალგაზრდა მსახიობი – მამუკა მანჯგალაძე და ტიტე კომახიძე „დურუჯის“ ნომინანტი გახდა, რაც უკვე მნიშვნელოვანია. სხვათა შორის, რუმინეთის ცენზურამ თავის დროზე დრამატურგის პიესების დადგმა აკრძალა და ვიშნეკი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. ეჟენ იონესკოს მსგავსად, მისი პიესების უმრავლესობა პარიზში, ფრანგულ ენაზე დაიწერა. საქართველოში რუმინელი დრამატურგის პიესა პირველად სწორედ გიორგი თავაძემ დადგა ბათუმის თეატრში.

სპექტაკლში მოქმედება ავანსცენაზე, პარტერსა და ლოჟებში მიმდინარეობს. ფინალურ სცენაში მანამდე ჩამოშვებული რკინის სახანძრო ფარდა იწევა და იქმნება მართლაც შთამბეჭდავი თეატრალური ეფექტი. უმუშევარი და ასაკოვანი კლოუნები რაღაც კონკურსში მონაწილეობენ (მამუკა მანჯგალაძე, რამაზ იოსელიანი, ტიტე კომახიძე), თუმცა ბოლოს ყველა მათგანი იმედგაცრუებული რჩება. სიმართლე ითქვას, რეჟისორს მძაფრი და სოციალური თემის ნაცვლად, უფრო ფორმის ელვარება და ორიგინალობა აინტერესებს. პლუს, კარგი განათებით მიღწეული ეფექტები.

უცნაურ სივრცეში გათამაშებული სევდიანი კომედია თემატურად ჩამოჰგავს ფელინის ფილმს „კლოუნები“, თუმცა რეჟისორი უფრო ფორმალისტური ე.წ. არქიტექტურული თეატრითაა“ გატაცებული და მას საცირკო ელემენტებს, ინტერაქტიულობას და ახლო ხედს უხამებს. გარდა ამისა, მსახიობები აკრობატებისთვის დამახასიათებელ ურთულეს ნომრებს ასრულებენ – ხან ფოკუსებს ატარებენ, ხან სიმაღლის შიშს დაძლევენ და პლასტიკურად მოძრაობენ. ერთ-ერთ ეპიზოდში „სივრცეში ჩაკარგულ თუ გამოკეტილ კლოუნებს საცირკო დასის წარმოდგენის ხმა შემოესმებათ და ამ წარმოდგენის თუ მსვლელობის დასანახად, უეცრად დაშვებულ რკინის ფარდაზე, ლამის ოცი მეტრის სიმაღლეზე აძვრებიან...

მოკლედ, გიორგი თავაძის ფანტაზიით შექმნილი კლოუნების სამყაროს აღწერის შემდეგ, მკითხველი აუცილებლად იკითხავს, მაშინ „დურუჯი“ რატომღა დაგენანათო? ჯერ ერთი იმიტომ, რომ პრიზი მხოლოდ ერთია და მეორეც, მხოლოდ ძალიან კარგ რეჟისორს უნდა გადაეცეს. რაც კარგა ხანია, პრობლემაა. საუკეთესო რეჟისურა სინამდვილეში მხოლოდ შედარებითია, რასაც ადასტურებს სამეფო უბნის თეატრში განხორციელებული „სტრიპტიზიც“.

სლავომირ მროჟეკის პიესა, რომელიც 60-იანი წლების დასაწყისში დაიწერა, რეჟისორმა და მსახიობმა ნიკა თავაძემ დადგა. სცენაზე მხოლოდ ორი პერსონაჟია: თითქოს ირონიით შეიარაღებული ინტელექტუალი თუ დაძაბული მზერით გამორჩეული მეცნიერი (დათა თავაძე) და მეორე მამაკაცი (პაატა ინაური), რომელიც გარეგნულად მშვიდ და გაწონასწორებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა, საკმარისია რამდენიმე მისთვის მოულოდნელი ფრაზა, რომ წონასწორობა უმალ ირღვევა და ნევროზი გარდაუვალია. განსაკუთრებით, როცა ირკვევა, რომ ისინი ოთახში გამოკეტილნი არიან.

გარეგნული, სცენოგრაფიული უბრალოე-

„სუფთა სახლი“

„რომეო და ჯულიეტა“

ბის მიღმა ნიკა თავაძის სპექტაკლი სრულიად სხვა, თანამედროვე მაყურებლისთვის ნაცნობ გზავნილებს შეიცავს. შესაძლოა, ეს არის მოულოდნელად გაცნობიერებული უსამართლობის ეგზისტენციალური შიში; ან ირონია, როცა აღმოაჩენ, რომ საგულდაგულოდ და წესიერად განვლილი ცხოვრების მიუხედავად, არასოდეს ყოფილხარ თავისუფალი... როცა სივრციდან გამოწვდილი ხელი (მხატვარ მურაზ მურვანიძის ვიდეოინსტალაცია) თვალთვალის თანამედროვე ვერსიად შეიძლება აღვიქვათ.

კარგად დავიწყებული მროჟეკის შემდეგ დროა, უცნობი ამერიკელი დრამატურგის, სარა რულის პიესის მიხედვით დადგმული „სუფთა სახლი“ გავიხსენოთ, რომელიც განვლილი სეზონის კიდევ ერთი საინტერესო სპექტაკლია. გასულ წელს „არდი-ფესტის“ გამარჯვებულმა, ჯერ კიდევ ნორჩმა რეჟისორმა, ნინი ჩაკვეტაძემ თანამედროვე პიესის დასადგმელად თუმანიშვილის თეატრის მეორე სართულზე მდებარე სარეპეტიციო სივრცე აირჩია. პუბლიკისთვის უცნობი დარბაზის ფანჯრები თეატრის შიდა ეზოს გადაჰყურებს, საიდანაც დროდადრო უცნაური ხმები, ძაღლების ყეფა, თუ მანქანების ხმაური ისმის. ეს ყველაფერი ზუსტად ერგება, როგორც პიესის, ისე სარეპეტიციო ოთახის ინტიმურ ატმოსფეროს.

„სუფთა სახლში“ თუმანიშვილის თეატრის ცნობილი მსახიობების გარდა, სამეფო უბნის თეატრის მსახიობები – სალომე მაისაშვილი და ზაზა ვაშაყმაძე მონაწილეობენ. ნინი ჩაკვეტაძის რეჟისორული ხელწერა კარგად იტევს მინიმალიზმს, სიმსუბუქესა და სისადავეს. მხატვარი გიორგი უსტიაშვილი დიდ, თეთრ ყუთს იყენებს, რომელიც ჩინური ზარდახშის მსგავსად, პატარა კუბებად იშლება. მოულოდნელ სცენოგრაფიულ სიახლეს სარეპეტიციო ოთახის ფანჯრები ქმნის, რომელთა მიღმა ღამის გაჩირაღდნებული ქალაქი ირეკლება. ასევე აკვარიუმი, წითელი კასტანიეტები და პატარა ნათურები, რომლებსაც პერსონაჟები ლამის ყოველ წუთს რთავენ.

ეკა ჩხეიძის თავშეკავებულ და ირონიით ნაკვებ დრამატიზმში, ისევე როგორც, ნინო ბურდულის ნატიფ ნიუანსებზე აგებულ თამაშში, კარგად იკითხება თუმანიშვილის სამსახიობო სკოლის ტრადიცია და იმასაც ხვდებით, რომ ულმობელი დრო სწრაფად ანადგურებს სკოლის „კედლებს“. მოულოდნელი თვითჩაღრმავებით გამოირჩევა დარეჯან ხაჩიძე ანას როლში, რომელიც კარგა ხანია, მაყურებელს არ უნახავს სცენაზე.

თუმანიშვილის თეატრის სარეპეტიციო არ დასჭირვებია ბერძენ რეჟისორ მიხაილ მარმარინოსს, რომელმაც ამავე თეატრის სცენაზე შექსპირის „რომეო და ჯულიეტასთან“ თანაზიარებით ძალიან კარგი წარმოდგენა შეთხზა. უცნაური და საკმარისზე გრძელია მისი საავტორო სპექტაკლის სათაური: „R+J, ბედისწერა დაბნეულია, რომეო და ჯულიეტა – მესამე მეხსიერება“. ყოველგვარი მკითხაობის გარეშე უნდა ითქვას, რომ ეს იყო წლის საუკეთესო წარმოდგენა და რომ არა „დურუჯის“ წესდება (უცხოეთის მოქალაქე არ შეიძლება წარდგენილი იყოს რომელიმე ნომინაციაზე), მარმარინოსი აუცილებლად გახდებოდა წლის საუკეთესო რეჟისორი... მაგრამ ახლა წესდების შეცვლაზე კამათს აზრი არა აქვს.

შექსპირის პარალელურად რეჟისორი თხზავს ტექსტს, რომელშიც უამრავი მრავალწერტილი, დაუსრულებელი ფრაზა თუ თეატრალური რებუსია. მსახიობები არ თამაშობენ კონკრეტულ პერსონაჟებს, უფრო სწორად, ყველა ყველას ანსახიერებს. ისინი ხან ქოროს მსგავსად მოგვითხრობენ ამბავს, ხანაც დროებით მოირგებენ კონკრეტულ „როლებს“. არც ის არის შემთხვევითი, რომ ქეთა შათირიშვილი და გიორგი ნაკაშიძე საუკეთესო მსახიობებად დაასახელეს „დურუჯის“ შესაბამის ნომინაციებში.

მსახიობები მაყურებელსაც უწყობენ ბანალურ დაკითხვას: „როდესმე თუ განგიცდიათ რომეოსა და ჯულიეტას მსგავსი სიყვარული? როგორი გრძნობაა ეს? სად არის ახლა თქვენი სიყვარული?“ ამავდროულად ცდილობენ, პუბლიკა ერთგვარი ინტერაქტიული მეთოდით, წარმოდგენაში ჩართონ თუ ჩაითრიონ.

რაც უფრო ღრმა და უცვეთელია დროისა და რეჟისორების მიერ ათასგზის გათელილი პოეზია შექსპირთან, მით უფრო სასტიკი, აბსურდული, დაბნეულია ბედისწერა მარმარინოსთან. სწორედ ეს საბედისწერო, პროზაულ-პოეტური რითმა, აწმყოსა და წარსულის მარადიულ-პარადოქსული გადაძახილი, მტრობით შობილი საგვარეულო გვამების

„კრეპის უკანასკნელი ფირი"

„სტრიპტიზი"

სუნი და შეურყვნელი გრძნობების სცენური სურნელი აშიშვლებს სპექტაკლის უმთავრეს ნერვს.

განვლილ სეზონში ლაშა ბუღაძემ ნაყოფიერად იშრომა: მუსიკისა და დრამის თეატრში მისი „პანთეონი" დაიდგა. იგივე პიესა დიმიტრი ხვთისიაშვილმა სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრში დადგა, ხოლო მარჯანიშვილის თეატრში დადგმულ „ნაფტალინში" დავით საყვარელიძემ გურანდა გაბუნიას და ოთარ მეღვინეთუხუცესს ლამის ბენეფისი მოუწყო. მღელვარედ ჩაიარა პრესისთვის წარმოდგენილმა „პანთეონმა" მუსიკისა და დრამის თეატრში. ჩვენებას კრიტიკის ისეთი ქარიშხალი მოჰყვა, რომ ძნელია რაიმე უარესი თქვა, ვიდრე სიტყვა „განაჩენია". კრიტიკოსებმა და ჟურნალისტებმა არა მხოლოდ სპექტაკლს გამოუტანეს „განაჩენი", არამედ ავტორსაც, რაც ჩემი აზრით, გადაჭარბებული ექსტაზისა და კამათის ბრალი უფრო იყო.

სპექტაკლის რეჟისორმა, გურანდა იაშვილმა უფრო ზედაპირული, ქორეოგრაფიულად გამართული სანახაობა და ცალკეულ ნომრებად „დაშლილი" წარმოდგენა შექმნა, ვიდრე მთლიანი და სტრუქტურულად გამართული. მსახიობთან აღსანიშნავია ნინო გომართელის თვითირონიულობა და მარინა ჯოხაძის კარნავალისებური სიმსუყე.

სამაგიეროდ, ტექსტისადმი ერთგულება შეინარჩუნეს ახმეტელის თეატრში, სადაც დიმიტრი ხვთისიაშვილმა იგივე პიესა დადგა. ბუღაძის საკმაოდ ტევად და ვრცელ რემარკებს სპექტაკლში თავად რეჟისორი კითხულობს, რაც ჟამთააღმწერლის ფუნქციას, ან უკანასკნელი „საბჭოთა ინტელიგენტის" მონოლოგის პაროდიას ჰგავს. მომაკვდავი კომპოზიტორისა (მამუკა მაზავრიშვილი) და მეცნიერის (ვაჟა ციცილოშვილი) საწოლები, აქ, სცენის საპირისპირო მხარეზეა განლაგებული. რაც სცენური სივრცის ათვისებისა და „პარალელური მონტაჟის" საშუალებას იძლევა. მთაწმინდა რეალისტურად, ცნობილი ქართველების შავ-თეთრი ბიუსტებით, ფოტოებითა და საფლავებითაა წარმოდგენილი (მხატვარი – აივენგო ჭელიძე), რომლის ფონზე გაუმართლებლად პათეტიკურად წაკითხული მონოლოგები უფრო ლიტერატურულ თეატრს მოგაგონებთ.

განვლილი სეზონის პეიზაჟს აბსურდით აკეთილშობილებს სარეჟისორო სპეციალობის ბაკალავრიატის მეორე კურსის სტუდენტის, ნიკოლოზ ლუარსაბიშვილის (ჯგუფის ხელმძღვანელი ლევან წულაძე) ნამუშევარი. ეს არის, არც მეტი არც ნაკლები, სამუელ ბეკეტის ურთულესი მონოპიესა „კრეპის უკანასკნელი ფირი", რომელიც ცნობილი მსახიობის, მარლენ ეგუტიას ხელახალი აღმოჩენითაც არის საინტერესო. ჩემი აზრით, ახალგაზრდა რეჟისორის ნამუშევარმა ნომინაციაში „საუკეთესო დებიუტისათვის" სრულიად დამსახურებულად მიიღო პრემია „დურუჯი", ხოლო მარლენ ეგუტია წარდგენილი იყო ნომინაციაში „საუკეთესო მსახიობი მამაკაცი".

სპექტაკლი ჯერ კიდევ წარმოდგენის დაწყებამდე იწყება: ერთადერთი მსახიობი (მარლენ ეგუტია, რომელიც კრეპს ანსახიერებს) ჩვეულებრივად ჩაცმული გაივლის ფოიეში შეკრებილ მაყურებელთა შორის და უეცრად ჩამოწოლილ სიბნელეში შეაბიჯებს დარბაზში...

ასეთი მოულოდნელი დასაწყისი ცხადია, მეტ ინტრიგას მატებს წარმოდგენას. ნივთებით გატენილ ოთახსა თუ სარდაფში კრეპის მეხსიერებას ერთადერთი „საბუთი" – მაგნიტოფირზე ჩაწერილი ტექსტი აცოცხლებს. ეს ახალგაზრდობის დროინდელი უდარდელი, ოცნებებითა და იმედებით, მოუსვენრობით, ოინბაზობითა თუ სიანცით აღსავსე ცხოვრების გახსენებაა. მაგრამ ამ ყველაფერს აუხსნელი სევდა თუ ნაღველი უდავოდ ახლავს თან. გარდასული დღეების გახსენება თავისთავად, ბუნებრივად ბადებს ერთგვარ ელეგიურ განწყობას, რაც განეიტრალებულია პოეტურ ეპიზოდში – ჭუჭყიან ფანჯარას მოულოდნელად მოვარდნილი წვიმა „ჩამოჰბანს"... საათზე მეტხანს გასტანს მარლენ ეგუტია-კრეპის ეგზისტენციალური და უსასოო პოეზიით სავსე მონოლოგი, რომელიც თეატრალთა მეხსიერებას ცოტა ხნით მაინც შემორჩება.

სეზონის ბოლოს, სამეფო უბნის თეატრში დადგმულმა რაინერ ვერნერ ფასბინდერის პიესა „კატცერმახერმა" (რეჟისორი მიხეილ ჩარკვიანი) ცოტათი გააქარწყლა მითი, რომ ჩვენი თეატრი აკრძალვებსა და ტრავმებზე საუბარს ერიდება... თუმცა, რეცენზიას ამ საინტერესო სპექტაკლზე მკითხველი „ცხელი შოკოლადის" ამავე ნომერში იხილავს.

სოციალური ოპერის ფანტომი

ბრეხტი ისევ ჩვენი თეატრალური კულტურის ნაწილად რჩება – ამჯერად, დავით ანდღულაძის ინტერპრეტაციით

ავტორი დავით ბუხრიკიძე

ბერტოლდ ბრეხტს რომ საქართველოში გაუმართლა, მგონი, ისე – არცერთ თეატრალური ტრადიციის ქვეყანაში. რობერტ სტურუას ლეგენდარული „კავკასიური ცარცის წრის“ შემდეგ, ის ჩვენი კულტურის ნაწილი გახდა. ჯერ კიდევ 1960-იან წლებში დოდო ალექსიძემ „სამგროშიანი ოპერა“ რუსთაველის თეატრში, ლამის მიუზიკლის ჟანრში გადაწყვიტა, რომელშიც ორკესტრის ცოცხალი შესრულება და ვარსკვლავი მექი-დანა (რამაზ ჩხიკვაძე) ფაქტობრივად, მუსიკალურად ანეიტრალებდნენ ბრეხტისათვის აუცილებელ სოციალურ კონტექსტს.

„სამგროშიანი ოპერა“ რეჟისორმა ლევან წულაძემაც დადგა. ეს 1990-იანი წლების მიწურულს იყო, როდესაც იმხანად მოდურ „თეატრალურ სარდაფში“ მისულ პუბლიკას, ნაცვლად სოციალური სიმძიმისა, უფრო გართობისა და პაროდიის ხილვა სურდა. მსუბუქი ჟანრული ეკვილიბრისტიკით სულის მოთქმა კი ლევან წულაძეს ყოველთვის კარგად შეეძლო...

დღევანდელი პოლიტიკური და სოციალური პრობლემები – მიერთებული ღია სივრცესთან, ბუნებრივ ხმაურთან და გადაკეთებულ კურტ ვაილის ზონგებთან, რეჟისორმა დავით ანდღულაძემ „სულ სხვა ოპერად“ გაიაზრა. სწორედ ასე ეწოდება მისი ინტერპრეტაციითა და თამუნა ჯაფარიძის თარგმანით ამეტყველებულ, უფრო ზუსტად, დანჯღრეული ფორტეპიანოს თანხლებით აჟღერებულ „სამგროშიან ოპერას“. მუსიკალური ვერსიის ავტორმა, ცნობილმა კომპოზიტორმა გოგი ჩლაიძემ და თავად რეჟისორმა კარგად გაითვალისწინეს გარემო – თეატრალური უნივერსიტეტის მეორე კორპუსის (დავით აღმაშენებლის გამზირი) ეზო და ის ზუსტად მოარგეს პიესის კონსტრუქციას.

ბრეხტის ცნობილი პიესა „სამგროშიანი ოპერა“ სწორედ სპექტაკლის კონსტრუქციად იქცა, სადაც ძირითადი აქცენტები რეჟისორს არტისტების „ღია თამაშზე“, პუბლიკის აქტიურ მზაობასა და მძაფრ სოციალურ კრიტიკაზე გადააქვს. მსახიობები ლამის ისტერიკული ენერგიითა და ძალისხმევით ცდილობენ, მოიპოვონ „არსებობის“ უფლება თუ სამოქმედო სივრცე, რის გამოც რეჟისორი ტექსტსა და სიუჟეტს გადამწყვეტ როლს არ ანიჭებს. ის, თითქოს ჯაზური იმპროვიზაციით, ჯიუტად და მრავალჯერ იმეორებს მექი-დანას თემას: „სამწუხაროდ, ეს ამბავი მართალია სრულიად / რომ განწირულ სამყაროში, კაციც განწირულია“.

სპექტაკლში, რომლისთვისაც თავისუფლად შეიძლებოდა გვეწოდებინა „ღარიბთა ოპერაც“ (თუ ცნობილ თანამედროვე კომპოზიტორს, ბენჟამინ ბრიტენს დავესესხებით), არ არის გამოყენებული ინსტრუმენტული მუსიკა. მხოლოდ აკაპელა ჟღერს, რომელსაც დროდადრო ქაღალდის ფურცლების რიტმი და ხმაური ჯაზური იმპროვიზაციებივით უერთდება. წარმოდგენის ბოლოს კი გაიჟღერებს კურტ ვაილის ცნობილი მუსიკალური თემა ორ, პრაქტიკულად დაშლილ და „გამოშიგნულ“ ფორტეპიანოზე, რომელსაც გოგი ჩლაიძე და ნატო ესაკია ასრულებენ.

გაქუცული, გრძელი ლაბადებით შემოსილი მაწანწალები (ეკა მაღალაშვილის კოსტიუმები), რომელთაგან ალბათ ვერავის გამოარჩევთ, ისე მონდომებით ირჯებიან, რომ პუბლიკა დაუნანებლად ესვრის მათ ხურდას; ანუ „გროშებს“, რაც ასევე კანონიკური ბრეხტიანული აქტია. თუმცა მოწყალების აქცია მალე შეიცვლება „მრისხანების დღედ“, როდესაც იერემია პიჩემის (შალვა დევნოზაშვილი) დაკრძალვის პაროდიული რიტუალი, ფაქტობრივად, მორიგ ქუჩის აქციად გადმოიღვრება, რომელსაც მთავარი ბუნტარი და მთავარი მათხოვარი – მექი-დანა (გიორგი ტრაპაიძე) გაუძღვება. თუ საჭიროა, ის „ქუდზე მათხოვარს გამოიყვანს“, რათა ჩინოვნიკებს, პოლიციელებსა და თავგასულ მდიდრებს შეახსენოს, რომ „დასამარხი ფული არა აქვს, ყარს, მაგრამ მიზანი აქვს“... სწორედ ზუსტი სოციალური მიზანია საშიში, რასაც ალბათ ასე უფრთხის სადღაც გადაღმა დარჩენილი, „არჩევნებისა და კორონაციის“ მომლოდინე საზოგადოების ელიტური ნაწილი.

მთელი ეს ბრეხტიანული „სოციალური ოპერა“, სადაც ქალების როლებს კაცები თამაშობენ, ხოლო კაცებისას ქალები (მაგალითად, ცელია პიჩემს – ნოდარ სიმსივე, პოლის – გიორგი ცისკარიშვილი, ხოლო მაწანწალა ბიჭს – ანა ყაულაშვილი), გაჟღენთილია მძაფრი ესთეტიკური რადიკალიზმით. მსახიობები და რეჟისორი უდავოდ წინასაწარ და კარგად დამუშავებული მხატვრული სისტემით მუშაობენ და, ამავე დროს, დისტანცირებას ახდენენ პერსონაჟებთან. აუცილებელი ატრიბუტია ნიღაბი და არა გარდასახვა, მზერა გარედან და არა – პერსონაჟში ჩაღრმავება, სასტვენები და მეგაფონები და არა – ნამდვილი ოპერა. ცოცხების პოლიფონია და უსასრულო ყვირილი გაზავებულია ზონგებით და ეს სწორედ რომ, ბრეხტიანული აქტია. ამ წარმოდგენის სიჭრელე, აგრესია და კაკაფონია შესაძლოა არ გულისხმობდეს სანიმუშო ხარისხს, მაგრამ ის აუცილებლად ნიშნავს რეჟისორის მოქალაქეობრივ პოზიციას.

სხვათა შორის, პუბლიკაზე აქტიური ზემოქმედება, ან მისი ჩართვა წარმოდგენაში არახალია, რასაც დავით ანდღულაძე ჯერ კიდევ ადრეულ სპექტაკლებში მიმართავდა. მაგალითად, 1990-იანი წლებში დადგმული „პალატა N6“ (რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზი), ან „38-ე“, ტომ სტოპარდის პიესის „როზენკრანცი და გილდენსტერნი დაიხოცნენ“ მიხედვით, რაც სრულიად მოულოდნელ და პოსტმოდერნისტულ აქციად აღიქმებოდა იმდროინდელ მარჯანიშვილის თეატრში.

შეიძლება გავიხსენოთ „მილიარდერის ვიზიტის“ ფინალიც (ფრიდრიხ დიურენმატის პიესის მიხედვით, ახმეტელის თეატრი), სადაც შოუ და სოციალური სიმძაფრე ერთმანეთს ავსებდა და მაპროვოცირებელ ელემენტებად აღიქმებოდა. მოკლედ, დავით ანდღულაძე სტაჟიანი ბრეხტიანელია, უბრალოდ, მისი თეატრალური ენა ასეთი პირდაპირი და დაუნდობელი არასდროს ყოფილა. ამჯერად კი მისივე სტუდენტებისა და მაგისტრანტებისაგან ჩამოყალიბებულმა დასმა სათქმელი უფრო ცხადად და ზუსტ კონტექსტში გამოხატა. მით უმეტეს, რომ „არჩევნები და კორონაცია“ კარსაა მომდგარი...

საათნახევრის განმავლობაში, წარმოდგენაში ერთი დიდი და საგანგებო პაუზაა, როცა ტექსტისა და ყვირილის შემდეგ, მსახიობები სულს მოითქვამენ, თავს მოიწესრიგებენ, გაოფლილ სახეს წყლით ჩამოიბანენ... და ამ დროს ხვდებით მსახიობის პროფესიის მაგიასაც და მათი არსებობის პირობითობასაც. პარადოქსია, მაგრამ ამ დროს ლაბადებსა და კედებში გამოწყობილი მსახიობები თითქოს პირისპირ და დედიშობილა რჩებიან პუბლიკის წინაშე, რომელიც მანამდე მათ „გროშებით“, უფრო ზუსტად, ხურდა ფულით აჯილდოვებდა.

„სულ სხვა ოპერა“ რეჟისორ დავით ანდღულაძის მიერ დაარსებული „თეატრალური არენის“ პირველი სერიოზული განაცხადია, რომელშიც მისი აქტიური თეატრალური და სოციალური პოზიცია იკითხება. დასი რეჟისორმა მისივე სტუდენტებისა და მაგისტრანტებისაგან ჩამოაყალიბა და ალბათ შემოდგომიდან ბუდაპეშტის ქუჩაზე მდებარე „არენაზე“ დაიდებს ბინას. თეატრის ინფრასტრუქტურა ჯერ დასრულებული არ არის, ამიტომ სპექტაკლებს თეატრალური უნივერსიტეტის მეორე კორპუსის ეზოში თამაშობენ. შემოდგომაზე კი პუბლიკა ახალ „არენაზე“ სავარაუდოდ, კიპლინგის „მაუგლისა“ და არისტოფანეს „მხედრების“ მიხედვით დადგმულ წარმოდგენებს ნახავს.

ტრავმების შემგროვებლები

რაინერ ვერნერ ფასბინდერის „კატცელმახერი“ სამეფო უბნის თეატრში

ავტორი დავით ბუხრიკიძე

ფეისბუკზე წამოწყებულმა არტ-ლაზღანდარობამ, კონკრეტულად კი ნინო ლეჟავას ფრაზამ შვა ეს სათაური. არადა, რამდენი მძიმე, გაფუყული და არაფრისმთქმელი წინადადება მქონდა მზად... მოკლედ, მას მადლობას ვუხდი, ხოლო დიდ გერმანელ რეჟისორს, „გერმანული კინოს მოცარტს“ – რაინერ ვერნერ ფასბინდერს, მცირე და არცთუ ლირიკულ თეატრალურ ოპუსს ვუძღვნი პიესისთვის „კატცელმახერი“, რომელიც საქართველოში პირველად დაიდგა. თავის დროზე, 1969 წელს გადაღებულმა ამავე სახელწოდების ფილმმა მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება ვერ დატოვა მაყურებელზე, თუმცა მოგვიანებით კრიტიკოსებმა სათანადოდ მაინც შეაფასეს დიტრიხ ლომანის კამერის „გამჭვირვალე უჰაერობა“, პიერ რაბენის მინიმალისტური მუსიკა და ფასბინდერის თანამდევი მსახიობების – ჰანა შიგულას, დორის მატესისა და ირმ ჰერმანის როლები.

შარშან იყო მცდელობა ფასბინდერის არანაკლებ საინტერესო პიესა – „პეტრა ფონ კანტის ცხარე ცრემლები“ – სამეფო უბნის თეატრში განხორციელებულიყო, რაც, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ, ახალგაზრდა რეჟისორმა, მიხეილ ჩარკვიანმა საქმე ბოლომდე მიიყვანა და იმავე სამეფო უბნის თეატრში, 1960-იანი წლების ბოლოს დაწერილი პიესა „კატცელმახერი“ (კომპოზიტორი – ნიკა ფასური, მხატვარი – ლევან ოჩხიკიძე, თარგმანი – დავით გაბუნია) 70 წუთში, კომპაქტურად ჩაატია...

დავით გაბუნიას თარგმანი სპექტაკლის წარმატებას ნამდვილად ეხმარება. სხარტი, სადა და ზუსტი ფრაზები ყურში არ „გეჭედებათ“; ტექსტი არც ღვარჭნილობით გამოირჩევა და არც ზედმეტი ლიტერატურული კეთილშობილებით. სიტყვები – „ღორი“, „მძღნერი“, „ბოზი“ და მრავალგზის გამეორებული „ფაკი, ფაკი“, გაცილებით ბუნებრივად და კეთილშობილურად ჟღერს, ვიდრე ვთქვათ, ქსენოფობიური ფრაზები – „საბერძნეთის ღორი კომუნისტები“, ან „უცხოელი არ შეიძლება, კარგი ადამიანი იყოს“. ისედაც, ამ თეატრმა მაყურებელი უკვე შეაჩვია ბუნებრივ, მარტივ, მაგრამ ზუსტ და თანამედროვე მეტყველებას. მიუხედავად იმისა, რომ თეატრალების უმრავლესობა დღემდე მაინც ამაღლებულ და ყალბ მეტყველებას ამჯობინებს.

სწორედ უცხოელი, უფრო ზუსტად, ბერძენი ემიგრანტი (რომლის როლსაც ფასბინდერის ფილმში თავად რეჟისორი ასრულებდა) ახდენს წვრილმანი ფაშისტური შიშითა და კომპლექსებით აქოთებული, პატარა გერმანული ქალაქის პროვოცირებას. პიესაში დაახლოებით ასეა – მეგობრობისა და მტრობის გზა წარსულის ტრავმებზე და მათ „შემგროვებლებზე“ გადის.

„კატცელმახერის“ გმირები ღვთისგან თუ ომისგან დაღლილ, მივიწყებულ პატარა ქალაქში ცხოვრობენ. ისინი მზად არიან საკუთარი უსარგებლობა, უსახურობა და კომპლექსები უცხოს აჰკიდონ, ხოლო ამის გამართლება „მტრის“ შემოსევით ახსნან,

რომელიც მათ სამუშაოსა და საარსებო სივრცეს წაართმევს. სინამდვილეში კი ბერძენი ემიგრანტი იორგოსი (გაგა შიშინაშვილი), მათი არარეალიზებული ვნებებისა და ფარული შურის პროექციაა. გარკვეული გაგებით, მიხეილ ჩარკვიანის სპექტაკლი გზავნილია ჩვენი ლუზერებისა და ქსენოფობებისთვისაც, რომლებიც ზუსტად ასე მოთქვამენ „ჩინელებსა და ინდოელებზე გაყიდულ სამშობლოზე“. თუმცა ეს უკვე სხვა, გაცილებით სახიფათო და ფაქიზი საუბრის თემაა...

ჯადოსნური „ფაკი, ფაკი“, რომელზეც სინამდვილეში ასე ოცნებობენ „კატცელმახერის“ ქალები (ჰელგა – იაკო ჭილაია, გუნდა – მაგდა ლებანიძე, ინგრიდი – სალომე მაისაშვილი, ელიზაბეთი – ანა გულიაშვილი, მარია – ანა წერეთელი) და ეშინიათ კაცებს (ფრანცი – გიორგი ყორღანაშვილი, ერიხი – გიორგი შარვაშიძე, პაული – პაატა ინაური, ბრუნო – შაკო მირიანაშვილი), არის ფასბინდერის ზუსტი ფსიქოლოგიური მინიშნება, რომ წარსულის ტრავმები არ შუშდება მხოლოდ „ეკონომიკური სასწაულით“ ნაკვები კეთილდღეობით, ან ომით დამუნჯებული თაობის მიერ დასწავლილი სექსუალური თავისუფლებით. არც იაფი სამუშაო ადგილების შექმნით. პირიქით, იაფი შრომა და ფასიანი სექსი (ამითაა შეპყრობილი, მაგალითად, ინგრიდი, რომელსაც სწორედ ფული აღაგზნებს) ააშკარავებს სოციალურ იარებს. სპექტაკლში შურისძიება და ანეკდოტური აგრესია თანდათან, წვეთობით გროვდება და ფინალში დამცინავ, სასტიკ, სახიფათო ქარბორბალად იქცევა, რომელიც თეთრ კედელზე სასტიკად ნაცემი იორგოსის სისხლის კვალს ტოვებს.

საკმაოდ მარტივი, ზუსტი სცენოგრაფია და გრძელი, თეთრი კედელი, რომელშიც რამდენიმე კარია გამოჭრილი, კარგად ესადაგება გასაგებ რეჟისორულ სვლას თუ პრინციპს. ეს არის ჩვენს „ყოფით ჯოჯოხეთში“ შემომავალი კარი, რომელიც, წესით, დიდად არ უნდა განსხვავდებოდეს იქაურობისგან; მაგრამ იქ, მიღმა, უცხოელ მუშათა, ანუ „უცხოთა“ ოთახებია და არ ვიცით, რა ხდება. იქნებ, ყოვლისმიმტევებელი და კეთილშობილი ევროპის საწინააღმდეგო ტერორისტული შეტევა მზადდება?!

სცენები ძირითადად პარტერში თამაშდება, რაც პუბლიკას საშუალებას ართმევს მსახიობთა თამაში ბოლომდე და მთლიანობაში აღიქვას. გარდა ამისა, მათი სივრცეში განლაგება, მოძრაობა და ფრონტალური მიზანსცენები აშკარად ნასესხებია ფასბინდერის ფილმიდან; რაც ცუდი სულაც არ არის, უბრალოდ, ის ორიგინალობას უკარგავს რეჟისორის განზრახვას.

მაგდა ლებანიძის შავ იუმორს, იაკო ჭილაიას დამცინავ სექსუალობას, ან ვთქვათ, შაკო მირიანაშვილის პატარა, მაგრამ მომხიბვლელად „გამოთლილ“ როლს აშკარად ეტყობა პუბლიკის მითვისება-დაპყრობის კეთილშობილური მიზანი, რაც ბრეხტისა და გაუცხოების სისტემაზე აგებული პიესის ესთეტიკურ მნიშვნელობას რამდენადმე აუფასურებს. თუმცა არის ძალიან კარგი ეპიზოდები – განსაკუთრებით იორგოსის ცემის სცენა, ფინალი ზემოდან განათებული პერსონაჟებით და სცენა ეკლესიაში, რომელშიც მუსიკა, ლოცვა და გინება კონტრაპუნქტის პრინციპით ერთიანდება, როგორც კონტრასტული თემები ბახის პრელუდიებსა და ფუგებში.

ნიკა ფასურის მუსიკალური თემები არ გიშლით ხელს 1960-იანი წლების კოსტიუმები, ვარცხნილობა და სტილი საკუთარი ფანტაზიით შეავსოთ, ხოლო ფრანსუაზ ჰარდის მიერ შესრულებული „ტროიმე“ ფინალურ სცენაში, გადაჭარბებულად სენტიმენტალურად, ან, პირიქით, ირონიულად შეაფასოთ.

„კატცელმახერი“ ქსენოფობიური, სასტიკი, უჰაერო და ირონიით გაჯერებული სამყაროა. ის შორსაა ჩვენგან, მაგრამ ამავე დროს, ძალიან გასაგებია. ფასბინდერთან და 1960-იან წლებთან პარალელი ალბათ უნებლიეა. ბედის ირონიით, 21-ე საუკუნეში, ევროპაში ისევ კრიზისია და ქსენოფობიაზე კიდევ უფრო მეტს ლაპარაკობენ. თუმცა ჩვენი სამუშაოს მაძიებლებისგან განსხვავებით, დღევანდელი ბერძენი, სახელწოდებით იორგოსი, განწირული არ არის თვეში 230 ევროდ დათანხმდეს ვინმე ქალბატონ ელიზაბეტთან სამსახურს. აღარც გერმანიის პროვინციული ქალაქებია უცხოს მიმართ ისეთი აგრესიული, როგორც 1960-იან წლებში... მხოლოდ ალაგ-ალაგ შემორჩნენ „ტრავმების შემგროვებლები“, რომლებთაც ფასბინდერი და ჰანა შიგულა ახსოვთ!

ნუ გაალვიძებთ, გეთაყვა, კოკორეს!

ავტორი მანანა თანდაშვილი

ნინო ხარატიშვილმა საარის მხარის სახელმწიფო თეატრში ახალი სპექტაკლი „კოკორო“ განახორციელა, რომელიც დამეგობრებული ქალაქების – თბილისისა და საარბრუკენის მიძინებული კულტურული ურთიერთობების განახლების სიმბოლოდ იქცა.

კოკორო

ნინო ხარატიშვილი, როგორც დრამატურგი და რეჟისორი, გერმანული თეატრის ერთ-ერთი გამორჩეულად ინდივიდუალური ფიგურა რომ არის, ამაზე გერმანული პრესა უკვე რამდენიმე წელია სრული აღფრთოვანებით წერს. ნინო პროდუქტიულ დრამატურგად ითვლება. ნინო ნებისმიერი გერმანული თეატრისთვის სასურველი გასტროლიორი რეჟისორია, მას სიამოვნებით უკვეთავენ პიესებს. ნინო ხარატიშვილის მაყურებელი მიჩვეულია, რომ იგი ინარჩუნებს თავის განუმეორებელ ხელწერას, მაგრამ არ „იშტამპება“, მუდმივად ეძებს (და პოულობს კიდეც) სიახლეებს, მაგრამ ეს არ არის „კიჩი“, მაყურებელს ანებივრებს ორიგინალური მიგნებებით, რომელიც იმდენად გენიალურია, რომ პრიმიტიული გეჩვენება; და რაც ყველაზე არსებითია, ნინოს მონოლოგებს ახასიათებს მაყურებელზე ზემოქმედების საოცარი ძალა. და მიუხედავად ამისა, „კოკორომ“ ყველა მოლოდინს გადააჭარბა – როგორც გერმანელები ასეთ შემთხვევაში იტყვიან: „კოკოროს“ ავტორმა „კოკორომდელი“ ნინო ხარატიშვილი დაჯაბნა.

ძნელია, რამდენიმე სიტყვით დაახასიათო პიესა, რომელსაც ერთი შეხედვით მეტად უცნაური სახელი – „კოკორო“ ჰქვია და რომელიც ნინოს შემოქმედებაში ალბათ განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს. „იცოდით, რომ იაპონელებს აქვთ ერთი სიტყვა, რომელიც ჩვენს ენაზე დაახლოებით ამას ნიშნავს: „გული ყოველთა“? იაპონელები მას კოკოროს ეძახიან. როდესაც მსოფლიოს წონასწორობა ირღვევა, მაშინ იღვიძებს და ბობოქრობს კოკორო, შურს იძიებს „ყოველსა ზედა“ და აიძულებს მოინანიოს. ომი, კატასტროფა, უბედურება – მოკლედ ყველა ჯანდაბა და დოზანა, რაც კი ხდება მსოფლიოში, ეს კოკოროს ცრემლებია... კოკორო შეუბრალებელია, მაგრამ სამართლიანი“ – გვიხსნის პიესის ერთ-ერთი გმირი.

ისტორიულ-პოლიტიკური დაიჯესტი

სპექტაკლს წინ უძღვის უჩვეულო უვერტიურა: სპექტაკლის დაწყებამდე დარბაზში შესულ მაყურებელს საშუალება აქვს საგანგებოდ მოწყობილ ეკრანზე 2011 წლის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენების დაიჯესტს მიადევნოს თვალი. მსოფლიო ნიუსებისაგან შემდგარი კადრები სწრაფად იცვლება – გაფიცვა, აფეთქება, სამეფო ქორწილი, საპროტესტო აქცია, წყალდიდობა, მიწისძვრა, შიმშილი... სად? მოქმედების ადგილი უცნობი რჩება: პიიიიიპს – კომენტატორის ხმა ზუმერით არის გადაფარული.

ან კი რა მნიშვნელობა აქვს მოქმედების ადგილს?! ისტორიულ და პოლიტიკურ მოვლენათა ეს ჯაჭვი მსოფლიო კოლექტიურ მეხსიერებას ქმნის, ყველას გვპოულობს, სულში გვიძვრება და ჩვენს ყოველდღიურობას თუ არაყოველდღიურობას განსაზღვრავს.

ვინი, მაია, ფრენკ სინატრა და კიდევ სხვები..

დრამატურგი თითქოს გამადიდებელი შუშით აკვირდება პიესის გმირთა ყოველდღიურობას, რომელშიც კარგად თუ დაუკვირდები, მათ მიერ განვლილი ცხოვრების ლოგიკურ შედეგს ამოიცნობ. რეჟისორს სინათლის გადანაცვლებით შემოჰყავს პიესის გმირები ავანსცენაზე და ჩვენ თვალწინ ცოცხლდება ჩვეულებრივ და არაჩვეულებრივ ადამიანთა ცხოვრება: ერთ დროს მომხიბლავი და წარმატებული ვინის აუტანელი ყოველდღიურობა, რო-

მელიც თავის წარმავალ სილამაზეს, მისგან გაქცეულ მეუღლესა და გადახვეწილ შვილს მისტირის; ახალგაზრდა ტრანსვესტიტი მსახიობის, უნას ტრაგედია, რომელიც მამაკაცის სხეულში გამომწყვდეული ქალის გაუსაძლისი ყოფიერების ფონზე ცდილობს კარიერის აწყობას; საქართველოდან ომსა და გაჭირვებას გამოქცეული ლეილა, რომელიც უცხო ქვეყანაში ვერანაირად ვერ ახერხებს ინტეგრაციას; კონფლიქტური ზონიდან გამოყვანილი არასრულწლოვანი მაია, რომელიც 14 წლის ასაკში გააუპატიურეს ჯარისკაცებმა და ძალადობის ნაყოფს ატარებს. ერთადერთი პერსონაჟი, რომელიც ყოველდღიურ ყოფიერებას არის შეგუებული, უსახლკარო მათხოვარი ფრენკ სინატრაა – ასე გვაცნობს თავის თავს ერთ დროს განათლებული და სიტყვამოსწრებული არსება, რომელიც ბედის უკულმართობის (ან იქნებ საკუთარი დოყლაპიობის) გამო ქუჩის მსახიობად არის ქცეული და თავს იმით ირჩენს, რომ ქუჩაში გავლელ-გამომვლელებს ინტელექტუალური ფრაზებით ეკეკლუცება.

პერსპექტივების ფოკუსი

სხვადასხვა ეროვნების, ბიოგრაფიისა და ასაკისდა მიუხედავად, ნინო ხარატიშვილის გმირ ქალებს ერთი აქვთ საერთო – ისინი გვაიძულებენ ქალის პერსპექტივიდან შევხედოთ სამყაროს, მათ სულში ჩავიხედოთ, და თუ ვერ გავუგებთ, უბრალოდ მოვუსმინოთ მაინც.

პროვინციული დასავლური ქალაქის მერის, რობერტისა და მისი მეუღლის, მარინას ყოველდღიურობა, რომელიც 18 წლის განმავლობაში რუტინად არის ქცეული, აუტანელი ხდება მარინასათვის. სამშობლოდან უკეთესი ბედის საძებნელად უცხოეთში გათხოვილი, უზომოდ იტანჯება რობერტის ორმაგი ცხოვრებისა და საკუთარი არშემდგარი დედობის გამო:

„შვილი მინდა მყავდეს. უკვე 18 წელია შვილზე ვოცნებობ. შეგიძლია გაიგო? შვილი მინდა! და მეყოლება კიდეც, უთუოდ მეყოლება! მთელი ამ წლების განმავლობაში ჩემი სხეული ექსპერიმენტების ჩასატარებელ პოლიგონად იყო ქცეული, რადგან მეგონა, რომ ეს ჩემი ბრალი იყო, მხოლოდ ჩემი ბრალი. რომ ეს მე ვიყავი ბუნების შეცდომა, შეცდომა სისტემაში „ქალი“, სისტემაში „დედა“. და შენ კი მთელი ამ წლების განმავლობაში მიმალავდი, რომ შენ ხარ ეს შეცდომა, შეცდომა სისტემაში „კაცი“. მთელი ეს წლები დუმდი. და მატყუებდი, სანამ ყველაფერი არ დაგვიანდა, სანამ ჩემი სხეული არ დაჭკნა და არ გამოიფიტა, ვინაიდან დრო ვერაგია და დაუნდობელი, იმაზე უფრო დაუნდობელი, ვიდრე შენ. ჰო, მე დავჭკნი, მაგრამ ჩემი სურვილი არა!“

განსხვავებული პერსპექტივების წამოწევა და კონტრასტული ფოკუსის დასმა ზოგადად არის დამახასიათებელი ნინო ხარატიშვილის თეატრალური (და არა მხოლოდ თეატრალური) შემოქმედებისათვის. ქალი და კაცი (რობერტი და მარინა), დედა და შვილი (ვინი და ნოა), წარმატებული და წარუმატებელი (ქალაქის მერი და ხელმოცარული სინატრა). სამყარო თითქოს დაბალანსებულია: თუ ვინმე შესაბრალისია, შემბრალებელიც არსებობს, თუ ვინმეს დახმარება სჭირდება – დამხმარეც გამოჩნდება და სწორედ ამ დიქოტომიური ცნებების თანაარსებობა ქმნის სამყაროს წონასწორობას – მარინას ევროპაში ჩამოჰყავს ქუჩაში უპატრონოდ დაგდებული ფეხმძიმე მაია; დედა ტერეზას სინდრომით შეპყრობილი დებორა კი მზად არის მთელი მსოფლიოს უსამართლობის საკომპენსაციოდ პირადი ცხოვრება შესწიროს „იძულებით გადაადგილებულ“ მამაკაცს, რომელიც პოლიტიკური დევნილია და რომელიც მან შეიფარა.

თითქოს წონასწორობა დაცულია, თითქოს!

მაშ რა არის, რატომ დაჰკივის ისტერიულად თვალებგადმოკარკლული მარინა სისხლში ამოსვრილ მაიას, რომელმაც მოულოდნელი მშობიარობის გამო ახალშობილი სადღაც დაკარგა და ტკივილებისაგან იკლაკნება: „სად არის ბავშვი, გაიხსენე! სად დატოვე?! გესმის ჩემი?“. ან რატომ ცდილობს მუდამ სოციალურად ანგაჟირებული დებორა, რომ საკუთარ კანში შეძვრეს და დაიმალოს? იქნებ იმიტომ, რომ მის მიერ ევროპაში ჩამოყვანილ მამაკაცს, რომელთანაც ფიქტიურად აქვს ხელი მოწერილი, თურმე სამშობლოში ცოლი და



სამი შვილი ჰყავს და არც არასდროს არ ყოფილა პოლიტიკურად ანგაჟირებული და მთავრობისგან დევნილი?

სად არის სიმართლე? ვინ არის მსხვერპლი?

კითხვა ღიად რჩება, კოკორო კი ბობოქრობს...

ბაბილონის გოდოლი (გლობალიზაციის ფონზე)

გლობალიზაციამ, ერთი მხრივ და მსოფლიო პოლიტიკური რუქის ცვლილებამ (თანამდევი მიგრაციული პროცესების ჩათვლით) მეორე მხრივ, ევროპულ ცნობიერებას ორი უმნიშვნელოვანესი ცნება შემატა: უცხო (ანუ არა-„მე“) და ინტეგრაცია (ანუ „უცხო-“ს ქცევა „ჩვენ“-ად).

რიხარდ კაპუჩინსკის ერთი ციტატა მინდა მოვიტანო: „სამყარო ჩემთვის ყოველთვის იყო ერთი უზარმაზარი ბაბილონის გოდოლი, რომელშიც ღმერთმა არა მარტო განსხვავებული ენები, არამედ განსხვავებული კულტურები, განსხვავებული ტრადიციები, მიდრეკილებები, სურვილები და ინტერესები მოაქცია ერთად. ეს არის კოშკი, რომლის მკვიდრნი უზენაესმა ამბივალენტურ არსებად აქცია, რომელიც თავის თავში აერთიანებს „მე“-ს და „სხვა“-ს, „საკუთარს“ და „უცხოს“...

იოსებ ტიშნერი „ადამიანურ დრამაში“ წერს: „საკუთარი მე-ს შეცნობის დასაწყისს თან ახლავს არა მარტო „მე“-ს, არამედ „შენ“-ის აღმოჩენაც. მეტიც, სწორედ ამ დროს აღმოვაჩენთ, რომ თურმე არსებობს კრებითი ოდენობაც „ჩვენ“. „მე“ ყალიბდება დიალოგში, კამათში, ახალი საზოგადოების აშენების სურვილსა და მონდომებაში; ყალიბდება, როგორც დამოუკიდებელი და სპეციფიკური არსება, რომელიც განსხვავდება ყველა დანარჩენისაგან. მე ვიცი, რომ მე „მე“ ვარ, ვინაიდან ვიცი, რომ არსებობს „სხვაც“.

როდესაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ჩემი ხანგრძლივი მოგზაურობების შესახებ ვფიქრობ, ხანდახან მგონია, რომ პრობლემა საზღვრებში, სირთულეებსა და შესაძლო საფრთხეში კი არ არის, არამედ ბუნდოვანებასა და შიშში, რომელიც გეუფლება უცნობ ქვეყანაში „უცხო“-სთან შეხების გამო, იქნება ეს ურთიერთობის ფორმა თუ კონკრეტული ადამიანები. ეს არის შიში „ახალ“-თან შეჯახების, შეცნობის, მიღების.“

ნინო ხარატიშვილის „კოკორო“ არის შეხსენება წონასწორობის დარღვევის, „მე“ და „შენ“ – ანუ „ჩვენ“-ის არსებობის, უფრო სწორად, თანაარსებობის შესახებ, შეცნობისა და მიღების შიშის დაძლევის შესახებ.

ბაბილონის გოდოლი კი შემთხვევით არ მიხსენებია. „კოკორო“ ნინო ხარატიშვილის მიერ შექმნილი ბაბილონის კოშკია, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით და იცით რატომ? სპექტაკლი ორ ენაზე, გერმანულად და ქართულად მიმდინარეობს და ისე მონაცვლეობს ერთმანეთთან, რომ არანაირად არ გიქმნის უხერხულობის ან წყვეტის განცდას. გენიალურად ჩართული ე.წ. ექო-კითხვები (ბოლოს და ბოლოს, თავი ხომ უნდა მოვიწონო ჩემი ლინგვისტური კომპეტენციით!), რომელსაც გერმანელი მსახიობები ქართულად იმეორებენ, საოცარ სიმსუბუქეს ანიჭებს ენების მონაცვლეობას.

ეპილოგი, ანუ მოკრძალებული თხოვნა

ამ წერილში მე ერთი ჩვეულებრივი მაყურებლის შთაბეჭდილება გადმოვეცი და საკუთარ თავს ამის უფლება მხოლოდ იმიტომ მივეცი, რომ მეც, ნინო ხარატიშვილის მსგავსად, ორი კულტურის მიჯნაზე ვცხოვრობ და ის პრობლემები, რომელთა თემატიზირებასაც ნინო ცდილობს თავის პიესაში, ჩემთვის კარგად ნაცნობია და გულის სიღრმემდე მძრავს.

იმედია, „კოკოროს“ თბილისელი მაყურებელი აუცილებლად იხილავს და სპექტაკლში მონაწილე მსახიობებზე, განსაკუთრებით ქართველ მსახიობებზე, ალბათ დაწერს ქართული პრესა, მაგრამ არ შემიძლია ნინო ბურდულს არ ვუთხრა აღფრთოვანებულმა: „შენ დედოფლობა დაგმშვენდებოდა, ნინო, თეატრის დედოფლობა...“

თეატრალურ საზოგადოებას მინდა ვთხოვო: ჩამოიტანეთ, გეთაყვა, საქართველოში „კოკორო“.

ქართველ საზოგადოებას კი ვეტყოდი: ნუ გააღვიძებთ, გეთაყვა, კოკოროს!

პირველი ქართული ღვინის გზამკვლევი
უკვე იყიდება

“ლიტერატურული კაფეების” ქსელში:
“წიგნის სახლი” - პეკინის #31
“ლიტერატურული” - ბამბის რიგი #7
“ლიტერატურული” - აბაშიძის #22
“ლიტერატურული” - თარხნიშვილის #2

წიგნის მაღაზიებში:
“სანტა ესპერანსა” - სანკტ-პეტერბურგის #12
“ლიგამუსი” - ჭავჭავაძის გამზ. #32
“წიგნები ვაკეში” - ფალიაშვილის #66
“პროსპეროს ბუქსი” - რუსთაველის #34
“დიოგენე” - აფაქიძის #9

ღვინის მაღაზიებში:
“la Maison de vin” - შარდენის #18
“ვინოთეკა” - კოტე აფხაზის #33
“ღვინის სახლი”
- პეკინის #45
- ლესელიძის #55

“ხარება” - რუსთაველის #50
“ხოხბის ცრემლები” - სიღნაღი, ნიკოლოზ ბარათაშვილის #18
“ღვინის სამყარო” - ლაღიძის #2
შატო მუხრანის ღვინის მაღაზია - მეიდანზე

სასტუმროებში:
“რჩეული”
- ბათუმი, ჟორდანიას #31
- სიღნაღი, აღმაშენებლის #6
- ქუთაისი, გრიგოლ ხანძთელის #21ბ
- თელავი, ჭავჭავაძის გამზ. #154

“შერატონი “
- თბილისი, თელავის #20
- ბათუმი, რუსთაველის #28

“სიტადინი” - თავისუფლების მოედანი #4

მაღაზიაში:
“შემოქმედებითი სტუდია ემელი” - თუმანიანის #15

გალერეები:
წიგნის გალერეა, რუსთაველის #11
ცისფერი გალერეა, რუსთაველის #11
ეროვნული გალერეა, რუსთაველი #3

“საქართველოს ფოსტის” ჯიხურების ქსელში

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
ტელ: + 995 32 2471005
მედია ჰაუსი დეკომი

2012

ქართული ღვინის გზამკვლევი

Georgian Wine Guide

მალხაზ ხარბედია
Malkhaz Kharbedia

გასროლა ბინდში

anu chven da globalizacia

ავტორი გიგი გულედანი

GRANT WOOD, „MIDNIGHT RIDE OF PAUL REVERE“

2010 წლის 18 ივნისს თელავის იაშვილის სახელობის გალერეაში აშშ საელჩომ მოაწყო ერთკვირიანი გამოფენის გახსნა სახელით „დასურათებული ამერიკა“, რომელიც მაყურებელს სხვადასხვა მედიუმში შესრულებული ხელოვნების ნიმუშების რეპროდუქციებით აცნობდა მნიშვნელოვან ეპიზოდებს ამერიკის სახელმწიფოს ისტორიიდან.

გამოფენის 30 რეპროდუქციას შორის ყურადღებას იქცევდა „პოლ რევერის შუაღამის ჯირითი“, რომელიც თავისი ისტორიული ფუნქციის მიღმა, ჩემთვის პირადად ჯერჯერობით გაურკვეველი მნიშვნელობის მატარებელი იყო. ყოველ შემთხვევაში, პოლ რევერი ნამდვილად გიზიდავდათ, როგორც ექსტრემალური ჰეროიკული სეტინგის, ასევე იდუმალი ღამის ანტურაჟის გამო: მხედარი მოაჭენებდა მძინარე ქალაქში, რათა ყველასთვის ემცნო მტრის მოახლოება.

მეორე სართულზე განთავსებული თვითონ თელავის გალერეის ექსპოზიციიდან, რომელიც მუზეუმს, როგორც ჩანს, საბჭოთა დროიდან გადმოჰყვა, ყველაზე უფრო დასამახსოვრებელი იყო ნახატი „აულის აღება“. ტილოზე ასახული იყო, სავარაუდოდ, მე-19 საუკუნის ჩეჩნურ აულში რუსი ჯარისკაცების შესვლა.

„აულის აღება“, თელავის იაშვილის სახ. გალერეა

გამოფენის შემდეგ, თელავის ბაზართან ახლოს მდებარე რესტორნის ფოიეში კიდევ ერთხელ მოვკარი თვალი საელჩოს თანამშრომლებს, რომლებიც, როგორც ჩანს, ადგილობრივებს ხვდებოდნენ – პედაგოგებს, არასამთავრობო სექტორისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს.

მძღოლი გარეთ, დაქოქილ მანქანაში გველოდებოდა. უკვე ბნელოდა, რესტორნის ეზოდან რომ გამოვედით. დავუყევით დაღმართს ალაზნის ველისკენ. კონდიციონირებულ დაკეტილ მანქანაში ვერ იგრძნობდი, გრილოდა თუ ცხელოდა ალაზნის პირას, მაგრამ ხიდის მერე, მთავარი გზიდან რომ გადავუხვიეთ, პეიზაჟმა გამახსენა ჩემი მივლინებები ცენტრალურ აფრიკაში, სადაც ჩვენს კომპანიას ერთი ქვეყნიდან მეორეს გავლით მესამეში გაჰყავდა ერთობ სკანდალური ნავთობსადენი.

მძღოლი გზადაგზა რეკავდა რომელიღაც ტბისპირა სასტუმროში, რომლის რესეპშენისტკაც უხსნიდა, თუ როგორ უნდა მიგვეგნო მათთვის. თუ დავუჯერებდით, უნდა გაგვევლო ორი კილომეტრი და ყურადღება მიგვექცია გზის მარჯვენა მხარეს ხეებზე დახატული თეთრი ნიშნებისთვის, რომლებიც მართლაც სულ მალე გამოჩნდა: ფარებმა რიგრიგობით ამოანათა დაბრეცილ ხეებზე დაბრეცილი ხელით მიწერილი ციფრები 10, 9, 8, 7, 6, 5, 3, 2, 1 და ჩვენ კიდევ ერთხელ გადავუხვიეთ, ამჯერად გრუნტის გზაზე, და გზის გაკვლევა სიმწვანესა და ალაგ-ალაგ მიმოფანტულ საქონლის ქათქათა ძვლებში განვაგრძეთ. რამდენჯერმე წინ გადაგვეღობა თეთრი საღებავით მიხატული მიმართულების ისარი. ჩავუარეთ პატარა ჰიდროელექტროსადგურს, რომელთანაც წყალი ჩამოჰქონდა 1.5 მეტრი დიამეტრის უზარმაზარ მილს, რომელიც ზემოთკენ გზას მიუყვებოდა.

უცებ აღმართი გასწორდა, ღორღი გადავიდა ბალახში და ჩვენ წინ გადაიშალა ტბის შავი ზედაპირი, რომელზეც შორს გაკიდებული განათების ზოლები ირეკლებოდა. რეგისტრატურა გავიარეთ თუ არა, დაცარიელებული სასტუმროს ნომერში ავედი, ფანჯრები გავაღე, ბადე ჩამოვწიე და გაუხდელად დავემხე გაუშლელ საწოლზე. რამდენ ხანს მეძინა, არ ვიცი, მაგრამ გამაღვიძა ძლიერი წვიმის ხმამ. ხელის ფათურით საბანი ვიპოვე და დავიფარე. წვიმას უკვე გადაეღო, როცა მესიზმრა: ღამით, ალაზნის პირას მდგომს, მეორე ნაპირას, სიბნელეში ჩაძირული სოფლიდან შეკივლებებისა და ღრიალის ხმა მომესმა, რასაც თელავის გალერეის ნახატს მივაწერდი, რომ არა კალაშნიკოვის კაკანი და მისივე ექო ალაზნის ბნელ ხეობაში, რაც ხმაურს მალევე მოჰყვა.

„ძიკი ნაროდ, დეწი გორ“ – გამახსენდა ბენდერის სიტყვები და გამეღვიძა. ფანჯრიდან გავიხედე.

მძიმე ტექნიკა ლოპოტას ტბაზე, 2010

მოღრუბლული იყო და თხუთმეტ წუთში საუზმე მთავრდებოდა. კახეთიდან უნდა წავსულიყავით ახალციხეში, სადაც ჩვენი კომპანიის ნავთობსადენის გაყვანისას აღმოჩენილი ბრინჯაოს პერიოდის არქეოლოგიური საგანძურის საიმიჯო ექსპოზიცია უნდა გაგვეხსნა.

ნომრიდან სანამ გავიდოდი, ჩანთიდან ინგლისური იდიომების წიგნი ამოვაძვრინე და ჩავხედე: „Shot in the dark: Fig. a very general attempt; a wild guess. It was just a shot in the dark. I had no idea I was exactly correct. Come on, try it. Even a shot in the dark may win.“

ახალი გოკოლები

სტილი

ინსპირაცია

COVHERlab

მიმოხილვა

პარიზის მაღალი მოდა

ფოტოპროექტი

საკურა

1990-იანების ნოსტალგია

თამარ ალავიძე

1991 წლის ნოემბერში მიცემულ ინტერვიუში ამერიკელმა დიზაინერმა კელვინ კლაინმა აღნიშნა: „1990-იანი წლები დიდ ცვლილებებს გვიქადის და ეს მხოლოდ დასაწყისია. ოთხმოციანი წლები სექსუალური თავისუფლების მხრივ და სხვა მიმართულებითაც, ძალიან კონსერვატიული იყო. ახლა პრიორიტეტების გადაწყობა ხდება – ბზინვარება და სიკაშკაშე უკვე ნაკლებ მნიშვნელოვანია, სამაგიეროდ, წინა პლანზე წამოიწია ქუჩაში მიმდინარე მოვლენებმა და ქუჩის გარემომ. ადამიანები გაცილებით რეალურ არსებებად იქცნენ“.

ამერიკული VOGUE-ის 1990 წლის პირველი ნომრის ყდაზე ხუთი მოდელი იყო გამოსახული: ნაომი კემბელი, სინდი კროუფორდი, ტატიანა პატიცი, კრისტი ტარლინგტონი და ლინდა ევანგელისტა. ხუთივეს Giorgio di Sant'Angelo-ს წელვადი, გახუნებული ფერის ჯინსი ეცვა და თითქმის უხილავი მაკიაჟი ეკეთა. ისინი სუპერმოდელები იყვნენ და ეს მათი ეპოქა იყო – სუპერმოდელების, რომლებმაც ისიც კი მოახერხეს, რომ ჰოლივუდის ვარსკვლავების პოპულარობა დაეჩრდილათ. „ისინი 1990-იანების ათწლეულის საკულტო პიროვნებები იყვნენ, რომელთაც მათი გარეგნობის თუ გავლენის გამო აღმერთებდნენ და რომლის დამსახურებითაც, დღეში 10.000 დოლარზე ნაკლები ჰონორარის პირობებში, საწოლიდან ფეხსაც კი არ დგამდნენ“, – წერს ბრიტანელი მოდის ჟურნალისტი ლინდა უოტსონი.

„ცხელი შოკოლადის“ სტილის აგვისტო-სექტემბრის ნომრის ერთ-ერთი სტუმარი, 1990-იანი წლებიდან დღევანდელ რეალობაში გამომგზავრებული ადამიანია, რომლის ჩვენებებიც, თავის დროზე, ტოპმოდელების ფართო სპექტრით გამოირჩეოდა. ყოველ შემთხვევაში, მასთან შეხვედრის შემდეგ ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა. მიუხედავად იმისა, რომ გაი მატიოლოს ბრენდი დღეს წარსულის დიდების ჩრდილში აგრძელებს ცხოვრებას და სხვა წარმატებული მოდის სახლების ფონზე უკვე ნაკლებ აქტუალურია, ჩემთვის მატიოლოსთან, როგორც 1990-იანი წლების ერთ-ერთ გამორჩეულად გლამურულ დიზაინერთან შეხვედრა, ძალიან საინტერესო და ინფორმაციული იყო.

„სტილის“ რუბრიკის მეორე გმირიც იტალიელია და მოდის სფეროში მისი საქმიანობაც 1990-იან წლებს უკავშირდება, მხოლოდ – განსხვავებულ კონტექსტში. COVHERlab-ის პოპულარული ბრენდის მფლობელის, ახალგაზრდა დიზაინერის მარკო გრისოლიასთვის ეს ეპოქა ყველაზე დიდი მუხტის მატარებელი იყო და სწორედ ამ პერიოდს და ჯანი ვერსაჩეს მიერ მოდაში შემოტანილ ახალ ტალღას უმადლის ის თავდაპირველ ინსპირაციას.

„სტილის“ ამ ნომრის ყველაზე ახალგაზრდა სტუმარი 23 წლის ქართველი მხატვარი და დიზაინერი თამარ სულაქველიძეა, რომლის მიერ სადიპლომო კოლექციისთვის შექმნილ სამოსს – აბრეშუმზე მოხატულ ბატიკას – სპეციალური ფოტოპროექტის სახით, ფოტოგრაფი მარიამ სიჭინავა წარმოგიდგენთ.

ამ საზაფხულო ნომრით, შემოდგომამდე გემშვიდობებით და სასიამოვნო საზღვაო სეზონს გისურვებთ.

Etam
5 Pekini Str. , 16 Chavchavadze Ave.
Natalia Vodianova

ALL WHITE

1. **Chloe**, გაზაფხული-ზაფხული 2012
2. **Alberta Ferretti**, გაზაფხული-ზაფხული 2012
3. **Paul Smith**, გაზაფხული-ზაფხული 2012
4. ჯონ ლენონი და იოკო ონო, 1969 წელი
5. **Jil Sander**, გაზაფხული-ზაფხული 2012
6. ბრიტანელი მოდელი ტვიგი, 1967 წელი
7. **Emilio Pucci**, გაზაფხული-ზაფხული 2012
8. კეტრინ დენევი **Yves Saint Laurent**-ის ქურთუკში, 1965 წლის ზაფხული

VITA MIN

GET READY *for* ABSOLUTE VITAMINIZATION

დღეები ვიტამინებით

მახსოვს, ჩემს ბავშვობაში პატარა, მრგვალ, ყვითელი ფერის ვიტამინებს მასმევდნენ. ეს გემრიელი ბურთები ჩემი საყვარელი „წამალი“ იყო, პრინციპში, რა წამალი... პირს ისე სიამოვნებით ვიტკბარუნებდი, თითქოს კანფეტებს ვკვნეტდი. მას მერე ვიტამინები სულ ბავშვობის გემრიელ მოგონებას მახსენებს, მაგრამ მათ დალევას უკვე ვერიდები: ამბობენ, მადას მატებსო, მომატებული მადა კი ასუქებს. არადა, მთლად ვიტამინების გარეშე ცხოვრებაც არ შეიძლება: მათი ნაკლებობა ხომ ჯანმრთელობისთვისაა სახიფათო.

6 წლის წინ სიტყვა ვიტამინმა ჩემთვის დამატებითი პოზიტიური დატვირთვა შეიძინა. გონიოში ულამაზეს, სრულიად განსხვავებული ინტერიერის და კონცეფციის ახლად გახსნილ კლუბში აღმოვჩნდი. მას შემდეგ ვიტამინის ამ სახით მიღება, ზაფხულში - გონიოში, ზამთარში კი - გადაურში, ჩემი ცხოვრების წესად მექცა.

წელს ის შემთხვევაა, როცა ვიტამინმა თბილისშიც მიხსნა. „აი რაღაც მოგონებები რომ დაგიდგება თვალწინ, ისე ვარ, გონიოში სულ იქ დავდიოდით და ახლა ამ ბურთებს რომ ვუყურებ, რამდენიმე წლის წინანდელი ზაფხული მახსენდება, სულ მანდ ვისხედით“,- მითხრა თბილისის „ვიტამინის“ გახსნაზე ერთმა ჩემმა მეგობარმა. მისი სიტყვები და ჩემი აჭარული არდადეგები ერთდროულად გამახსენდა, როცა აღმოვაჩინე, რომ სექტემბრამდე თბილისიდან ვერ გავდივარ და დედაქალაქის სიცხესთან „შესარკინებლად“ სათანადო ადგილების მოძიება მჭირდება.

ის, რომ თბილისის „ვიტამინში“ მართლაც ნატურალური ვიტამინები დარიგდებოდა, ჯერ კიდევ გახსნაზე მივხვდი: კულტურის ცენტრ „მუზას“ ეკოლოგიურად სუფთა ადგილი და ჰაერი, ნაძვების ჩრდილი და სიგრილე, რომელსაც კუს ტბაზე 2 გრადუსით ნაკლები ტემპერატურა განაპირობებს, უკვე იმის გარანტიაა, რომ „ვიტამინში“ სიცხეს არაფერი ესაქმება. თან ამ ყველაფერს სიმწვანე და კარგად ნაცნობი, გამორჩეული ინტერიერიც ემატება: შემიძლია ჩავეფლო ფუმფულა პუფში, ვინებივრო ჰამაკში და ბალახზე გაშლილ გიგანტურ დაფაზე ვითამაშო ჭადრაკი, თუმცა ეს ყველაფერი განსაკუთრებულად ლამაზი მაინც ღამის განათებების ფონზე მეჩვენება..

კიდევ ერთი ცდუნება, რაც აქაურობისკენ მიზიდავს, თბილისის „ვიტამინის“ ოდნავ განსხვავებული კონცეფციაა, რომელზეც კულტურის ცენტრის გავლენა იგრძნობა. ვიცი, რომ აქ ლიტერატურული საღამოები, გამოფენები და სხვა კულტურული ღონისძიებებიც იმართება, თუმცა დეტალური ინფორმაციისთვის ერთ-ერთ კვირა დღეს კუს ტბიდან მომავალი გზად „ვიტამინშიც“ შევდივარ, აგვისტოს ამბების გასაგებად...

თან სასმელს ვარჩევ, თან მიმტანს ვესაუბრები: რადგან სექტემბერში ქორწილების სეზონი იხსნება და ჩემი თანამოსაუბრე თითზე საქორწინო ბეჭედს ვერ მამჩნევს, ღია ცის ქვეშ ევროპული ქორწილის გადახდას მთავაზობს: „ბოლო დროს ასეთ ქორწილებს ხშირად იხდიან, 200-300 კაციანსაც კი“. „მუსიკაც არის“ ? - ვკითხულობ მე, „რა თქმა უნდა, ყველაფერი ისეა, როგორც მოესურვებათ“,-მპასუხობს სხარტად.

ჩემს ქორწილამდე სავარაუდოდ ჯერ კიდევ შორია, ამიტომ აგვისტოს თვის ივენთებით ვინტერესდები. მეუბნებიან, რომ ყოველ პარასკევს და შაბათს „ბომბა“ საღამოები გაიმართება: რომელიმე ბენდი ან ჯგუფი დაუკრავს, სხვა დღეებში კი ცოცხალი კონცერტების ჩვენებები და კულტურული ღონისძიებები გაიმართება. პერიოდულად „ვიტამინის“ სცენა ნიჭიერი ქართველი შემსრულებლების საინტერესო ექსპერიმენტებს დაეთმობა.

მოკლედ, პროგრამა მრავალფეროვანია, „ვიტამინი“ კი შეუცვლელი: აქ შემიძლია ვიცხოვრო წელიწადის ნებისმიერ დროს, განვიტვირთო, ამოვისუნთქო და ჩავისუნთქო ნატურალური ვიტამინები..

ავტორი ნინო პირველი

COVHERlab-ის რაციონალური ესთეტიკა

ავტორი თამარ ალავიძე
ფოტო მარკო დამიკო
მოდელი ჯორდანა ვასაძე
მაკიაჟი და თმა: ანტონიო კირამელა

ყოველდღიური; ზედმეტობებისგან თავისუფალი; სხეულის ფორმების ამსახველი; რაციონალური ესთეტიკის მქონე – ასე შეიძლება დავახასიათოთ ახალგაზრდა იტალიელი დიზაინერის, მარკო გრისოლიას ნამუშევრები, რომელსაც ის უკვე მეხუთე სეზონია, თავისი ახალბედა ბრენდის COVHERLAB-ისთვის ქმნის.

მიუხედავად იმისა, რომ იტალიაში ყოფნის დროს ყველა მოდის სფეროში არსებულ კრიზისზე მელაპარაკებოდა, ფაქტია, რომ იქ ახალგაზრდა დიზაინერები მაინც აგრძელებენ წინსვლას და სახელის დამკვიდრებას. მარკო გრისოლია და მისი წარმატება ჩემთვის სწორედ ამის მაგალითია. მისი ბრენდი სულ სამი წლისაა, მაგრამ მძაფრი კონკურენციის პირობებში და ზემოთ ხსენებული კრიზისის ფონზე, მარკომ მაინც მოახერხა სამი მაღაზიის გახსნა და მათი უვნებლად შენარჩუნებაც.

საინტერესოა, როგორ იწყებენ დიზაინერები თავიანთ გზას იმ ქვეყანაში, სადაც მოდა არა მხოლოდ ერთ-ერთი უმსხვილესი ინდუსტრია, არამედ კულტურის განუყოფელი ნაწილიცაა და ყოველ ახლად გამოჩენილ დიზაინერს უწევს იმის მტკიცება, რომ ის რაღაც სრულიად ახალს სთავაზობს პუბლიკას? რა სჭირდებათ, კარგი ფინანსური მდგომარეობის გარდა, ახალბედა დიზაინერებს აღიარების მოსაპოვებლად? – მარკო გრისოლიასთან შინ, სტუმრად მისული, საუბარს სწორედ ამ თემებით ვიწყებთ.

„მთავარი კლიენტებისთვის სიახლის შეთავაზების უნარია, – მარწმუნებს მარკო, როდესაც ვეკითხები, თუ რას მიიჩნევდა თავის ყველაზე დიდ „კოზირად“ მაშინ, როცა საკუთარი ბრენდის შექმნას იწყებდა, – ვიდრე Covherlab-ს დავაფუძნებდი, ფლორენციაში Pal Zileri-ს სახლში ვმუშაობდი კრეატიული განვითარების დირექტორად. Covherlab-ის შექმნა კი ჩემი ცხოვრების იმგვარ პერიოდს დაემთხვა, როცა, ფაქტობრივად, ყველა „კარტი გახსნილი მქონდა“ დამოუკიდებელი საქმის დასაწყებად. გამოჩნდა ქალი, რომელმაც პარტნიორობა შემომთავაზა და მენეჯმენტის ნაწილი საკუთარ თავზე აიღო. მე კი საკუთარი ხედვა ასე განვსაზღვრე: მომხმარებლისთვის უნდა შემეთავაზებინა სამოსი, რომელსაც ჟანრი არ გააჩნია: ეს არც რომელიმე კონკრეტული დეკადის გამოძახილი იქნებოდა, არც განყენებულად ქალური, ან მამაკაცური. ვფიქრობ, რომ ჩემი ტანსაცმელი უფრო მამაკაცურსა და ქალურს შორის გზაგასაყარზეა“.

მარკო გრისოლიამ ხელოვნების სკოლაში 3 წელიწადს ისწავლა. მილანში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში Accademia di Belle Arti di Brera-ში მხატვრობას ეუფლებოდა. შემდეგ იყო Pal Zileri-ს სახლში გამოცდილებისა და საკუთარი ბიზნესის დასაწყებად საჭირო თანხის დაგროვების პერიოდი და შემდეგ შეიქმნა Covherlab-ი, რომელიც დღითიდღე პოპულარული ხდება.

– რა არის ის განსხვავებული ხედვა, რაც მარკო გრისოლიას თავის უპირატესობად მიაჩნია? – ვეკითხები დიზაინერს, მაგრამ მისი სახლის ინტერიერის თვალიერებისას პასუხს



თვითონვე ვპოულობ: მგონი, ეს სისადავის ესთეტიკაა. ოთახები სავსეა თეთრი ფერის ავეჯით, მოპრიალებული ზედაპირით, არავითარი ლარნაკები, საფერფლეები ან გადასაფარებლები.

– ქაოსი არ მიყვარს, – მეუბნება თვითონაც, – ადამიანურ ურთიერთობებშიც ვერ ვიტან ზედმეტობას. აი, ამ სახლსაც თუ შეხედავთ, ყველაფერი მინიმალური მაქვს, ვერსად ნახავთ ზედმეტ ნივთს. მაგალითად, მაგიდის გადასაფარებელი – მიმაჩნია, რომ სრულიად ზედმეტია და მაწუხებს. ასევე ვფიქრობ სამოსზეც: არ მიყვარს არაფერი, რაც „გამლამაზებელია“, რადგან მგონია, რომ ადამიანის სხეულს არ სჭირდება „გალამაზება“, ეს ჩემთვის გადაჭარბებული კრეატიულობაა, რომელიც სიმსუყის განცდას მიტოვებს. ადამიანები ისედაც ძალიან ლამაზები ვართ. ამიტომაც ვქმნი სამოსს, რომელიც სხეულის სილუეტს მიჰყვება.

გრისოლიას ნამუშევრების თვალიერებისას, ძნელია, არ დაინახო პარალელი, რომელიც ახალგაზრდა იტალიელის ნამუშევრებს Celine-ის მოდის სახლის ესთეტიკასთან აკავშირებს, რაზეც თავადაც მეთანხმება.

– მომწონს Celine-ის სახლი, ძალიან თანამედროვეა და დინამიკაში მიჰყვება რეალობას. ამ ეტაპზე ნამდვილად არ მაქვს წარსულში ყურების სურვილი და ნოსტალგია, დღევანდელი დღე და მინიმალიზმი მხიბლავს. თუმცა, თუ მინიმალიზმზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ Celine-ის სამოსი უფრო ნეომინიმალიზმი მგონია, ვიდრე წმინდა გაგებით – მინიმალიზმი. აბა, დააკვირდით მის ხაზებს, სილუეტს – საკმაოდ მძიმე ნამუშევარია! ისე კი, სიამოვნებით ვიმუშავებდი ჰელმუტ ლანგის სახლისთვის – ლანგის 1990-იანი წლების ფილოსოფია და ხედვა ძალიან მომწონს და ბევრ საერთოსაც ვხედავ.

1990-იან წლებზე საუბრისას ჰელმუტ ლანგი ერთადერთი არ აღმოჩნდა, ვინც მარკოს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს: „1990 წლებში აბსოლუტურად მოხიბლული ვიყავი ჯანი ვერსაჩეს ნამუშევრებით. ჩემთვის დღემდე ვერსაჩე გლამურის მწვერვალია. მას ჰქონდა უნარი, ინტელექტუალური და არა იაფფასიანი გლამური შეექმნა, რასაც დღეს, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად ვხვდებით. ის, ქალს უფრო ექსტრემალური მხრით წარმოადგენდა – მის შემოქმედებაში ქალი ერთგვარი ქალღმერთი იყო. ვერსაჩეს ხანა ნამდვილად ისტორიული ხანა იყო და მან ქალის შესახებ სრულიად განსხვავებულ შეხედულებას გაუხსნა კარი: ვერსაჩემ ისინი სექსუალურ ქალებად გარდასახა. და ეს ყველაფერი 1990-იანების კულტურულ კონტექსტშიც კარგად ჩაჯდა. დღეს კი ეს ესთეტიკა უკვე აღარ მაინტერესებს, თუმცა ამით, რასაკვირველია შეურაცხყოფას არ ვაყენებ მათ, ვინც ვერსაჩეს მსგავსი სამოსის შექმნას კვლავ ცდილობს.“

ვერსაჩემდე მარკოს მთავარი ინსპირაცია დედა იყო: „მადლობა მინდა დედას გადავუხადო, რომელსაც ძალიან უყვარდა მოდის სფერო. ეს მას განსაკუთრებულ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებდა. ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ვიყავი, როცა სხვადასხვა მოდის სახლებში საყიდლებზე სიარულისას, გვერდიდან არ მიშორებდა. ეს ჩემთვის ძალიან ცოცხალი პროცესი იყო, რომლის შესახებ მოგონებებიც ახლაც ყველგან და მუდამ თან მდევს“.

როგორც თავად ამბობს, „ტიპური თინეიჯერი“ იყო, მაგრამ თანატოლებისგან და მეგობრებისგან განსხვავებით, ერთი გატაცება ჰქონდა: მუდამ ქალის სამოსს ხატავდა: „ეს ჩანახატები განსხვავებული განწყობის და ხასიათის იყო, სილუეტები ძალიან სპონტანურად მომდიოდა თავში. ისე კი, ჩემთვის ყოველთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო სხეულის ფორმები, ადამიანის ანატომიური სხეული და მასთან დაკავშირებული ესთეტიკა. პატარაობისას, მულტფილმების ყურების დროსაც კი, ამას ვაქცევდი ყველაზე დიდ ყურადღებას. როცა გავიზარდე და პირველად შევედი მოდის სამყაროში, უკვე რიჩარდ ავედონის და ვერსაჩეს შემოქმედება იყო ჩემთვის ძალიან დიდი ინსპირაცია. ამ ორი ადამიანისთვისაც სწორედ ქალის სხეული და მისი თაყვანისცემა იყო წამყვანი მამოძრავებელი ძალა.

Covherlab-ის კოლექციები რომში იკერება, იტალიური ქსოვილების და ნედლეულის გამოყენებით და გრისოლიას სამ მაღაზიაში იყიდება რომში, სიცილიასა და ლონდონში. მეუბნება, რომ მილანის მოდის კვირეულში მონაწილეობისგან ჯერჯერობით თავს იკავებს, ძალიან დიდი ხარჯებისა და რთული სიტუაციის გამო: „ახლა ძალიან დელიკატური პერიოდია, დიდი კრიზისია. თუ შევძლებ, ჩემი პროექტის იმ სახით შენარჩუნებას, როგორიც ახლაა, ესეც დიდი მიღწევა იქნება“.



ღილების მეფე – ხმა 1990-იანებიდან

ავტორი თამარ ალავიძე

1990-იანებს მოდის ისტორიაში, ხშირად, სუპერმოდელების ეპოქას უწოდებენ. ეს სინდის, კლაუდიას, ნაომის, ევას, სტეფანის და ლინდას წლებია, როცა სუპერმოდელები, რომელთაც ყველა სახელით იცნობდა და მიმართავდა, ნებისმიერი პრესტიჟული და „პატივმოყვარე“ დიზაინერის ჩვენების განუყოფელი თუ არა, ყველაზე საოცნებო ნაწილი მაინც იყვნენ. როგორც მოდის ინდუსტრიის არაერთი წარმომადგენელი ამტკიცებს, მათგან ყველაზე „უსაქციელო“ ნაომი იყო: ჩვენების დაწყებამდე ერთი საათით ადრე, შეეძლო, ჩვენებაში მონაწილეობის მიღება გადაეფიქრა, ან ბოლო მომენტისთვის მოთხოვნები და პირობები რადიკალურად შეეცვალა. მოკლედ, დიზაინერის უხერხულ და გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენება ნაომის სტილი იყო. თუმცა, მას რჩეული დიზაინერებიც ჰყავდა, რომელთაც „ინდობდა“, პატივს სცემდა და ემეგობრებოდა. ამერიკაში, ასეთი გამონაკლისი ისააკ მიზრაჰი იყო, იტალიაში კი – გაი მატიოლო.

მატიოლოს საღამოს კაბები 1990-იანების წითელ ხალიჩებზე ამშვენებდა შოუბიზნესის და ჰოლივუდის თითქმის ყველა ვარსკვლავს: „ოსკარზე“, თუ „ოქროს გლობუსზე“, ხშირად სწორედ მატიოლოს ირჩევდნენ შერონ სტოუნი, სიუზან სარანდონი, დაიანა როსი, უიტნი ჰიუსტონი. იტალიის ყველაზე რეიტინგული ტელეშოუების წამყვანებიც „პრიმადონა“ მატიოლოს მიერ შექმნილი სამოსით იწონებდნენ თავს მილიონიანი აუდიტორიის წინაშე.

1990-იანი წლების იტალიური მოდის ვარსკვლავს, 44 წლის გაი მატიოლოს ივნისში, რომში ვესაუბრე. ვიცოდი, რომ უიკენდზე, პიზაში მიდიოდა, მეგობრის ქორწილზე დასასწრებად, მაგრამ ინტერვიუზე უარი მაინც არ მითხრა და უკან დაბრუნებული, კვირა საღამოს, ვახშამზე შემხვდა. ინტერვიუსთვის რესტორანი Rosso Pomodoro (წითელი პომიდორი), რომის ცენტრიდან 15 წუთის სავალზე, თვითონ შეარჩია. რომ არ მცოდნოდა, როგორ გამოიყურებოდა გაი მატიოლო, ჯინსის შარვალსა და კუბოკრულ პერანგში გამოწყობილ დიზაინერს, ალბათ, ვერც შევამჩნევდი გამვლელებს შორის, რესტორნის შესასვლელთან უხვად რომ ირეოდნენ.

უკანასკნელი წლების განმავლობაში, გაი მატიოლო „ჩუმად“ არის – სარეკლამო კამპანიებს ჩვეული ინტენსივობით აღარ მიმართავთ, აღარც მილანის მოდის კვირეულზე ჩანხართ. რატომ გადაწყვიტეთ პოლიტიკის შეცვლა და რა ხდება დღეს მატიოლოს სახლში?

თანამედროვე სტომატოლოგია

ექიმის ყველაზე კარგი რეკლამა კმაყოფილი პაციენტია, ხოლო თუ ექიმი იმასაც შეძლებს, რომ პაციენტს თავი შეაყვაროს, ეს მის დიდ პროფესიონალიზმზე და ადამიანური ღირსებების სრულ თანხვედრაზე მეტყველებს. რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე სტომატოლოგიური კლინიკა, ეს კარგად იციან „კუზანოვ დენტში“. ფართო პროფილის სტომატოლოგიურმა კლინიკამ სახელი სამწლიანი წარმატებული პრაქტიკით და მუშაობის ულტრათანამედროვე მეთოდებით გაითქვა. პაციენტების განსაკუთრებული ნდობაც დაიმსახურა. კლინიკა გამოირჩევა თანამედროვე ტექნოლოგიებით სტომატოლოგიაში და მუშაობს ევროპული სტანდარტების შესაბამისად. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს უახლესი, სამი „დ“ ტექნოლოგია - „CEREC“, რომელმაც რეკონსტრუქციულ-ესთეტიკური სტომატოლოგია პაციენტისთვისაც და ექიმისთვისაც განსაკუთრებით კომფორტული გახადა. „CEREC“ დამსახურებაა ისიც, რომ დღეს უკვე საქართველოში მცხოვრებთათვისაც ხელმისაწვდომია ცნობილი „ჰოლივუდის ღიმილი“, ანუ უმაღლესი ხარისხის, ლამაზი ფაიფურის კბილები, სულ რაღაც სამ-ოთხ დღეში.

კლინიკის მთავარ სპეციალისტს, რობერტ აგამირიანს საკუთარ თავზე საუბარი არ უყვარს. ამბობს, ჩემ ნაცვლად ჩემმა ნამუშევარმა უნდა თქვას მთავარი სათქმელიო.

- ბატონო რობერტ, თქვენ ბევრი ცნობილი და პოპულარული პაციენტი გყავთ, რა იზიდავთ მათ „კუზანოვ დენტში“, მხოლოდ ევროპული ტექნოლოგიები?

ალბათ უფრო ჩვენი პაციენტისადმი დამოკიდებულება. თუმცა, ის, რაც კეთდება მსოფლიოს წამყვან სტომატოლოგიურ კლინიკებში, ხელმისაწვდომია ჩვენთანაც, იგივე ხარისხით და ეფექტურობით.

ნინო ჩხეიძე: ვინ წარმოიდგენდა, თუ მე და სტომატოლოგია ასე დავმეგობრდებოდით. არ იცით, როგორ მეშინოდა ბურღის, ექიმის და ნებისმიერი სამედიცინო პროცედურის. ახლა კი პირადი სტომატოლოგი მყავს (იცინის). ჩემმა კბილებმა იმხელა რეზონანსი გამოიწვია და ისე შემცვალა უკეთესობისკენ, ზოგიერთს ჰგონია, რომ სხვა პლასტიკური ოპერაციებიც გავიკეთე.

სტომატოლოგთანაც შეიძლება იპოვო ბედნიერება, თუ ეს სტომატოლოგი რობერტისთანა პროფესიონალი და არაჩვეულებრივი ადამიანია. „კუზანოვ დენტის“ მთელ კოლექტივზე ვგიჟდები. გამორიცხულია, როდესმე, სადმე, თუნდაც ევროპაში, რომელიმე სხვა სტომატოლოგიური კლინიკის კარი შევაღო.

რობერტ აგამირიანი: ორი წელი ნამდვილად არის, რაც „ცერეკის“ ტექნოლოგია „კუზანოვ დენტში“ დავნერგეთ, ანუ, ნინო არ ყოფილა ჩვენი პირველი პაციენტი. საკმაო გამოცდილება უკვე გვქონდა და ასეთ შედეგს ველოდით. ნინომაც იმიტომ გაბედა, რომ ნახა, „ცერეკით“ გაკეთებული ჩვენი კბილები.

ძალიან კმაყოფილები ვართ, რომ სწორედ ის მივიღეთ, რასაც ველოდით. ეს ჩვენი მიღწევაა. იმ პერიოდში, როცა „კუზანოვ დენტმა“ „ცერეკი“ შემოიტანა, ეს გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული. აპარატი ძალიან ძვირადღირებულია. ფასები მაქსიმალურად მოვარგეთ ჩვენი მოსახლეობის გადახდისუნარიანობას. ესთეტიკის თვალსაზრისით, „ცერეკს“ კონკურენტი არ ჰყავს. მაგრამ ისევე როგორც ყველა სხვა აპარატი, „ცერეკიც“ თავის შესაძლებლობებს ავლენს სპეციალისტის ხელში. გამოცდილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. „ცერეკით“ კბილის გაკეთებამ კლინიკაში გასატარებელი დრო ძალიან შეამცირა და სტომატოლოგთან ვიზიტი ამითაც კომფორტული გახადა. ერთ დღეში შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე კბილი. ჩანართების შემთხვევაშიც „ცერეკს“ ბადალი არ ჰყავს, დაზიანებული კბილი სრულად აღდგება და პრაქტიკულად სამუდამოდ. ჩანართს აღარ სჭირდება შეცვლა, რაც ხდება პლომბის შემთხვევაში. „ცერეკი“ არის ბოლო სიტყვა სტომატოლოგიაში.

P.S. დაბოლოს, შეუძლებელია არ მოიხიბლო ნინო ჩხეიძის ან მაია ასათიანის მომაჯადოებელი, „ქათქათა“ ღიმილით. ღიმილი ხომ მთავარი სავიზიტო ბარათია საზოგადოებაში. ამიტომ მეტი პატივისცემით იმსჭვალები იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც „ჰოლივუდის ღიმილი“, ანუ ულტრათანამედროვე სტომატოლოგია ჩვენთვისაც ხელმისაწვდომი გახადა. რობერტ აგამირიანს საათობით შეუძლია უსმინოს პაციენტს და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმაროს. მისი მთავარი ჯილდო, კლინიკაში მისული თითოეული პაციენტის მადლიერი ღიმილია. . .

მოდის ინდუსტრიაში, როგორც მოგეხსენებათ, ახლა კრიზისია. ამიტომაც, ჩვენ განსხვავებული ტაქტიკა ავირჩიეთ: მილანის მოდის კვირეულში აღარ ვიღებ მონაწილეობას, რადგან, გვირჩევნია, მოდის კვირეულის ფარგლებში თავი ავარიდოთ ძვირადღირებულ ჩვენებებს და ეს თანხა უფრო ეფექტურად და ოპტიმალურად გამოვიყენოთ. როცა რეკლამაზე და პრომოუშენზე დიდძალ ფულს ხარჯავ, ეს, შესაბამისად, სამოსის ღირებულებაზეც უნდა ასახო. ხალხი კი ისე თამამად და დაუფიქრებლად აღარ ხარჯავს ათასობით ევროს სამოსში, ასე რომ, დიზაინერებსაც დაფიქრება სჭირდებათ. საჭიროა, ხარისხსა და ფასს შორის ბალანსის შენარჩუნება. ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო, და ახლაც ასეა, როცა ადამიანი ჩემს კაბას ყიდულობს, მას ძალიან მაღალი ხარისხი და განსაკუთრებული ნივთი მივცე. როდესაც რამე განსაკუთრებულად ლამაზის შექმნა გსურს, ამისთვის მაქსიმუმი უნდა გააკეთო. მაგრამ, დღეს ამ ამოცანის მარტო დაძლევა უკვე ძალიან გართულდა – აუცილებლად უნდა გყავდეს დამხმარე ძალა, რომელიც, თავის მხრივ, ძალ-ღონეს არ დაიშურებს და, საბოლოო ჯამში, სასურველი შედეგის მიღწევას შეძლებ. სწორედ ამიტომ, ახლახან, მარლის ისტორიულ ქარხანასთან თანამშრომლობა გავაფორმეთ. პირველი ერთობლივი კოლექცია, გაზაფხული-ზაფხული-2013, უკვე მზად გვაქვს.

მოდის ინდუსტრიის კრიზისს რაც შეეხება, გარედან თითქოს ყველაფერი კარგად არის, ინდუსტრია ყვავის, იზრდება, ამ დროს, პარალელურად, მიმდინარე კრიზისზეა საუბარი. რა ხდება სინამდვილეში?

ცხოვრებაში ყოველთვის ასეა – რაღაც სიმართლეა, რაღაც – მოგონილი. მოდის ინდუსტრიაში კი ყველაფერი ხელოვნურია და გამოგონილი. მართალია, კრიზისი ნამდვილად არსებობს, მხოლოდ ის, საშუალო ფენას ეხება და არა ზედა, შეძლებულ კლასს. ამიტომაც, ამჟამად ძალიან ბევრი მოდის სახლი, თუ ბრენდი, მათ შორის ისინიც კი, რომლებიც ადრე საშუალო ფენაზე მუშაობდნენ, მაქსიმალურად ცდილობს, ფუფუნების კლასში გადაინაცვლოს, ე.წ LUXURY აკეთოს, ზედა ფენას მისწვდეს. იქ, ზედა ფენაში ყველაფერი ზედმიწევნით განსაზღვრული აქვთ: ყველამ იცის, რისი ყიდვა სურს და რისი – არა.

არის ბრენდები, მაგალითად, Prada, რომელიც 46 ზომაზე ზემოთ ქალის სამოსს არ კერავს. მე ასე არ ვიქცევი – მე ვკერავ სამოსს რეალური ქალისთვის, რომელიც შეიძლება იყოს 40 და 50 ზომაც. ჩემთვის ყველაზე დიდი კომპლიმენტი ჩემს სამოსში გამოწყობილი ქალის დანახვაა – ეს ყველაფერს ნიშნავს ჩემთვის.

როგორია გაი მატიოლოს ქალი?

გავლენიანი, ძლიერი. ის სექსუალურია, ქალური და რაც მთავარია, უნდა, საკუთარ თავთან კომფორტულად იგრძნოს თავი. ყველას სურს, სექსუალურად და ქალურად გამოიყურებოდეს, მაგრამ ძალიან ცოტა ქალი თუ გრძნობს თავს კომფორტულად ასეთ სამოსში. მაგალითად, ძალიან ბევრი ქალი ატარებს Prada-ს იმიტომ, რომ ეს Prada-ს ბრენდია და რეალურად კი ეს სამოსი საერთოდ არ ესადაგება მათ პიროვნებას, თუ შინაგან სამყაროს. ამიტომაც, ხშირ შემთხვევაში, სასაცილოდაც კი გამოიყურებიან. მე მინდა, რომ ქალებმა ჩემი სამოსი სწორედ იმ მოტივით შეიძინონ, რომ თავი კარგად იგრძნონ და არა იმიტომ, რომ მას Gai Mattiolo-ს იარლიყი აქვს მიკერებული.

ქალები, რომელთაც მე ვაცმევდი: სიუზან სარანდონი, დაიანა როსი, შერონ სტოუნი, უიტნი ჰიუსტონი, ჰოსნი მუბარაკის მეუღლე სიუზანი, რაისა გორბაჩოვა, იორდანიის პრინცესა რანია – ისინი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულები არიან, ზოგი პოლიტიკოსის ცოლია, ზოგი – კინოვარსკვლავი, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მათ საერთო ის აქვთ, რომ სამოსს კომფორტულობის ნიშნით ირჩევენ. როცა ქალი კარგად გრძნობს თავს ტანსაცმელში, ამას გამომეტყველებაზეც კი შეატყობ. ჩემს მოწოდებადაც ამას მივიჩნევ – ქალს ლამაზად და კომფორტულად ვაგრძნობინო თავი.

ეს მოწოდება თუ მისწრაფება საკუთარ თავში როდის აღმოაჩინეთ?

ძალიან პატარა ვიყავი, როცა მივხვდი, რომ მოდის კეთება მინდოდა. სკოლის შემდეგ, როგორც კი დრო მქონდა, Vogue-ს ვყიდულობდი და ვკითხულობდი. ლიცეუმი როცა დავამთავრე, მამამ განმიცხადა, რომ იურისტი უნდა გამოვსულიყავი. მე კი ვუთხარი, რომ ჩემი ოცნების

ზურაბ საბახტარაშვილის რეპროდუქციული კლინიკა

წარმატებული კლინიკა თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებით და IN VITRO განაყოფიერების გახმაურებული ისტორიით

ზურაბ საბახტარაშვილის რეპროდუქციულ კლინიკას ქართული საზოგადოება კარგად იცნობს. ევროპული სტანდარტების კლინიკა აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, ლაბორატორიებით, ქირურგიული და in vitro განაყოფიერების განყოფილებით. მრავალფეროვანია კლინიკის საქმიანობის სპექტრი: ქალისა და მამაკაცის უნაყოფობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა, in vitro განაყოფიერება, გინეკოლოგიური ენდოკრინოლოგია, ესთეტიკური ენდოკრინოლოგია (ჭარბთმიანობა, ჭარბცხიმიანობა - გამონაყარი, ჭარბი წონა - სიმსუქნე) ნეიროენდოკრინოლოგია (კლიმაქტერული სინდრომი, მენსტრუაციისწინა სინდრომი), კონსერვატიული გინეკოლოგია, ოპერაციული გინეკოლოგია (ლაპაროსკოპია, ჰისტეროსკოპია, ფერტილოსკოპია ლაპარატომია). სწორედ ამ პრობლემების მოგვარებაა შესაძლებელი ზურაბ საბახტარაშვილის რეპროდუქციულ კლინიკაში, რომელიც დაარსებისთანავე გახდა პოპულარული. მისი წარმატებული საქმიანობა ეფუძნება, ერთი მხრივ, მსოფლიოს წამყვანი სამედიცინო ცენტრების და ევროპული გაიდლაინების სტანდარტებს, ხოლო მეორე მხრივ, კლინიკის დამფუძნებლების მრავალწლიან გამოცდილებას ამ დარგში.

კლინიკის დამაარსებელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ბატონი ზურაბ საბახტარაშვილი არის გინეკოლოგიური, რეპროდუქციული და ესთეტიკური ენდოკრინოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში, მას ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და სახელმძღვანელო აქვს მიძღვნილი ამ პრობლემებისადმი. ბატონ ზურაბთან ერთად კლინიკას სათავეში უდგას მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ენდოსკოპიური ქირურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს გინეკოლოგ-ენდოსკოპისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ბატონი არსენ გვენეტაძე. მათი ხელმძღვანელობით კლინიკაში მუშაობს პროფესიონალ ექიმთა გუნდი. და მუდმივად ინერგება ის თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიები, რასაც დღევანდელი რეალობა უყენებს სამედიცინო სექტორს.

ზურაბ საბახტარაშვილი: ჩვენთან დანერგილია ის მეთოდები, რაც დღეს მსოფლიოს წამყვან კლინიკებშია მიღებული. ამას ემატება ჩვენი დიდი გამოცდილება და ცოდნა, რომელიც შეიძლება მხოლოდ წლების განმავლობაში დაგროვდეს. კლინიკის საქმიანობა მისი დაარსებისთანავე მრავალპროფილური იყო, მაგრამ ბოლო წლებში მას დაემატა ქირურგიული განყოფილება და ხელოვნური ფერტილიზაციის ყველაზე თანამედროვე მეთოდი, in vitro განაყოფიერება. გარდა უშვილობის თერაპიისა, ჩვენი კლინიკის მნიშვნელოვან მიმართულებებს წარმოადგენს ესთეტიკური, ნეირო და გინეკოლოგიური ენდოკრინოლოგია, შესაბამისად, ქალბატონებს, რომელთაც აწუხებთ ჭარბთმიანობა სახესა და სხეულზე, კანისა და თმის ჭარბცხიმიანობა და ჩირქოვანი გამონაყარი სახეზე (აკნე), ჭარბი წონა და სიმსუქნე, საშვილოსნოსმიერი სისხლდენები, მენსტრუაციისწინა ან კლიმაქტერული სინდრომი, შეუძლიათ ჩვენთან მიიღონ მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარება.

არსენ გვენეტაძე: დღეს მედიცინა თანამედროვე ტექნოლოგიების ყოველდღიური გამოყენების გარეშე, წარმოუდგენელია რომ წარმატებული იყოს. მათი ყოველდღიურად გამოყენება უშვილობისა და სხვა გინეკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის, სწორედაც რომ, თანამედროვე კლინიკის აუცილებელი პირობაა. მე, როგორც გინეკოლოგ-ლაპაროსკოპისტთა ასოციაციის ერთ-ერთ დამფუძნებელს და მისი პრეზიდენტს, ძალიან მახარებს ის, რომ ამ მიმართულებით საქართველო ევროპული რიგის ქვეყნებს მიეკუთვნება და უკვე ბევრი თანამედროვე კლინიკა გაიხსნა. მაგალითად ჩვენს კლინიკას მოვიყვან, სადაც რეპროდუქტოლოგიაში, უშვილობის სადიაგნოსტიკოდ, ენდოსკოპიური ტექნოლოგიები სრულფასოვნად არის დანერგილი და ათვისებული.

- როგორც ცნობილია, თქვენი კლინიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ხელოვნური განაყოფიერებაა. თქვენს კლინიკას უკავშირდება თბილისში გახმაურებული ისტორია, როდესაც ქალბატონმა, რომელსაც შვილები და შვილიშვილები ჰყავს, სასურველი მემკვიდრის, ვაჟის გასაჩენად, in vitro განაყოფიერება ჩაიტარა.

- დიახ, ეს ისტორია ჩვენს კლინიკასთან არის დაკავშირებული. ქალბატონი, რომელსაც აღარ შეეძლო დაორსულება ბუნებრივი გზით ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემის გამო, in vitro განაყოფიერების წარმატებული პროცედურის შედეგად დღეს ფეხმძიმედაა და რამდენიმე თვეში ელოდება ტყუპებს, რომელთაგან ერთ-ერთი ვაჟია. ეს იყო ჩვენი კლინიკის მიერ ჩატარებული in vitro განაყოფიერების პირველი მცდელობა, რაც ჩვენი გუნდისთვის გახდა დიდი სტიმული. ამ მოკლე პერიოდში გვაქვს ტყუპზე ორსულობის კიდევ ორი შემთხვევა. კლინიკას უშვილობის კონსერვატიული მეთოდებით მკურნალობის შედეგად ყოველთვიურად 10 -14 ორსული ჰყავს, რაც ჩვენი მასშტაბის კლინიკისთვის ურიგო რეზულტატი ნამდვილად არ არის.

- თქვენ მიემგზავრებით პარიზში, ექიმთა საერთაშორისო კონგრესზე. მოგვიყევით ამ კონგრესის შესახებ?

- ჩვენი ქვეყნის და მედიცინის კიდევ ერთ საერთაშორისო წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს ის სასიამოვნო ინფორმაცია, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინ მივიღე - ევროპის გინეკოლოგ-ენდოსკოპისტთა ასოციაციის სამდივნომ გვამცნო თავისი საბოლოო გადაწყვეტილება, რომ პარიზში, ამ ასოციაციის კონგრესის მსვლელობისას ერთი სპეციალური სესია 14 სექტემბერს მთლიანად დაეთმობა საქართველოს გინეკოლოგ-ენდოსკოპისტთა ასოციაციას. სესიაზე, როგორც ამ ასოციაციის პრეზიდენტი, წარმოვადგენ გინეკოლოგ-ენდოსკოპისტთა ასოციაციის მუშაობის ანგარიშს, ასევე განიხილება სხვადასხვა დაავადების დიაგნოსტიკისა და მართვის პროტოკოლები, რომლებსაც ამზადებს ჩვენი ასოციაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შეკვეთით, საგრანტო პროგრამის ფარგლებში. ზემოხსენებული პროტოკოლები წამყვანი ევროპული კლინიკების გამოცდილებას ეფუძნება და შესაბამისი დამტკიცების შემდეგ გახდება ქართველ ექიმთა სამოქმედო გეგმა.

კიდევ ერთი ნაბიჯი ევროპაში ინტეგრაციისკენ!

- ქალისა და მამაკაცის უნაყოფობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა
- IN Vitro განაყოფიერება
- გინეკოლოგიური ენდოკრინოლოგია
- ესთეტიკური ენდოკრინოლოგია (ჰირსუტიზმი, სებორეა/აკნე, ჭარბი წონა/სიმსუქნე)
- ნეიროენდოკრინოლოგია (კლიმაქტერული სინდრომი, მენსტრუაციისწინა სინდრომი)
- კონსერვატიული გინეკოლოგია
- ოპერაციული გინეკოლოგია (ფერტილოსკოპია, დიაგნოსტიკური და ქირურგიული ლაპაროსკოპია, ჰისტეროსკოპია, ლაპაროტომია)



ასრულება მსურდა და თუ არაფერი გამომივიდოდა, მხოლოდ მაშინ დავთანხმდებოდი იურისტობას. 50 მილიონი ლირა მომცა და სცადეო, მითხრა. ვცადე და, როგორც ხვდებით, უნივერსიტეტს და იურისტობას აღარასდროს მივბრუნებივარ.

18 წლის ვიყავი, როცა პირველი კოლექცია შევქმენი. ძალიან მომწონდა და დღემდე მხიბლავს ღილების იდეა, უცნაური და გამორჩეული ღილები – თავის კვალს რომ ტოვებენ სადა და უბრალო სამოსზე. პირველ კოლექციაშიც ძვირფასი ღილები მქონდა აქცენტად. ეს მაშინ „ახალი ხილი“ იყო და მახსოვს, პირველივე კოლექციის შემდეგ საკმაოდ ბევრი შეკვეთა მივიღე და მალე, კლიენტების დიდი წრეც გამიჩნდა. ღილებს სხვადასხვა ქსოვილისგან და მასალისგან ვქმნიდი. ეპოქა იყო ისეთი, დიდი ღილები იმდროინდელ რეალობას ძალიან უხდებოდა. „ღილების მეფეც“ კი შემარქვეს მეტსახელად.

ასევე, ღილების თემას უკავშირდება თქვენი ქურთუკი, რომელიც მილანში, თქვენს ჩვენებაზე, ნაომის ეცვა და რომელიც შემდეგ გინესის რეკორდების წიგნშიც კი შევიდა, როგორც ყველაზე ძვირადღირებული ქურთუკი.

შავი ქურთუკი, სამი ღილით, მაღალი ყელით და შუაზე ზომიერად გახსნილი. ეს ქურთუკი მაშინ მილიონ დოლარად შეაფასეს. სამი ღილიდან ერთი ლალის თვლის იყო და ორი – ზურმუხტის, თითოეული მათგანი კი 100 კარატის. დამატებით, ბრილიანტებითაც იყო მორთული, თუმცა ყველაზე დიდი „სიგიჟე“ მაინც ის იყო, რომ ეს ქურთუკი გავყიდეთ! ბევრი შეკვეთაც მივიღეთ შემდეგ, ამ ქურთუკის ნაკლებად ძვირადღირებული ასლების დამზადებაზე, მახსოვს, ვერ ავუდიოდით შეკვეთებს.

1997 წელს გხვდათ პატივი, რომის ცენტრში, ესპანეთის მოედნის საფეხურებზე თქვენი 10 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ჩვენება გაგემართათ. როგორი შეგრძნება იყო?

ძალიან ბედნიერი ვიყავი, ვინაიდან ერთადერთი დიზაინერი ვიყავი, ვისაც შესაძლებლობა მიეცა ეს საპატიო და პრესტიჟული ადგილი კოლექციის წარსადგენად გამოეყენებინა. ყველაზე ღირსშესანიშნავი ფაქტი კი ნაომის გამოყვანა იყო – ნაომი ძალიან ხშირად გამოდიოდა ჩემს ჩვენებებზე. თუმცა, როგორც სჩვეოდა, იმ ჩვენების დროსაც ბოლო მომენტამდე იყოყმანა, მერე კი, როცა თანხმობა განაცხადა, კერძო თვითმფრინავი და განსაკუთრებული აპარტამენტები მომთხოვა. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, მოვუგვარე. როცა რომში ჩამოვიდა და მოედანზე გამოვიდა, საფეხურების გამო სრული პანიკა დაემართა. ამიტომაც, მომიწია თანმხლები პირის გაყვანა პოდიუმზე, რომ უსაფრთხოდ ეგრძნო თავი. ნაომის გარდა, ვალერია მაცა, ევა ჰერციგოვა, კარლა ბრუნი, რომლებიც, როგორ წესი, მხოლოდ პარიზის პოდიუმებზე გამოდიოდნენ ხოლმე, რომში, ჩემი თხოვნით, ყოველთვის ჩამოდიოდნენ და მონაწილეობას იღებდნენ ჩემს ჩვენებებში.

ახლა რომ გიწევდეთ დაწყება, როგორ ფიქრობთ, შეძლებდით ისევე წარმატებული ყოფილიყავით, როგორც ეს 1990-იან წლებში მოხდა?

ძალიან გამიჭირდებოდა. მაშინ კრიზისი არ არსებობდა და ხალხიც უფრო ღია იყო რაღაც ახლის მისაღებად. ახლა ასე არ არის – მომხმარებელს ძალიან მალე ბეზრდება სიახლე. არ ვიცი, ალბათ ინტერნეტის ბრალია, სადაც ყველაფერი შეგიძლია უმალვე ნახო და მოგბეზრდეს. როგორც კი კაბას ვინმე წითელ ხალიჩაზე მოირგებს, ეს კაბა უკვე მოძველებულია. წლების წინ სხვანაირად იყო – უნდა დალოდებოდი, მაღაზიის „ვიტრინა“ რას შემოგთავაზებდა. ახლა კი, უკვე ყველამ წი-

ნასწარ იცის, რა გამოიფინება ფანჯარაში.

ტენდენციებს თუ ითვალისწინებთ კოლექციაზე მუშაობისას და რას ფიქრობთ საერთოდ ამ ფენომენზე?

ჩემი აზრით, ტრენდი, როგორც ასეთი, აღარ არსებობს. მე თუ რაღაც მომწონს, ამას, უბრალოდ, ვაკეთებ. არავითარი ტრენდი ჩემთვის არ არსებობს. ვერავინ მეტყვის, რომ აი, ახლა, ამ სეზონზე მინი-ქვედაბოლოებია მოდაში და გავაკეთოთო. როგორც ხელოვნების მუზეუმში, ყველა მხატვარს მისთვის დამახასიათებელი უნიკალური სტილი აქვს, ისეა მოდაშიც – ყველამ ის უნდა აკეთოს, რაც მას მოსწონს და არა ის, რაც მოდაშია. მაგალითად, წითელი ვალენტინოა. თუ ჯორჯო არმანის კოლექციაში წითელს წაანწყდებით, შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ. აი, ეს არის უნიკალური, შენთვის დამახასიათებელი სტილი! ჟურნალისტები და მედია ქმნიან ტრენდებს და არა დიზაინერები. საერთოდ მოდის კულტურა იცვლება, ჟურნალისტებმა ახლა მოდის და კოსტიუმის ისტორია აღარ იციან. წარსულის კულტურა აღარ არსებობს. შემიძლია გალიციინის კაბა მოვიპარო და ბევრი ვერ მიხვდეს. ასეთი განათლებული ჟურნალისტები ახლა ძალიან ცოტაა. ამ მხრივ საინტერესო არიან უცხო ბაზრების და ქვეყნების ჟურნალისტები, რომლებსაც ნასწავლი აქვთ ისტორია და განათლებულები არიან. ეს ახალი სამყაროა, რომელსაც უამრავი ახალი და საინტერესო რამის შემოთავაზება შეუძლია. თუნდაც ეს ინტერვიუ – გაცილებით საინტერესო იქნება, ვიდრე თანამედროვე მოდის ჟურნალისტების ინტერვიუები იმის შესახებ, თუ რა არის ამ სეზონზე მოდაში, რა ქსოვილებს ვიყენებთ, რა ფერებია და ა.შ. ხომ ხვდებით, ეს ევოლუციაა!

საერთოდაც, მიმაჩნია, რომ ყველაფერი ქუჩიდან მოდის. ჩვეულებრივი ადამიანების სტილი, მათი ყოველდღიურობა, დინამიკა. შეგიძლია მუდმივად იჯდე ულამაზეს სახლში, მაგრამ იქ არაფერი შეიცვლება. ყველაფერი მუდამ ლამაზი იქნება, მაგრამ უცვლელი. თუ ქუჩაში გაიხედავ, მსოფლიოს და მის ცვლილებებს დაინახავ. ამიტომაც, მომწონს ქუჩის სტილის ცნების გაჩენა. რაც არ უნდა ეცადო, ვერ გააჩერებ დედამიწის ბრუნვას. ასეა მოდაშიც – რაღაცები მუდმივად იცვლება და ვფიქრობ, კარგიც ბევრი ხდება. ეს ქუჩის სტილი სხვადასხვა ქვეყნის ადამიანებს აერთიანებს, ერთად უყრის თავს და ათასი საინტერესო იდეის საწყისი შეიძლება იყოს. ამ გზით, ყველას შეუძლია საკუთარი ადგილი, თუნდაც პატარა სივრცე გამოძებნოს.

საინტერესო აქცენტები პარიზის მაღალი მოდის კვირეულიდან

ავტორი ნინუცა ივარდავა

GIAMBATTISTA VALLI COUTURE, შემოდგომა 2012

ARMANI PRIVÉ, შემოდგომა 2012

ჩვენთვის, ჩვეულებრივი მოკვდავებისთვის, ფრაზა – „Haute Couture“, ხშირ შემთხვევაში, „არაჩაცმად“, თეატრალურ და ექსცენტრულ სამოსთან ასოცირდება, სახელგანთქმული ვარსკვლავებისთვის ის წითელი ხალიჩისთვის მოსამზადებელ ეტაპს მოასწავებს, მოდის ჟურნალების რედაქტორები კი ნომრის ძირითადი ფოტოპროექტისთვის არჩევენ მოდელებს. თუმცა, როგორც არ უნდა იყოს, მაღალი მოდის კვირეულის სეზონი მოდის სფეროში წლის ყველაზე საინტერესო მოვლენად რჩება. ყველაზე სასურველი, ოსტატურად შეკერილი და ძვირადღირებული კაბები სწორედ ამ სეზონისთვის იქმნება. „მაღალი მოდა საშუალებას გაძლევს, გაექცე ყოველლდღიურ მოდას, ეს სრულიად სხვა რამ არის“, – ამბობს იტალიელი დიზაინერი, ჯამბატისტა ვალიც Vogue-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, წლევანდელი შემოდგომა-ზამთარი მაღალი მოდის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მშვიდი და სადა სეზონია. როგორც ჩანს, ლაკრუას, მაკქვინის და გალიანოს გაქრობამ მაღალ მოდას თავისი კვალი დაატყო. განსაკუთრებით „დააწყნარა“ სურათი გალიანოს წასვლამ და მის ნაცვლად Dior-ის შემოქმედებითი დირექტორის პოსტზე მისივე სტუდიის ხელმძღვანელის, ბილ გეითენის, დროებითმა დანიშვნამ. მოდის სამყარომ „შვებით ამოისუნთქა“ მას შემდეგ, რაც რაფ სიმონსი ოფიციალურად დამტკიცდა Christian Dior-ის მოდის სახლის ხელმძღვანელად და Jil Sander-იდან წასულ სიმონსს კი უდიდესი პასუხისმგებლობა დაეკისრა.

ლურჯი, წითელი, ყვითელი, თეთრი და მკრთალი ვარდისფერი ორქიდეებით, გეორგინებით, ყაყაჩოებით და ვარდებით დაფარულმა კედლებმა რაფ სიმონსის სადებიუტო კოლექციისთვის იდეალური ფონი შექმნა. ჩვენების წინა დღეს დაახლოებით მილიონი ასეთი ყვავილი სათითაოდ, ხელით დაამაგრეს ერთ-ერთი პარიზული სასტუმროს ხუთივე სალონის კედლებზე. სიმონსის დებიუტის მოლოდინი იმდენად დიდი იყო, რომ ინდუსტრიის წამყვანი დიზაინერები – მარკ ჯეიკობსი, დაიან ვონ ფურსტენბერგი, აზედინ ალაია, ალბერ ელბაზი, ოლივიე თეისკენსი, დონატელა ვერსაჩე, პიერ კარდენი, კრის ვან აში თავად დაესწრნენ ჩვენებას და ამით თითქოს თავი დაუკრეს სიმონსის ნიჭს.

სიმონსმა კოლექციის წამყვან ხაზად კრისტიან დიორის მდიდარი მემკვიდრეობიდან სწორედ მთავარი – 1947 წლის ქვიშის საათის სილუეტი (New Look) აირჩია, მას თანამედროვე ანტვერპენული ხედვა, ოსტატობა და სიზუსტე დაუმატა და შედეგად მივიღეთ დახვეწილი და უზომოდ ქალური კოლექცია. სიმონსის ეს დებიუტი Dior-ის ლეგენდარულ სახლს ახალი და ალბათ, გაუმჯობესებული ეპოქის დასაწყისს უქადის, რაც ჩვენების დასრულების შემდეგ სტუმრებმა ერთხმად აღიარეს.

„არმანის ყველაზე დამაჯერებელი ჩვენება დღევანდელ დღემდე“, – ასე შეაფასა Armani Prive-ს ჩვენება Vogue-ის ერთ-ერთმა მიმომხილველ-



CHRISTIAN DIOR COUTURE, შემოდგომა 2012



MAISON MARTIN MARGIELA COUTURE, შემოდგომა 2012

მა. რთულია არ დაეთანხმო, რადგან არმანიმ კარგა ხანია, მოდის სფეროში რაღაც ახლის და ამაღელვებლის თქმის უნარი დაკარგა. მისი ბოლოდროინდელი კოლექციები ლამაზი საღამოს კაბის შექმნის ნიჭის გამოვლინება უფრო იყო, ვიდრე ერთიანი ნაფიქრის გადმოცემის მცდელობა. ამგვარად, მოულოდნელი აღმოჩნდა მისი ბოლო კოლექცია, რომელიც განთიადის და მზის ჩასვლის ფერებით შთაგონებული სამოსით გაიხსნა და საბოლოოდ ბნელი და შუაღამის ფერთა გამით დაგვირგვინდა. ქუდების ცნობილი მკერავის, ფილიპ ტრეისის მიერ შექმნილმა შავმა ხავერდის ბერეტებმა, მძივებით მორთულმა აღმოსავლურმა პირბადეებმა, ხავერდის ფრიალა შარვლებმა და არმანის საკულტო, წყვდიადის ფერში გადაწყვეტილმა საღამოს კაბებმა ერთ-ერთ ყველაზე დრამატულ და მისტიკურ შოუს დაუდო საფუძველი.

თითქმის უნაკლო გახლდათ ჯამბატისტა ვალის ჩვენება, რომელიც კიდევ ერთხელ იმის მტკიცებულებაა, რომ Haute Couture შესაძლოა, იყოს საოცრად იდუმალი, ექსცენტრული და ამავე დროს, მისი ნიმუშების ჩაცმაც შეიძლებოდეს. ვალიმ მონეს მხატვრობით ინსპირირებული პრინტები წარმოადგინა. ყვავილოვანი და ფოთლოვანი აპლიკაციებით შექმნილმა ქვედაბოლოებმა და კაბებმა, ალისფერმა და მუქი ნეფრიტის ფერმა კაბებმა, მოდელების სახეებზე გადაკრულმა პირბადეებმა, თვალებზე გადასმულმა ბრჭყვიალა ჩრდილებმა და ტუჩებზე მიკრულმა პეპლების ასლებმა, პოდიუმი ფერიების სამყაროდ გარდაქმნეს.

პარიზის მაღალი მოდის კვირეული „ანტვერპენის ექვსეულის“ წარმომადგენელმა, Maison Martin Margiela-მ დახურა. კულტად ქცეული დიზაინერი მარტინ მარჟიელა დიდი ხანია, თავის მოდის სახლს ჩამოშორდა და მემკვიდრეობა ოსტატთა თეთრხალათიანთა ჯგუფს, კომერციული მხარე კი Diesel-ის ჯგუფის მფლობელ რენცო როსოს დაუთმო, რომლებიც ერთობლივად, ასე თუ ისე, ახერხებენ მარჟიელას მისტიკურობის, ანონიმურობის და ხარისხის შენარჩუნებას. თუმცა, წლების განმავლობაში დაგროვილმა გულშემატკივართა რიცხვმა ნელ-ნელა იკლო, რის მიზეზადაც მოდის სახლისთვის უჩვეულო კომერციულ ნაბიჯებს ასახელებენ. მაგალითად, H&M-ის ქსელთან თანამშრომლობა, რაც, გულშემატკივართა თქმით, მარჟიელას იდენტობას შეურაცხყოფს. თუმცა მეეჭვება, რომ 2012 წლის შემოდგომა-ზამთრის Artisanal Couture კოლექციას რომელიმე გულშემატკივრისთვის იმედი გაეცრუებინა. ანონიმურობა, უსარგებლო და ერთი შეხედვით გამოუყენებადი ნივთების გადამუშავება – მარჟიელას მთავარი დამახასიათებელი ნიშან-თვისებებიდან ორივე იყო წარმოდგენილი ბროლით გაწყობილი ნიღბების და ბეისბოლის ხელთათმანებისგან შეკერილი კაბებისა და ქურთუკების სახით. მარჟიელას ხელმძღვანელობით თუ მის გარეშე, ცხადია, რომ ჯგუფს ჯერ კიდევ აქვს საკმარისი რესურსი იმისთვის, რომ მოდის სახლმა კიდევ დიდ ხანს შეძლოს დამკვიდრებული მომხიბვლელობის შენარჩუნება.

თანამედროვე ესთეტის სამყარო

ავტორი თამარ სულავა



არ ვიცი, რატომ, მაგრამ ლოგომანიით შეპყრობილი ხალხის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობა მაქვს: „პაიძიომ ვერსაჩე!"; „რუსლან, დავაი კუპი ოჩკი დეგე", – ახალი რუსი ტურისტების მიერ წარმოთქმულ ამ სიტყვებს ხშირად გაიგებთ რომში, „ვია კონდოტი"-ზე – ქუჩაზე, სადაც ძვირფასი ბრენდების MAX MARA-ს, VALENTINO-ს, LOUIS VUITTON-ს, BULGARI-ს, ARMANI-ს და სხვა მაღაზიებია თავმოყრილი. ფეშენისტი ტურისტები იმდენ დროს ატარებენ მოდური სამოსის და აქსესუარის არჩევაში, რომ ზოგჯერ ქალაქიდან ისე მიდიან, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე არქიტექტურის მარგალიტების დათვალიერებით თავსაც არ იწუხებენ.

მოკლედ, ლოგოების მიმართ გაღიზიანებას მართალია, ვერ ვმალავ, მაგრამ როდესაც ერთმა ქართველმა სტუმარმა ფლორენციაში გუჩო გუჩის მუზეუმში გაყოლა მთხოვა, უარი ვერ ვუთხარი. ასე აღმოვჩნდი იმ ლეგენდარული დიზაინერის შემოქმედებისადმი მიძღვნილ უზარმაზარ ექსპოზიციაზე, რომლის ლოგოც ერთ-ერთი ყველაზე „მონუმენტური" და ყველაზე გავლენიანიცაა, როგორც მოდის ისტორიით გატაცებულ ჟურნალისტებსა და მკვლევრებს, ისე უდარდელ ფეშენისტებს შორის.

გუჩის მუზეუმი სულ ახალი დაარსებულია. ქალაქის გულში, პიაცა სინიორიაზე, მე-14 საუკუნეში აშენებულ Palazzo della Mercanzia-ში მისი კარი შარშან შემოდგომაზე გახსნეს. პრეზენტაცია, ცხადია, მოდის სახლის 90 წლის იუბილეს დაამთხვიეს.

ზუსტად 90 წლის წინ გუჩის ისტორია სწორედ ამ ქალაქში დაწყებულა, როცა 21 წლის გუჩომ მოდის სახლი დააარსა და ცნობილი ტოსკანური მეთოდით ტყავის წარმოება დაიწყო.

ადრეულ ასაკში გუჩო, თურმე, ლონდონის სასტუმრო Savoy-ში მუშაობდა და ამბობენ, ამ გამოცდილებამ მას ინგლისელი თავადების რაფინირებული გემოვნება შესძინაო. ალბათ, სამართლიანი იქნებოდა იმის აღნიშვნა, რომ სწორედ ამ გამოცდილებამ ითამაშა გუჩის წამოწყებაში მნიშვნელოვანი როლი და მას დახვეწილი გემოვნების მქონე არისტოკრატების წრეში აღიარების მოპოვება გაუადვილა: საწარმოს დაარსებიდან რამდენიმე წელიწადში გუჩის ჩანთები, ქამრები, ხელთათმანები, თუ ფეხსაცმელები საერთაშორისო ელიტის საყვარელ აქსესუარებად იქცა. სულ მალე კი, გუჩის ქმნილებებს ისეთი საკულტო სტილის მქონე ქალბატონები ირგებდნენ, როგორებიც ოდრი ჰეპბერნი, მარია კალასი, ჯეკი კენედი და უინძორის გრაფინია იყვნენ.

მუზეუმის დაარსება მოდის სახლის ამჟამინდელი შემოქმედებითი დირექტორის, ახალგაზრდა ფრიდა ჯანინის ინიციატივაა. ექსპოზიცია სამი სართულისგან შედგება, თითოეული ოთახი Gucci-ის სიმბოლოებით და საკულტო მოტივებით ინსპირირებულ თემებად არის დაყოფილი და სტუმრებს Gucci-ის ისტორიაში ერთგვარ ექსკურსიას სთავაზობს.

პირველი დიდი დარბაზი მოგზაურობის თემას ეხება, სადაც სამგზავრო ჩემოდნები, ზარდახშები და სხვა აქსესუარებია გამოფენილი. აქ მოდის სახლის მიერ 1960-იან წლებში ჟაკლინ კენედისთვის შექმნილი ჩანთა ვნახე, რომელიც „Jackie O"-ს სახელითაა ცნობილი. ჟაკლინის ჩანთის „მეზობლად" ჯინა ლოლობრიჯიდას, სოფია ლორენის, ჟან პოლ ბელმონდოს, როჯერ მურის, ირანის შაჰის რეზა ფაჰლავის ცოლის, სორაიასთვის შექმნილი ჩემოდნები და სხვადასხვა ნივთები იყო გამოფენილი. მომდევნო

დარბაზში დელიკატური და პოეტური წარმოსახვის „ფლორას სამყაროში“ აღმოვჩნდი – მოდის ისტორიის მიმდევრებს, აუცილებლად ემახსოვრებათ ფერადი ყვავილებით, პეპლებისა და მწერების გამოსახულებით გაფორმებული შარფი, რომელიც რუდოლფო გუჩიმ ფლორენციაში, 1966 წელს, მეუღლესთან ერთად სტუმრად ჩასულ პრინცესა გრეის კელის შეუკერა. ეს შარფი მოგვიანებით გრეის კელის განუყრელ აქსესუარად იქცა.

ჩვენი ტური მეორე სართულზე გაგრძელდა, სადაც ოთახები საღამოს თემითაა მორთული: კანის, ლოს-ანჯელესის თუ ნიუ-იორკის წითელი ხალიჩებისა და სხვა პრესტიჟული ღონისძიებებისთვის მაგიური კრეატიულობით შექმნილმა კაბებმა ზღაპრულ სამყაროში გადამიყვანა. მერე „Sala Preciozi“-ც მოვინახულეთ – ძვირფასეულობის დარბაზი, სადაც უნიკალური სამკაულები და პატარა ზომის ხელჩანთებია გამოფენილი.

იქიდან ლოგომანიის დარბაზში გადავინაცვლეთ. ეს სივრცე გუჩო გუჩის მიერ შექმნილი „G“ მონოგრამის ევოლუციას ასახავს, რომელიც, თავის მხრივ, „Made in Italy“-ს უკვდავ ემბლემად იქცა.

გუჩის სამყაროში მოგზაურობის ბოლო ნაწილი კი სპორტსა და ცხოვრების სტილს დავუთმეთ. ამ ექსპონატებით კარგად ჩანს გუჩის განსაკუთრებული დამოკიდებულება სპორტისადმი: გოლფის სათამაშო ატრიბუტიკა, ჩოგბურთის ჩოგნის ჩანთა, ერთი სიტყვით, გუჩის შეხედულებები სპორტულ დისციპლინაზე. აქ შეგიძლიათ იხილოთ მაგიდის ლამპებიც, პიკნიკისთვის განკუთვნილი თეფშებისა და ჭიქების კრებულიც – მგონია, რომ ეს ყველაფერი ესთეტიკის მწვერვალია.

Palazzo della Mercanzia-დან გამოსულს სასიამოვნო შეგრძნება დიდხანს გამყვა, ვფიქრობდი ადამიანის გონების შესაძლებლობებზე, ოცნებების სამყაროს გაცოცხლებაზე, ფანტაზიის უნარზე, იმაზე, თუ როგორ შეიძლება ეს ფანტაზია რეალობად აქციო. ახლა Gucci აღარ იყო ჩემთვის მხოლოდ რუსი და, ზოგადად, ფეშენისტა ტურისტების საყვარელი ბრენდი, უკვე, თითქოს, აღარც ლოგომანიით შეპყრობილები მაღიზიანებდნენ. უფრო პირიქით – რომში დაბრუნებისას, ჩემს მეგობარს ფლორენციული ამბები მოვუყევი და ვთხოვე, ვია კონდოტიზე წამომყოლოდა, იქნებ რამე „ბრენდული“ გამოგვეყოლებინა ხელს...

საკურა

ფოტო მარიამ სიჭინავა
მოდელი და კაბის ავტორი: თამარ სულაქველიძე

კოლექციას, რომელიც ამ ფოტოპროექტშია ასახული, „აღმოსავლური ინტერვენცია“ ვუწოდე. ეს სახელწოდება იმიტომ შევარჩიე, რომ ჩემი ნამუშევრები ზუსტად კი არ იმეორებს იაპონურ სტილს, არამედ ევროპული ელემენტებითაცაა გაჯერებული.

ზოგადად, ძალიან მომწონს იაპონური მოხატულობა, წყლის ტექნიკა, რადგან ის ნახატს სინაზეს ჰმატებს. სპეციალურად არ გამოვიყენე მკვეთრი ფერები, მინდოდა, ნამუშევრებს შერჩენოდა თავისებური მოკრძალება, რისი გამოხატვაც, ჩემი აზრით, ფერწერით ძალიან კარგად შეიძლება. მგონი, ჟურნალის მკითხველი თვითონვე შენიშნავს, რომ კოსტიუმში მთავარი ელემენტი იაპონური საკურაა, ოღონდ, როგორც უკვე გითხარით, ევროპული ნიუანსებით სახეცვლილი.

ახლა სამხატვრო აკადემიის მოდელირების ფაკულტეტს ვამთავრებ, მოხატვის განხრით. ამავე დროს ვარ პროფესიონალი ფერმწერი და დამთავრებული მაქვს ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის ფერწერის ფაკულტეტი, ამიტომ ჩემთვის მოხატვა უფრო მეტია, ვიდრე კოსტიუმის დეკორი.

ტექნოლოგიური სნობიზმი

ავტორი ნინო ნატროშვილი

– iPhone-ის მფლობელები ეგრევე როგორ უნდა იცნო, იცი?

– არა, როგორ?

– როგორ და... მისალმებიდან ზუსტად ორ წუთში იღებენ ტელეფონს და თვითონვე გაჩვენებენ, რომ iPhone-ი აქვთ!

– მოიცა, მეც ეგრე ვარ? – ვკითხე ჩემს მეგობარს მას შემდეგ, რაც iPhone-ზე ახალი ანეკდოტი მიამბო.

– კი! სულ ხელში გაქვს, – მიპასუხა ღიმილით.

ჩემს მეგობარს მაშინ BlackBerry ჰქონდა – კლავიატურიანი ტელეფონი, მერე თვითონაც „თაჩსქრინიანი“ HTC იყიდა და ჯიბეში მგონი, აღარც ჩაუდვია...

ბოლო დროს ვხედავ, რომ ყველანი ასე ვართ – ტელეფონები, ლეპტოპები, პლანშეტები, ბუკრიდერები – ჩვენი საყვარელი გაჯეტები მუდმივად ხელში გვაქვს. ჩავრთავთ, გამოვრთავთ, დავდებთ, ისევ ავიღებთ. ისინიც მღერიან, უკრავენ, იმახსოვრებენ, წერენ, კითხულობენ, აჩვენებენ, ფოტოებს იღებენ და კიდევ ათას რამეს აკეთებენ. სოციალურმა ქსელებმა ბოლო მოდელის მაღალტექნოლოგიურ გაჯეტებზე მოთხოვნა კიდევ უფრო გაზარდა: ფოტო ხომ უნდა გადაიღო, მერე მაშინვე ატვირთო და სხვებს აჩვენო, თან სულ ხაზზე უნდა იყო, კომენტარები რომ ნახო და თან თითოეული შენი ქმედებით უნდა აჩვენო, რომ ამ ყველაფერს iPhone-ის ან Android-ის მეშვეობით აკეთებ...

ტექნოლოგიური მოწყობილობების მნიშვნელობა იმდენადაა გაზრდილი, რომ ფსიქოლოგები დამოკიდებულების არსებობაზეც საუბრობენ. ჯერ კიდევ 2003 წელს კვლევითმა ორგანიზაციამ BenchmarkResearch-მა მარკეტინგული კვლევა ჩაატარა. გამოკითხვაში 18-დან 45 წლამდე ფრანგი, ესპანელი, პოლონელი, გერმანელი, იტალიელი და ინგლისელი მომხმარებლები მონაწილეობდნენ. აღმოჩნდა, რომ თითოეულ მათგანს 1 გაჯეტი მაინც ჰქონდა: 93 პროცენტი ყველაზე ხშირად მობილურ ტელეფონს იყენებდა, 73 პროცენტი – ლეპტოპს.

თურმე გაჯეტებზე განსაკუთრებით არიან დამოკიდებულები ბრიტანელები, რომლებიც მოწყობილობებს ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე ყიდულობენ, მათ პოლონელები მოსდევენ. საპატიო სამეულს იტალიელები აგვირგვინებენ. მათი დიდი ნაწილიც მოწყობილობებს აბსოლუტურად გაუცნობიერებლად ყიდულობს.

ერთი საინტერესო დეტალიც: ქალები ახალი გაჯეტის ყიდვის გამო მზად არიან, კოსმეტიკის ფული დაზოგონ, მამაკაცები კი თანახმანი არიან, შვებულების ბიუჯეტი შეამცირონ. ანალიტიკოსები, რომლებიც შედეგებს ამუშავებდნენ, ყურადღებას ყიდვის მოტივაციაზეც ამახვილებდნენ. გაირკვა, რომ ბევრი რესპონდენტი ამა თუ იმ გაჯეტს არა აუცილებლობის ან რაიმე უნიკალური ფუნქციის გამო იძენს, არამედ მოდასაა აყოლილი, ანდა სურს სხვების თვალში თანამედროვე იმიჯი ჰქონდეს. ზოგს კი იმის ხაზგასმა სურს, რომ ინდივიდუალური სტილი აქვს და არ ეკუთვნის მასას, რომელიც სულ სხვა ტელეფონებს ხმარობს, თვითონ კი ამ კონკრეტულ გაჯეტს. რაც უფრო ძვირი ღირს მოწყობილობა, მით უფრო წარმოაჩენს ის მფლობელის მაღალ სოციალურ სტატუსსაც. ალბათ ამის გამოა, რომ საქართველოში გაჯეტებს განვადებითაც კი ყიდულობენ, მერე კი მისი შესაძლებლობის ნახევარსაც არ იყენებენ, რადგან მთავარი უკვე აქვთ – იმიჯი!

მარკეტოლოგი თორნიკე გურული გაჯეტის ახალბედა მომხმარებელს დამწყებ მწეველს ადარებს: “როგორც თავიდან იტანჯებიან ადამიანები პირველი ნაფაზის დარტყმისას – ახველებენ და სუნთქვა ეკვრებათ, მაგრამ მაინც ეწევიან – ისევე იტანჯებიან გაჯეტომანებიც, ახალი თაობის ტექნიკას კი თავს მაინც არ ანებებენ: „რაც ყველაზე საგულისხმოა, ამ ადამიანებმა იციან, რომ ეს ტანჯვა ელით, მაგრამ ახალ ნივთს მოდურობის გამო მაინც ყიდულობენ. მოდურობაა მიზეზი, აბა, რა, თუ Macbook-ი გაქვს და მასში მარტო Word-ს იყენებ, iPad-ის ფუნქციები გაბნევს და მერე ბავშვებს აძლევ სათამაშოდ“, – ამბობს თორნიკე გურული.

„ერთი თვის წინ, ჩემი ახლად ნაყიდი ნეტბუქი სახლში რომ მივიტანე, ჩემმა დამ ცხვირი აიბზუა: კარგია, მაგრამ იაფფასიანის იერი აქვს, – მითხრა და თავის უკეთესი მონაცემების, წითელი ფერის, თუმცა მძიმე Dell-ის ნოუთბუქს, რომელსაც ძლივს დაათრევს, ამაყად გადახედა. იმ ლეპტოპის ფუნქციებს საერთოდ არ იყენებს, მხოლოდ ინტერნეტში შედის და მარტივ ბუღალტრულ პროგრამაში მუშაობს, სამაგიეროდ თითქოს ყველას ეპრანჭება იმით, რომ ძვირადღირებული ნოუთბუქი აქვს“, – მიყვება ლიკა.

„ტექნოსნობიზმი!” – ერთი სიტყვით აფასებს ამ ტენდენციას ანდრო, რომელიც ჩემს ნაცნობებს შორის ერთ-ერთი ის იშვიათი გამონაკლისია, რომლისთვისაც მთავარი მოწყობილობის სპეციფიკა და „უნარებია“. ვის რა მოდელის და თაობის გაჯეტი აქვს, მას ნაკლებად აღელვებს: „უამრავი მოდას აყოლილი სნობი დადის iPhone-ით და ნოუთბუქიც აუცილებელად Apple-ს აქვს. მათ მოდა სჭირდებათ და არა გაჯეტი; არ ესმით ტექნიკა და უბრალოდ ბრენდი იზიდავთ“, – მეუბნება და მირჩევს, რომ არასდროს ვიყო სწორხაზოვანი იმიტომ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები და ბრენდები უამრავი სხვადასხვა ვარიაციის არჩევის საშუალებას მაძლევს.

ტექნოსნობიზმზე საუბრისას ყველაზე ხშირად სწორედ Apple და მისი მოკბეჩილი ვაშლი ხდება განსჯის საგანი. ეს კომპანია – ყველაზე ლოიალური, თითქმის სექტადქცეული მომხმარე-

ბლებით და ყველაზე მძაფრი მოწინააღმდეგეებით – მუდამ ტექნოლოგიურ ავანგარდაშია და IT სამყაროს ახალ ტენდენციებს ჰკარნახობს.

თანაც, Apple – ეს მხოლოდ გაჯეტი არ არის. სტივ ჯობსმა იგი იდეოლოგიას და ცხოვრების სტილს დაუკავშირა: ფიქრი განსხვავებულად, ცხოვრება განსხვავებულად, მუშაობა განსხვავებულად, გართობა განსხვავებულად – ეს არის მისი იდეოლოგიის საყრდენი. არცერთ კომპიუტერულ კომპანიას არ შეუქმნია მომხმარებლების ისეთი ერთიანი და მძლავრი სუბკულტურა, როგორც Apple-ს. მათთვის მთავარია კრეატიულობა და არასტანდარტული მიდგომები, სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლის სურვილი და შესაძლებლობების მრავალფეროვნება. ამ იდეების უნდა გესმოდეს და მოგწონდეს. მხოლოდ მაშინ დაადგები ე.წ. „მაკინტოშის გზას“ (MacintoshWay – განსაზღვრება, რომელიც „ეფლის” ცნობილ ევანგელისტს, გაი კავასაკის ეკუთვნის).

თუმცა, ამ ფილოსოფიის დაბადებიდან დღემდე Apple-ის მომხმარებლები შეიცვალნენ: თუ რამდენიმე წლის წინ კომპანიის პროდუქცია იშვიათობა იყო, ბოლო წლებში პირიქით: მასობრივი გახდა. ყველგან, სადაც გაჯეტი უნდა გამოჩნდეს, ან მისი ხმა უნდა ისმოდეს – რეკლამებში, ბილბორდებზე თუ ფილმებში, არჩევანი ძირითადად „ეფლის“ პროდუქტებზე კეთდება იმიტომ, რომ ის ყველაზე პოპულარული და სასურველია. ადამიანებიც მათ იმდენად ხშირად ყიდულობენ, რომ ზოგჯერ ვფიქრობ, ცნობილი სლოგანი „იყავი განსხვავებული“ ახალმა ვერსიამ – „იყავი ყველასნაირი“ ხომ არ ჩაანაცვლა?

უკვე სამი წელია, საქართველოში მაკის მომხმარებელთა ჯგუფი – GeMUG მოქმედებს. ჯგუფში 1500-მდე ისეთი ადამიანია გაწევრიანებული, ვისთვისაც Apple გაცილებით მეტია, ვიდრე – გაჯეტი. GeMUG-ის კარი ყველა „ეფლისტისთვის“ ღიაა.

ჯგუფის ხელმძღვანელი დიმა გოგელია იმ დროს იხსენებს, როცა „ეფლისტი“ ხდებოდა და მთელ მსოფლიოში კომპანიის მიმდევართა რიცხვი ახლანდელთან შედარებით ბევრად ნაკლები იყო: „მაშინ „ეფლისტები“ მართლაც გამოყოფილები იყვნენ სხვა მომხმარებლებისგან, თავისი ჩაკეტილი სოციუმი ჰქონდათ. მახსოვს, პირველად, როცა 12 დუიმიანი powerbook-ი მქონდა, მის სანახავად და ხელშესახებად სპეციალურად მოდიოდნენ. მერე კომპანია მასობრივი პროდუქტების გამოშვებაზე გადაერთო, ხოლო როცა პროდუქტით მიზერული რაოდენობის ნაცვლად, ბევრი ადამიანი სარგებლობს, იგი საკულტო ვეღარ იქნება. ახლა უკვე მომრავლდნენ ისეთები, ვისაც „ეფლის“ პატარა პლეერი მაინც აქვთ, თუმცა მათი 90 პროცენტი ამ გაჯეტებს ისეთი აღმატებული გრძნობით არ უყურებს, როგორიც ჩვენ გვქონდა. ეს მათთვის უბრალოდ ტექნიკაა, რომელიც მუშაობს კარგად, ხარისხიანია და თან მოდური, რაც მე არ მომწონს“, – მეუბნება დიმა. მერე ერთად „ეფლის“ მომხმარებლების სეგმენტაციას ვცდილობთ და რამდენიმე ჯგუფს გამოვყოფთ: ჭეშარიტ „ეფლისტებს“, რომლებისთვისაც ის ცხოვრების სტილიც არის, საყვარელი ტექნიკაც, ყოველდღიურად საჭირო ინსტრუმენტიც და სტივ ჯობსთან დამაკავშირებელი უხილავი ძაფებიც. მეორე ჯგუფისთვის „ეფლი“ მხოლოდ პრესტიჟული, ლამაზი ტექნიკაა და მოდურობის გამოა ნაყიდი. მესამე ჯგუფი შუალედურია: მათ გაჯეტების შესაძლებლობებიც სჭირდებათ და „ვაშლური“ სტილიც. და არის მეოთხე ჯგუფი „ეფლის“ აგრესიული მოწინააღმდეგეები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ამ კომპანიის პროდუქცია ძალიან ძვირია და ამიტომ ის ბოროტების იმპერიაა.

„ეფლის“ ყველაზე დიდი იდეური მტერი დღეს ანდროიდია. „ვაშლისა“ და „მწვანე რობოტის“ დაპირისპირება Google-ს ოპერაციული სისტემის გამოსვლამ განსაკუთრებით გაამძაფრა. ორივე მხარეს თავისი არგუმენტები აქვს, ფილოსოფია კი – რადიკალურად განსხვავებული. დიმა გოგელიას შემდეგ კიდევ ერთ, ტექნოლოგიებით გატაცებულ მამაკაცთან, ამჯერად ანდროიდისტთან მივდივარ. ზვიად სულაბერიძე ყოფილი ნოკიისტია. მახსოვს, ფინური კომპანიის ყველა კარგი მოდელი ჰქონდა, მერე Android-ი იყიდა და აღარაფერში გაუცვლია, რადგან ტექნიკას აფასებს მისი სპეციფიკაციის და სიძლიერის მიხედვით. თუმცა, არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც მას „ეფლის“ წინააღმდეგ განაწყობს, ეს იდეების ჩაკეტილობა-გახსნილობის თემაა:

„იდეოლოგიურად პროტესტი მაქვს „ეფლის“ მიმართ. „ეფლი“ არავის არაფერს უზიარებს მაშინ, როცა გაზიარება ბუნებრივი თვისებაა. მისი სერვისებით ვერ ისარგებლებ, თუ სხვა კომპანიის გაჯეტი გაქვს, ან თუ მაინცდამაინც „ეფლის“ გაჯეტი გინდა, აუცილებლად მისი ოპერაციული სისტემაც უნდა გქონდეს. მიმაჩნია, რომ ეს ინტელექტუალური საკუთრების არასწორი გამოყენებაა. წარმოიდგინე, ვილაცას პირველყოფილი ადამიანების დროს ცეცხლის ანთება რომ გამოე-



easy DEPIL

ენდეთ, რადგან უსაფრთხოა ჯანმრთელობისათვის

დაბალანსებული ფორმულისა და ცილის პროტეინების წყალობით, EASY DEPIL-ის პროდუქტები იტალიიდან, თქვენს კანს უფრო მეტ სილამაზეს მიანიჭებს მარტივად და ეფექტურად

- სადეპილაციო კრემი ტანისთვის
- სადეპილაციო კრემი დელიკატური ადგილებისათვის
- სადეპილაციო მუსი

- ტანის "სტრიპსი" MAX (ხელებისა და ფეხებისათვის)
- ტანის "სტრიპსი" NORMAL (ხელების, ფეხებისა და იღლიებისათვის)

- სადეპილაციო კრემი სახისთვის
- თმის გამალიავებელი კრემი
- "სტრიპსი" სახისთვის

- სადეპილაციო კრემი მამაკაცებისთვის

Audrey
შპს. ოდრი

შ.პ.ს. ოდრი, ოფიციალური დისტრიბიუტორი საქართველოში
საქართველო, თბილისი, ალექსანდრეს ქ.21
ტელეფონი: +995 32 243 22 07
E-mail: audrey@audrey.ge

გონა და სხვისთვის არ გაეზიარებინა, ან სანაცვლოდ რამე მოეთხოვა, ახლაც ხომ ისევ გამოქვაბულში ვიქნებოდით?" – ამბობს ზვიად სულაბერიძე.

დიმა გოგელიას და დანარჩენ „ეფლისტებს" ამ არგუმენტზე პასუხი აქვთ. ისინი „ეფლს" სწორედ იმიტომ ირჩევენ, რომ ის ჩაკეტილია, „შავი ყუთია", რომელშიც კომპანიის ნებართვის გარეშე ვერაფერს შეცვლი. სამაგიეროდ, სტაბილური და სტანდარტიზებულია. iPhone-ს შემთხვევაში მომხმარებელი გარანტირებულია, რომ, მკაცრი ცენზურის წყალობით, მის ტელეფონში საზიანო პროგრამა ვერასდროს მოხვდება: „მირჩევნია, ვიყო სტაბილურად, უსაფრთხოდ და თუნდაც ჩარჩოებში მოქცეული", – ამბობს დიმა.

თუმცა, ამ დაპირისპირებაში მტყუან-მართალი არ არსებობს ისევე, როგორც „რეალის" და „ბარსელონას", BMW-სა და მერსედესის, Nikon-ისა და Canon-ის დუელში.

სხვათა შორის, თბილისში, „ეფლისტებთან" ერთად, „გუგლომანების" ჯგუფიც მოქმედებს. GTUG (Google Technology Users Group) იანვრის ბოლოს შეიქმნა და Google-ის ტექნოლოგიებით დაინტერესებულ 300-მდე ადამიანს აერთიანებს. ჯგუფის ხელმძღვანელი ნინო ნანიტაშვილი ამბობს, რომ GTUG შეხვედრებზე სემინარები და პრეზენტაციები ეწყობა, ცოდნისა და გამოცდილების გაცვლა მიმდინარეობს. GTUG Google-ს ოფიციალური ქსელის ნაწილია და მასში 94 ქვეყნის 347 ჯგუფი შედის. „ასე რომ, ეს გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ „გუგლომანთა" გაერთიანება", – ამბობს ნინო და გაჯეტების მიხედვით ადამიანებსაც მიხასიათებს: „ეფლისტებს" სიმარტივე მოსწონთ, ანდროიდისტებს – მოქნილობა და გაჯეტის საკუთარ თავზე მორგება, BlackBerry ბიზნესის ტიპებს იზიდავთ"...

„გუგლომანების" ჯგუფის კიდევ ერთი წევრი, 19 წლის გიორგი ტყეშელაშვილი კი გაჯეტების მოდის უკანასკნელ ტენდენციებს მაცნობს: „დღეს უკვე გაჩნდნენ ადამიანები, რომლებიც საუბრობენ იმაზე, რომ Iphone-ის ყიდვაა სნობიზმი და მეტი არაფერი მაშინ, როდესაც ისინი ხშირად იმდენივე თანხას იხდიან ანდროიდ სმარტფონში, მხოლოდ იმის გამო, რომ ამით თქვან – Iphone-ი მეინსტრიმია, მე მას არ ვირჩევ!"

„ბოლო დროს საქართველოში ბევრს ლაპარაკობენ სტარბაქსზე", – მეუბნება თორნიკე გურული.

„მაგარი ყავაა!" – ვაწყვეტინებ ჩემდაუნებურად.

„ერთი ჩვეულებრივი ყავაა, უბრალოდ იმიტომ სვამ, რომ შენც იცოდე, როგორი გემო აქვს მას და სხვას არ ჩამორჩე", – პრაქტიკულად „სილას მაწნის" თორნიკე და მეუბნება, რომ ყავაა თუ გაჯეტი, მნიშვნელობა არ აქვს – ჩვენ ყველანი, მარკეტოლოგების მსხვერპლი ვართ. მათი მთავარი გათვლა ჩვენი ცხოვრების სტილზეა, ამას პირდაპირი რეკლამით ვერ გადმოსცემენ, მაგრამ ირიბი ხერხებით მიზანს ყოველთვის აღწევენ. თუნდაც ყველა ჰოლივუდურ ფილმში, ყველა მაგარ ბიჭს და გოგოს, ქალს და კაცს, ყველაზე მაგარი გაჯეტი უჭირავს ხელში. ქვეცნობიერად შემდეგ მაყურებელსაც უჩნდება სურვილი, ეს ვარსკვლავური იმიჯი გაჯეტის შეძენით თვითონაც „იყიდოს".

„საქართველოში კი დამატებითი ფაქტორებიც მოქმედებს: მაგარი გაჯეტი თუ გაქვს, ამით ამერიკულ „ლაივსტაილსაც" ირგებ, რომელსაც რამდენი ხანია უკვე, შორიდან ეტრფი. გლობალური მაკდონალდიზაცია, კოკა-კოლიზაცია და ეფლიზაცია აღარ ნიშნავს მხოლოდ კონკრეტული ნივთის ქონას, ეს ნიშნავს იმას, რომ წარმოიდგენ – ახლა უკვე თანამედროვე, გლობალური კულტურის ნაწილიც ხარ", – ამბობს თორნიკე.

თუ ახლა Apple-ს არქონა შემოვიდა მოდაში, მერე რა მოხდება, როცა საკუთარ სმარტფონს Facebook-ი გამოუშვებს? სოციალური ქსელი გაჯეტზე უკვე მუშაობს. მარკ ცუკერბერგმა ამისთვის „ეფლის" ყოფილი ინჟინრები მიიწვია, რომლებიც iPhone-სა და iPad-ის შექმნაში მონაწილეობდნენ. თუმცა, გირჩევთ, თუ ახალ „Facephone"-ს იყიდით, ძალიან ნუ გადაყვებით მას – შეიძლება, ეს თქვენი ძვირადღირებული და უახლესი შენაძენი, რომელიც დღეს თანამედროვეობის „ბოლო სიტყვაა", ხვალ მომენტალურად მოექცეს ჩრდილში. ამიტომ, მგონი, მართალი მითხრა ჩემმა რესპონდენტმა – არასდროს იყო სწორხაზოვანი და ახალი გაჯეტის ყიდვისას იხელმძღვანელე მხოლოდ იმით, რაც შენ გჭირდება; ანუ, ეცადე ამ კარგად დადგმულ მარკეტინგულ სპექტაკლში, სადაც ახალ-ახალი მოწყობილობები, სნობები, მოდასაყოლილი ადამიანები და ტექნოლოგიების მოყვარულები მონაწილეობენ, მაქსიმალურად უწყინარი როლი მოირგო, – ვფიქრობ, მაგრამ აზრს facebook-ზე მოსული ახალი შეტყობინება მაწყვეტინებს. ჩემი მეგობრის, ნათიას მოწერილს, ჩემს საყვარელ iPhone-ში ვკითხულობ: „ნინა, მე დღეს ახალი თეთრი iPad-ი ვნახე... ვნახე და შემიყვარდა!.."

იაქტიურეთ, მიიღეთ მონაწილეობა

RADIOKALAKI.GE-ს გამოკითხვებში

მოგვწერეთ თქვენი მოსაზრებები და რჩევები

მისამართზე

INFO@RADIOKALAKI.GE

თქვენი რადიო - ხიდი მსოფლიოსთან

ᲙᲮᲘᲓᲘ
ᲒᲝᲯᲝᲠᲯᲔᲚᲘ
98.5 FM

98.5